



ისინჯი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№16

ისინქტი

ლიტერატურული ჟურნალი

საიუბილეო ნომერი

№16

2022

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)

რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)

ვახტანგ ბახტაძე

აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)

ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)

ერეკლე სალღიანი (საპატიო წევრი)

მარსიანი

თეიმურაზ ნადარეიშვილი

გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: მხატვარი: მარსიანი – ივერიის მზე-მიქაელ მთავარანგელოზი

უკანა ყდა: ფოტოხელოვანი – გიორგი შიშნიაშვილი – ზვიადის საფლავთან

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	5
ჟურნალის ქრონიკა	
იკა ქადაგიძე – „ისინდის“ საკარანტინო ისტორია	7
ინტერნეტსპექტრი	
თეა თაბაგარი – ლექსები	24
მოსაგონარი	
ნანა შალამბერიძე – ნიკა ყოლბაიას ხსოვნას	26
კრიტიკა	
მარსიანი – დარიანი შეადარეთ დარიანს	28
კრიტიკა	
იკა ქადაგიძე – „დარიანული ავდარი“	31
ლიტერატურათმცოდნეობა	
მედგარ ჭელიძე – ო, ძვირფასო ვერონიკა	33
ლირიკა	
სანდრო ნეზიერიძე – ლექსები	38
ნარსულის მოზაიკა	
ვანო გელაშვილი – გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას	40
პროზა	
დიანა მეტონიძე – „ორი სიმპტომი“	43
გამოსათხოვარი	
მარსიანი – ნიკა ჯინჭარაძის ხსოვნას	45
იკა ქადაგიძე – პოეტური სევდის ჰანგი (ნ. ჯინჭარაძის ხსოვნას)	46

საიუბილეო სიტყვა	
ვახტანგ ბახტაძე – ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა.....	48
ნოველა	
მარიამ ტოხიშვილი – „ნასახლარის სევდა“	51
ერთი ლექსის გაელვება	
ნიკა ჯინჭარაძე, ჯარჯი ფხოველი –	53
რეცენზია	
მარეს ბეჟანიშვილი - გალპერზე	54
ფანტასტიკა	
თამაზ თაბუაშვილი (ტომ ანიდინი) – უადამიანის დაბადება.....	58
ციკლიდან: „ფიქრები თავისუფლებაზე“	
როსტომ შამუგია - ერის მარადიული სატკივარი.....	61
თარგმანი	
ნინი ქუთელია - სენეკა ბედნიერი ცხოვრების შესახებ	64
მისალოცი ისინდისადმი	
გიო კილაძე	
იკა ქადაგიძე - გამოხმაურება ორიოდ სიტყვა ბიბლიო ექსპრესის შესახებ	66
მითოლოგიური პოემა	
ერეკლე სალლიანი - მედეა	67
ესეისტიკა	
თეიმურაზ ნადარეიშვილი - სულის ფოტოგრაფიები	69

რედაქტორის წინათქმა

დაულალავ შრომაში ჩაბმულებს ყველაზე მეტძოლი და ეროვნული ჟურნალის: “ისინდის“ საიუბილეო თარიღი - დაარსებიდან 5 წლისთავი სწრაფად წამოგვეწია. როდესაც ისინდის ქრონიკის საგანგებო წერილი ტრადიციული რუბრიკისთვის მოვამზადე, ჩვენი ჟურნალის მიმდინარე ისტორიას ფაქტების მიხედვით რომ აჯამებს, განცვიფრებამ დამრია ხელი: ამასობაში კიდევ ერთი წელი შეუმჩნევლად გაფრენილა, რაც ნიშნავს, რომ “ისინდის“ ახალი დინამიკური ისტორია გრძელდება, რისი აღნუსხვაც გადაუდებელ საჭიროებას ითხოვს;

აქედან გამომდინარე, ბირთვის შემადგენლობა კვლავ გაიფილტრა; ეს გარემოება მოწმობს, რომ ჟურნალი ცოცხალი ორგანიზმია და მეტძოლი, მკვეთრად დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის წარმოებისას მკვეთრი ცვლილებებისგან არა არის დაზღვეული, რაც ეროვნული ღირებულებების განუხრელი დაცვის წილ მწერლობის გაჯანსაღებისკენაა მიმართული, ამავდროულად ჩვენი საკმაოდ რთული საქმიანობის მყარ წარმატებას რომ განაპირობებს.

დაძაბული გარჯის რიტმის პარალელურად სასიხარულო სიახლეები სახეზეა: სახელდობრ, პანდემიური ხანის დასრულებისთანავე საზღვარგარეთ შეუფერხებელი მიმოსვლის აღდგენის პოზიტიური შედეგი საცნაურია: ეს მნიშვნელოვანი გარემოება “ისინდის“ საერთაშორისო აღიარებისთვის სასიკეთო მოცემულობაა; ადრეც აღვნიშნე, რომ 3 წლის წინ ჩვენმა ჟურნალმა ავტრიაში, კერძოდ, ვენის ბიბლიოთეკაში (მკვლევარ მზია გალდავაძის მეშვეობით) ყურადღება მიიქცია და სერიოზული მოწონება დაიმსახურა; ესოდენ იღბლიანი სტარტის გაგრძელება სახეზეა: ამჯერად “ისინდის“ ახალმა ნომრებმა ვენის უნივერსიტეტსა და კონესრვატორიაში დაიდეს ბინა- იქ მოღვაწე წარმატებული, ახალგაზრდა ფლეიტისტის, თემურ ხარშილაძის მეშვეობით; აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველი მუსიკოსის საინტერესო ჩანაწერები სრული სახით “ისინდში“ დაიბეჭდა, სადაც ვენის სისხლსავსე, მრავალფეროვანი მუსიკალური ცხოვრების მაჯისცემა ძალუმად იგრძნობა და სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობას საშუალება ეძლევა თანამედროვე კულტურულ პროცესებს სწორედაც ყველაზე მეტძოლი და ეროვნული ჟურნალის დახმარებით სრულფასოვნად გაეცნოს და ეზიაროს. კულტურათა შორის გადებული ხიდი სწორედ ამის დასტურია. ჩვენ უფრო შორსაც ვგეგმავთ გაჭრას. ამავე ნომერში ქვეყნდება

ნიუ იორკში მცხოვრები რუსულენოვანი ებრაელი პოეტის: ალექს გალპერის თბილისურ მოტივზე შექმნილი პაროდული მუხტის მატარებელი საინტერესო ლექსი და ორი მოთხრობა (თარგმანი ლიტერატურათმცოდნე მარეხ ბეჟანიშვილის საგულისხმო რეცენზიის თანხლებით გამოქვეყნდა), რაც უკვე ოკეანის გაღმა მცხოვრები მწერლის ხედვასთან გვაახლოებს;

და კიდევ ერთი ძალზე სასიამოვნო და სასიხარულო სიახლე: ჩვენმა საიმედო მხარდამჭერმა, ქ-მა ციციო გველუკაშვილმა, (ცნობისთვის: ქველმოქმედი ემიგრანტი მანდილოსანი “ისინდს” აქამდეც რამდენჯერმე გარკვეული თანხით შემოეხიდა) იტალიაში მყოფი ქართველებისთვის ბიბლიოთეკა დაარსა და ეროვნული, სულიერი საზრდოს მისაწოდებლად უმაღლეს “ისინდის” ყველა ნომერი შეიძინა, რაც სოლიდარობის საუკეთესო პრეცედენტია. სწორედ ამგვარი მისაბაძი ჟესტი ქმნის ერთსულოვნების მუხტს, რაც მხნეობას გვმატებს ურთულესი ჭაპანი კვლავ მედგრად გავწიოთ, ფარ-ხმალი არასდროს დავყაროთ და ქართული სიტყვის მაღლი შინ და გარემო მყოფ სამშობლოსმოყვარულ თვისტომს არასდროს მოვაკლოთ.

ამდენად, ყველას, ვინც “ისინდის” პოპულარიზაციას მხარს ესოდენ ქმედითად უჭერს, მხურვალე მადლობას მოვახსენებთ და ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ ყველაზე მეტრძოლი და ეროვნული ჟურნალის სამოქმედო ასპარეზი მეტად გაფართოვდება რათა ეროვნული ღირებულებებისათვის გაჩაღებულ უთანასწორო ომის ავანგარდში მდგარ “ისინდს” ეროვნული კულტურის დასაცავად და გასამდიდრებლად მრავალ წელს კვლავ ფეხბედნიერად ეღვაწოს!

5 წლის მუხლჩაუხრელმა შრომამ აჩვენა, რომ სულმნათი წინაპრების ურთულეს გზაზე მყარად მდგარ ისინდელებს კვლავ შესწევთ უნარი ეროვნული კულტურის დასაცავად არც თუ ხვავრიელი სახსარი გაიღონ და ამის მიუხედავად ღვთის მაღლით საუკეთესო გამომცემლისა და ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფლის; ბ-ნ კახა რუსიძის, (მის შესანიშნავ კოლექტივთან ერთად) კეთილი ადამიანებისა და შეგნებული ავტორების ძალისხმევით არჩეული გზას ძველქართული შემართებით უდრეკად მიუყვებოდნენ! დრომ აჩვენა, რომ “ისინდის” მერნული მარულა შეუფერხებელია და ახალი მწვერვალების დასაპყრობად ჩვენი დევიზი: წინ ისინდი! წინაღუდგომელია!

14.04.2022.

იკა ქაღაბიკა

„ისინდის“ საკარანტინო ისტორია

ოთხი წელი შესრულდა, რაც ყველაზე მეტძოლი ჟურნალი“ ისინდი“ სამწერლო სივრცეს მოეწვლინა და ეროვნული ფასეულობების განუხრელი დაცვით სიმართლის დროშა ძირს არ დაუხრია; ვისაც ჩემი სიტყვები პათეტიკურ გადაჭარბებად მოეჩვენება, ტენდენციური დასკვნის გამოტანამდე უმორჩილესად ვთხოვ, კეთილი ინებოს და თანამედროვე სამწერლო პროცესების საფუძვლიანი შესწავლის პარალელურად ჩვენი ჟურნალის ისტორიას სათანადოდ გაეცნოს, დაწვრილებით გადაამოწმოს ამ ხნის განმავლობაში რით ვხელმძღვანელობდით და წიგნიერ საზოგადოებას თავი როგორ დავამახსოვრეთ. ზოგადად დაუსაბუთებლად რაიმეს მტკიცება ტრაბახა დილეთანტების ან არაკეთილსინდისიერი პროფესიონალების გაუმართლებელი ჩვევაა, ფაქტებთან შეპირისპირებისას საპნის ბუშტივით უსიამოდ რომ სკდება და ახლანდელი პოლიტიკანების სტილის უსუფთაო, ორმაგ თამაშს ნააგავს, ამიტომ საქვეყნო, საპატიო და ამავედროულად სახიფათო საქმის მოთავეობისას თამასა ძალზე მაღალია; სხვაგვარად ეს ნიშნავს, უზარმაზარი პასუხისმგებლობის კვალდაკვალ ანგარიშვალდებულება იკისრო, რაც გიკეთებია, ყველაფერი საჯაროდ, დაუფარავად წარადგინო, ვინაიდან ეროვნული კულტურის შესატან წვლილზე პრეტენზიის გაცხადებისას ობიექტურად დადგინდეს სინამდვილეში რა მიზანს ემსახურები, სამომავლოდ შთამომავლობამ სათანადო ადგილი რომ მოგაკუთვნოს.

ეს ოთხი წელი არც ისე დიდი დროა საიმისოდ, ურთულეს ქართველებში გახვეულ მსოფლიოს საშვილთაშვილო სიმყარით შეეხიდო, მაგრამ არც ისე ცოტაა, შემთხვევითი გაელვების ეფექტს დასჯერდე და ნაცადი სპეკულაციებით ფონს გასულმა მრავალჭირგამოვლილი საზოგადოების გული საეჭვო კეკლუცობით მოინადირო. მთავარი შედეგია, რომელსაც ყოველთვის საქმე გამოაჩენს და განსაზღვრავს და სწორედ ამიტომ სიამაყის განცდას ვერ ვმაღავ, რადგან ფაქტი სახეზეა, სხვა ჟურნალებთან შედარებით ასაკით უმრწემესმა „ისინდმა“ თავისი დანიშნულება ცალ-



სახად გაამართლა, „ისინდი,“ როგორც სინდისის სიმბოლო“, საზოგადოების მხრიდან გაჟღერებული საპატიო შეფასება არათუ შეინარჩუნა, არამედ სიძნელეებთან ჭიდილისას განამტკიცა, მრავალპლანიან წინააღმდეგობებს მედგრად გაუძლო, თვალშისაცემი წარმატების კვალდაკვალ სერიოზული შინაომი დაძლია, რამაც ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მნიშვნელოვნად გადაასხვაფერა და რაც ყველაზე მთავარია, მძაფრი გამოწვევების მიუხედავად არჩეულ კურსს ოდნავაც არ უღალატა, რაც იმის მკაფიო დასტურია, რომ მრწამსის ერთგულება ჩვენი დევიზია. წინ ისინდი! ნიშნავს უწყვეტი საბრძოლო სულიკვეთებით გამსჭვალულმა ბოლომდე ღირსეულად ზიდა ეროვნული საქმის თანმდევი არც თუ უხიფათო და მარტივი უღელი.

ვინც ჩვენს საქმიანობას თვალყურს გულმოდგინედ ადევნებს, ერთი წლის წინ გამოქვეყნებულ ჟურნალის ქრონიკას უმაღლესი გაიხსენებს, რომელიც ჩვენი მუშაობის შემაჯამებელი ანგარიშია; „ისინდი“ ტრადიციას მუდამ მყარად იცავს და აქედან გამომდინარე, ჟურნალის დაარსებიდან ოთხი წლისთავზე ჩვენს სოლიდურ და გემოვნებიან პუბლიკას „ისინდის“ საკარანტინო ისტორიას ვთავაზობ, სადაც აღწერილია, ერთი წლის მანძილზე რით ვსულდგმულობდით, სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამოისობით რა შეიცვალა და საპანდემიო პირობების გათვალისწინებით ჩვენ წინ რა მოცემულობა გადაიშალა. პანდემიის პირველი ტალღის წინ „ისინდის“ რიგით მეცხრე

ნომერმა დღის სინათლე დაუბრკოლებლად იხილა. ამ ნომრის დინამიკური თავგადასავალი უკვე აღვწერე და ამიტომ თხრობას ქრონოლოგიურად განვაგრძობ. მეათე ნომრის გამოცემის შემდეგ კომენდანტის საათის გადაწვამ და შეზღუდვების შემსუბუქებამ საშუალება მოგვცა ახალი ნომრები ერთობლივად წარგვედგინა, თუმცა დახურული სივრცის გაუქმების გამო ღია ცისქვეშ გამართულმა შეხვედრამ ჟურნალის კომერციული მხარე ჩააგდო. მარტივად რომ ვთქვა, ფინანსურად გვარიანად ვიზარალეთ, რადგან პრაქტიკულად ახალი ნომრები არ გაყიდულა, რამაც შემდგომში სერიოზული წინააღმდეგობები შეგვიქმნა, რისი მოყოლაც აუცილებელია იმის გასაგებად, რთულ პირობებს როგორ გავუმკლავდით, გაჭირვების დროს ვინ შემოგვცხიდა, ვინ კოჟრზე ფეხი დაგვაჭირა და ფინანსურად “გადაგვაგდო”, თუმცა საჯაროდ ვირტუალურ სივრცეში ხალხის თვალის ასახვევად ოსტატურად შეინიღბა, რაც გამოცდილი ფარისევლების სამეფო კოზირია სიყალბის ტირაჟირებისთვის, რასაც ყოველთვის უწყვეტად ვაპროტესტებ, ავი კარგისგან რომ გაიმიჯნოს და ყველაფერს თავისი სახელი დროულად დაერქვას, სამომავლოდ ლიტერატურის ახალ მკვლევარებს საეჭვო მარჩიელობა და უსაგნო წვალეზა თავიდან რომ ავარიდოთ; ამ პერიპეტიების გაცნობისას უპრიანია პუბლიკამ ნათლად წარმოიდგინოს სიანმდვილეში პარნასი ია-ვარდებითაა მოჩითული თუ ფასეული ღირებულებების დასაცავად ლიტერატურულ ჯუნგლებში ნაღმების ველის გავლა რის ხარჯზეა შესაძლებელი თუკი მთელ რიგ გარემოებებთან ერთად კოლეგების ქმედება ეროვნული ჟურნალის წინააღმდეგაა მიმართული. მოკლედ, ისინდის საკარანტინო ისტორია კულუარებში რომ არ ჩაიკარგოს, ფაქტების სამზეოზე გამოტანით სიმართლეს ასპარეზი ეძლევა, აგერ ბურთი და მოედანი, ჩემო მკითხველო და თავად განსაჯე, განსაცდელს ჟამს ვინ რა მოიმოქმედა .

2021 წელს “ისინდის“ პირველი ნომრის გამოცემისას მანამდე უცნობმა ტენდენციამ იჩინა თავი, რამაც გვარიანად შემაფიქრიანა და მიმახვედრა, რომ კარანტინის რეჟიმის თანმდევი სიძნელეები ყველაფერს ძალუმად დაეტყო, მით უმეტეს ჩვენს ჟურნალს, რომელსაც წევრების გარდა ავტორების მეშვეობით ვაფინანსებთ, რაც ნიშნავს, დამოუკიდებელი, გაბედული სარედაქციო

პოლიტიკის შესანარჩუნებლად ყოველგვარი რისკი თავად გასწიო, კულტურის სამინისტროსა და სახელმწიფო თუ კერძო დოტაციაზე მყოფ სხვა ოფიციალურ დაწესებულებებს ფინანსების ჩამოსამათხოვრებლად კარი კი არ აუტალახო, არამედ ცალსახად გაემიჯნო, რაც “ისინდის“ ურყევი სამოქმედო დევიზია და სხვა ჟურნალებისგან ობიექტურობის ხარისხით ესოდენ თვალმისაცემად გამოგვარჩევს. ოფიციალისა და მწერლური კლანებისთვის მიუწვდომელ მართალ ჟურნალს სწორედაც ამგვარი გაბედულების, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებელ ფინანსური პოზიციის გამო გვინოდებენ, რაც საკმაოდ ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. არადა, ზამთრის დასაწყისი უსიამო სიურპრიზთა სერიას ნამდვილად არ გვიქადადა. საბედნიეროდ, ჟურნალში დაბეჭდვის მსურველები არასდროს გველევა და ამჯერადაც საეჭვო ჩავარდნა აშკარად არ შეინიშნებოდა . აქვე დავაზუსტებ: “ისინდის“ არსებობის მანძილზე ავტორთა მხრიდან დალაღატებას არასდროს ჰქონია ადგილი, თუმცა ნათქვამია, ეშმაკს არ სძინავსო და ამ მხრივ პირველი მერცხალი ჩვენი საიმედო მოკავშირე და ავტორი, პოეტი დალი ყარაულაშვილი გამოდგა, რომელთანაც რამდენიმეწლიანი დინამიკური კოლეგიალური ურთიერთობა მაკავშირებდა; მკითხველი ძალიან რომ არ გადავღალო, (ყარაულაშვილის ვერაგ ქმედებაზე საგანგებო წერილი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ფეისბუქზე 2020 წლის 1 ნოემბერს გამოვაცქეყენე), მოკლედ მოვჭრი: ამ ხნის განმავლობაში ხშირ სკანდალებში გახვეული ყარაულაშვილი ჩემი მხარდაჭერით მშვენივრად სარგებლობდა, რაც ბოლოს ასე ბოროტად გამოიყენა და “გადაგდების“ ფაქტის შეფუთვას აფერისტობით შეეცადა, რისი საშუალებაც არ მივეცი, ვინაიდან ამგვარი მზაკვრობით (მან თვეების მანძილზე უშედეგო ლოდინის რეჟიმში ეშმაკურად მომისაჯა მაშინ, როდესაც თანხის მოტანას თურმე არც კი გეგმავდა, არადა, დათქმულ ვადას არ გადავაცილებო, ყასიდად მიმტკიცებდა, რითაც დრო სათავისოდ გაჰყავდა!) ჟურნალის გამოშვებას ექმნებოდა საფრთხე (ჩვენი მწირი ფინანსების გათვალისწინებით ბუნებრივია, ყველაფერი გაანგარიშებული იყო) თორემ ჩემს არც თუ წარუმატებელ შემოქმედებით კარიერას რომ დიდი ხანია დამოუკიდებლად ვაძლიერებ, ეს მწერლობაში ჩახედულ პირებს კარგად მოეხსენებათ.

ფინანსურ “გადაგდებაზე” არანაკლებ იმ ფაქტმა შემძრა, ყარაულაშვილმა ჩემი სატელეფონო ზარი რომ დააიგნორა მაშინ, როდესაც თავად უზომო ამბიციურობის გამოისობით კოლეგებთან ურთიერთობების დაძაბვისთანავე უმაღლეს რეკვირთა მიკლებდა და კატეგორიულად მთხოვდა უპირობოდ დავხმარებოდი, თითქოს სხვა საქმე აღარ მქონდა მისი საეჭვო ავანტიურების ხლართები მომგებიანად გადამეჭრა და დაპირისპირებულ მწერლებთან მშვიდობიანად შემერიგებინა, რამაც ლამის ქრონიკული ხასიათი მიიღო. და უცებ, საპასუხოდ ამგვარი უპატივცემულობის დემონსტრირებამ მიმახვედრა, ბიბლიური სიბრძნისა არ იყოს, ღორს მარგალიტები ფეხქვეშ არ უნდა დაუყარო! სწორედ ამიტომ მამხილებელი პოსტის გამოქვეყნების შემდეგაც მისგან თავი რომ ვერაფრისდიდებით დავიხსენი, სტატუსებს კვლავ მიწონებდა, მეტიც, ჩემთან გადაღებულ ძველ ფოტოსურათებს ზედიზედ აზიარებდა, თითქოს არაფერი მოხდარა და პირობა ვილაც სხვამ დაარღვია და უტაქტობით მან კი არა, მავანმა შეურაცხმყო! რადგან ფეისბუქი ამ მხრივ ცდომილების სარკეა, პუბლიკას შთაბეჭდილება რომ არ შექმნოდა, თითქოს ამ თავგადაკლულ, პარაზიტული ენერგიით აღსავსე ავანტიურისტს უმსგავსობა შევარჩინე, ყველაფერს ბლოკის სახით წერტილი დავუხსვი, რაც ღიადაც გავახმაურე. არადა, ეს თურმე დასაწყისი იყო; თითქოს პირი შეიკრესო, “გადაგდება” ავტორების წყება უმაღლეს მოგვეტმასნა. გულდასაწყვეტია, რომ მათ შორის კარგი ნაცნობი, ვისთანაც წლების მანძილზე მშვენიერი ურთიერთობა მაკავშირებდა და ვისაც ყოველხრივ ხელს ვუწყობდი, პოეტი მიმოზა ცანავა გამოდგა, რომელმაც “ისინდში” დაბეჭდვის სურვილი ჯერ კიდევ 3 წლის წინ გამოთქვა; კოლეგას თავაზიანად ავუხსენი, ჟურნალის გამოცემა რა პრინციპს ემყარებოდა, იმაშიც გამოუტყდი, მერიდება, ადრინდელივით უანგაროდ რომ ვერ გაპიარებო (ადრე მას ჩემს საავტორო გადაცემებში ვინვევდი, ლექსიც მივუძღვენი, ორჯერ წიგნის წარდგენა გავუმართე, თავადაც ერთ-ერთ გადაცემაში ნაცნობთან მიმიწვია და მაღლიერების ნიშნად მშვენიერი საყურეები მისახსოვრა), რადგან ჟურნალი ჩვენს ხარჯზე გამოდის და ფულს ყველა ვაგროვებთ-მეთქი. მოკლედ, ავუხსენი, რომ მთის არწივის, ვაჟას, პოეტური გამოთქმისა არ იყოს. “ჩვენ საქართველოს ჩვენივ ხარჯით ვშველით”;

ფაქტია, ამ პასუხმა იგი იმ ეტაპზე დააკმაყოფილა და უსახსრობის საბაბით გვერდზე გადაა; არადა, მისი ტანსაცმლის მრავალფეროვანი გარდერობი და სამკაულები, რის დემონსტრირებასაც პოეტურ თავყრილობებსა თუ ფეისბუქპოსტებზე ინტენსიურად ახდენდა, სრულიად საპირისპიროზე მეტყველებდა; ცხადია, დეტექტივობის გამოკლებით არც ეკონომიკის ექსპერტობას ვიჩემებ, არც გალუას გენიალურ მათემატიკურ ნიჭს მივინერ, უბრალოდ სამი წლის განმავლობაში 50 ლარის შეგროვებას ვინც ვერ შეძლებს, თვითდაფინანსების წესით გამოცემული ჟურნალის რედაქტორს თამამად არ უნდა მიადგეს და უფასო პიარი დაავალდებულოს, თუ მაინცდამაინც, უპრიანია უსახსრობის მიზეზის გახმოვანებამდე მცირე ხნით ძვირფასი სამოსისა და სამკაულების საყოველთაო პოდიუმს დროებით მაინც მოერიდოს, იაფფასიან ტყუილში რომ არ გამოიჭირონ, სანამ უპოვარის როლს მყარად მოიგრებს და სხვა, გაცილებით მდარეხარისხიან ჟურნალებში ორჯერ მეტ თანხას უყოყმანოდ გადაიხდის! კარგი ნაცნობობა იმის თავმდებად ნაღდად არ გამოდგება, სანამდეც გაგივა, იმას ბოლომდე საშენოდ მიაწვე და კეთილისყოფელი მუდამ მუქთად გამოწერო, ხელის მოცარვის შემთხვევაში კი ზურგსუკან სამაგიერო ისე გადაუხადო, ღიად კვლავ იუდას ამბორს ამოეფარო! წლების განმავლობაში ადამიანთან ურთიერთობა გავალდებულებს, ქმედებისას მისი ხასიათი გაითვალისწინო, სანამ საკუთარ ეგოიზმსა და უსაგნო პატივმოყვარეობასა და უპატიოსნო გამომყენებლობის ტაქტიკას გასაქანს მისცემ! ესეც ქართველური ახლომხედველობა, ასე რომ გვაზარალებს და მაინც ვერ ვეშვებით! მოგვიანებით, “ისინდი” უცხოეთშიც რომ გაიჭრა და წინალობების მიუხედავად სამოქმედო ასპარეზი გაიფართოვა, მან კვლავ მომმართა და რადგან ფული ვერც იმხანად გადმორიცხა, გარკვეული დროით ისევ გაუჩინარდა. დეკემბერში უკვე მესამედ მისი გზავნილი მივიღე, სადაც ეწერა, რომ სურდა ჩვენი ეროვნული ჟურნალის გამოცემაში თავისი წვლილი შეეტანა და იანვარში დასაბეჭდად ლექსებთან ერთად დადგენილ თანხას აუცილებლად გადმორიცხავდა. ცხადია, საამისოდ ანგარიშის ნომერი გამომართვა. იანვრის ბოლოს მივხვდი, რომ ძველი ნაცნობი სიტყვის შესრულებას არ ჩქარობდა, არადა, დრო აღარ ითმენდა, ავტორთა

სია დაზუსტებას ითხოვდა, ამიტომ ქ-ნ მ. ცანავას მივწერე და პირობა შევასხენე, რადგან ნომრის გამოცემას ვერავის განწყობის შეცვლის გამო ვერ შევაფერხებდი. ჩემდა გასაკვირად მან ყარაულამ-ვილივით იგნორი დამიხვედრა, პასუხიც არ გამცათითქოს ფულს ვალად ვთხოვდი და თავად სამჯერ არ მომმართა ჟურნალში მისი ლექსები გამოქვეყნებისა! ამ უკადრისი აბრუნდით ვითარება ისე წარმოაჩინა, გული რომ მტკენოდა და ამით “აბაროტი” აელო! აფერუმ! ამ გაჭიანურებულ ვაჭრობით კარგი ნაცნობი აშკარად ცდილობდა ძველი ჩვეულებისამებრ უფასოდ მოვმსახურებოდი და ოდნავაც არ აინტერესებდა, საამისო საშუალება რომ არ გაგვანდა, რაც რამდენჯერმე პოსტებში მოსალოდნელი უსიამოვნებებისა და აბეზარი ავტორების თავიდან მოსაშორებლად საგანგებოდ გავახმაურე. მაგრამ შენც არ მომიკვდე! მისი დაჟინება მოწმობდა, როგორც დედაბერი გარემოებათა გამოისობით დაბრწყინებულ გერს იანვარში მარწყვის მირთმევას დაჟინებით სთხოვდა, მას ჩვენთან უფასოდ ლექსების გამოქვეყნება გულში ჯიუტად ამოეჭრა და მიზნის მისაღწევად ათასი ფანდის მეშვეობით ნამუსზე მაგდებდა! როდესაც დარწმუნდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერაგული იგნორით მაგრძნობინა, რომ “რევანში აილო”, თან ამ დროს ფეისბუქზე პუბლიკის შეცდომაში შესაყვანად გულის ფორმის გიფებითა და ყალბი, დაშაქრული კომენტარებით ინტენსიურად მბომბავდა! კუთხურ სეპარატიზმს ყოველთვის ვენინაღმდეგები, მაგრამ ამ მეგრული “ზახოდის” მქონე “ხელოვანებს” შევასხენებ, დედით გურული დასავლური დიპლომატიის ანბანს იმ დონეზე ვფლობ, ნაღდი ყალბისგან გავარჩიო და აფერისტობა კეთილგანწყობაში არ ამერიოს; სწორედ ამიტომ ძველი ურთიერთობის ხათრით ქ-ნ მ. ცანავას დაბლოკვას არ ვაკადრებ, თუმცა მის კომენტარებსა და გიფებს იგივე იგნორი დავუხვედრე, რაც თვითონ მაჯახა და ვიმედოვნებ, მიხვდება, მშვიდობიანად გადგეს გვერდზე სანამ ვირტუალურ სივრცეში მის მიმართ უკიდურეს მეთოდს არ გამოვიყენებ საბოლოოდ რომ დარწმუნდეს, ძველი ნაცნობობის ხათრით უპატიოსნო შეთამაშებასა და პირობის რღვევას შეილსაც არ შევარჩენ, როცა საქმე ეროვნული ჟურნალის გამიზნულ დაზარალებას ეხება!

ცხადია, გულისხმიერი მკითხველები და დაწესიერი კოლეგები შეამჩნევენ, რომ დაუსრულებელი უკადრისი თამაშებისა და აკრძალული ილეთებისგან დაზარალებული იძულებული ვარ აფერისტული ეშმაკობების მრავალფეროვანი არსენალის ნაცად მეთოდთა აღწერას სიმართლის გამოსამზეურებლად დრო შევალიო, თორემ ჩემისთანა მენინავე მებრძოლი მსგავს მუხანათობას რომ ვერაფრით ეთვისება, ამას ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის წესი დიდი ხანია ცალსახად ადასტურებს; მაშასადამე, აკრძალული და საკმაოდ სახიფათო ინტრიგების შიგთავსის გადმოცემას ფაქტების დახმარებით ვაგრძელებ, რათა სამაიას დასს ღირსეული წევრი არ გამოაკლდეს, ვირემ-მაკების დავიწყება არასდროს ეგების, სიმართლის ჰიგიენური დანიშნულებით გამოწვეული მძაფრი შეგრძნებები რომ არ დაბლაგვდეს! ამჯერად მხიარულ “შაშვზე” (ეს მანდილოსანი საკუთარ თავს ასე უწოდებს და მეც რა უფლება მაქვს, მისი საავტორო უფლებები უხეშად დავარღვიო!) მოგიითხრობთ, “ისინდში” დაბეჭდვის პატივი სხარტად რომ შეიფერა და საამისო მზაობა შემდგომშიც ოპერატიულად გამოავლინა; ამ საუცხოო მენსიერების პატრონ კეკლუც ქალბატონს ისიც კი ახსოვდა, წლების წინ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ფოტოსესიის დროს მისი შლაპით რომ ვისარგებლე(აი, რატომ არ შეიძლება სხვისი ქუდის თუნდაც წამიერად მორგება) როგორც ჩანს, სწორედ ამან გააბედინა ჩემთვის მოემართა და როგორც კი ლექსების გამოქვეყნებაზე დავთანხმდი, ამ სასიხარულო ამბით გათამამებულმა შლაპის ჩუქება მოინადინა, ფერის დაზუტებაც არ დაზარებია იმის მიუხედავად, რომ ტაქტიანად ჩავურთე, ახლახან სასურველი შლაპის შეძენა უკვე მოვასწარი-მეთქი. საერთოდაც რა ბედენაა, ნამუსის ქუდი სხვისგან სახსოვრად მიიღო, ასე წინდაუხედავად უთავო მხედრის პატრონი თუ მოიქცეოდა, მაგრამ კმარა, სანამ სიტყვა განზე გამექცა, უმჯობესია შაშვის ტკბილმოვანების დამატებითი მაგალითი ფაქტით დავიმონმო. ეგ კი არადა, ჩვენს ენამზე ქალბატონს ისიც მოაგონდა, უფრო ადრე, ერთ-ერთი კონკურსის ჟიურის წევრად ყოფნისას მისი ნაწარმოები რომ მოვიწინე (სიმართლეს გაუმარჯოს, კონკურსში ობიექტურობის დასაცავად ავტორები ანონიმური წესით მონაწილეობდნენ, რაც ცხადია, მისალმებელი ფაქტია), რისთვისაც მხურვალე მად-

ლობა იმდენჯერ გადამიხადა, წამით ნათხოვარი შლაპისა არ იყოს, გუნებაში უნებლიეთ სულხან - საბას იგავის პერსონაჟი, “ორმოში ჩაგდებული მეფე” გამახსენდა, თუმცა ხმამაღლა ამ უადგილო პარალელზე არაფერი წამომცდენია. შემოდგომაზე ქ-ნი შაშვი - ციური მესხიშვილი-ასპანიძე კვლავ ხალისიანად შემომეხმინა და საქმიანად მამცნო, რომ ხანდაზმული დეიდის ნამუშევრების დაბეჭდვის პარალელურად მას საიუბილეო მისალოცს უმზადებდა და თუ წინააღმდეგი არ ვიყავი, მასალას ახალი ნომრისთვის ოპერატიულად გადმოგზავნიდა; ცხადია, მასალის მისაღებად დათქმული ვადა ჩვეულებისამებრ წინასწარ შევუთანხმე. არც ამას დასჯერდა, შაშვის სასიამოვნო ხმის ტემბრით მთხოვა იმავე ნომერში მისი პოეტური ნიმუშებიც გამეშვა; აქვე დააზუსტა, რომ ფინანსურად თავს უფლებას მისცემდა ყველაფერი ერთად გამოექვეყნებინა, ბარემ ას ლარს ერთბაშად გადავხდით, ენერგიულად დაასკვნა და მეც რატომ ავუხირდებოდი უმიზეზოდ? როდესაც კოლეგა საკუთარი ინიციატივით მყარ კეთილგანწყობას დაუზარლად გიდასტურებს, უსაფუძვლო ეჭვის გამოვლენა ფსიქიკურ გადახრაზე მიუთითებს, ყველას ერთ ტაფაში მხოლოდ მიზანტროპები ათავსებენ ისე, რომ პიროვნულ მრავალფეროვნებას ფეხქვეშ თვითნებურად თელავენ; და რადგან ეს “დეტალი” ლიტერატურულ საკითხს აშკარად სცილდება, იმედინი განწყობა წამითაც არ გამნელებია. პირიქით, გაგანია კარანტინის დროს ავტორების დაბეჭება შემოქმედებით ენერგიას მიორკეცებდა, რაც ჟურნალზე დადებითად აისახებოდა. ამასობაში იანვარი მიიწურა და ქ-ნი შაშვის ხანდაზმული დეიდა ავადმყოფობით გარდაიცვალა; ცხადია, კოლეგის მისასამძიმრებელ პოსტს შესაფერისი კომენტარი დავუსართე; მეგონა, გლოვით დამძიმებული მანდილოსანი მცირე ხნით ტაიმაუტს აიღებდა და “კორონა კაფეს”(თავის გვერდს ასე უწოდა) დროებით გააჩერებდა; საბედნიეროდ, შევცდი, რადგან ხალისიანი შინაარსის მრავალფეროვანი პოსტების სიხშირე ოდნავაც არ შეფერხებულა. შესაბამისად, ეჭვადაც არ გამივლია, ქ-ნი შაშვი წინამორბედი მანდილოსნებზე უსიტყვოდ თუ „გადამაგებდა“. ალბათ ეს ჩვენი ერის ჭირისუფალი ბანოვანნი გუნებაში რას ხალისობდნენ იმის წარმოდგენაზე, ანგარიშის ნომრის შემოწმებისას როგორ ვლელავდი, რაც მათ სულ მცირე, ესთეტურ სიამოვნებას

ჰგვრიდა. ფაქტია, ყალთაბანდებს გაურკვევლობის რეჟიმში სხვების ჩაყენება პროფესიად იმიტომ გაუხდიათ, ამით ძალაუფლების ავადმყოფურ კომპლექსს იკმაყოფილებენ, რაც ფულის დიქტატურის ეპოქის თანმდევი მოცემულობაა. ადამიანების უმრავლესობა მიეჩნია, თუ ფულს გადაიხდის ან ვინმეს ფინანსური ბერკეტით თუნდაც წარმოსახვით შებოჭავს, მას ისე მოექცევა, როგორც თავად სურს, სხვაგვარად თავს ყველაფრის უფლებას მისცემს, ვინაიდან ფული უსაფრთხოების ურყევი გარანტია! რა გასაკვირია, ქ-ნი შაშვი ანალოგიურ კოზირს შელეოდა; არადა, წესიერი პიროვნება მიცვალებულის ხსოვნას უსაფუძვლო რევანშის სახით არასდროს გამოიყენებს, მაგრამ შაშვი ყვავისგან მაშინ განირჩევა, როდესაც ტკბილად მხოლოდ სხვების დასანახად კი არა, ყოველთვის, ჭირსა თუ ლხინში უცვლელად გალობს, რაც ჩვენი ერთობ მოკრძალებული მომღერლისთვის დაუძლეველი ზემოცანა გამოდგა; აკი პირად სასაუბროში ამიტომ გაიტრუნა; სამაგიეროდ ვირტუალურ სივრცეში სიტყვის გატეხვა ჩვეული სტილით შენიღბა, ლაიქები და ტკბილი კომენტარები ნებიერი ბავშვის დასაწყნარებლად რომ ჩალიჩობენ, სანუწნი კანფეტებით უხვად მომაცარა, აქაოდა, როცა გადავწყვეტ, მაშინ ავჭიკჭადები, პირობა და ხსოვნა რას მიქვია, ჯერ პრივატული ინტერესი უნდა დავიკმაყოფილო, შენთვის და შენი ჟურნალისთვის სადა მცალიაო. ის “დეტალი”, ვერაგული იგნორირებით ეროვნულ ჟურნალს რომ გზას უღობავდნენ და მის გამოცემას საფრთხეს უქმნიდნენ, ამათ რაში ენაღვლებოდათ; ეგლა აკლდათ პატიოსნად გავფერთხილებინე, გეგმა შეგვეცვალა და თქვენს გზას ენიეთ, ჩვენზე იმედს ტყუილად ნუღარ ამყარებთო, რასაც სინდისთან არც თუ მწყრალი ადამიანი დაუყოვნებლივ მოიმოქმედებდა; ყველაზე საინტერესო კი ისაა, ამ ეროვნულად კდემამოსილმა ქალბატონებმა მათი წინამორბედი ყალთაბანი კოლეგის, დალი ყარაულაშვილის მამხილებელი პოსტის გამოქვეყნებისას მხარდამჭერი “ლაიქები” რომ არ დაიშურეს, საჯაროდ ახდილად შეიცხადეს, აქაოდა აფერისტობა რა საკადრისია თუ ამას სხვა სჩადის, ჩვენ იმავეს თუ გავაკეთებთ, ეს კეთილშობილური შესტია და ამიტომ ამისთვის პასუხს არავინ მოგვთხოვსო. ეჰ, შაშვო, შაშვო, ნაგვიანევი სამგლოვიარო არიის რა მოგახსენო და ღვიძლი დეიდის ხსოვნა-

მაც რომ ვერ გაიძულა პირობა შეგესრულებინა, ჩვენ, გარეშე ადამიანები რა სათვალავში ჩასაგდები ვართ, მთავარი შენი ყალბი მალაღფარდოვანი ლექციებია, პოსტებზე უწყვეტად რომ არაკრაკებ, თორემ მებრძოლი ჟურნალის დალაგება რა ისეთი უსაქციელობაა, თქვენებრ კეკლუც შლანპიან ქალბატონს უხეშად შეახსენონ?! არადა, ნითელქუდა შაშვის ამლელვარება ხომ სულ მცირე, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უპატიებელი დანაშაულია! მაშველ რგოლს ნაცნობობის ხათრით ისევ მე გადმოგიგდებთ: ახალი არიის ტექსტის გათვალისწინებით უპრიანია საამოდ სამ ხმაში უსტვინოთ: აფერისტებო, ყველა მიმართულებისა, შეერთდით! ზემოთნახსენები კოლეგა მანდილოსნები მხარს უმალ აგებამენ და ერთობლივი ჰიმნის საზეიმო აღვლენა გარდუვალია.

სადაც სამი, ბარემ იქ მეოთხესაც შევანიოთ სიტყვა. სოფიო ლლონტს გავეცნოთ: - ლალ, მომხილავ მსახიობს, პოეტური სწრაფვა ერთობ ენერგიულად რომ გამოავლინა, არც ამას დასჯერდა და კრიტიკაშიც მოსინჯა ძალა, ბათუმის ბიბლიოთეკის დირექტორს, საბავშვო მწერლობაში ბედი ხმაურინანად, ერთობ გავლენიანი მფარველების მხარდაჭერით რომ სცადა, ინგა გოგიბერიძეს-კლანჭი გაჰკრა, რისთვისაც ამ უკანასკნელმა საჯაროდ შერისხა და ზენოლის მეშვეობით საკუთარი ფეისბუქგვერდიდან კრიტიკული პოსტის აღება აიძულა! გგონიათ, მხოლოდ კრიტიკული მედია არსებობს?! ფაქტია, სამწერლო სივრცეში გავლენიანი ბიბლიოთეკარების ხვედრითი წონა არც თუ სახუმაროა და ვინც ამ ზონაში დაუფიქრებლად შეაბიჯებს, ჩვენი ენერგიული ავტორივით იმედგაცრუებას შეეჯახება, თუკი უწყვეტი ბრძოლისთვის მოუმზადებელია ან იმედს სხვებზე ამყარებს, ვინაიდან მწერლობაზე პრეტენზიის მქონე გაპიარებულ ბიბლიოთეკართა ყოვლისშემძლე ზამბარა -ეკალი უმალ ამუშავდება და არამკითხველ მამბებებს იმაზე სერიოზულ თავსატეხს შეუქმნის, ვიდრე სამართლიანობის სახელით მებრძოლ ახალბედა ავტორებს წარმოუდგენიათ. ამ უსიამოვნო ინციდენტამდე სოფიო ლლონტი ჩვენს ერთ-ერთ წარდგენას დაესწრო, სიტყვითაც გამოვიდა და "ისინდში" დაბეჭდვის სურვილი ჩვეული ხალისით გამოავლინა; ფეისბუქზე აქტიურობა მოწმობდა, ის მწერლობაში დამკვიდრებას საფუძვლიანად გეგმავდა და შესაბამისად, გავლენიან კოლეგებთან

დაახლოებას ესწრაფვოდა. მოკლედ, ქ-ნ ლლონტს ბიბლიოთეკარის წინააღმდეგ მიმართული პოსტი მოეწონე, რადგან კლანურ დაჯგუფებებს არგუმენტირებულად რაც მეტი მწერალი ამხელს და გააკრიტიკებს, ეს სამწერლო სივრცის გაჯანსაღებას სასიკეთოდ წაადგება; ისედაც თითზე ჩამოთვლილი მარტოდმბრძოლი თეთრი ყორნების რიცხვის განვეკუთვნები, რაც კომფორტსა და პრემიებზე დაგემილ თანამოკალმეებს წრეგადასულად აღიზიანებთ და უცებ, მომხილავი მსახიობის გაბედულმა სვლამ გამახარა, რამაც სოლიდარობისკენ მიბიძგა, თუმცა მეორე დღეს გამქრალი პოსტი ავად მენიშნა; საღამოს, როდესაც ამ ფაქტით ალელვებულმა (ტირილამდე ცოტალა უკლდა!) მსახიობმა დამირეკა, მომხდარი მიაშობ და სამწერლო სივრცეში არსებულ უსამართლობასა და გულგრილობაზე მძაფრად დაიჩვილა; გულდანყვევით აღნიშნა: არ მეგონა, ვინც მხურვალედ მაქებდა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ზურგს უცბად თუ შემაქცევდა, მეტიც, უკანდახევას მირჩევდა და თუ კრიტიკულ პოსტს არ ავიღებდი, კავშირის განწყვეტით დამემუქრებოდაო. ათასფრონტგამოვლილმა გამოუცდელი კოლეგა დავამშვიდე და შესაბამისად დავაკვალთანე, გულახდილად ავუხსენი, ობიექტური კრიტიკოსის (თორემ ნომენკლატურის ნებიერი კრიტიკოსები აქ რა მოსატანია!) რთული და უმადური გზა წარმატებული პოეტური კარიერისგან რამდენად განსხვავდება, თუკი სიმართლის დაცვას რეალურად მოინადინებ და გავლენიანი მედროვეების წინააღმდეგ პერმანენტულად გაილაშქრებ; 22 წელია ყველა სახის კლანთან უთანასწორო ომში ჩაბმულს მშვენივრად მომეხსენება, სინამდვილეში ვინ რისთვის იბრძვის და რა ამოდრავებს; და რადგან სოფიო ლლონტმა, როგორც სამართლიანობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს (რა ქათინაურებით შემამკო, ამის გამეორება საჭიროდ არ მიმაჩნია, ჩასაფრებულმა ინტრიგანებმა საკუთარი თავის ხოტბა რომ არ დამწამონ) მომმართა და მთხოვა მწვავე წერილი "ისინდში" გამომექვეყნებინა, რათა მოწინააღმდეგე დარწმუნებულიყო, რომ ზენოლის მიუხედავად ბრძოლას აგრძელებდა და ბუღინგს (ამ მოდურ ტერმინს ვერ ვიტან და ერთხელ საჯაროდ ვიხუმრე კიდევ, ეს ყბადაღებული ბუღინგი ბულდოგს მაგონებს ჩვენს კეთილხმოვან ჩაგვრას არ უნდა ვანაცვალოთ-მეთქი!) არ შეეგუებოდა; ხანგრძლივი დიალოგი მის ძლიერ

მღელვარებას მოწმობდა, ამიტომ კოლეგას ვურჩიე გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ მიეღო, ვითარება სათანადოდ აენონ-დაენონა და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგზავნა თავისი ტექსტი, რადგან საუბრისას ორჭოფობა შევატყე; ცხადია, აქვე ჩვეულებისამებრ ჟურნალი დაბეჭდვის პირობა გავაცანი, რაზეც მომიგო, რომ ფინანსურ შეფერხებას არ განიცდიდა და საპროტესტო წერილის გამოქვეყნება დაუყოვნებლივ სურდა. მართლაც, მეორე დღეს წერილი გადმომიგზავნა, რომელიც ტექნიკურად გაუმართავი იყო, გასწორებას გარკვეული პერიოდი დასჭირდა და ამ პროცესში ს. ლლონტი გამომიბედა, ამჟამად ტოქსიკური ფეხმძიმობა მაქვს და უმჯობესია ზედმეტი მღელვარების თავიდან ასარიდებლად წერილის დაბეჭდვა საშემოდგომოდ გადავნიოთ, ამას გარდა ჩემი დედამთილ-მამამთილი ისეთ თანამდებობებზე მუშაობენ, ბათუმის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან დაპირისპირებამ შესაძლოა მდგომარეობა დაძაბოს, რის გამოც ტექსტის გამოქვეყნება გადავლოთ. ამდენი საპატიო მიზეზის გაუთვალისწინებლობა აზრდაც არ მოსვლია; საბედნიეროდ, კოლეგას მშვენიერი ქალიშვილი შეეძინა, ცხადია, მივულოცე; ამიერიდან მის გვერდზე დედური სიამაყით აღვსილი უნაპირო ფოტოსესია და შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარულის ამსახველი პოსტების სერია აენიო; მოკლედ, მივხვდი, ბედნიერ დედას ჩვენთვის აღარ ეცალა და ამიტომ აღარ შემინუხებია, ველოდი, თავად შემეხმებოდნენ, თუმცა პირდაპირ აღარ მოუმართავს; თვეების შემდეგ ერთ-ერთი ავტორის ნაგვიანვე სამადლობელ პოსტზე გულისხმიერად გამოხატა “ისინდისადმი” პატივისცემა, რისთვისაც მაღლობა გადავუხადე და ჩვენი ჟურნალის კარი თქვენთვის ღიაა-მეთქი, თავაზიანად მივუგე; ლექსების დაბეჭდვაზე ჩამოაგდო სიტყვა და ამაზე პირად სასაუბროში შევთანხმდეთ, რომელ მასალას როდის გავუშვებთ-მეთქი, დავაზუსტე (როდესაც ავტორი პროზაული ტექსტის გარდა ლექსებსაც გიგზავნის, ცხადია, ყველაფერი თანმიმდევრულად უნდა დახარისხდეს), თუმცა ის შეთანხმებისამებრ პირდაპირ აღარ შემომხმებინებია; მეტიც, როდესაც ყარაულაშვილის დალაღობის შემდეგ კოლეგებისა და ავტორების გასაფრთხილებლად საგანგებო პოსტი გამოვაქვეყნე, სადაც პირდაპირ მივუთითე, „რომ მსგავს უკადრის გამოხ-

დომებს ამიერიდან აღარ გავუწმდებოდი და მსგავს აფერას ოპერატიულად საჯარო სივრცეში ფაქტებით გავანმაურებდი, ხოლო ვინც ეროვნული ჟურნალის დაცვისას ღიად მხარს არ დამიჭერდა, მასთან ყოველგვარ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას გავაუქმებდი, ვინაიდან უტიფრული გამორჩენის ყალბ წესს, რომელიც ადამიანს პიროვნულადაც შეურაცხყოფს, თუნდაც კომერციული მოგების ხათრით ვერ შევეგუებოდი და მოვითმენდი, ჩემგან მხარდაჭერილმა ს. ლლონტმა მწვავე სტატუსს წაყრუების პოლიტიკა დაუხვედრა; მოკლედ, სოლიდარობა აღარ გახსენებია, თვალს ისე მიეფარა და კვლავ მშობლიურ საზეიმო პოსტებს დაუბრუნდა; მე რომ სპეკულაციით კეკლუცობა მომდგამდეს, ამ ფრონტზეც ნაღდად არ შევირცხვენდი თავს, ბედნიერი დედის ამპლუითაც ძალუმად ვისარგებლებდი, თუნდაც იმ “წერილმანით” ავიკლებდი ქვეყნიერებას, ჩემი უფროსი, სპორტსმენი პირმშო წონით (4 კგ და 500) და სიგრძით 56 სმ რომ დაიბადა და სამშობიაროში სანიმუშო გოლიათის სახელით გოცებით დაარბენინებდნენ, რომ ქალები ჩემს სანახავად პალატას აწყდებოდნენ და უკვირდათ, ასეთმა გამხდარმა ამხელა ბავშვი ფიზიოლოგიურად ასე ადვილად როგორ გავაჩინე, რომ უმცროსი შვილი უმრწამისი ასაკის მიუხედავად უკვე იმდენად კარგად წერს და საღად აზროვნებს, ბარემ არაერთ ცნობილ მწერალს ჯიბეში უყოყმანოდ ჩაისვამს, რომ გარეგნულადაც ჩემი შთამომავლობა მტერს თვალს უბრმავეებს და მოყვარეს ქართული ჯიბის ვარგისიანობის იმედს უძლიერებს და ა. შ. აქამდე ეს პირადული ამბები არსად დამინერია და ახლაც, იმისთვის დავიმონმე, რომ მწერლობა ოჯახური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად არსებობს და თუ ამ სარბიელზე ოჯახურ ფაქტორს აქტიურად რთავ და “უძლეველი კოზირით” დაუსრულებლად სპეკულირებ, მაშინ შენს პროფესიონალიზმში დარწმუნებული არა ხარ და კომპლექსის დასაფარად „უჭკნობ“ დიასახლისურ ფარს იმდენად ხშირად იმარჯვებ, საზოგადოებისგან უწყვეტ დივიდენდებს კატეგორიულად ითხოვ და ვერ ხვდები, ამ შეუსაბამო ოჯახური იერიშით თავს სასაცილოდ რომ იგდებ და ამდენი დამადლებით უსაშველოდ გაბეზრებულ კოლეგებს ბუნებრივი აგრესია რომ უჩნდებათ და საცაა “შედი ქალო, კუხნაში!” ბრაზით შემოგყივლებენ, ვინაიდან ყველაფერს

თავისი ადგილი და წესი აქვს; ამაზე ერთი ადრინდელი კურიოზი მახსენდება; კერძოდ, “საბას” პრემიის დარიგებისას საზოგადოება მალე დარწმუნდა, რომ ეს არც თუ სახუმარო თანხა კლანური ნაცნობობის პრინციპის გარდა ნათესაური ჩანყობითაც გაიცემოდა; ხაზარაძის ფავორიტები ერთ წრეზე ტრიალებდნენ: ცოლი ქმარს აძლევდა პრემიას, მეგობარი -საყვარელს, მამა- შვილს, მფარველი- პროტეჟეს; ამ ეშმაკურად ხელსაყრელი წესით ოჯახი შემოსავალს იძენდა და სექტა ბაირამობდა, თან ხალხს თვალში ნაცარს აყრიდნენ, აქაოდა პრემიებს მხოლოდ ობიექტურად ვასხვისებთო; ერთხელაც უსახსროდ დარჩენილმა თავისივე შინაურმა აგდებულად წამოაძახათ, რა იყო, შენი ცოლის გარდა, იქნებ სხვასაც ეკუთვნის ხანდახან ეგ წინასწარ ჩანყობილი ფულიო, მავანმა კეთილისმყოფელმა იქვე დააზუსტა: ის ქალი პოეტი, ვისაც აკრიტიკებთ, ოთხი შვილის დედაა და პრემიას თუნდაც ამის გამო იმსახურებსო. იმგვარი „ლოგიკა“, ეშმაკსაც სარკასტულად გაცეცინება! მწერლობა დემოგრაფიული საზოგადოების ფუნქციასაც თუ ითავსებდა, ეს “ნოვაცია” აქამდე დედამინის ზურგზე არავის დაუწესებია; თანაც, ბედი არ გინდა, ამ ავანგარდი მრავალშვილიანი დედა-პოეტის (მამაც ამ ამქრის აღიარებული წევრია, მაშ როგორ!) გაზრდილი ნაშიერი სამშობლოს გარეულ მტერზე არანაკლები არაეროვნული აგრესიითა და ღვარძლით რომ შემოესევას(ამის მაგალითი ულევია!), ამ შემოქმედ ოჯახურ ურდოების მადას მრავალჭირგამოვლილმა, უნიათო მთავრობის გამოისობით კუჭგამხმარმა უბრალო ქართველობამ თავი რა მანქანებით უნდა დააღწიოს!

მოკლედ, ამოუწურავ სატკივარს მრავალპლანინანად რომ არ შევეხოთ, დროა ჩვენებურ მოლ ფლენდერსებს როგორმე გავცდეთ: ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად ეჭვიც არ მეპარება, რომ არც ერთ ზემოთდასახელებულ, ეროვნული შეგნებით აზროვნებაგამძაფრებულ მანდილოსანს დანიელ დეფოს ნაკლებადცნობილი რომანის მივინყებული თაღლითი პერსონაჟი ყურმოკვრითაც არ გაუგონია; არადა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ჩვენი შაშვები და მიმოზები ინგლისელ გულთამპყრობელს ბარემ კოჭამდეც ვერ სწვდებიან, მაგრამ სიტყვა სიტყვაა, რაც ნიშნავს, ავმა ენებმა ფემინისტობა რომ არ დამწამონ, უპრიანია ჯეროვანი ყურადღება მამაკაც კოლეგებ-

საც გავუნანილო, რათა ფაქტებით დადგინდეს, ჩვენმა ჯენტლმენებმა საკარანტინო პერიოდში ძლიერი სქესისთვის სავალდებულო თვისებები, სოდომ-გომორის გაფურჩქვნის ხანაში ასე გააფთრებით რომ იცავენ, რამდენად შეინარჩუნეს და ყველაზე მეტრძოდ, ეროვნულ ჟურნალს მხარი როგორ დაუჭირეს.

წელან გამაფრთხილებელი პოსტი შემთხვევით არ მიხსენებია; ყარაულაშვილის თაღლითობის მსგავსი პრეცედენტი რომ არ განმეორებულიყო, ჟურნალის დაზღვევის მიზნით ანალოგიური შინაარსის წერილის გამოქვეყნება საბოლოო წყაშვით გამოდგა, რომელიც პოტენციურ აფერისტებსა და ხორცმეტებს მკვეთრად დაფერთხავდა და მოსალოდნელ საშიშროებას თავიდან აგვარიდებდა; კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია; როდესაც თადარიგს მხოლოდ ერთი მხარე იჭერს, მეორე კი ნირუცვლელად ცდილობს თავისი გატანას, უთანხმოება გარდუვალაია; ბათუმელ ისტორიკოს უჩა ოქროპირიძესთან სწორედ ასე მოხდა; ეს უკანასკნელი წლინახევრის წინ ჩვენი შესანიშნავი ბათუმელი მასპინძლისა და ისტორიკოსის, ბ-ნ გოგი ფირცხალაიშვილის რეკომენდაციით გაგვეცნო, თბილისში თავის საქმეზე ჩამოსულმა ოპერატიულად მოგვინახულა, შეხვედრას “ისინდის” საიმედო წევრები: მარსიანი და ფიზიკის პროფესორი თემურ ნადარეიშვილი ესწრებოდნენ; ამ გარემოებას იმიტომ ვაზუსტებ, რომ ოქროპირიძეს სწორედ თანაგუნდელების თანდასწრებით შევპირდი, მის პუბლიკაციას “ისინდის” მომდევნო ნომერში აუცილებლად რომ გამოვქვეყნებდი, ახლანდელი უკვე სტამბაში იყო გადაგზავნილი და იქ ახალი მასალის ჩასმა ფიზიკურად ველარ მოესწრებოდა; კეთილგანწყობის ნიშნად ჩვენს გაცნობას დადებითი პოსტით ფეისბუქზეც დაუხანებლად გამოვეხმაურე, ენერგიულ კოლეგას აგრეთვე ჟურნალის რამდენიმე ადრინდელი ნომერი პატივისცემის ნიშნად ვუსახსოვრე; აკი მეორე დღესვე აღფრთოვანებულმა დამირეკა, ზვიად გამსახურდიაზე შესანიშნავი წერილი დაგინერიათ, თქვენს შეუპოვარ ეროვნულ ბრძოლას სიამოვნებით ვუერთდებიო, კიდევ არაერთი საგულისხმო ქათინაური მტყორცნა, რომელთა მოყვანაც აქ მეუხერხულება; თან კვლავ მკითხა, მისი სტატია როდის დაიბეჭდებოდა; ახალგაცნობილი მოყვრისგან ამგვარი დაჟინება გამიკვირდა,

ვინაიდან წინა დღით ჩემს თანაგუნდელებთან ერთად პირობა მივეცი და ასე სწრაფად ჩემი ნათქვამი რამ დაავიწყა-მეთქი, თუმცა ამ უხერხულ დეტალზე ყურადღება არ გამიმახვილებია, კვლავ თავაზიანად გაუუმეორე, რომ სიტყვას შეთანხმებისამებრ შევასრულებდი. იმჟამად მარსიანი ოპერაციების შემდგომ სარეაბილიტაციოდ ლერჩუმში დასთან მიემგზავრებოდა, ბ-მა ოქროპირიძემ ეს ამბავი იცოდა და ისევე რომ დარეკა, გამეხარდა, მზრუნველობა დავუფასე, რომ კვლავ მკითხა, ჩემი წერილი როდის გამოვაო. მოკლედ, მესამეჯერაც მოთმინებით ავუხსენი ვითარება, რას წარმოვიდგენდი, “ისინდის” გამოქვეყნებისთანავე ლიად, ჩემს გვერდზე უტიფრად სიცრუეს რომ დაწერდა და პირუმტიცობაში საქვეყნოდ დამადანაშაულებდა! ჩვენებს ეს სამწუხარო ამბავი რომ გაუუმხილე, მარსიანმა აღნიშნა, ეგ კაცი ისე მოურიდებლად შემოიჭრა, ისე ჭიხვინებდა და ახალგაცნობილ კოლეგებთან იმგვარად ფამილარობდა, მისი საქციელი არ გამკვირვებია, როგორც ჩანს, რქებით მიწოლის პოლიტიკას მიჩვეულიაო. ცხადია, ამ ყალბ ცილისწამებას საკადრისი პასუხი გავეცი, ბ-ნი გ. ფირცხალაიშვილიც საქმის კურსში ჩავაყენე, წვრილად ვუამბე მისმა ვერაგმა ძმობილმა რაც მაკადრა, აღშფოთდა, ეგ ასეთ გამოხდომებს ჯერ კიდევ ასლან აბაშიძესთან მუშაობის დროს დაეჩვია, კარის ინტრიგები გაუტკბა, სულ ყველას ექორჩრება, ამიტომ ფეხი ვერსად მოიკიდა, ამ ბოლო დროს მეც ამიხირდა; არ მეგონა, ამას თუ გაგიბედავდა და სიცრუისთვის ტყავს გადავაცლიო, შენუხებულმა დამამშვიდა და რადგან ჩემი არ იყოს, გოგი ფირცხალაიშვილი სიტყვის პატრონია, მისი ჭირვეული მეგობარი გარკვეული დროით დამეხსნა; ამასობაში ახალი ნომრის გამოცემის დრომ მოანია და მისი წერილი ჩემი მწვავე წინასიტყვაობითურთ, სადაც მომხდარს ფაქტებით გადმოვცემდი, უცვლელად დავბეჭდე; როგორც კი სტატიის გამოქვეყნების შესახებ შეიტყო, შარიანი ისტორიკოსი კვლავ გამიამხანაგდა, ხოტბით ამავესო, თავის გვერდზე ორი ლექსიც კი მომიძღვნა, ამიერიდან ჩემს პოსტებს მყარად იწონებდა და დადებითად აკომენტარებდა, ნოემბერში დამირეკა და მთხოვა თანამშრომლობა გაგვეგრძელებინა, რისთვისაც მზად იყო “ისინდის” ყველა პირობა დაეკმაყოფილებინა და რადგან გულში ჩახვევა არ მომდგამს, შევთანხმდით, რომ იანვარში შემომეხ-

მიანებოდა და სტატიებთან ერთად თანხას გადმოგზავნიდა (ფულის ჩარიცხვას ჩქარობდა, თუმცა დავარწმუნე, რომ იანვრამდე აჩქარება საჭირო არ იყო და ჯობდა ყველაფერი წესისამებრ დათქმულ დროს მოგვეგვარებინა); იანვარში აფერისტების გასაფრთხილებელად გამიზნული პოსტი რომ არ “დაალაიქა”, ეს ამბავი ცუდად მენიშნა, ეჭვმა გამკრა, ძველებურად ხომ აურია-მეთქი, თუმცა დასკვნების გამოტანას ვარჩიე, მოვლენების განვითარებას დავლოდებოდი; ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორეზე დაწერილი ვრცელი სტატია, რომელიც “ისინდის” ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა, ფეისბუქზე ნაწილ-ნაწილ გამოვაქვეყნე; ოქროპირიძემ დაუსრულებელი კომენტარები მომეყარა, თითქოს წერილს მიწონებდა, მაგრამ უადგილო ჩაძიებები საპირისპიროზე მეტყველებდა; საკუთარ გვერდზე თავად აცხადებდა პრეტენზიას, რომ საქართველოს პატრიარქებზე მხოლოდ მას გააჩნდა კომპეტენტური შეხედულებების გამოთქმის უფლება! ესეც უკუღმართული მონოპოლიზმის სენი, თანამედროვე მწერლებს ძალუმად რომ ხრავთ და სხვისი ნაღვანის არად ჩაგდებისკენ უბიძგებთ, რაც უზომო ამბიციის კლასიკური გამოხატულებაა, ეროვნული საქმისთვის აუცილებელ ერთსულოვნებას სათავეშივე რომ ახშობს და აუქმებს! და რადგან ჩემმა წერილმა სოლიდური პუბლიკის დადებითი გამოხმაურება გამოიწვია, უ. ოქროპირიძე ვრცელ კომენტარებს აღარ დასჯერდა და მოულოდნელად შემომეხმინა, წერილი მიქო, თუმცა იქვე “დამაკვალიანა”, კიდევ რისი ჩამატება აჯობებდა, თან ეგრევე სტატიის გამოგზავნაზე ჩამომიგდო სიტყვა; ალბათ გოგისგან შეიტყობდით, ვითარება გამირთულდა, ერთი საერთო ნაცნობი ლამის შემომაკვდაო, უცბად გამენდო; ეს უცნაური დანაქადნი რას მოასწავებდა, თავდაპირველად ვერ მივხვდი; გოგი ტაქტიანი კაცია და სხვის საიდუმლოს იოლად არ გათქვამს-მეთქი, თავაზიანად ვუპასუხე, რამაც დაადუმა; მიხვდა, ეს ფანდი სათანადოდ არ გაჭირდა და რადგან კვლავ ზოგად დიალოგზე გადაერთო, მისი შემოხმინების მიზეზის დასადგენად პირდაპირ ვკითხე, აფერისტების პოსტზე მხარი რატომ არ დამიჭირა; შეცბა, არ ელოდა, ამ ამბავს “უტაქტოდ თუ გაუხსენებდი,” და მე ხომ ისედაც გიჭერთ-მხარს, მაინცდამაინც ეს ლაიქი რა საჭიროაო, ვი-

რეშმაკურად სცადა თავის დაძვრენა, რაზეც მივუგე, რომ საზოგადო მოღვაწეებმა ერთმანეთს მხარი ღიად, ექსტრემალურ სიტუაციაში სოლიდარობის ნიშნად უნდა დაუჭირონ, ეს საყოველთაო წესია და შერჩევით მოწონება-არმოწონებას არ ექვემდებარება: თუ ასეა, მაშინ დაუსწრებლად მეც გემხრობით, წერილის დაბეჭდვა რა საჭიროა, თუ ადამიანი პატივს არ მცემს და საჯაროდ ამას არ ადასტურებს, იმისი ფული არაფერში მჭირდება-მეთქი, მტკიცედ მოვუჭერი; არაკეთილსინდისიერებაში კვლავ რომ გამოვიჭირე, ძველმა ზნემ წამოუარა და ნაწყენმა მომახალა, ასეთ საუბრებს მიჩვეული არა ვარ და ახლავ ანგარიშის ნომერი გადმომიგზავნეთ, თანხა გადმოვრიცხო, რაზეც გამეცინა, მე ჩემი სიტყვა გითხარით, პირობას არ ვცვლი და თუ კვლავ გაჯიუტდებით, წერილების სხვაგან დაბეჭდვა მოგიხდებათ-მეთქი; ამის თქმისთანავე ტელეფონი გავთიშე, პასუხად კი მეორე დღეს მოურჯულელებმა “მეამბოხემ” კირონის წერილზე კრიტიკული კომენტარი დამანია, სადაც იმგვარ აბსურდულ “შენიშვნას მადლევდა”, განხილულ თემასთან ოდნავ კავშირშიც რომ არ იყო; მივხვდი, ამ ფორმით შურისძიება გადაწყვიტა და რადგან მისი გაუტანლობა ერთხელ ძალუმაღ ვინწინე, ცხადია, ჩემი დიდსულოვნების გამო დაასკვნა, თავხედურ ხუმტურებს კვლავ გავუტარებდი და მსგავს ყალბ, უტაქტო გამოხდომებს უსასარულოდ შევარჩენდი. კუზიანი სამარეში გასწორდებო, სწორედ ასეთ გამოუსწორებელ ავანტიურისტზეა ზედგამოჭრილი და მეც ეს მიძინვარე დებოშიორი დავბლოკე, რათა შემდგომში მისი ტენდენციური და ღვარძლიანი თავდასხმებისგან საბოლოოდ გავთავისუფლებულიყავი. ფაქტია, გაჯიბრების პროვოკაცია განგებ გაითამაშა, სინამდვილეში ფულის გადახდა აზრადაც არ მოსვლია და ბ-ნ გოგის ამიტომ ამოეფარა, არც ეს იკმარა და კაცის კვლავ მიმანიშნა, თითქოს ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი კი არა, ციხის ზედამხედველი ვარ, რომელმაც ასეთი უკულმართი აზროვნების ტიპებისთვის ფსიქიატრობა ცალკე უნდა შეითავსოს! ესეც ორჯერ გაურჯულოებული ისტორიკოსის აულაგმავი მესაკუთრული ვნებების ამსახველი ისტორია, რომელიც ოდიოზურობიდან გამომდინარე, გადასინჯვას აღარ ექვემდებარება. მკითხველმა თავად განსაჯოს, რაოდენ ცხელი საკარანტინო ზამთარი გავიარე, თუმცა დასასრულ-

ლამდე სულ რაღაც სამი თაღლითის ამბავი მოგველის და ჩვენი მკითხველების თმენის ნიჭს რომ ვენდობი, თხრობას გულდინჯად განვაგრძობ.

სექტემბერში, კარანტინის შემსუბუქებისთანავე “ისინდის” ნომრების განხილვა გავმართე, რომელსაც ჩემი ძველი ნაცნობი კოლეგა, წარსულში კურსელი, მწერალი და გამომცემელი თამაზ ჩადუნელი ესწრებოდა; ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მან თავის გამომცემლობაში პირველ მერცხლად ჩემი ლექსების პირველი კრებული: **“ქვიშის ცხედარი”** დადებითი წინასიტყვაობის თანხლებით დაბეჭდა (1994 წელს), რომლის წარდგენაც ოპერატიულად გამიმართა (იმჟამად ჩადუნელი მწერალთა წრის ხელმძღვანელი იყო) მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში პირისპირ აღარ შევხვედრივარ; რთული პერიოდის მიუხედავად მარიფათიანმა ჩადუნელმა საგამომცემლო საქმე მშვენივრად ააწყო, დაოჯახდა და მწერალთა შეკრებებს მოუცლელობის გამო საკმაოდ იშვიათად ესწრებოდა; ჩემამდე ხმა აღწევდა, რომ ძველ მეგობრებს საკმაოდ შეღავათიან ფასად უცემდა წიგნებს, თუმცა ჩემზე ეს წესი არ ვრცელდებოდა; 2017 წელს “ისინდის” გამოშვება რომ გადავწყვიტე, ჟურნალის გამოსაცემად იმდენად მაღალი ფასი დამისახელა, ამერიკის სოლიდურ გამომცემლობასაც რომ არ მოაფიქრებოდა; ნაცნობებს გაუკვირდათ, ჩვენ სანახევრო ფასს გვახდევინებს, შენ შეღავათს რომ არ გთავაზობს, აშკარად მილიონერი ჰგონიხარო; ნიშნისმოგებით გაჟღერებულმა რეპლიკამ მიმახვედრა, ქარი საიდან უბერავდა. ნუვორიშად ქცეული ჩადუნელი ძველი ინერციით ხელმძღვანელობდა, როდესაც მამაჩემი მეგობარ მწერლებს ხშირად გულუხვად მასპინძლობდა, მათ წიგნებს იძენდა, საჭირო თანხას ურიცხავდა და ჩადუნელის გამომცემლობასაც საკმაოდ დიდი ფული გადაუხადა მაშინ, როდესაც მან ტექსტი უხარისხო საგაზეთო ფურცლებზე გამოუშვა (ამით გვარიანი თანხა სათავისოდ დაზოგა!), მხატვრის გვარი გამომიტოვა და ეს ადამიანი ლამის გადამკიდა, არც წლების ქრონოლოგია ჩამასმევინა, ფოტოს გამოქვეყნებაზეც უარი მტკიცა, თითქოს ეშმაკის მაშხალას ვგავდი და მავნე რეკლამისგან მზრუნველად მიცავდა და წიგნის სათაურზეც ისეთი აურზაური ამიტეხა, ლამის დედაჩემიც ამიძხედრა, სთხოვდა ჩემზე ზენოლა მოეხდინა და ეს უცნაური სახელწოდება გადაეთქმევინებინა; მოკ-

ლედ, ტირანივით ყველა დეტალზე მაჯინდებოდა; როდესაც წარმატებული დებიუტის კვალდაკვალ ნიგნის ორიგინალურმა სათაურმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა, ჩემს რეპლიკაზე, ხომ ხედავ, მართალი გამოვდექი, პოეტს საკუთარი პოზიციის დაცვა ყოველთვის უნდა შეეძლოს-მეთქი, პასუხად დუმილი დამიხვედრა; მილიონერობის მითს კი ბოლომდე უერთგულა და თქვენ რა გიჭირთ, მამათქვენმა ალბათ ათასი ბიზნესი დაგიტოვათო, ისე მომახალა, თითქოს მისი ქონების კონფიკაციის ხარჯზე გავმდიდრდი! აქამდე ეს დეტალი არასდროს გამომიმზეურებია და არც ახლა დავწერდი, შემდგომში განვითარებული მდარე ინტრიგა რომ არა, რომელსაც სავესებით დაუმსახურებლად შევეჯახე. მოკლედ, თვითდამკვიდრებისთვის დაუზოგავი ბრძოლა ოდითგან დამებდა. გამოუცდელ ახალგაზრდას თავდაპირველად მიკვირდა, სხვა, გაცილებით ნაკლებნიჭიერი მწერლები რასაც იოლად აღწევდნენ, ჩემს წინსვლას ასე გააფთრებით რატომ ეწინააღმდეგებოდნენ განსაკუთრებით ის კოლეგები, ჩემს ოჯახში ხშირი პურ-მარილის გარდა ჩემგან სამწერლო საქმითაც ასგზის დავალებულები რომ იყვნენ, რაც სულ მცირე, ჩემთვის ხელის შეშლისა და საქმის ხელოვნური გართულების ზნეობრივ უფლებას ცალსახად ართმევდათ! ცხოვრების პარადოქსულობა სწორედ აქ იკითხება და ფილოსოფურ წიაღსვლებს რომ არ ჩავუღრმავდეთ, უპრინაია კვლავ კონკრეტულ მაგალითებს მივდიოთ. ამგვარი არასტაბილური, რთული ურთიერთობის ფონზე 5 წლის წინ ჩადუნელის მოულოდნელმა ზარმა განმაცვიფრა: ახლობლურად მთხოვა მისი სქელტანიანი ლექსების კრებულისთვის წინასიტყვაობა სწრაფად, ორ დღეში დამეწერა, არადა, იმჟამად სხვა პუბლიკაციაზე ვმუშაობდი, მაგრამ ხათრმა თავისი ქნა და ჩემი პირველი ნიგნის რედაქტორს დათქმულ დროს ვრცელი და რაც მთავარია, დადებითი წინასიტყვაობა ჩავაბარე, სადაც მის კარგ თვისებებზე ყურადღებას ტაქტიანად ვამახვილებდი. ნიგნის წარდგენის შემდეგ დიდ ბანკეტს დავესწარი, ეს იყო და ეს. სუფრაზე ძველმა კოლეგებმა იქედნურად მკითხეს, ჩადუნელს შენისთანა მედგარმა კრიტიკოსმა ასეთი დადებითი წინასიტყვაობა რომ დაუწერა, რასაც სხვები წლებია ნატრობენ, რატომ არ ეკითხები, 15 წელიწადია მწერლების კალენდარს რომ გამოსცემს, მაღლიერ-

ების ნიშნად იქ ახლა მაინც ჩაგვას, ახლა ხომ შენგან საკმაოდ დავალებულიაო. გაოცება არ შევიმჩნიე. კალენდარს თუ გამოსცემდა, საქმის კურსშიც არ ვიყავი და საერთოდაც, არ მჩვევია ვინმეს რაიმე ვთხოვო ან დავავალდებულო, რადგან თავად ყველაფერს უანგაროდ, დაუმაღლებლად და ხალისით ვაკეთებ. ფაქტია, ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით ძველ ნაცნობებს ჩემი ეს ძველმოდური და გადაჯიშებული თვისება კარგად ახსოვდათ, რასაც სათავისოდ საკმაოდ ხშირად მშვენივრად იყენებდნენ და როგორც ამ დიალოგმა ცხადყო, ზურგსუკან თურმე ჩემს იდეალისტურ, არაპრაგმატულ “სიბრიყვეზე” გვარიანად ხალისობდნენ! პროვოკაციას არც ამჯერად ნამოკვიდებივარ და ჩადუნელისთვის ამ თემაზე სიტყვა არ გადამიკრავს; საქმიანი რედაქტორსა და გამომცემელს ნამდვილად არ ესწავლებოდა კოლეგის პატივისცემა შეერჩინა; თუმცა მოგვიანებით ეს თემა მაინც გაჟღერდა და ეს სრულიად იმპროვიზაციულად მოხდა. ჩადუნელის ერთ-ერთმა ძველმა მეგობარმა, პოეტმა ქეთი დოლიძემ, რომელთანაც კარგი, მრავალწლიანი ნაცნობობა მაკავშირებდა, ერთხელაც თავის პოსტზე უმადურების წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა და ჩემდა გასაკვირად შავ სიაში მოხვედრილ ჩადუნელსაც კლანჭი სერიოზულად გაჰკრა; არადა, სამართლიანობა მოითხოვს დაზუსტდეს, რომ ქ. დოლიძეს ჩადუნელის დახმარებით, ისევე, როგორც თქვენი მონა-მორჩილის ხელშეწყობით, არაერთხელ უსარგებელია და ამგვარმა სვლამ ჩემში მიძინებული მუხტი გააღვიძა; სადაც დიდი ხნის მეგობრები ასე ახდილად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, დრო იყო ხელი მეც გამომელო, რათა ძველმოდური რაინდის ვადაგასული სტატუსი ერთხელ და სამუდამოდ მომეშორებინა, ვინაიდან ძველი კოლეგები ადრინდელი ინერციით კვლავ ხათრიან, თავაზიან და უწყინარ მწერლად აღმიქვამდნენ, რომელიც არავის არაფერს სთხოვდა, არამედ, ყველას ყოველთვის უანგაროდ, სუფთა გულით იცავდა და ეხმარებდა, სანაცვლოდ კი უთავბოლო ინტრიგებისას არაერთგზის უსამართლოდ დაზარალებული ვერაგ კოლეგებს არისტოკრატიულად ემიჯნებოდა და უკადრის გამოხდომებს პასუხგაუცემლად ტოვებდა; წლების შემდეგ მოცემულობა მკვეთრად შეიცვალა; მართალია ძველი ნაცნობები ბარემ მშვენივრად ხედავდნენ, ჩემმა მეზობლმა ხასიათ-

მა და სერიოზულ ბრძოლებში გამონათობილმა მყარმა ავტორიტეტმა ფრთა როგორ გაშალა და ეროვნული მწერლობის ჟანა დარკის ტიტული მომიტანა, მაგრამ რადგან მწვერილმანე ავანტიურისტებს ადრინდელი დამსახურებების გამო “მიქარვებს“ დიდსულოვნად არ ვუხსენებდი, ამ დეტალით კვლავ ვირეშმაკულად სარგებლობდნენ, რაც პროტესტის სახით მიგროვდებოდა და გადმოსახეთად ხელსაყრელ მომენტს ელოდა. მოკლედ, ქ.დოლიძის პოსტმა (აქვე დავაზუსტოთ, ის საპროტესტო პოსტებს არასდროს წერდა და ცხადია, ამჯერად, ძლიერმა იმედგაცრუებამ აიძულა ჯერ სევდის დედოფლის, შემდეგ კი კონკიას იმიჯი წამით საბრძოლო მუხტზე გადაეცვალა დიდი ხნის მეგობრისთვის ანგარიშის გასასწორებლად), კალენდარი გამახსენა და კომენტარის სახით სარკაზმს გასაქანი მივეცი; ჩადუნელთან იმ გარემოებამაც ვერ მიშველა, მისი წიგნის წინასიტყვაობა რომ დავენერე, ტექსტის კორექტურაც არ დამზარებია, რაც სულაც არ მევალებოდა, მაგრამ არც ამან გაჭრა, ამ ჯადოსნურ კალენდარში დაბეჭდვას მაინც ვერა და ვერ ველირსე და ეს პოსტი რომ არა, ამ თემაზე კრინტს არ დავძრავდი, მაგრამ რადგან ყველა თავის დამსახურებაზე საუბრობს, უპრიანია, მეც ხმა ამოვიღო, თორემ როდის იყო ვინმეს რაიმეს ვთხოვდი ან ხვეწნით გაკეთებულ საქმეს რა ფასი აქვს, როცა მე ყველას დაუყვედრებლად ვეხმარები-მეთქი, სამართლიანი საყვედური გულახდილად ამოვთქვი; ჩადუნელი ინტერნეტის ძალიან პასიური მომხმარებელია და ფრიად გამიკვირდა, როდესაც ამ ამბიდან ერთი თვის თავზე დამირეკა და მითხრა: - შენი მეგობრობა ლექსი “მოძმე“ წავიკითხე, აღფრთოვანებულ ვარ, ყოველთვის მაგარი იყავი, მწერლობაში თავიდანვე მეხივით შემოხვედი, თუ გახსოვს, ჩემს წინასიტყვაობაში შენი ნიჭიერება პირველმა მე აღვნიშნე, რომ დასძინა, მივხვდი, მარტო “მოძმის“ შექების გამო არ შემომხმარებებოდა, თუმცა იმჟამად ამით დაკმაყოფილდა და რადგან წარდგენაზეც მივიწვიე, აუცილებლად მოვალე, მომიგო; მისთვის არც ის დამიმალავს, რომ კოლეგიალურ მხარდაჭერას სტატუსის სახით ინტერნეტში გავახმოვანებდი, ალბათ ვინმე გაგაგებინებს-მეთქი. სწორედ მაშინლა დამანია: ამბავი მომიტანეს, თურმე დაგინერია, ჩადუნელის კალენდარში დაბეჭდვას ვერ ველირსეო. ამაზე გამეცინა

და ვიმედოვნებ, ამიტომ არ დამირეკე, თორემ ისიც გეცოდინება, „მოძმე“ სახელი ისე გამოთქვა, აქეთ მეხვეწებიან, ოღონდ ყურადღება მივაქციო, რეიტინგი ისედაც არ მაკლდა ჩემი საბრძოლო კრიტიკული საქმიანობიდან გამომდინარე; აბა შენ იცი, წარმატებას გისურვებ-მეთქი, შემცბარ კოლეგას ამ სიტყვებით დავემშვიდობე და საშუალება არ მივეცი, კალენდრის თემა სათავისო ქრილში განევრცო; რა თქმა უნდა, სიტყვა შევასრულე და ეს სტატუსი ფეისბუქზე განვათავსე, რადგან მიმანია, ამაგი მტერსაც არ უნდა დაუკარგო, რაც ნიშნავს, სიმართლე არასდროს გაამრუდო და დამახინჯო, ეს პროფესიონალი მწერლის უპირობო ვალდებულებაა. ზაფხულში ჩადუნელი კვლავ შემომხმარებდა და თავის კალენდარში „მოძმის“ დაბეჭდვა მთხოვა. გამეცინა, თუმცა უარი აღარ მითქვამს, მისთვის უხერხულობის განცდა რომ გამექარწყლებინა. ამასთან დაკავშირებით არდადეგებზე არაერთხელ დამირეკა, ფოტოს დასაზუსტებლად ცალკე გამოიღო თავი, მოგვიანებით კარანტინის დროსაც ხმა მომანვიდინა და საკმაოდ ახლობლურად გამანდო, პანდემია მსოფლიო აფერაა, ჩემი ცოლი ამირან გამყრელიძის უახლოესი გარემოცვის წევრია და ამით ბლომად ფულს აკეთებენო, ალაღად გამომიტყდა. ჩვენს ჟურნალში დაბეჭდვა სწორედ მაშინ შევთავაზე, ცხადია, ესამოვნა და როგორც საქმიან გამომცემელს შეეფერება, პირობებს უყოყმანოდ დათანხმდა. სექტემბერში წარდგენაზეც გამოცხადდა, ჟურნალის ორი ნომერი შეიძინა, გზად თავის ოფისში რომ შევუარე, ადგილზე არ დამხვდა და ამიტომ მისი ტექნიკური საქმეების გამგეს ვთხოვე, შეთანხმებისამებრ თავისი უფროსის 12 ლექსი ჩემს მეილზე გადმოგზავნა; თან ჩვენი ენერგიული და ერთგული ისინდელი თემურ ნადარეიშვილი მახლდა, რომელიც ჩადუნელთან გამართულ საქმიან სატელეფონო საუბარს ესწრებოდა. იანვარში, როგორც კი ჟურნალის მასალის დამუშავებას ხელი მივყავი, აღმოვაჩინე, რომ ჩადუნელის ლექსები არ იყო გადმოგზავნილი. ბუნებრივია, უცნობი ქალბატონის შეწუხებას ვარჩიე ნაცნობი კოლეგისთვის დამერეკა; ყურმილი აიღო, და თამაზ-მეთქი, ჩავძახე თუ არა -იკა, ცოტა ხანში გადმოგირეკავო, მიპასუხა; ეს “ცოტა ხანი“ აგერ დღემდე გრძელდება და როგორც მე არ შევხმინებოვარ ძალადგაპრეზიდენტებულ ბაიდენს,

ულვთოდ მოუცლელ ჩადუნელს ისე საშვილთაშვილოდ “მივაჟინყდი“, ისიც კი არ დაადგინა, რისთვის ვურეკავდი; ან რომელი აბეზარ მთხოვნელად დავამახსოვრე თავი, დღენიადაგ ამენიოკებინა მაშინ, როდესაც თვითონ ზაფხულში რამდენჯერაც მოესურვა, იმდენჯერ შემომეხმინა და თავს უფლებას როგორ მივცემდი, მეთქვა, ერთი კალენდრის გამოცემას რას გადამაყოლე, ამდენი სახლავორთო რაღაა, თუ უშვებ, ტექსტი გამოგზავნილია და ოპერატიულად დავაკვალიანე, სასურველი ფოტო მის თანაშემწეს ფეისბუქიდან გადაეტანა; თავაზიანობა ხომ ელემენტარული ნორმაა, რაც ამხანაგ მწერლებს იმდენად ხშირად ღალატობთ, რომ ამის აღნიშვნა მათ ნაცვლად ლამის მე მეუხერხულება! მკითხველი შენიშნავს, ოდიოზურ მოვლენას მერამდენედ შევეჯახე, იგნორირების სახით ვითომდა კეთილგანწყობილმა კოლეგებმა განგებ რომ შემამთხვიეს, რაც თანამედროვე ცხოვრების წესის უცვლელ ნორმად იქცა და უზნეობის ქრესტომათიულ მაგალითს წარმოადგენს; ამგვარი უბოდიშობა, სიცრუე და “გადაგდება“ ლიბერალური აზროვნებით ისე დაკანონდა, წესიერი ადამიანი უყოყმანოდ ზარალდება, როგორც კი ორმაგი სტანდარტებით მოსარგებლე ადამიანებს ეხება; არადა, ეს კატეგორია, თავად გეტმასნება, გინვევს, გიყენებს და ჰგონია, როგორც კი თავისას გაინაღდებს, გაცვეთილი ხელათმანივით დაუდევრად მოგისვრის! მაღალ მატერიებზე გეზალებული ხელოვანები რომ ასე უპასუხისმგებლოდ და უმსგავსად იქცევიან, ჩვეულებრივ მასას რა უნდა მოსთხოვო?! რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! ორმაგი სტანდარტის სინდრომი იმდენად ფესვგადგმულია, დაუნერულ კანონად იქცა და ჩადუნელმაც დანარჩენ აფერისტებს რომ მიბაძა და ფეისბუქზე ჩემი მწვავე ეროვნული წერილების მოწონება ისე რომ გააგრძელა, თითქოს არაფერი მომხდარა, მწარედ ჩამეცინა. აბა როგორ, ჩემს ხარჯზე ეროვნული გააქტიურება ხომ უნდა გაინაღდოს, აქაოდა, მომავალში რომ წამოაძახონ, მხოლოდ შენი ბიზნესი გაინტერესებდაო, ხელს ჩემკენ გამოიშვერს, როგორ გეკადრებათ, აგერ, საქვეყნო სატივივარს ჩემს “დიდი ხნის მეგობარ“ იკა ქადაგიძესთან ერთად უწყვეტად ვეხმაურებოდით, არხინად განაცხადებს! რა, სინდისი შეაფერხებს თუ უდროობა, პასუხის ღირსადაც რომ არ მცნო გაერკვია, რატომ ვეხმეიანებოდით! მაშინ ჩემ-

თან დალაპარაკება ხელს არ აძლევდა, სამაგიეროდ ფეისბუქზე ისე მომენება, ფითრი მონაგონია, თან გამოცდილი ცენზორივით მხოლოდ სათავისოდ მომგებიან პატრიოტულ პოსტებს მილაიქებს, სხვა სტატუსების წასაკითხად და მოსაწონებლად ძვირადღირებულ დროს ხომ ვერ დამახარჯავს! სწორედაც მომეტებული პატრიოტიზმის ბაცილამ აიძულა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე კენჭი ეყარა კაცს, რომელიც გაგებაში არ იყო კავშირი წლების მანძილზე რით სუნთქავდა და ხელმძღვანელობდა! ერთი კრიტიკული სტატიაც არ დაუნერია, სხვებმა იბრძოლონო, ვითომ ხუმრობით დაასკვნა; მსხვილი პოსტის ხელში ჩასაგდებად კი ეგრევე თავისი მომხრეები დარაზმა; ცხადია, მეც მომმართა, თუმცა კარგად იცოდა, წლების მანძილზე კავშირის საპროტესტო ფრთას განვეკუთვნებოდი და ხელმძღვანელთა მავნე საქმიანობას უმწვავესი წერილებით ვააშკარავებდი, ამ დროს ბ-ნ ჩადუნელს მომლოდინე პოზიცია ეკავა და ვინც გამარჯვებდა, იმისკენ დროულად იხრებოდა; და ახლა, როცა ყალბ არჩევნებში ჩაება, თუმცა გასამარჯვებლად ერთი პროცენტიც არ გააჩნდა, ამის მიუხედავად თავის ძმაკაც თემურ ცერცვაძეს “სოლიდარობის ნიშნად“ მაინც გაეჯიბრა და “მოყვრულად“ ისედაც მცირერიცხოვანი მომხრეები გაუყო, ოდნავაც არ მორიდებია ჩემთვის მხარდაჭერა ეთხოვა, კარგად იცოდა, ჩემი ავტორიტეტი სასიკეთოდ რომ წაადგებოდა! სხვა თუ არაფერი, მესვეურთა შეტევის შემთხვევაში ისევე მედგრად დავიცავდი, როგორც ყველა დაჩაგრულს “სამართლიანობის“ აღდგენის საბაბით თავის ინტერესს რომ ნიღბავდნენ. არადა, ამ უმსგავსო ფარსს, ყრილობად რომ ასაღებდნენ, თავიდანვე მკვეთრად გავემიჯნე და ჩემი ხმა არავისთვის მიმიცია! ჩადუნელის გარდა აქ ბედი ყარაულაშვილმაც სცადა და თვეების მანძილზე ჩემს დაყოლიებას ცდილობდა, მისთვის მხარი დამეჭირა! რა ძნელი მისახვედრია, მხოლოდ ფიცხელ ბრძოლებში უანგარო გლადიატორად მიწვედნენ პატივცემული კოლეგები და ვერ მიხვდნენ, რომ 22 წელი საკმაოდ დიდი დროა საიმისოდ, ზუსტად დაადგინო, ვის რისთვის ესაჭიროები! ფარულად განაწყენებულმა ჩადუნელმა ეს “დეტალიც“ ხელზე დაიხვია; როგორც ჩანს, დაავიწყდა, თავად თუ კერძო გამომცემლობას ხელმძღვანელობს და სათ-

ავისო კომერციულ მოგებაზეა გადართული, მე ყველაზე მეტბოლი, დამოუკიდებელი პროფილის ჟურნალის გაძღოლისას ათას წინააღმდეგობასთან გამკლავებისას მხოლოდ ჩვენს ფინანსებს ვეყრდნობი, გავლენიან სპონსორებთან მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების გარდა მათთან კეთილგანწყობილი თანამშრომლობის შესაძლებლობას ცალსახად რომ გამორიცხავს, რაც მართალი სიტყვის დაცვას უპირობოდ თან ახლავს; მოკლედ რისკი საკმაოდ მაღალია და ამ ურთულეს გზაზე ზედმეტი თავსატეხის სახით კავშირის ძალაუფლებისათვის გამართულ წვრილმან ინტრიგებში უსარგებლო ჩაბმა და აუტსაიდერის მხარდაჭერა ნაღდად არ მიღირს! კავშირის ჭრელი შიგთავსის საეჭვო კაპიტალი არც არასდროს მაინტერესებდა და აქ ქონებრივი დატაცებით დაკავებულ უფროსობასთან სახიფათო ფინანსურ პერიპეტივებში გასვრა საჩემო საქმე ნაღდად არაა, ვინაიდან მე მუდამ ფასეული იდეალებს დასაცავად ვიბრძვი, რაც სკამზე წამოსკუპებასა და მდაბიო ინტრიგებს სათავეშივე გამორიცხავს! ფაქტია, ჩადუნელი და მისი საძმო ისევე შორს დგას ჩემგან, როგორც ისლის ქობი ევერესტისგან და ამ მოცემულობის ჩასწორება მაღალი ღმერთის გარდა არავის ხელენიფება! მოკლედ, იგნორირების მოტივი ცალსახად გაშიფრულია და ისლა დამრჩენია, ამ უსიამო ისტორიას ლოგიკური დასკვნა დაუუსართო: ბრავო, კოლეგებო! ვერ ატყობთ, ზუსტად გაკოტრებებული პოლიტიკანებივით მდაბიოდ და ურცხვად რომ იქცევით და სხვისი შრომის მითვისებით მოპარულ ქულებს ინერტ, თანაც იმ კოლეგის იგნორირების ხარჯზე, ვისგანაც ამდენგზის დავალებულები ხართ და ვისი წარმატებაც დრომ და საქმემ გამოაჩინა და დააკანონა, სოლიდარობისა და მადლიერების ნაცვლად თქვენ ეს ფაქტი გულზე რომ გხეთქავთ! სხვაგვარად ასეთი უგვანობის კადრება რითია გამართლებული?! მე თუ ვინმეს ვურეკავ, ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ ეს უწინარესად მისივე ინტერესის სახეიროდაა მიმართული, თორემ უცბად ღმერთი რომ შემომწყრეს და ამისთანა აფერისტი ხორცმეტების დასახმარებლად დამიგდოს საქმე, მწერლობას იმდღესვე ულაპარაკოდ ზურგს შევაქცევ და უდაბნოში დუმილის ალთქმას დავდებ, ტერარიუმის ქვენარმავლებზე უმაღურმა თანამოკალმეებმა ურცხვად რომ ველარ შემანუხონ! მკითხველს ჰგონია, ჩადუნელის

თემა დაიხურა, თუმცა ახლახან ქ. დოლიძის პოსტზე გამოქვეყნებულმა ცნობამ კალენდრის გამოსვლის ამბავი გაახმაურა. ე.ი. ჯადოსნური კალენდარი ისე გამოვიდა, ჩადუნელმა არც ეს სიახლე შემატყობინა; ფაქტია. ქ. დოლიძეს რომ არ დაენერა, თურმე მოდურ მჩხიბავ კაკულიასთან უნდა მემარჩიელა, ყბადაღებული კალენდარი ქვეყნიერებას როდის მოევლინებოდა! კი მაგრამ, კალენდრის გამოცემა მაინც რატომ არ შეგატყობინა, ეს სასიხარულო და მისთვისაც მომგებიანი ამბავი რატომღა დაგიმალო, ამდენი ინტრიგით გულგადაღებული მკითხველის რეპლიკას მოკლე პასუხს დავუხვედრებ: ეს-ესაა ამგვარი ქმედების მოტივი დაწვრილებით განვიხილეთ და მეტი რა მტიცებულებაა საჭირო ადამიანის ვერაგობის გამოსაშკარავებლად?“ მზაკვრობა ვახსენე და ეს სიტყვა ოდესმე ქეთი დოლიძის სიახლოვეს თუ გაიჭაჭანებდა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ვერასდროს წარმომედგინა! ზემოთ უკვე აღვნიშნე, 22 წელი კონკრეტულად კარგი და რაც მთავარია, მყარი ნაცნობობა მაკავშირებს, რასაც ჩემი მხრიდან მუდამ საქმით ვადასტურებ; მშვენიერ კოლეგას საავტორო ლიტერატურულ რადიოგადაცემებში ვინვევდი, “ისინდში“ ლექსები მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით უფასოდ გამოუქვეყნე, ტრაგიკულად დაღუპული მეუღლის, ზურა ჯაფარიძის შემოქმედება პლაგიატისგან ოფიციალურად საგანგებო წერილით დავიცავი, როგორც კი მომმართა და ამ უმსგავსობის ისტორია მღელვარედ გამაცნო, სათანადოდ ავმოქმედდი და ამ უკანონობის გასაპროტესტებლად განგაშის ზარი უმაღ დავარისხე. რამდენადაც მახსოვს, ამ სამწუხარო ფაქტის დაგმობით ჩემ გარდა თავი არავის შეუწუხებია, არადა, როგორც თავად ქეთიმ მობილურით მითხრა, ცნობილ და გავლენიან მწერლებს ოპერატიულად ჩამოურეკა და მომხდარის გამო ყველა საქმის კურსში ჩააყენა, რაც მომხდარზე მათ დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებდა. მეტიც, ეს აქტუალური თემა მოროდორი პლაგიატორების ავკაცობას რომ ააშკარავებდა, მიცვალებულებს უსირცხვილოდ რომ ძარცვავენ, რაც მათ დანაშაულს განსაკუთრებით ამძიმებს, “ობიექტივის“ ტელევიზიით სტუმრობისას სათანადო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად სპეციალურად წინ წამოვნიე და ტელეეთერის საშუალებით ის ვილაც ემიგრანტი - პლაგიატორი

მომღერალი, გარდაცვლილი ზურა ჯაფარიძის გახმაურებული ლექსი “დედა” უსინდისოდ რომ მიითვისა და თავისად გაასაღა, საჯაროდ მძაფრად გავაკრიტიკე; სხვათა შორის გადაცემის წამყვანმა და ჩვენმა კარგმა ნაცნობმა პოეტმა, ორატორმა და საზოგადო მოღვაწემ ერეკლე სალღიანმა ჩემთვის უცნობ მიზეზთა გამო ანაზღად პირდაპირ ეთერში ამ თემის შერბილება სცადა, თუმცა მრავალწლიანი კარგი ურთიერთობის მიუხედავად (საღღიანი “ისინდის” საპატიო წევრია) მას თავისივე გადაცემაში ამის უფლება არ მივეცი, რადგან მიმაჩნია, რომ სიმართლე არავის ხათრით არ უნდა დამახინჯდეს! მოგვიანებით. ქ. დოლიძის პროზაული წიგნის წარდგენას დადებითი რეცენზიით ოპერატიულად გამოვეხმაურე; მან მაღლიერებით აღნიშნა, კოლეგიალური სოლიდარობის გაიშვიათების ფონზე ეს შესტი კარგ პრეცედენტად აღქვა; უფრო ადრე ქ. დოლიძის ურყევი კეთილმოსურნეობის ნიშნად ლექსიც მივუძღვენი, თუმცა თავად რატომღაც არ ისურვა მის საიუბილეო საღამოზე საჯაროდ წამეკითხა. ვფიქრობ, ეს მცირე ჩამონათვალიც მონიშნავს, წლების მანძილზე უდროოდ დაქვრივებულ კოლეგას მხარს ერთგულად რომ ვუჭერდი, ვინაიდან ამას ნამდვილად იმსახურებდა, თავადაც საპასუხო მაღლიერებით აღვსილი ჩვენს ჟანა დ, არკს თბილად და ხაზგასმული პატივისცემით მიწოდებდა, “ისინდის”, წარდგენაზე ჟურნალს მხურვალე სიყვარულს ეფიცებოდა; მოუთმენელი მკითხველი სწრაფად იკითხავს: რა მოხდა? ქეთი დოლიძეს რატომ შეეცვალა ნირი, 20 წლიანი კეთილმოსურნეობა ხაზგასმული გულგრილობით ჩაენაცვლებინა?! მეტიც, ახლახან “ისინდის” მოსალოც პოსტზე ისე დემონსტრაციულად აგვარიდა თავი, სახტად დავრჩი. ბუნებრივია, მოტივის გარეშე ვერც ამჯერად გავალთ ფონს; კარანტინის დროიდან მოყოლებული კონკიად ნოდებულმა ლირიკოსმა პოეტმა იმიჯი მკვეთრად შეიცვალა და მებრძოლი მწერლის ამპლუა მოიმარჯვა, თუმცა მისი მცდელობა რატომღაც გაცუდა; ვინაიდან საომრად მარტო სხვისი სტატუსების და ვიდეოების გაზიარება არ კმარა, თავადაც უწყვეტად უნდა წერო საპროტესტო წერილები და კლანებს მედგრად და ხანგრძლივად ებრძოლო, რბილად რომ ვთქვათ, ქეთი დოლიძე აქამდე მსგავს საქმეში შემჩნეული არ ყოფილა, ვინაიდან ის გავლენიან კოლეგებთან ვითარებას მუდამ თავის

სასიკეთოდ აბალანსებდა და რა გასაკვირია, მისი ანაზღეული ფერისცვალება ახალი იმიჯის გასამართლებლად არასაკმარისი რომ გამოდგა; და კიდევ, ერთი არც თუ ხელნამოსაკრავი “დეტალი”: მებრძოლი ეროვნულ მწერლებს უკიდურესად პოლარიზებული და საეჭვო პოლიტიკურ კლანებში გახლართული ჩვენი ორმაგი სტანდარტის მოყვარული საზოგადოება არასდროს სწყალობს, რასაც სამწუხაროდ 22 წელია უწყვეტად ვეჯახები და რის გამოც იმდენი უსამართლობა ვინწვნიე, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. როგორც კი მან ეს ბრძოლა წამოიწყო, ღიად დამიკომენტარა, ფიცხელ ომში ჩავრთულიყავი, რაც სულ მცირე, ფაქტების გამიზნული დამახინჯება გახლდათ; მისი მხრიდან საომრად ჩემი შეგულიანება ისე ჟღერდა, ცოლი ლაშქრობიდან დაბრუნებულ ქმარს ლაშქრობის ამბებს უყვებოდაო. შესაბამისად, სათანადო პასუხი არ დამიხანებია; კორექტულად და თავაზიანად შევახსენე, რომ მსგავს მონოდებას არასდროს ვსაჭიროებდი და ხშირად სწორედ იმიტომ მსაყვედურობდნენ უსამართლობის წინააღმდეგ უწყვეტად რომ ვილაშქრებდი, და ახლა უცებ ფირფიტა შეცვალეს. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მან ჩემი პოსტების მონონება დემონსტრაციულად შეწყვიტა; თავისი სურვილი ერთ-ერთი გავლენიანი მებრძოლის, კინორეჟისორ გურამ ქართველიშვილის მწვავე პოსტის გაზიარებულ ვარიანტს წაუძღვარა: ყოფილი კონკია, ყვავილებისა და სიყვარულის მეხოტბე პოეტი საზოგადოებისგან ითხოვდა, ამიერიდან მაია წყნეთელის ენერგეტიკის მატარებლად დაესახელებინათ. ეს ფრაზა რომ წავიკითხე, მისი ჯიბრში ჩადგომის მიზეზს უმალ მივხვდი. ჟანა დ, არკის გარდა ჩვენი საზოგადოება მაია წყნეთელად მომიხსენიებდა. ქ. დოლიძეს ამდენი წლის მანძილზე მაია წყნეთელის ხატება იზიდავდა და როგორც კი პანდემიამ ადამიანები კომპიუტერს მიაჯაჭვა, სწორედ მაშინ გადანწყვიტა ეს დანაკლისი ერთბაშად აენაზღაურებინა და ბრძოლის ველზე გაჭრილს მაია წყნეთელობა სოციალურ ქსელში აქტიურობით მოეპოვებინა, მით უფრო, რომ წყნეთში ცხოვრობს და მიიჩნევს, წყნეთელად აღიარება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამოისობით მას მეტად ეკუთვნის. ღმერთია მონამე, კონფორმისტებთან მრავალწლიან შერკინებაში გამეხარდება თუკი ვინმე შემომეხიდება და ეს არაერთხელ აღმინიშ-

ნავს კიდევ; ხაზგასმული დაქსაქსულობის ფონზე რაც მეტი მეტროპოლი მწერალი ეყოლება ჩვენს ბედკრულ სამშობლოს, ამ უთანასწორო ომში რაც მეტი შეაშველებს მხარს, ეგებ მეტად ვუნამლოთ; რაც თავი მახსოვს, ამას ვწერ და ვამბობ, რისი გადამონმებაც სიძნელეს არ წარმოადგენს და რა მიზეზითაც კალმოსნების უმრავლესობამ ცალსახად ამითვალწუნა, რადგან ორმაგი სტანდარტის ბაცილას ვერაფრით ელევიან, მათი მრავალწლიანი ორჭოფული და საეჭვო ქმედება ამის დასტურია. მოკლედ, სანუკვარი მიზნის მისაღწევად ვინ ოჯახური კოზირით არტისტულად სპეკულირებს და ვინ გეოგრაფიულ ფაქტორს ეჭიდება, გემოვნებას გააჩნია; ადამიანის, მითუმეტეს მწერლის წარმოსახვა ხომ ამოუწურავია. ნელანაც აღვნიშნე, სანამ ჟურნალს დავაარსებდი და სათავეში ჩავუდგებოდი, ეს ჩემგან ასგზის პატივცემული კოლეგები მშვენივრად (თუმცა მაშინაც ცალმხრივად და მხოლოდ სათავისო გამორჩენის მიხედვით) მეთვისებოდნენ, ვინაიდან ჩემი მუდმივ ბრძოლისუნარიანობას მათ დაცვას უნაგაროდ ვახმარდი, რითაც ყოველთვის ხეირობდნენ; როგორც კი ახალი, გაცვილებით რთული ეროვნული საქმე წამოვიწყე და მათთვის მიუღწეველ ასპარეზზე უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მივალწიე, რაც მთავარია, შეუძლებელი დავამტკიცე, რომ პატიოსნად, საკუთარი სიმართლისა და რისკის ხარჯზე ულევნიანობების მიუხედავად საქართველოშიც შესაძლებელი ყოფილა მართალი და მოუსყიდავი ეროვნული ჟურნალის დამოუკიდებლად გამოცემა, ამხანაგი კოლეგები დარწმუნდნენ, რომ სანახევროდაც ვერ მომდევდნენ; ამიერიდან ჩემი აქტიურობის ფონზე ვეღარ იტყოდნენ, რომ კლანურ გარემოში ბრძოლა უაზრობაა და ა. შ. ამგვარ მეტამორფოზებზე გულისტკივილით ვწერ, რადგან მართლაც ვის უნდა ენდო, როცა ე.წ. ახლობლებიც ასე უბოდიშოდ იცვლიან კანს? ყველაზე მეტად იმ “დეტალმა” დამწყვიტა გული, ქ.დოლიძემ შვილის დღეობის პოსტიც რომ არ მომიწონა, როცა 2 დღით ადრე ჯერ მისი შვილიშვილების საიუბილეო სტატუსი დავალაიქე და სათანადოდ დავაკომენტარე, შემდეგ კი ვაჟის დაქორწინება მივულოცე; მამის მოსახელე და მოგვარე ზუკა ჯაფარიძე ძალიან კარგად ამჩნევს, რომ მე მათი საიმედო მოყვარე ვარ და ამიტომ გვერდზე გამდგარი დედისგან განსხვავებით დროდადრო კეთილგანწყობისა და

პატივისცემის ნიშნად პოსტებს მილაიქებს და მიგულებს; როგორც ჩანს, შვილი იმ გზას მისდევს, რომლის მიხედვითაც პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტებასაც არ ელალატება, რაც მონობს, რომ ღირსეული ახალგაზრდა პიროვნებას საქმით აფასებს და ტენდენციურობას არავის ხათრით ემორჩილება. დავიჯერო, ცხოვრებაში მრავალჭირგამოვლილი პოეტი ვერ აცნობიერებს, რომ მისი ბოლოდროინდელი, გაუმართლებელი დემონსტრაციული დისტანცირება სულ მცირე, უხერხულ მდგომარეობაში მას აყენებს; ან რა საკადრისია, ცხვირს იმ ადამიანს უბზუებდე, ვინც მუდამ გაფასებდა და იმათ ეტმასნებოდე, ვისგანაც ცუდის მეტი არაფერი მიგიღია?! თუმცა როგორც სინდისი გაუჭრის, ისე იხელმძღვანელოს და გულწრფელად ვუსურვებ ჩემზე ერთგული უკეთესი მოკავშირეები შეეძინოს და როგორც თავად გემავს, წინ გაჭრილიყოს, რაც ძველი ნაცნობობის ხათრით ნამდვილად გამეხარდება.

კიდევ ერთი ძველი ნაცნობი, ავანგარდი პოეტი შალვა ბაკურაძე შემომწყრა ამ ზამთარს, მოკლედ გრძელდება ეპოპეა “ზამთარი ჩვენი მღელვარებისა!” (ჯონ სტაინბეკის ცნობილი რომანის სათაური) თუმცა ჩვენი ოცდაათწლიანი რთული შემოქმედებითი ურთიერთობა ცალკე წერილს ნამდვილად იმსახურებს იმის საილუსტრაციოდ, რომ საპირისპირო მსოფლმხედველობის მქონე მწერლების კოლეგიალობა ოდენ ილუზორული მითია და საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველა საკუთარ პოზიციასზე რჩება. ამიტომ შ. ბაკურაძის, სოხუმიდან ლტოლვილი პოეტის, მშობლიურ ქალაქს იარაღით ხელში რომ იცავდა და ბოლოს ჭუბერის გადასასვლელზე ჯოჯოხეთი რომ გამოიარა, რამაც ეროვნული მუხტი ჩაუკლა, სამწუხარო ფერიცვალება ხვდა წილად. კომფორტისა და სახელის მაძიებელმა ავანგარდ არგონავტად გარდასახულმა კოლეგამ ჩემი მტკიცე ეროვნული პოზიციის შესარყევად, (რაც მუდამ გაუნელებლად აღიზიანებდა და ამას არც არასდროს მაღავდა,) ურთიერთობის განახლებისთანავე წინააღმდეგობრივი თამაში განაგრძო; ამით ის მიზნად ჩემს დისკრედიტაციას ისახავდა; ვიცოდი, რომ ეს აღიარებული ავანგარდი ჩემს შეურიგებელ ოპონენტებთან ძმაკაცობდა. ერთხელ ისიც წამოსცდა, ვერ გამიგია, შენისთანა პურიტანს მარსიანთან რა გესაქმება, მის თამამ ნახატებს როგორ ეგუებიო,

რაზეც საკადრისი პასუხი გავეცი. ორი წლის წინ იგი რეაბილიტაციის შემდეგ (გამუდმებული სმის გამო წამლებს იკეთებდა) ხელახლა შემომიტკბა და “ისინდის” წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას სურვილი გამოთქვა ჩვენთან მჭიდროდ ეთანამშრომლა, თუმცა კარგად იცოდა, რომ გუნდის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით ეს შეუძლებელი იყო. მაშინ ვიაზრე, ჩემთან დახლოებას ამაოდ არ ესწრაფვოდა; და მაინც, მისი ადრინდელი, კარგი პოემა ჟურნალში დავბეჭდე. ბაკურაძე ამ შესტმა გაათამამა და ვა ბანკზე წავიდა, თავის არსენალში უმაღლესი გულთამბრობელის კოზირი ჩართო; არადა, სიმართლეს გაუმარჯოს, 25 წლის წინ ჩემთან გაარშიყებისას მარცხი განიცადა და ამის უმთავრესი მიზეზი სწორედ იდეოლოგიური სხვაობა იყო, ის ავანგარდებს სწყალობდა და ბეჯითად ცდილობდა მეც მათ ბანაკში გადავებირებინე, ამიტომ ჩემს მებრძოლ ეროვნულ მრწამსს ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა; ერთხელ დედაჩემს ისიც კი ჰკადრა, თქვენს შვილს როგორმე შეაგნებინეთ, წერას თავი დაანებოს, რადგან ნიჭის მიუხედავად ძველმოდურობას ემსხვერპლება, ავანგარდები გასრესენ და ჯობია, სხვა საქმეზე გადაერთოსო. ცხადია, ესოდენ გულახდილი დიალოგის შემდეგ შეყვარებულის როლის თამაშს ველარ გააგრძელებდა, ამ აღსარებით აღმფოთებულმა კოლეგა სახლიდან გავაძევე, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შევრიგდით და ისინდის წარდგენაზე ვარდების თაიგულით მოსულმა გულახდილად აღიარა, 20 წელზე მეტია იკა ქადაგიძის ღიმილი მინდა დავიმსახურო და მზად ვარ გუნდში სათანამშრომლოდო. ეს კი დესტრუქციას მოასწავებდა, ვინაიდან წარსულში გამოვლენილი ზნე თავს კვლავ იჩენდა; მრავალწლიანმა საბრძოლო გამოცდილებამ მიმახვედრა, შალვა ბაკურაძის ტაქტიკა ტროას ცხენის შემოგდებასა და გუნდის შიგნიდან დაშლას ეფუძნებოდა, რაც ავანგარდების დაკვეთა იყო, რომლებსაც წლებია მეთოდურად ვაკრიტიკებ და როგორც იქნა, ჩემი ძველი კოლეგის მეშვეობით მრავალწლიანი რევანშის შანსი ეძლეოდათ. თუ იმ “წერილმანსაც” გავითვალისწინებთ, რომ ხელნაკრავი კაცი არანაკლებ საშიშია, ვიდრე ამავე მდგომარეობაში ჩავარდნილი მანდილოსანი, შურისძიების ანატომიის ამოხსნა საკმაოდ მარტივია; მოკლედ, ბაკურაძემ ჩემს პოსტებზე ფრივოლური კომენტარების ფეიერვერკი დაახვავა, რითაც ცდილობდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ ჩემთან არც მეტი, არც ნაკლები, სასიყვარულო

ურთიერთობა აკავშირებდა; რატომ ეშმაკს არ გაცინება ესოდენ მზაკვრულ და ყალბ ჩანაფიქრზე! ცალკე პირად სასაუბროში ამ ცოლიანმა კაცმა რამდენჯერმე სიყვარული მგზნებარედ რომ ამიხსნა, საუბრის გასაბმელად ხან რას მწერდა და ხან -რას, თავაზიანად მივუთითე, ლურჯწვერას როლს მშვიდობიანად გამოთხოვებოდა, სანამ ადრინდელივით დავიფრენდი, მაგრამ მან ეს გაფრთხილება რატომღაც არ შეისმინა; მეტიც, კომენტარებს უმატა, ერთხელაც მოთმინების ფილა ამევსო და ღიად გავაფრთხილე მსგავს თამაშს შეშვებოდა და რადგან თავაზიანმა ტონმა შეცდომაში შეიყვანა, უფრო კატეგორიულად დავუკომენტარე, რომ მისი ყალბი ქათინაურები არ მსიამოვნებდა, დიდი ხანია მიცნობდა, ეს იცოდა და დრო იყო ჩემს გაღიზიანებას შეშვებოდა; მოკლედ, კატეგორიულმა ტონმა როგორც იქნა გაჭრა და ხელმოცარულმა “რაინდმა” უმაღლესი წამშალა. ამაზე ირონიულად გამეცინა. დასაბლოკად ვერ გამიმეტა, რადგან მაშინ თვალთვალის შანსი მოესპობოდა, ხოლო ამიერიდან იატაკქვეშეთიდან მადევნებს თვალყურს და თავის დოსტებს ინფორმაციას ამ გზით აწვდის! მკითხველს აღარ გადავლი იმის აღწერით, რომ ბაკურაძე ჩემი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, დედაჩემი მასზე, როგორც მრავალჭირგამოვლილ ახალგაზრდაზე ძალიან ზრუნავდა; აკი ამ თბილი მოგონებების გახსენებისას წლების შემდეგ თავად აღიარა, რომ ასე კარგად, როგორც ჩვენთან, თავი არსად აღარ უგრძენია; რომ ჩვენი ოჯახი მთლიანობაში უყვარდა და ეს განცდა დრომ ვერ გაანელა და ა. შ. ვინც ფსიქოლოგიაში ერკვევა, მისთვის ცხადია, ამგვარი აღიარება რასაც ნიშნავს. როცა ადამიანს კარგ გარემოს შეუქმნი და ამის მიუხედავად მაინც არ გპატიობს თავის ყაიდაზე რომ ვერ გადაგაკეთა, რაღაა სალაპარაკო! ამიტომ რაც მას აქამდე ჩემი მისამართით დადებითი სიტყვები უხვად გამოუმეტებია, ეს მაშინ გაუქმდა, როდესაც ჩემი ლექსების კრებულ “ქვიშის გალაქტიკას” დუმილი დაუხვედრა, მაშინ, სხვებს ხელალებით რომ აქებდა! არადა, რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მე უძლიერესი პოეტი ვარ; ახალმა კრებულმა როგორც ჩანს, ძველი იარა გაუხსნა, რაც შემოქმედებით მეტოქეობას თან ახლავს და რასაც წლები აძლიერებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვისაც ეჯობები, წინ ყველა ასპექტში გისწრებს და გჯობნის, ამ დროს, მცდარი წინასწარმეტყველების ნანგრევებში მოყოლილი ნათლად აცნობიერებ, არასწორად აკვიატებული ხედვა სამუდამოდ დაიმსხვრა და არსებულმა სინამდვილემ სწორედ ის დაამტკიცა, რისი ახდენისაც ასე გეშინოდა!

დროა შექსპირულ ვნებათაღელვას გავცდეთ და ყურადღება დადებით მხარეზე გავამახვილოთ, რაც ჩრდილს სასიამოვნოდ შეენაცვლა და დამარწმუნა, რომ ღმერთი მოწყალეა და ჩემს დაძაბულ, მრავალწლიან ბრძოლას ქვეყნისა და სარწმუნოების დასაცავად თავისი მაღლის მიღმა არ დატოვებს! სწორედ ამიტომ ესოდენ რთული საკარანტინო ზამთრის დროს, ამდენმა ავტორმა ერთდროულად რომ გვიმტყუნა და ჟურნალის გამოცემას რეალური საფრთხე დაემუქრა, უფლის ნიშანი ვიგრძენი; ჯერ იყო და ჩვენმა ემიგრანტმა გულშემატკივარმა ქ-მა ციცი გველუკაშვილმა ფინასური კრიზისის დასაძლევად თურქეთიდან გარკვეულ თანხა შემოგვაშველა (ქ-ნი ციცი მანამდეც დაგვეხმარა, რისთვისაც დიდი მადლობა!), მას მარჯვ ბეჭანიშვილი შეუერთდა, ბოლოს კი ჩვენი საიმედო მოკავშირის, ნიჭიერი პოეტ პოეტიშვილის მონადინებითა და წარმატებული მცდელობით ისრაელიდან ქველმოქმედებით გამორჩეული ჯენი ჩხეიძეც შემოგვეხიდა, რამაც საშუალება მოგვცა “ისინდი” არ შეგვეჩერებინა და ეროვნული საქმე შეუფერხებლად გაგვეგრძელებინა! მეფური საჩუქარი ჩვენი ღვთისნიერი გამომცემლის, ბ-ნი კახა რუსიძის მხრიდან წამოგვეწია, რომელმაც 50 ნომერი უსასყიდლოდ გვისახსოვრა და მერამდენედ დაამტკიცა, რომ თუ გული გულობს და ზნეობა სათანადო სიმალლეზეა, კეთილშობილ ადამიანთა ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდება; რომ **“ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!”** უნივერსალური სიბრძნეა და რაც მთავარია დღესაც მაღლს გვფენს, რაც ქვემარტივი ღირებულებების ზედროულობას ადასტურებს. ღმერთმა დალოცოს და სამარადჟამოდ აბედნიეროს ეს დიდსულოვანი მოკეთებები, ვინც განსაცდელის ჟამს მხარში ამოგვიდგნენ და მამულის სიყვარულითა და ეროვნული შეგნებით გამსჭვალულებმა საქმით მხნეობა ჩაგვბერეს და ზურგი გაგვიმაგრეს საერთო ეროვნული საქმე ქართული კულტურის გასაძლიერებლად და დასაცავად შეუპოვრად განვაგრძოთ და განვაავითაროთ!

18.03.2021.

P.s. ამასობაში ამ წერილის დანერიდან ერთი წელი გავიდა და საკარანტინო ისტორია უკვე “ისინდის” საიუბილეო 5 წლის თავს დაემთხვა; ჟურნალის შემდგომ ისტორიას ტრადიციისამებრ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით შემოგთავაზებთ; მანამ მხოლოდ ერთს დავძენ: ახლახან ჩემ წინააღმდეგ აგორებულმა ბინძურმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა რაოდენ არაკოლევიალურები, გულგრილები და მიკერძოებულები არიან მწერლები; განსაკუთრებით ძველი ნაცნობების კატეგორია, ჩემი

მხრიდან უწყვეტი ამაგის მიუხედავად დასმენისა და ცილისმამების დროს მხარდაჭერის ნაცვლად მოსიერების პოზაში რომ სიამოვნებით ჩადგნენ და პირში წყლის ჩაგუბებით თავი იმაზე უარესად “ისახელეს,” ვიდრე აქამდე ფაქტებით აღვწერე. ეს გარემოება კიდევ ერთხელ “დამატებით” ცხადყოფს ლიტერატურული ჯუნგლების ულმობელ სპეციფიკას და იმ წარმოუდგენელ სირთულეებს, რომელთა დაძლევას “ისინდი” ღვთის შენეებითა და ღირსეული ადამიანების ხელშეწყობით გაუსაძლის პირობებშიც წარმატებით ახორციელებს, ვინაიდან წინ ისინდი! ჩვენი დევიზი უცვლელია და ექსტრემალური ვითარებაში გამომუშავებული შეუპოვრობის წყალობით ფარ-ხმალს არასდროს ვყრით ეროვნული ღირებულებების დასაცავად!

3.04.2022.

აოაზია – თქვა თაზაბარი

დაბრუნებამდე

ალიონის მზემ გამოძერწა სვეტები ლავრის, უდაბნოსფერი მდუმარება ცად აღმართულა, ფრესკა კი არა, კედლებიც კი მეტყველი არის, დრო თავისივე მდინარებას ხატავს ქართულად.

რადგან სიცოცხლე თავისთავად მშვენიერია, “მრავალჯამიერს” ძველებური სიმხნევით ვამბობთ, მაგრამ ვერაფრით ავუქცევთ გვერდს - ჩვენ ის ერი ვართ, ილია მართალს რომ ვესროლეთ სიმართლის გამო.

ჩვენ ის ერი ვართ, ღვთისმშობელმა რომ გვინილხვედრა და ლამის ჩვევად გავიხადეთ გინება დედის (მით უარესი - ჩვენივესი), გვიჭირს მიხვედრა, რამდენად ვცოდავთ... მაშინ, როცა შარავანდედის

მორგებას ვცდილობთ და ყიჟინით გულზე მჯიღს ვიცემთ, შემფოთებულნი (ევროპულად) სამშობლოს ბედით, მაშინ, როდესაც საზღვრებთანაც ვერ ვდგებით მტკიცედ და ერთმანეთში ვიკლავთ, რასაც სხვებთან ვერ ვბედავთ.

გარეს ვინ ჩივის, შინაურსაც ვედარ აუხვალ -

თანამედროვე პილატეს თუ დღევრძელ აღასფერს,
ამასობაში... თავგანწირვაც ვუქციეთ მწუხრად
გარეჯის მინას შეხორცებულ ექვსიათას ბერს.

იმდენადაა აღრეული მღვრიე და სუფთა,
ველარ გაარჩევ, საშველად თუ არ უხმობ გამჩენს...
ჩვენ ის ერი ვართ, უძღებ შვილად რომ ვერგეთ
უფალს
და ისევ მისი მეოხებით უნდა გადავრჩეთ.

ნამოხვანს

არც სანყისია, არც სასრულია,
არის მორიგი დავა და ოხვრა,
ზოგს ისტორიის დაცვა სწყურია,
ზოგიც იძახის: - განა რა მოხდა?!

ყოფამ ვერაფრით მოგვსპო სრულიად,
თუმცა მრავალი ფესვი გამოხრა...
სამშობლოს ჩვენსას სულ სხვა სული აქვს,
რომლის წინაშეც ღირს ქედის მოხრა!

ეს მინა ღვთისგან კურთხეულია,
ღვთისმშობელი ჰყავს ქართველს მეოხად...
დღეს ნამოხვანში ქვეყნის გულია
და ქართველობა იცავს ნამოხვანს!

თვითიზოლაციური

იშვიათად ვსაუბრობთ, მონატრებას ვიქარვებთ,
თვითიზოლაციაში ყოფა უფრო რთულია,
თითქოს შენელებული არის დროის სიჩქარე,
თუმცა გაიხედავ და... გარეთ გაზაფხულია.

გარეთ გაზაფხულია, ყვავილობენ ატმები,
უკვე ლექსად ქცეული ალუჩებიც ყვავიან,
მარტმა გაიაპრილა პულისის მცირე მატებით,
სარკმლის პირთან მომდგარი მზის სხივების
ხვავია.

იშვიათად ვსაუბრობთ, არაუნინდებურად,
სულში მოლოდინის და დარდისფერი რიტმია,
რატომ არ ჩანს მერცხალი ან რა უჭირს ბელურას,
როცა ჩემი თითები ხორბლის მარცვლებს ით-
ვლიან...

გადაიტანს მსოფლიო ამ განსაცდელს, ღვთის
მადლით,
საიდანაც მოსული ნუგეშებით ვივსებთ,
მერე ვმარცვლავ სიტყვებს და მისით აცმულ
მძივს განვდი,
შენ კი საინტერესო ისტორიას იხსენებ.



საუბარი მშვიდია, გვერდზე რჩება კითხვები:
სითბო ვის გაუყავი, ან ღიმილი ვის ანდე...
მერე დამშვიდობების ინსტრუქციას მივყვებით -
ჩვენ ხომ კარანტინამდეც დისტანციას ვიცავდით.

მშობლიურ ქიათურას

აქ, ჩემს ქალაქში მდინარეს აქვს თალხი სამოსი,
ჩემი ქალაქის ზეცა ზოგჯერ ნაცრისფერია,
მაგრამ სილურჯე მოედება, მზე რომ ამოდის
და ჩიტუნები გაზაფხულის ამინდს მღერიან.

მედიდურ კლდეებს ისტორიის იერი ახლავთ,
თვით მეფე თამარს გაკვირვება გამოუხატავს,
როცა ინება აქაური გარემოს ნახვა,
ურვეულოდ რომ მოუნყვია ბუნების მხატვარს.

ჩემს ქალაქს არცთუ შესაშური დრო უდგას ახლა,
მივინყებისგან ხეებსაც კი დაეტყუო დალლა,
არ ძალუძს ტირიფს, ტოტები რომ აღაპყროს მაღ-
ლა,
აქვე ასწლოვან მაგნოლიას შეხვდები, გამხმარს.

ვნანობ, აქამდე არაფერი დამინერია,
ან ამ სტროფებით რას შევმატებ კარგსა და ახ-
ალს,
ქალაქს, რომელიც ნოსტალგიის ათი წელია,
ჩემს ქალაქს, ჩემი ბავშვობა რომ შემოუნახავს.

გული სამშობლოსოდენა

სმენას გალობად ჩაესმის გურამიშვილის სტრიქონი
-
“დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!”

და ვიდრე ემოციების შესატყვის სიტყვებს ვიპოვი, მომდევნო ფრაზა მთავაზობს თავისივე თავს, - თქვი ესო:

დიადი შოთას ქვეყანა სულმოკლეობამ მოიცვა და ვინლა ჩივის პოემებს, სათქმელი გაუფასურდა, სიმართლის მემატინანედ ჯერ არყოფილი დრო იქცა, ანმყო რომ წარსულს მიაღწევს, მერე ჰკითხავენ, რა სურდა;

მერე მოჰყვება, დუმილი ოქროდ მიაჩნდა თუ ვერცხლად, განა უღირდა ამდენი დევნა ღირსების ორდენად?! რამდენი ერთგული ნახა ზურგშექცეული უეცრად, ან რამდენ ქართველს შემორჩა გული სამშობლოსოდენა...

მანამ კი გვიმზერს აჩრდილი იმ დიდი ისტორიისა, რომელსაც ქრისტიანობის თანდაყოლილი მადლი აქვს,

“დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო...”, - ისმის ხმა

და ვხედავ მლოცველს ნუგეშად ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს.

ტატოს

გულს ზამთრისპირის დარდი მოედო, როგორც ბინდბუნდი ტყეებს ნახანძრალს... შენ უკვდავების გახდი, პოეტო, თუმცა კი დღესაც ახალგაზრდა ხარ.

ვესათუთები მტკივან სტრიქონებს, ბავშვობის წლებში რომ მამბრუნებენ... საშველს ვერაფრით გამოიგონებ, სულს სიმარტოვე თუ სდევს ბუნებით.

ზეცის ფერი აქვთ მელანს და მერანს, თუ პოეზიის მადლი იწამე... აქამდე უთქმელს ვიტყვი ან მე რას, დაშვებული მაქვს მხრები მიწამდე.

და მაინც, მტკვრის პირს როცა ჩავუვლი, თან დამდევს ფიქრი მარადისობის... შენს შობას ახლავს დღესასწაული - მიყვანება ტაძრად ღვთისმშობლის.

ნანა შალამბერიძე

„გიჟვარდეს მოყვასი შენი...“

ნიკა ყოლბაიას ხსოვნას

— მეჩვენება თუ თბილისში მართლა გაუგონარი სისწრაფით მრავლდება სასაფლაოების რაოდენობა?

— არასდროს მიმიქცევია ყურადღება.

— ყურადღებას თურმე მხოლოდ მაშინ აქცევ, როცა შენთვის ძალიან ახლობელ ადამიანს ბინას ახალ სასაფლაოზე მიუჩენენ.

— ასეთი შემთხვევა არ მქონია.

— საშინელებაა, როცა სასაფლაოზე ეულად ტოვებ შენს საყვარელ ადამიანს. უფრო ცუდად გრძნობ თავს, როცა შემდეგ მოსვლაზე ხედავ, სულ რამდენიმე დღეში როგორ ამობურცულან ირგვლივ ახალი საფლავეები. კიდევ ცოტა ხანი და მთელი სასაფლაო უკვე გადავსებულია. ეს საშინელებაა!

თუმცა ასეთმა თავანყვეტილმა ცხოვრების წესმა, გაუტანლობამ, სიძულვილმა, ერთმანეთის ადვილად გამეტება და ძალმომრეობამ რა სიკეთე უნდა მოუტანოს ადამიანს!

სულ ახლახან მივაბარეთ მიწას ნიკა! 18 წლის. სალ-სალამათი. აი, ისეთი, თავიანთი საოცარი ადამიანური თვისებებით თითზე რომ ჩამოითვლებიან! პერსპექტიულიაო, რომ იტყვიან ხოლმე და ვის მხრებზეც საკუთარი ქვეყნის ჭირ-ვარამმა რომ უნდა გადაიაროს. ვერაფრით მოვერიე დანაშაულის შეგრძნებას, მარტოდმარტო რომ დავტოვეთ ნიკა თითქმის უკაცრიელ სასაფლაოზე.

— რა შეემთხვა?

— ქუჩაში, დილას უნივერსიტეტში მიმავალს, ზედ მწვანე შუქზე,,ზებრაზე“ შეასკდა ვილაც უსინდისო, თითქმის თავისივე ასაკის ბიჭი, რომელსაც მართვის მოწმობა სულ რაღაც ერთი კვირის აღებული ჰქონდა და მამის მანქანას მოაგელვებდა. ეს კატეგორია არა თუ მანქანის მართვას, საგზაო ნიშნებსაც არ არის დაუფლებული.

— რაო, რა თქვა დამნაშავემ?

— ნაცვლად სამუხრუჭე, გაზის პედალს დავაჭირეო ფეხი, ძალით ხომ არ მინდოდაო.

— მერე? რა საინტერესოა!

— რა არის საინტერესო? — აშკარად ვერ მოვთოკე გაღიზიანება.

— დამნაშავის ფსიქოლოგია. თუმცა პირველივე ფრაზიდან ყველაფერი გასაგებია, — თვალეზი ააფახულა ელიკომ, თითქოს თვლემდა და ერთბაშად გამოფხიზლდაო.

— ნიკას თავის ქალის ფუძის მოტეხილობა ჰქონდა, თანაც მრავალჯერადი. მთელი თვე არ ნებდებოდა და იგერიებდა სიკვდილს. მართალია, მარტო არ იყო ამ

ბრძოლაში, მასთან ერთად არა მარტო ჩვენი, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული საუკეთესო ექიმებიც მაქსიმალურად ირჯებოდნენ.

ერთადერთ მოსკოველ ექიმს დასცდენია ხმამალა, ამ პაციენტის ხელოვნური სუნთქვის აპარატში ჩართვას რა აზრი ჰქონდა, მოტივი როგორ მაინტერესებს, თანაც ეს პროცედურა ხომ დიდ თანხებს მოითხოვსო. ჩვენი ექიმების პასუხმა გატეხა მოსკოველი აკადემიკოსი.

— რაო, რა უთხრეს?

— იმდენად ახალგაზრდა და უმწეო იყო შემთხვევის ადგილიდან მოყვანილი, იმდენად ტრაგიკული, სახეზე გაოცებააღბეჭდილი, იქნებ, სასწაული მომხდარიყო და გადაგვერჩინა. უფაღს მივენდეთ! მართალია, მეცნიერული მიღწევები მსგავსი ტრამვისას პაციენტის გადარჩენის შანსს არ გვიტოვებს, მაგრამ მწარე რეალობას მეგრძობი სული დავუპირისპირეთო! სამედიცინო პრაქტიკაში სასწაულებს რა გამოლევსო!

— მერე?

— ჩვენს შემთხვევაში არ მოხდა ეს სასწაული!

— როგორი იყო დამნაშავეს მხარის პოზიცია. ამ დროს როგორი რეაქცია აქვთ ხოლმე დამნაშავეს ოჯახში?

— აბა, როგორ გითხრა. იმ ერთი თვის განმავლობაში ჰოსპიტალში ყოველდღე მოდიოდა დამნაშავეს მამა, საეკლესიო პირი — მღვდელი, უმეტესწილად ერთ ან ორ მეგობართან ერთად და ლოცვებს კითხულობდა ნიკასთვის. მოდიოდა გვიან. აზრი ორად გაიყო: ვილაცებს, ერთ ნაწილს, მოსწონდა მისი ეს ჟესტი. მეორე ნაწილი ამაში მხოლოდ სიყალბეს ხედავდა.

— ლოცვა და სიყალბე?

— არა, ეს არ მიგულისხმია. ის რომ უფაღს ავედრებდა ნიკას სიცოცხლეს და მისი გადარჩენა რომ გულით უნდოდა, მე პირადად ამაში ეჭვი არ მეპარება. უბრალოდ, ხალხი ჭრელია და იმას მიაქციეს ყურადღება, რომ ის მღვდელთმსახური გვიან ღამე, ერთსა და იმავე დროს, სწორედ მაშინ მოდიოდა, როცა ნიკას ოჯახის გულშემატიკვრები მოზღვავებოდნენ ხოლმე. ლოცვას ჩუმიად თავისთვის წაიკითხავდა და მეგობრებთან ერთად შეუმჩნეველად ტოვებდა იქაურობას.

თბილისი, მართალია, ეთნიკურად მრავალფერადი ქალაქია, მაგრამ სიყალბეს არავის პატიობს! სულ რამდენიმე დღეში აჩურჩულდა ხალხი, ბრალდებულს, რომელიც სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე აიყვანეს, ორ დღეში აღკვეთის ღონისძიების სახით 7000 ლარიანი გირაო შეუფარდესო. შემდეგ ვილაცას არ დაეზარა და სულ დეტალებში ჩამოაგვირისტა, მრევლმა სასწრაფო წესით შეუგროვა ფული მღვდელს,,გვერდში რომ დადგომოდა“ და რომ ბიჭი როგორმე ოთხკედელში არ დარჩენილიყო.....

— დავიჯერო, მრევლში არავინ აღმოჩნდა, ვინც უხერხულობას იგრძნობდა და მორიდებით შებედავდა მინც, უხერხულია, მამაო, ნუ დაძაბავთ სიტუაციასო?

— ალბათ, არ გამოერია...



შემდგომი დღეები ნიკას ოჯახის წევრებისთვის იარაღიერი ბრძოლა იყო გაუსაძლის ტკივილთან, უკიდუგანო მწუხარებასა და გაოცებასთან.... ყვავილების ზღვა ჩუმიად მოასრიალებდა ათასფრად აბრიალებულ ტალღებს. აწყდებოდნენ ეს თავმომწონე ტალღები ნიკას სასახლეს და სუნთქვა ეკვროდათ.... შემდეგ უბოდიშოდ ნთქავდნენ ოთახს და უკანვე, გასასვლელისკენ იკვლევდნენ გზას. მიცოცავდნენ კედლებზე, ისევ ქვემოთ ეშვებოდნენ, ეხვეოდნენ კიბის სახელურებსა და საფეხურებს. არ ჰყოფნიდათ სივრცე და კისრისტეხით გარბოდნენ გარეთ. არც ქუჩას ინდობდნენ და აღმა-დაღმა მიუყვებოდნენ ქვაფენილებს... მთელ ბახტრიონის ქუჩას..... ხალხი მონინებით არიდებდა თავს თავნება, ურჩი ყვავილების ტალღებს... იდგნენ დამნაშავეებივით... ენანებოდათ ასე უბრალოდ დამარცხებული სიცოცხლე....

ყველა თავისებურად გამოხატავდა სინანულს.... ყველა ცდილობდა, ნიკას ბოლო დღეები აქ, დედამიწაზე, ღამაში და ამაღლებული ყოფილიყო.

უკანასკნელ ღამეს, პანაშვიდზე, ბოლო მთრთოლვარე საგალობელი რომ ჩათავდა, ნიკას დედა ღიმილით მიუხახლოვდა მგალობელ გოგონებს და სთხოვა, შეესრულე-ბინათ ნიკას საყვარელი სიმღერა: „არხოტო, სამშობლო!“

გაშრნენ გოგონები. ეძნელათ ამ უბრალო თხოვნის ასრულება. ხელმძღვანელი თვალებით ემუდარებოდა თითოეულს, ცრემლს მორეოდნენ. შეუძლებელი არაფერი ყოფილა ამ ცოდვილ მიწაზე და ჭერს შეაწყდა სიმღერა, რომელმაც ნიკას ათი წლის ასაკში პირველად აგრძნობინა სამშობლოს სიღიადე და მისი უღალატობა.

თითოეული ფრაზა წარსულში აბრუნებდა თვალეგაბრწყინებულ დედას. მის წარმოსახვაში პატარა, დიდგულა ნიკა მაშინდელივით, ახალწასწავლი სიმღერით ბებოს დაბადების დღეს ულოცავდა და მონდომებით თავმომწონებოდა მათ წინაშე....

სხვა რა გზა ჰქონდა შვილმკვდარ დედას! მსგავსი მოგონებებით უნდა გაეგრძელებინა არსებობა.....

სულ ცოტა ხნის წინ ნიკა სიზმარში ეწვია დედას. თითქოს გაიხარა ნიკამ დედის დანახვაზე და ხელეზამ-ლილი მიეჭრა, მაგრამ წამიერად მიხვდა, რომ ეს შეხვედრა რეალური არ იყო და შედგა. მისი თვალები ვერ ფარავდნენ სინანულს მათი განშორების გამო. ენანებოდა დედა მისი უცაბედი, მოულოდნელი ფერისცვალებით შეძრული. ესმოდა, ამ ტკივილით როგორ უჭირდა დედას ცხოვრება და მორიდებით გადაეხვია.

დედამაც აჩქარებით ჩაიკრა გულში თავისი ნიკა, თითქოს იცოდა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ წამები გაგრძელდებოდა და უნდოდა მოესწრო, შეეტყო,,იქ“ ხომ ყველაფერი კარგად იყო, ხომ არაფერი უჭირდა, რითი შესძლებდა მის დახმარებას.

— დედა, იცი,,იქ“ რამდენი პატარაა, ჩემზე პატარები? ძალიან ბევრი... — მხოლოდ ეს უპასუხა გულდანყვეტილმა ნიკამ და გაქრა. ისე უცებ გაქრა, დედამ ვერაფერი შეიტყო ნიკას ,,იმ“ ცხოვრების შესახებ, გარდა იმისა, რომ მის კეთილშობილ ნიკას,,იქაური“ პატარები ენანებოდა და მათი ბედისწერა აღელვებდა.

— ისინი?

— ვინ ისინი?

— დამნაშავეს ოჯახი.

— ეშმაკს მიჰყიდეს სული!

— როგორ? რანაირად?

— სხვა რა დავარქვა, არ ვიცი. ნიკას დასაფლავებიდან სულ რაღაც ორ დღეში ნიკას დედას ბარათი მოუტანეს დამნაშავეს მამისგან.

— რაო?

— თქვენ თუ განცხადებით მიმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს, რომ არ აღძრავთ საჩივარს მომხდართან დაკავშირებით, საქმე დაიხურებაო. მირჩევნია, ჩემი შვილი სახლში მყავდეს, მშვიდად ვიქნებო!

— ?!

— ხო, აი ასე! უსამართლობა, უღმერთობა... ყველაფერი ერთად ყალყზე შემდგარი ბოხოქრობს.

— არ მინდა ამის დაჯერება!

— შენი ნებაა. მაგრამ მე მაინც ბოლომდე გეტყვი!

— ?!

— როცა ბრალდებულს სასამართლოზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა და სასამართლო დარბაზშივე დააპატიმრეს, მამამისმა კიდევ ერთხელ ამოავლო ლაფში მღვდლის სამოსი და მუქარით დატოვა იქაურობა, ანათემას გადაეცემ მოსამართლეს, ადვოკატს და ყველასო. არა და, ხომ წარმომიდგენია, ამბიონიდან, ალბათ, როგორი რიხით ქადაგებს ,,მოყვასის სიყვარულს“!


მარსიანი

დარიანი შაადარეთ დარიანს

2019 წელს ჟურნალ "ისინდის" მე-6 ნომერში გამოვაქვეყნე კრიტიკული წერილი "ორსახოვნება ელენე დარიანისა", რომელიც ნაგვიანევი გამომხაურება იყო მკვლევარ გიორგი ჯავახიშვილის წიგნზე "ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე" (2001 წ.) ჟურნალის უკანა ყდაზე კი მოთავსებულია ჩემს მიერ შესრულებული პორტრეტი ელენე დარიანისა: ეს ყველაფერი "ისინდის" რედაქტორის, იკა ქადაგიძის ინიციატივით მოხდა. იკამ სოციალურ ქსელში საგანგებოდ მოუწოდა ელენე დარიანის თემით დაინტერესებულ პროფესიონალ ლიტერატორებს, რომ გამომხაურებოდნენ ჩემს პუბლიკაციას, რომელსაც შეეძლოთ გაცნობოდნენ უშუალოდ ჟურნალში ან ჟურნალის ვირტუალურ გვერდზე ან კიდევ, ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე შექმნილ ციფრულ გვერდზე. მაგრამ არავითარი გამომხაურება არ გვინახავს. არადა, ელენე დარიანის თემა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში დროდადრო მძაფრად გააქტიურებული სახით წამოიჭრება ხოლმე. ასე მოხდა, მაგალითად, მეოცე საუკუნის მიწურულს, როცა გიორგი ჯავახიშვილის კვლევის შედეგად "აღმოჩნდა", რომ პაოლო იაშვილის ლირიკის ერთი ციკლი "ელენე დარიანის დღიური" ეკუთვნის არა პაოლო იაშვილს, არამედ ფართო საზოგადოებისათვის უცნობ პოეტს ელენე ბაქრაძეს, იგივე ბერიშვილ-ქართველიშვილს (მისი ორი მეუღლის გვარებია). ამ სენსაციურმა ვერსიამ ცხარე კამათი გამოიწვია საზოგადოებაში მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის (თუმცა მე პირადად იმჟამად რატომღაც ვერაფერი შევიტყვე ამ პოლემიკის შესახებ). აგერ ახლახანს კი, ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თუ ორი წლის შემდეგ ლიტერატურის მუზეუმს (დირექტორი ლაშა ბაქრაძე) გამოუცია სქელტანიანი წიგნი, რომელშიც გაერთიანებული ყოფილა ელენე ბაქრაძის პირადი წერილები, ჩანაწერები, მოგონებები, რომლებიც ალბათ ელენე ბაქრაძისა და ელენე დარიანის იგივეობას მიანიშნებენ თუ ადასტურებენ და, რაც მთავარია, ამ წიგნში ელენე ბაქრაძის ლექსებთან ერთად ის ცნობილი დარიანული ციკლის თოთხმეტი ლექსი შეუტანიათ, რომელიც ტრადიციის თანახმად პაოლო იაშვილის პოეტურ მისტიფიკაციად იყო მიჩნეული. და კიდევ ერთი უცნაური ფაქტი - ამ წიგნში გამოქვეყნებულ ლექსებს შორის ანა კალანდაძის ორი ლექსიც მოხვედრილა! ამის გამო ატყდა დიდი სკანდალი და კულტურის მინისტრთა ნულუკიანის მოთხოვნით წიგნის თითქმის

მთელი ტირაჟი ამოღებულ იქნა სავაჭრო ქსელიდან, როგორც არამიზნობრივად დახარჯული თანხის პროდუქტი. მინისტრის განცხადებით, საჭიროა გასხვავებული აზრის მქონე პროფესიონალების მონაწილეობით მოხდეს დისკუსია-დიალოგი ამ თემაზე, რადგანაც მათი დაკვირვების თანახმად, ლიტერატურულ მუზეუმს ჩვევად ექცა, ელენე დარიანს (ელენე ბაქრაძე იგულისხმება. ავტ.) მიანეროს არა მხოლოდ პაოლო იაშვილის, არამედ ანა კალანდაძის, გრიგოლ რობაქიძის, ანა ახმატოვას და სხვათა ლექსები... მინისტრმა მუზეუმის დირექტორის სამსახურიდან გადადგომის საკითხიც დასვა; ამ ფაქტით აღშფოთებულმა საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ კოტე ყუბანეიშვილი, გიორგი რურუა, ლაშა ბულაძე, ტორესა მოსი და სხვები, ლიბერალური შეხედულებებით ცნობილი პერსონები. მათ თვით მინისტრის გადადგომა მოითხოვეს... საკმაოდ ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ლიტერატურული პრობლემებით და კერძოდ ელენე დარიანის საკითხით არ შემოიფარგლებოდა მთელი ეს ვნებათაღელვა. აქ უკვე პოლიტიკური ინტერესებიც ჩანს - ლიბერალური მიმართულება უპირისპირდება, ასე ვთქვათ, შედარებით კონსერვატიულს, ელენე დარიანის თემა ამ შემთხვევაში თავისებური შირმაა "ოპოზიციონერებისათვის", რომლებიც გარკვეული პიროვნების გარკვეულ თანამდებობაზე ყოფნა თავიანთი მიზნების აღსრულებაში დაბრკოლებად ესახებათ.

მწერალ თამთა მელაშვილს წიგნი გამოუცია ელენე დარიანის შესახებ და აქ საკითხი ფემინისტურ ჭრილში ყოფილა განხილული: ალბათ იგულისხმება ელენე დარიანად მიჩნეული ელენე ბაქრაძის შევიწროება თუ იგნორირება მამაკაცი კოლეგების მიერ, მისი დარიანობის არაღიარება; ამ წიგნზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ წამიკითხავს, მაგრამ მთელ ამ შეხლა-შემოხლაში ელენე დარიანის თემაზე, როგორც ჩანს, ფემინისტური აქცენტები საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება; აბა სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ იმ აზრის დამკვიდრების მცდელობა, რომ თითქოს პაოლომ ელენე ბაქრაძის ლექსები "მიითვისა"? ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ აქეთკენ კი უბიძგებენ საზოგადოებას ნებით თუ უნებლიეთ; ასევე რაღაც კლანური, თუნდაც "გვაროვნული" მიკერძობებიანიც შეინიშნება მთელ ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ბაქრაძისეულ ნარატივში", თუმცა აქვე ისიც არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ სწორედ ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ბიბლიოგრაფ გიორგი ბაქრაძეს შეუდგენია თავის დროზე (1926 წელს) "ქართული ფსევდონიმების" ნუსხა, სადაც მხოლოდ ისეთი



ფსევდონიმებია შეტანილი, რომლებიც წამდვილად ეკუთვნის ამა თუ იმ ავტორს და ამ ნუსხაში "ელენე დარიანი" პაოლო იაშვილის ფსევდონიმად არის გამოცხადებული. ცნობილი კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, რომელიც ამ კამათში აქტიურად ჩაერთო და არაერთი ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნაც გააკეთა, სანდოდ მიიჩნევს გიორგი ბაქრაძისეულ ინფორმაციას; პაოლო იაშვილის შთამომავლებიც ადასტურებენ, რომ "ელენე დარიანი" წამდვილად არის პაოლოს ფსევდონიმი; ცისფერყანწელთა ორდენის ცნობილი მკვლევარი ლალი ავალიანი წლების წინათ მიუთითებდა არაერთ წყაროზე, რომლებითაც უეჭველად დასტურდება პაოლოს "დარიანობა": ერთ-ერთი ასეთი წყაროა პაოლოს შვილიშვილის, მერაბ ნიჟარაძის მიერ მოწოდებული უბის წიგნაკი, რომლის ყდაზე იკითხება პაოლოს ხელით წაწერილი მიძღვნა "თამარ იაშვილს", ხოლო ქვემოთ მთავრული წარწერაა "ელენე დარიანი". მკვლევარი ასკვნის, რომ პაოლოს სურდა დარიანული ციკლი წიგნად გამოეცა და თავისი მეუღლისათვის, თამარისათვის მიეძღვნა, თუმცა ეს ჩანაფიქრი მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა. ასევე საყურადღებოა მკვლევარ ზეინაბ ლომჯარიას ნაშრომი "ელენე დარიანი - უვიცობის ტოლფასი" "უნებლიე შეცდომები", რომლის მიხედვითაც ბევრი რამ ხდება საჩინო.

ელენე დარიანის თემაზე ამ ბოლო დროს წამოჭრილ აჟიოტაჟს იკა ქადაგიძეც ოპერატიულად გამოეხმაურა ინტერნეტში საგანგებო სტატუსით და საზოგადოებას კვლავ შეახსენა ჟურნალ "ისინდში" გამოქვეყნებული ჩემი წერილი: მან ამ ვნებათაღელვების პოლიტიკურ ჭრილში გადატანაც მკაფიოდ, დამაჯერებლად ამხილა და იმ გარემოებასაც გაუსვა ხაზი, რომ მოკამათებს ხშირ შემთხვევაში არც კი აინტერესებთ მათგან განსხვავებული აზრის მქონეთა პუბლიკაციების გაცნობა და არ ცდილობენ იმ კლასიკური პრინციპის დაცვას, რომლის მიხედვითაც "კამათში იბადება ჭეშმარიტება";

მიუთითა, რომ ჩემს წერილში ტექსტების ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნებია გამოტანილი, რომელთა გაზიარება ან არგაზიარება შეეძლოთ კამათში ჩართულ სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებს; მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ჩემი წერილი კვლავ არავის უხსენებია, თითქოს არც არსებობდეს. არ მესმის რა არის ამის მიზეზი, იქნებ ის, რომ მე ამ დაპირისპირებულთა შორის არცერთ მხარეს არ ვეკუთვნი, რადგან ჩემიველი ვერსია პრინციპულად განსხვავებული ხასიათისაა - იგი სწორედ ამ დაპირისპირებულობას უპირისპირდება. როდემდე შეიძლება ეს მონოპოლისტურ "მე ვარ და ჩემი ნაბადი" გრძელდებოდეს ჩვენს მწერლობაში?!

ყოველივე ამის აღნიშვნის შემდეგ ვაპირებ კიდევ დამატებითი არგუმენტები მოვიშველიო ჩემიველი ვერსიის გასამყარებლად. ორ ბანაკად გაყოფილ მოკამათეებს ხომ "ან-ან" პრინციპი აქვთ არჩეული - ან მხოლოდ პაოლო იაშვილს ეკუთვნის ფსევდონიმი "ელენე დარიანი" ან მხოლოდ ელენე ბაქრაძეს; მე კი განსხვავებული აზრი შემექმნა, როცა გ.ჯავახიშვილის ნიგნში წარმოდგენილი ზოგი დარიანული ლექსის სხვადასხვა ვარიანტი ერთმანეთს შევადარე: ჩემი დაკვირვებით ამ ვარიანტებს ორი სხვადასხვა ავტორი ჰყავს, აქ ორი ურთიერთისგან განსხვავებული ხელწერა მუდგანდება. დარიანული ციკლის საბოლოო ვარიანტები, რომლებიც ტრადიციულად პაოლო იაშვილის პოეტურ მისტიფიკაციად არის ცნობილი, გამოირჩევა ფორმის სრულყოფილებით, მათ პროფესიონალის, ოსტატის ხელი ეტყობა და ეს ხელწერა აშკარად პაოლო იაშვილისეული გახლავთ. ელენე ბაქრაძის არქივიდან მოტანილ ვარიანტებში კი თუმცა ნიჭიერი, მაგრამ სალექსო ტექნიკაში გაუნვრთნელი დილეთანტის ხელწერა აშკარავდება. და თუ ამ ვარიანტების ავტორი ნამდვილად ელენე ბაქრაძეა, მაშინ "ელენე დარიანი" ორივე ავტორის-პაოლო იაშვილის და ელენე ბაქრაძის საზიარო ფსევდონიმი ყოფილა; ჰოდა, დარიანი შევადაროთ დარიანს, განა ჭეშმარიტების დასადგენად ტექსტურ ანალიზზე უკეთესი გზა არსებობს? ისე ნუ დაგვემართება, როგორც ერთ ხალხურ ანდაზაშია: "ძალი კურდღელს ხედავდა და მაინც ნაკვალევს მისდევდაო"...

მე ხელახლა მომიხდება ერთ-ერთი დარიანული ლექსის ორი ვარიანტის აქ მოტანა, რათა მკითხველს თვალნათლივ დავანახო, რის საფუძველზე გამომაქვს ჩემი დასკვნები: აქ ნაწილობრივ წინა წერილში უკვე ნათქვამის გამეორებაც მომიხდება, მაგრამ უფრო საინტერესო ალბათ ახალი, ფსიქოლოგიური ხასიათის დაკვირვება იქნება, რომელიც, ვფიქრობ აშკარაა იმ ფაქტს, რომ პირველი ვარიანტის

ავტორი ქალია, ხოლო მეორე, გადამუშავებული ვარიანტი მამაკაცს ეკუთვნის.

ოღონდ აქ ბარემ ერთიც ვთქვათ - ელენე ბაქრაძის არქივში აღმოჩენილი დარიანული ლექსების ვარიანტები ნამდვილად ელენე ბაქრაძეს ეკუთვნის თუ არა, ამის დაზუსტება არქივზე მომუშავე სპეციალისტ-მკვლევართა საქმეა: ხომ შეიძლება ხსენებული ვარიანტები უბრალოდ ელენე ბაქრაძის ხელით გადანიშნული ვინმე სხვა ავტორის ლექსები იყოს; თუმცა ეს მხოლოდ თეორიული დაშვებაა, ამ ქალბატონის ავტორობაში რომ სერიოზულად ეჭვი მეპარებოდეს, მაშინ რატომღა დავარქმევდი "ელენე დარიანის პორტრეტს" ჩემს მიერ ელენე ბაქრაძის ფოტოსურათის მიხედვით შესრულებულ ნახატს.

ახლა უშუალოდ ვნახოთ ერთი ლექსის ორი ვარიანტი. ელენე ბაქრაძის არქივში აღმოჩენილი ვარიანტი ასეთია:

"აი მოვიხსენ ტანზე საფარი!

გადახსნილ მხრებსაც მოენატრა შეხება შენი ვნებთან გზაზე ჩამოხველდა, არ ჩანს არავინ, ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი. ჩამეძინება... სიზმრებია ზანტი და მდორე დამინყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები ძილში ვიღაცა დამაკვდება,მეამბორება, ვნების სურვილით მელუნება მწარედ მუხლები. დილის რიყრაყი გამომტაცებს ცხელ ადამიანს ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი კვლავ მოემატა, და გამწარებულს უცხო კოცნით ქალ-ადამიანს გონზე მომიყვანს ბუხრის ძირში გამთბარი კატა" პაოლო იაშვილის ნიგნებში კი "ელენე დარიანის დღიურად" ნოდებულ ციკლში ამგვარად გადამუშავებული ვარიანტია შეტანილი

"უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი,

დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი, სავნებო გზაზე სიზნელეა, არ ჩანს არავინ, სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი. დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები; ძილში ჩემ მუცელს ვიღაც ვაჟი ეამბორება და ვნებისაგან ილუნება ჩემი მუხლები. მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს (ჩემ შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა)

და დაღონებულ ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კატა"

ვგონებ ცხადია, რომ პირველი ვარიანტი შორსაა დახვეწილობისა და სიზუსტისაგან, მეორე კი იმდენად სრულყოფილია, რომ უდავოდ ნამდვილი ოსტატის, პროფესიონალის მიერ არის დამუშავებული. ასეთი ოსტატი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა იმგვარ დილეთანტურ უზუსტობებს,

როგორცაა "გადახსნილი მხრები", "ვნების სურვილი", "კოცნით გამწარება", "ქალ-ადამიანი"... ოსტატი ასეთ რამეს შავ, დაუმუშავებელ ვარიანტშიც კი არ დაუშვებდა. ამკარაა, რომ ამ ტექსტებს ორი სხვადასხვა ავტორი ჰყავს და ჩემი დაკვირვებით პირველი ავტორი უთუოდ ქალია, მეორე კი - მამაკაცი. დავაკვირდეთ: პირველ ტექსტშია "დამინყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები". პირველი ავტორი საკუთარ გულზე (რომელშიც მისი მკერდიც იგულისხმება და მისი ემოციაც) ამბობს "დამინყნარდებაო", ხოლო ამ ტექსტის გადამმუშავებელს "გულის" მაგივრად "მკერდი" შემოაქვს და ამბობს, რომ ეს მკერდი "დამშვიდდება". ჯერ ერთი "მკერდი" "გულთან" შედარებით უფრო ხაზგასმულად ფიზიკური, თვალსაჩინო რეალიაა (მამაკაცისათვის ვიზუალურად მიმზიდველი!) და მეორეც - ეს "მკერდი" თავისებური დისტანციიდან არის დანახული: ვინც გრამატიკის ნიუანსებში ერკვევა, მისთვის ადვილად გასაგებია, რომ "დამინყნარდება" უფრო უშუალოდ გამოხატავს ლირიკული გმირის განცდას, ვიდრე "დამშვიდდება". იგივე ვითარებაა მომდევნო სტრიქონშიც: პირველი ავტორი (ქალი) ამბობს: "ძილში ვილაცა დამაკვდება, მეამბოროება ვნების სურვილით მეღუნება მწარედ მუხლები". მეორე ავტორს კი (მამაკაცს) აქაც ფიზიკური დეტალი "მუცელი" (მამაკაცისათვის ვიზუალურად მიმზიდველი) შემოაქვს - "ძილში ჩემ მუცელს ვილაც ვაჟი ეამბოროება და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები". აქაც, როგორც ვხედავთ, პირველი ვარიანტის "დამაკვდება", "მეამბოროება", "მეღუნება" უფრო უშუალოდ გამოხატავს ვნებააშლილი ქალის განცდას, ხოლო მეორე ვარიანტში ისევ დისტანციის მომენტი ჩნდება - "ეამბოროება", "იღუნება"; მართალია ლექსის გადამმუშავებელი ოსტატიც პირველ პირში ალაპარაკებს ლირიკულ გმირს და ამდენად მისი ტექსტიც ქალის მონოლოგს წარმოადგენს, მაგრამ აქ ქალის მიერ საკუთარი განცდის უშუალო გამოხატვას ქვეცნობიერად მამაკაცის მიერ ქალის სხეულის ეროტიული აღქმაც ენაცვლება... ვფიქრობ ფსიქოლოგიაში ასე თუ ისე ჩახედული მკითხველი ამ დაკვირვებასა და მისგან მიღებულ დასკვნას სერიოზულად მოეკიდება და ალბათ კიდევ გაიზიარებს.

ასე, რომ, ჩემი აზრით, ფსევდონიმი "ელენე დარიანი" საზიაროა, ორ პიროვნებას ეკუთვნის - ქალსა და მამაკაცს. არ ვიცი ეს ვერსია რატომ არ უნდა იყოს მისაღები კამათის მონაწილეთათვის? განა ამით ელენე დარიანის ფენომენი უფრო მეტ რომანტიკულ მიმზიდველობას არ იძენს? ნუთუ საკუთარ შეხედულებებში კორექტივის შეტანა ასე

ძნელია, მითუმეტეს, რომ ამ ვერსიის გაზიარებით არავისი კვლევითი დამსახურება არ უფასურდება?

ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, იმ თოთხმეტი დარიანული ლექსიდან მხოლოდ რამდენიმეს შავი ვარიანტია ცნობილი, დანარჩენი კი შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნოდეს და ელენე ბაქრაძის პრეტენზია თოთხმეტივე ლექსის ავტორობაზე სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მითუმეტეს, რომ, როგორც ირკვევა, ეს მშვენიერი ქალბატონი მოხუცებულობის ჟამს ცდილობდა თავისი პოეტური ბიოგრაფიის თავისებურ "შელამაზებასა" თუ "გამითიურებას" და ამდენად, მისგან მოწოდებული ცნობების გადამონმება და დაზუსტება უთუოდ საჭიროა; მაგრამ ასეა თუ ისე, ფსევდონიმ "ელენე დარიანის" საზიაროობა ორ ავტორს შორის რამდენიმე ლექსში მაინც ჩანს. დანარჩენ ლექსებთან დაკავშირებით კი ალბათ კვლევა უნდა გაგრძელდეს...

ელენე ბაქრაძის "ელენე დარიანად" შერაცხვით პაოლო იაშვილის "ელენე დარიანობა" სრულიადაც არ უარიყოფა. პაოლოს როლი ორ ვარიანტად წარმოდგენილ დარიანულ ლექსებთან მიმართებაში მხოლოდ რედაქტორის ფუნქციით ვერ განისაზღვრება, ეს არსებითად თანაავტორობა გახლავთ, რადგან აქ ოსტატს უდავოდ ახალ ხარისხობრივ სიმაღლეზე აჰყავს პირველავტორისეული დილექტანტური ტექსტები, ანუ პოეტურ ნახევარფაბრიკატებს სრულყოფილ ქმნილებებად, გნებავთ, შედეგრებადაც აქცევს, როგორც უკვე, პირველ ნერილშიც ვაცხადებდი.

21.03 -3.04. 2022

იკა ქალაპიძე

დარიანული ავტარი

ყველაზე ხმაურიანი ბოლოდროინდელი ლიტერატურული სკანდალიდან გამომდინარე, დარიანულ ავტარზე ორიოდ სიტყვას მოკრძალებით დავასვლებ; ამ თემის ამსახველ წერილს საზოგადოება ყველაზე მეტბოლი, ეროვნული ჟურნალის: "ისინდის" ფურცლებზე გაზაფხულზე იხილავს; აქვე დავაზუსტებ, რომ დარიანის თემას 2018 წელს მარსიანმა ბრწყინვალე წერილი მიუძღვნა, რომლის სახელწოდება: "ორსახოვნება ელენე დარიანისა" ზუსტად მიუთითებს, რომ სტატია ლიტერატურული მისტიფიკაციის ირგვლივ ამტყდარი მრავალწლიანი უშედეგო კამათის საგულისხმო შეჯამებაა, სადღეისოდ სრულიად სხვა ასპექტით რომ იფეთქა. მარსიანის წერილში 14 სად-

აო ლექსის პროფესიული ტექსტური ანალიზის საფუძველზე მყარადაა დასაბუთებული, რომ გახმაურებული დარიანული ციკლის ავტორი (14 ლექსს ვგულისხმობ) ელენე ბაქრაძის მეგობარი, ცნობილი ცისფერყანწელი პოეტი პაოლო იაშვილია, რასაც მისი თანამედროვე კოლეგების უმრავლესობა ადასტურებს, თუმცა ჩვენში ორ ბანაკად დაყოფის ტრადიციას რა აღმოფხვრის. შესაბამისად, ამ ნიადაგზე წარმოებულ უწყვეტ და რაც მთავარია, ფუჭ პაექრობას დასასრული არ უჩანს. საკუთარი კომპეტენციის წარმოსაჩენად და “კონკურენტის” ჩასაძირად ზოგი დარიანს ემხრობა, ზოგი პაოლოს გულშემატკივრობს და ამ სუბიექტური განცდების ბოპოქრობის ფონზე ლიტერატურათმცოდნეების ნაშრომების გათვალისწინებას საშველი არა და არ დაადგა; არადა, მკვლევართა მიერ გამოტანილ არც თუ სახუმარო მეცნიერულ დასკვნებს ზურგს ტექსტური ანალიზი უნდა უმაგრებდეს, რის გარეშეც ავტორის სტილის დადგენა ოდენ ლამაზი თვალების უსარგებლო ბრიალისა და უსაგნო ემოციური ხმაურის საექვო ამოძახილია. 2019 წელს, როგორც კი მარსიანის წერილი “ისინდის” მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა, პატივცემულ პუბლიკას (განსაკუთრებით კი ცნობილ მწერლებსა და კრიტიკოსებს) ვთხოვე ზემოთ აღნიშნულ სტატიას გაცნობოდნენ, ვინაიდან პოლემიკის დროს უახლეს ლიტერატურათმცოდნეობით ტენდენციებს გვერდს ვერავინ აუვლის, თუმცა 30 წელია ჩვენში ყველა სფეროში იმგვარი განუკითხაობაა, ძალიან პატრონს ვერ ცნობს და შუბლმაგარი უფიცი დილეთანტების უსასრულო თარეშის ფონზე არც გამოცდილი კრიტიკოსები ინუხებენ თავს ღირებულ წიგნებს, წერილებსა თუ საყურადღებო ნაშრომებს დროულად და დაკვირვებით გაეცნონ და სათანადოდ შეაფასონ. ტექსტების ანალიზზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ეს უკვე კლანური დაკვეთის საკითხია, რასაც კერძო სარგებელის პრინციპი წყვეტს. ამის თაობაზე ჩემი მათრახის შხულის სიხშირეს ჩემივე კრიტიკურ-პუბლიცისტული წიგნების შიგთავსი დაუფარავად გადმოსცემს და ამიტომ მოკლე მიმოხილვაში ამის შეხსენება უხერხულიცაა, ტრაბახში რომ არ ჩამომერთვას. 22 წელია ვხედავ და დღემდე მიკვირს, სამწერლო სივრცეში დასაქმებულ ადამიანებს სხვების ნააზრევის ნასაკითხად და შესაფასებლად მეტწილად რომ არასდროს სცალიათ; ყველა სათავისო პიარითაა დაკავებული და თუ რაიმეს ყურს შემთხვევით მოჰკრავენ, იცოცხლებ, ეგრევე შეუმონმებლად ებმებიან ცხარე პოლემიკაში, გააჩნია, ვინ ვის ეძმაკაცება ან ედაქალება, რასაც სრულფასოვან ლიტერატურულ დისპუტთან ოდნავი საერთოც არ გააჩნია. განათლების დონეზე ყურადღების გამახვილება უკვე მეორედ მოსვლის ტოლფასია; აკი მწერლები გოროზად ტრაბახობენ: წიგნების ნასაკითხად

სად გვცალია, ვწერთ, ვბეჭდავთ, ვმღერით, პერფორმანსებს ვდგამთ, აგერ ტიკ ტოკსაც ვიპყრობთ და იმ ძველმოდურ გუტენბერგს ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ციფრული ერა ნანერის გააზრების დროს არავის უტოვებსო. თან ეს ყოვლისმცოდნეები საბჭოური ტრადიციების განქიქებისას თავად ვისაც კიცხავენ, იმათზე უარეს შეცდომებს სჩადიან, რაც ელენე დარიანის სახელთან დაკავშირებული უახლესი სკანდალის მიზეზად იქცა. თუ საბჭოური აღარაფერი გხიბლავთ, მაშინ მუზეუმებისა და ინსტიტუტების დირექტორებად ცნობილი მწერლების შვილებსა და გარე ბიძაშვილებს რატომ ნიშნავთ და ამ მავნე ტრადიციას ვერაფრით ელევეთ?! რაო ვითომ ნიჭი, განსწავლულობა და პროფესიული უნარ-ჩვევები და ღირსება შთამომავალს მუდამ ავტომატურად გადაეცემა?! როგორც გადაეცა და რა მენად დაეცა, აგერ ფაქტი სახეზეა. მუზეუმის დირექტორი თუ რაიმე დაწესებულების ბოსი თავის საქვემევრდომოს ტურისტით დარდიმანდულად რომ ჩამოუქროლებს, ეს ტრადიცია “ცისფერ მთებში” გენიალურადაა აღწერილი. ორი სათაურისა არ იყოს, დარიანის პოეზიას რომ ანა კალანდაძის ორ ლექსს მიაკუთვნებ, ხომ ფაქტია, რომ წიგნის რედაქტორობა ისე გადარდებს, როგორც ნაცების ბელადს-ასტრონავტობა. ანა კალანდაძე პოეზიის დედოფალია თავისი განუმეორებელი სტილით, ვინმე რიგითი ლობეგლეჯიაშვილი რომ იყოს, ამ კაზუსს კიდევ გაიგებდა კაცი, მაგრამ ანას პოეტური ნიმუში ელენე ბაქრაძის ლექსში რომ აგერიოს, ეს უკვე მართლა ტიკ ტოკის თემაა და ამგვარი უპასუხისმგებლობის საპირწონედ წიგნის რედაქტორი ლიტერატურის მუზეუმის პოსტს გამწარებით კი არ უნდა ებლაუჭებოდეს და თავის დასახმარებლად ნაც აქტივისტებს უსამართლობით გულდათუთქულ მოქალაქეებად ასალებდეს და მათ შეთხზულ პეტიციას აფრიალებდეს, თან კულტურის მინისტრს პოლიტიკური აპლომბით პარტიულ ზონდერებს კი არ უსევდეს, უხმოდ უნდა კეტავდეს კარს და იქ მიდიოდეს, სადაც კუჭს კი არა, გულს მიუხარია. არადა, რას წარმოვიდგენდი, ჩემ მიერ უწყვეტად გაკრიტიკებული კულტურის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირის დაცვა თუ მომინედა?! მართლაც პარადოქსია ეს ცხოვრება: რასაც არ ელი, ზუსტად ის აგესვეტება ცხვირწინ! ვისაც არ ახსოვს, დიპლომატიურად შევახსენებ: ევროპის მოტრფიალე დერექტორმა, იმ ავბედითი ბაქრაძის მოგვარემ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ავისტოს ომში რუსის ტანკებისა და არტილერიის მოგერიება დანა-ჩანგლით რომ გვირჩია და ახლა, ხაზარაძის მწერლუკების სტუდიებიდან მწიგნობრული იმიჯით რომ გვეჭყანება, აქაოდა, ჩანგალი ჩიბუხზე გავცვალე, როგორც თავის დროზე ჯაყომ თუთუნი გადაადგო და სიგარეტი შეიშნოვო, იმ ბაქრაძის მოგვარე დერექტორმა ბაქრაძემ,

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის-აკაკი ბაქრაძის ვაჟმა, ვარდოსნების დროს რიხით დაგვჭყვივლა: რალა დროს ცხენიანი მეფეების ქანდაკებებია, ევროპამ ყველა მხედარი გვირგვინოსანი ჩამოაგდო და დროა, ბნელებო, დემოკრატიულ სამყაროს მიბაძოთო, აგერ, “გამოყრუებული ქვეყნის ბინადარმა “ დარიანი კალანდაძისგან ვერ განასხვავა და ეს შეცდომა რომ მოჰკითხეს: მერე რა, მე ყველაფერი მეპატიება, ადგეს და კულტურის მინისტრი თვითონ გადადგესო. ეგ იმ არაკს წააგავს, კატის გაზრდილი ლომის მამამ რომ ბრძანა: აბა, ჩემს შვილს ხომ არ დავსჯიო. და ჩვენი ჰუმანიტარული საზოგადოება უმაღლეს აფეთქდა, ეს ინტრიგანი მინისტრი აუცილებლად გადადგესო. ეს ელიტა ხომ პარტიულ ნიშას ვერა და ვერ ელევა, ეგრევე ატყდა: ეგ ქოცი ნულუკიანი მოვაშოროთ და ნაცი ბაქრაძე დავტოვოთ, ეგ დერექტორი უფრო გამოგვადგებაო. ერთმანეთს გარეული კატებივით წაეკიდნენ და ისეთი სიტყვები იკადრეს, შოფრები საქალაქო საპირფარეოშიც რომ არ ხმარობენ, აქაოდა ჩვენმა მწყალობელმა ლიბერასტებმა სიტყვის დემოკრატია მოგვიტანეს და ბარემ ბოლომდე ვიგრილოთ, ვერვინ გაიგებსო. არადა, იმ ჩვენი ცოდვით სავსე მინისტრის ვერდიქტში ნათქვამია, რომ 2021 წლის 31 დეკემბრიდან მასთან აღშფოთებული მოქალაქეების სატელეფონო ზარები არ წყდება დარიანულ ავდართან დაკავშირებით: ბედი არ გინდა, როგორ არ გაუმართლათ; ვილაცამ ამ საახალწლოდ ეს 500-ზე მეტგვერდიანი წიგნი პედანტურად დააჭაშნიკა, არ დაიზარა და მის უწესრიგო შიგთავსში ბაქრაძის ლექსებად გასაღებული ანა კალანდაძის ლექსები ამოიცირო. ეცეკვა ტიკ ტოკში ან სტუმრად წასულიყო, საახალწლო ფიქრებზე დროს მაინცდამაინც წიგნის ჭიას რომ არ გადასკვნოდა. ასეთ ავარიულ შემთხვევაზე შერლოკ ჰოლმსი უთუოდ იტყოდა: ხალხნო და ჯამაათნო, დარიანის კაპიტალურ წიგნში ანა კალანდაძის ლექსი რა მანქანებით მოხვდა, ეს ამიხსენით და სხვა ჩამჭრელ კითხვებს აღარ მოგახლითო. ვირის გალიაში მწიგნობრად გარდაქმნილ მიშას თუ ჰკითხავენ, ცხადია, ამ კაზუსს ეგრევე ნულუკიანს გადააბრალებს, მამ როგორ! ნაცების ბელადმა მშობლიური ქართული მწერლობა ისე მაგრად იცის, თავისი უბადლო ცოდნა ლაშა ბაქრაძეს კოვიდით დანდობილად გადასდო და ლამის მუზეუმის დირექტორის სავარძელი დააბოლა! ეჰ! ამ კასტამ უნდა გაიმეოროს: “ არ ვდევ ჟამთასვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!” აქვე უპრიანია, ციტატას ავტორის, ტრაგიკულად დაღუპული ქართველი მგოსნის, ალექსანდრე ჭავჭავაძის გვარ-სახელი მიუთითოთ, განგებამ რუსი პოეტის, გრიბოედოვის სიმამრობა წილად რომ არგუნა, თორემ ვინძლო ამ სტრიქონებსაც ბაქრაძის ქალს მიაკუთვნებენ და მერე ბაქრაძეების საგვარეულოსთან ჭიდილს

ცხოვრებას ვილა შეაღვეს?! დარიანული ავდარი ვინც გამოიწვია, პასუხი იმანაც უნდა აგოს თუ სადმე სამართალია და საზოგადოება ჩვეულ სიმართლეს ინარჩუნებს.

და ბოლოს, აქ ნახსენებ ბაქრაძეს მე აკაკის გამოგონილი გმირი გლახუნა ბაქრაძე მირჩევნია, ბაში აჩუკურ ვნებას ჰეროიკა რომ შეუფარდა და სამშობლოსა და მადლიერ ხალხს თავი სიყვარულით დაამახსოვრა.

P.S.

12 აპრილს, კავკასიურ სახლში ელენე დარიანის ავტორობისადმი მიძღვნილ საგანგებო კონფერენციაზე (მოდერატორი ლევან ბრეგაძე) სამწუხაროდ უფლება არ მოგვცეს მარსიანსა და თქვენს მონა-მორჩილს (ქ-მა ნაირა გელაშვილმა თქვენ სიაში ჩანერილები არა ხართო, თავისი უარი ასე “ახსნა“, რამაც გამაკვირვა!) ამ საკითხის თაობაზე ჩვენი პოზიცია გამოგვეხატა (მარსიანს ძველი წერილის გარდა ახალი სტატიაც თან ჰქონდა, რომელიც ამ ნომერში გამოქვეყნდა) იმის მიუხედავად, რომ სალამოს მესვეურებმა მანამ საჯაროდ განაცხადეს, რომ გამომსვლელებს ხუთწუთიან რეგლამენტს მისცემდნენ; (ლ.ბრეგაძემ შესვენებაზეც დამიდასტურა, რომ სიტყვას მოგვცემდა) ეს “დეტალი“ ნათლად მოწმობს კლანური შერჩევითობის დაუძლეველ პრინციპს, რაც მწერლობის გაჯანსაღების პროცესს ცალსახად ეწინააღმდეგება.

20.1-2022.

ო, ძვირფასო პერონია!

მედბარ ჭილიქა

დავუბრუნდეთ ახლა ისევ გალაკტიონის განსახილველ ლექსს. თვალში საცემია გალაკტიონის ტექსტის და ბლოკის სამყაროს ქრონოტოპობის და პერსონაჟების თანხვედრა, პერსონაჟების ტრანსფორმაციის ტრაექტორიის მსგავსება. ლექსში „ერთხელ სალამოთი“ ლირიკური გმირის და ქალის შეხვედრა ხდება ორჯერ. პირველი შეხვედრის ქრონოტოპოსი - დეკადენტურ დროს და სივრცეს ასახავს: ეს არის სასაერნო ბალების და რესტორნების „ბოჰემური“ გარემო - „ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბალი“... „სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს, თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქალადს“. ანუ ქრონოტოპოსი თავისი არსით შეესაბამება ბლოკის Прекрасная незнакомка-ს ქრო-

1 დასასრული. დასაწყისი იხ. “ისინდი” 15


ნოტოპოსს. რა ხდება ამ ქრონოტოპოსში? რომანტიკული ცნობიერების ახალგაზრდა („ცხოვრებისგან დაღალული დენდი“ - ასე აღწერს მას ავტორი მომავალში, და უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე რომანტიკული ცნობიერების, დეკადენტ პოეტთან გვაქვს), - აი ეს რომანტიკული სუბიექტი, რომელიც რესტორანში დროს ატარებს მეგობრებთან ერთად, კონტაქტს ამყარებს რესტორანში შემოსულ, ახალგაზრდა, მომხიბვლელ ქალთან. მშვენიერი ქალი უცნობია (Прекрасная незнакомка) - კონტაქტი კი, რამდენადაც ხანმოკლე, იმდენად - შთამბეჭდავი. ეს ერთი შეხედვით ბანალური „გამოსაუბრება“ - ამაღლებულ და მესხიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილ ემოციურ გარღვევად (ტრანსცედენციად) დარჩება. ჩვეულებრივ, ყოფით რეალობაში გაცნობილ ქალს - რომანტიკული სატრფოს სახელი მიენიჭება: „ვერონიკა“ - არ არის სახელი ყოფითი რეალობიდან, ეს სახელი - მარადიული ხელოვნების ლექსიკონიდანაა, დანტე გაბრიელ როსეტის და ვერონეზეს სახელებს უკავშირდება. ასეთი „სახელდების აქტით“ - ბანალური პერსონაჟი, ყოფითი რეალობის ჩვეულებრივი ფიგურა - ოცნების ქალწულად წარმოსახულ მშვენიერებად გარდაიქმნება. ამრიგად, შეხვედრის სიუჟეტიც და ქრონოტოპოსიც მთლიანად იმეორებს ბლოკის მოდელს, და უფრო მეტიც - ხაზგასმით მიუთითებს ამ მოდელის იდენტურობაზე. შინაარსი კიდევ უფო კონკრეტდება და კიდევ უფრო გასაგები ხდება შემდეგ ფრაგმენტებში: „მეგობრებში მე ყველაზე ადრე / ფიქრში მყოფ ქალს, ახალგაზრდამ, მკრთალი / სალამი და თაიგული ვკადრე / და ვიგრძენი მშვენიერი ქალი“. „მეგობრებში მე ყველაზე ადრე“ - ცხადია იგულისხმება - იქვე რესტორანში, ლირიკულ სუბიექტთან ერთად სუფრასთან მსხდომი მეგობრები: „ბოჰემის სუფრა“ - ასე მოიხსენიებს ხოლმე მსგავს მეგობრულ სუფრას გალაკტიონი და მისი მონანილე „მეგობრების“ სახეში, როგორც წესი ცისფერყანწელები იგულისხმება. ლირიკულმა გმირმა პირველმა (მეგობრებზე ადრე) იგრძნო „მშვენიერი ქალი“ (Прекрасная дама) და მისი - „ჩამოსულთა მარტოობის ღრუბლი“ (რაც სიმბოლისტური, მისტიკური მარტოობის და სევდა/სილამაზის გამომხატველი ფრაზაა და იგივე ლექსიკონიდანაა, რაც „Берег очарованный и очарованная даль“). იგრძნო „მშვენიერი ქალი“ ცხადია არანაირად არ ნიშნავს უბრალოდ, ფიზიკურად მიმზიდველი ქალის შემჩნევას - „პირველმა ვიგრძენი მშვენიერ ქალი“ - გვამცნობს სხვებისათვის უხილავი, ფარული მშვენების ხილვას. მერე უკვე, ამ გამოვლენილ და პოეტის მიერ გაცხადებულ მშვენებას (ლირიკული გმირის

წარმოსახვით შექმნილ მშვენებას და არა ყოფით რეალობას) სხვებიც აღფრთოვანებით შესცქერიან - „ვადარებდით ვერონეზეს ნახატს“ - ანუ აღიქვამენ, როგორც ხელოვნების უმაღლეს ნიმუშს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს „მარტოობის ღრუბლი“ საქართველოში (ბათუმში) — „ჩამოსულთა“ თვისებაა, ანუ ჯერ უცხოა საქართველოსათვის. ლირიკულმა გმირმა პირველმა ამ „მშვენიერ ქალს“ - „მკრთალი სალამი და თაიგულიც ჰკადრა“ და „ვერონიკაც“ სწორედ მან შეარქვა. მთლიანობაში, აქ გალაკტიონის კარგად ნაცნობი ნარატივი იკითხება: გალაკტიონმა პირველმა (ცისფერყანწელებზე ადრე) გაითავისა ფრანგული და რუსული სიმბოლისტური პოეზიის ფორმა და არსი, „ჩამოსულთა მარტოობის ღრუბლი“ (ბლოკის პოეტური სამყარო) და საქართველოში პირველმა უძღვნა უკვდავი შედეგები სოფიურ სატრფოს (დოიაშვილი 2019: 4). სწორედ გალაკტიონი და არა ცისფერყანწელები, არის ის პოეტი, რომელმაც მოახდინა ქართულ ტრადიციაში სიმბოლისტური პოეზიის ინტერიორიზაცია და შედეგად - შექმნილ იქნა პოეტური ნიგნი, რომელიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიო ხელოვნების უმაღლეს ნიმუშებს უტოლდება.

„რევოლუციური პეტროგრადი“ - მეორე ქრონოტოპოსია, რომელშიც ხორციელდება ლირიკული გმირის შეხვედრა „სატრფოსთან“ და ესეც, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, - გვიანდელი ბლოკისათვის უმნიშვნელოვანესი ქრონოტოპოსია. რა მოსდის გალაკტიონის ლირიკულ გმირს და სატრფოს სახეს ამ ქრონოტოპოსში? ჯერ ქალის სახის ტრანსფორმაციას მივადევნოთ თვალს. პირველი, რასაც ვამჩნევთ, არის ისევე პარალელიზმი ბლოკთან: რომანტიკული სახის დემითოლოგიზაცია, დამინება, თუ გნებავთ გაბანალურებაც - ხდება იგივე წესით და იგივე სემანტიკური კოდის გამოყენებით, რაც ბლოკთან: იცვლება სახელდების წესი - რომანტიკულ, ამაღლებული რეგისტრის სახელს („ვერონიკა“ გალაკტიონთან, - „მშვენიერი ბანოვანი“ ბლოკთან) ცვლის ყოფითი, ბანალური, რომ არ ვთქვათ - ვულგარული ჟღერადობის კინობითი სახელები (ვერკა - გალაკტიონთან; კატკა - ბლოკთან). ამ პირველ შთაბეჭდილებას მოსდევს სიუჟეტის უფრო ღრმა გააზრებაც - აი როგორ აქვს დახატული თავისი პერსონაჟი გალაკტიონს: „ერთ ქალს მხარზე გადაედო თოფი და გარს ერტყა მეგობრების გუნდი“ - ბლოკის „თორმეტთან“ პარალელს თუ გავავლებთ, ეს სახე უფრო შეესაბამება „პეტრუხას“, რევოლუციის სხვა თერთმეტი მოციქულით გარემოცულ მკაცრ და უხეშ ფიგურას, ახალი, რევოლუციური რეალობის სახეს. რაც შეეხება ლირიკულ გმირს, მისი

პოზიცია, სცენარით მისთვის განწერილი როლი - ბლოკის პიესას თუ მივყვებით, - უფრო უნდა შეესაბამებოდეს - დეკადენტი პოეტის გროტესკულ ფიგურას პოემიდან „თორმეტნი“. გალაკტიონთან ეს როლი ინტერპრეტირებული არის ინტონაციურად განსხვავებულად, - არაგროტესკულად და ეს ინტერპრეტაცია უახლოვდება ბორის ლავრენიოვის გმირის - არისტოკრატი ოფიცრის სახეს. ბლოკის პიესაში როლები ასეა განაწილებული: პოეტი (დეკადენტი პოეტი) - ისევე როგორც ქალური პერსონაჟი (მეძავი, - რეალობის ბანალური სახე, რომლისგანაც პოეტის წარმოსახვა ძერწავდა იდილიური მშვენიერების სახებას) იღუპებიან, როგორც ძველი სამყაროს ნაწილი. ახალი სამყაროს სახეს წარმოადგენს - მეზობლი, რომელიც არ იღუპება რევოლუციურ სტიქიაში, სძლევს მას და რომელიც ახალი ადამიანის და ახალი სამყაროს პერსპექტივას ხსნის. გალაკტიონთან შენარჩუნებულია ეს ინვარიანტული სტრუქტურა, მაგრამ ლავრენიოვის მოთხრობის გავლენით, სხვაგვარად არის გადაწინააღმდეგებული როლები: ძველ, დასალუბად განწირულ სამყაროს წარმოადგენს ისევ - ლირიკული გმირი, პოეტი არისტოკრატი - ამ როლის არა გროტესკული, არამედ ტრაგიკული ინტერპრეტაციით. ხოლო ძველის დამანგრეველი - ახალი, რევოლუციური რეალობის სახეს წარმოადგენს - ისევ მეზობლი, მაგრამ ამჟამად ეს - „მეზობლი ქალია“.

სიუჟეტში გახსნილი კონფლიქტის პრობლემატიკა დიდი ხნის განმავლობაში აწვავდა გალაკტიონს და ამ თემაზე მას საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროზაულ მეტატექსტებშიც. კერძოდ, აქ გვახსენდება მოკლე წერილი „რომანტიზმი“ (ტაბიძე 1925;), რომელიც გალაკტიონის ჟურნალის მე-2 ნომერში დაიბეჭდა. ვფიქრობ, ეს წერილი - უფრო გასაგებს გახდის „დაღლილი დენდის“ სახის და რეალობასთან მისი კონფლიქტის არსს: „რომანტიზმის უნაზესი ელფერი კვდება პოეზიაში. საბრალო მენესტრელისთვის ადგილი არაა დედამიწაზე ... საბედისწერო ბრძოლაში ეცემიან შვენიერების უერთგულესი რაინდები. პოეტის დაუკმაყოფილებელი სული იხუთება თანამედროვეობაში. ... ამაოდ გვწყუროდა იდეალი და ჰარმონია. ჩვენ ვცხოვრობდით იდუმალებისა და სასწაულის მოლოდინში. ჩვენში დაუცხრომელი იყო წყურვილი: მეტაფიზიკური თავის დაღწევა განსაზღვრული აქაური არსებობისაგან. ... ვერავითარი მიწიერი ხმა ვერ მავინწყებდა იმ ზეციურ ხმებს. მწუხარება ვაკენროდერის... ზმანებები ნოვალისის. მაგრამ იმ დროს რომანტიული ირონია კიდევ აძლევდა პოეტს საშუალებას, ამაღლებულიყო საბოლოო საგანთა



ქვეყანაზე. ჩვენს დროში კი (შემოიჭრა მეცნიერება, შემოიჭრა სოციალიზმის იდეები). ... ცხოვრება მეოცნებეთა ეხლა მკაცრი და დაუნდობელია. ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამნაცრებელმა დრომ. მათთვის, ვინც არ იცის ბრძოლა, ეს დრო სიკვდილის მომასწავებელი დროა. გაჰქრა შემთხვევით მოსული მოხეტიალე ჟონგლერი, რომელმაც ნაზი სიმღერით შეაშფოთა გრაფინია იზორას სული. იგი დასჭვნა, როგორც „ცისფერი ყვავილი“ ნოვალისის, ქარიშხალი მეტად ძლიერად სცემდა პოეტის სუსტ გულს. მექანიკურად გაქანებული ბორბალის ისტორიის კიდევ არა ერთსა და ორს მსხვერპლს გადალახავს. მოკვდა უნაზესი რომანტიზმი“. წარმოდგენილი ნაწყვეტი გალაკტიონის წერილიდან, ცხადი სახით გადმოგვცემს რომანტიკული პოეტის და ახალი რეალობის კონფლიქტის შინაარსს და იდეას, რომ ამ დროს შეიძლება გადარჩეს მხოლოდ ის, ვინც „ბრძოლა იცის“ - ანუ მეზობლი (ეს ნიცშეანური, დიონისური პარადიგმაა, ცხადია). მაგრამ წერილი ნიშანდობლივია სხვა რამითაც. ამ მოკლე პროზაული წერილის მთელი ტექსტი კონსტრუირებული არის სელექტიურად ამოკრეფილი და ნაწილობრივ პერიფრაზირებული ფრაგმენტებით ნეკროლოგიდან, რომელიც ბლოკის გარდაცვალებას მიუძღვნა პ.ს. კოგანმა და რომელიც 1921 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „Красная новь“ (კოგანი 1921: 354; ჭელიძე 2020ა: 2). ანუ მთელი ეს შინაარსი უკავშირდება ბლოკის ფიგურას, პოეტის იმ ასპექტებს, რასაც სწორედ ბლოკი განასახიერებს გალაკტიონისათვის. პირველ რიგში, ბლოკი ასოცირდება „რომანტიკოსი პოეტის“ არქეტიპთან, ნოვალისის და ვაკენროდერის ფიგ-

ურებთან. ეს - რჩეულთა, სულის არისტოკრატთა კლასია. ამ თვალსაზრისით, გალაკტიონის ლექსის ლირიკული გმირის აღსარება, რომ კლასთა კონფლიქტში - „რა თქმა უნდა, ის იყო თეთრი“ - არ შემოიფარგლება ვინრო კლასობრივი მნიშვნელობის ჩარჩოებით: თეთრი - რომანტიკული პოეზიის ფერია, რჩეული ბედის - თეთრი გედის ფერი. ნიშანდობლივია, რომ ლავრენიევის მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდში, მოთხრობის მთავარი გმირი, - არისტოკრატი, თეთრი ოფიცერი - უკითხავს თავის ბოლშევიკ სატრფოს სიმბოლისტი პოეტის - კონსტანტინე ბალმონტის ცნობილ ლექსს - გედი, რომელიც მომაკვდავი თეთრი გედის სასიკვდილო სიმღერას, - რომანტიკული პოეზიის სულის აღსარულს ეძღვნება. ბლოკის ფიგურა ითავსებს ასევე, მეზობლის - ბრძოლაში დაცემული გმირის არქეტისს. რომანტიკულ/სომბოლისტური პერიოდის ბლოკი გალაკტიონისათვის - რომანტიკოსი პოეტის განსახიერებაა, ხოლო რევოლუციის მეზობტე ბლოკი - ახალი დროის მესია (ჭელიძე 2020ბ: გვ. 11-12).

დავუბრუნდეთ განხილვის ძირითად ხაზს. ლავრენიევის მოთხრობის (და შესაძლოა, ამ მოთხრობის სიუჟეტზე 1926 წელს შექმნილი პირველი ფილმის) შთაბეჭდილებით, ხდება ბლოკის „კლასიკური ინვარიანტის“ ფორმის გარკვეულად კორექტირება, პიესის ახლებურად დადგმა, თუმცა შინაარსობრივად არაფერი იცვლება. გალაკტიონისათვის, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანი არის ამ პიესის სიუჟეტით კოდირებული ბლოკისეული მეტაფიზიკური და ეგზისტენციური სიღრმეები, „აპოკალიფსური ნარატივი“ და არა ლავრენიევის რეალისტური მოთხრობის ობიექტი - სოციალური დრამა.

გალაკტიონის პეტროგრადის ტექსტების დიალოგი ბლოკთან სწორედ ამ უკანასკნელ თემას - აპოკალიფსურ ნარატივს უკავშირდება. გალაკტიონი არ არის ცალსახად ჩამოყალიბებული ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ტექსტში რევოლუციური ქარტეხილები განიხილება როგორც კატასტროფა, სამყაროს საბოლოოდ გამანადგურებელი სტიქია. ლირიკული გმირის ძირითადი განცდა - დაბნეულობა, დაკარგულობა, გაძარცვულობა („რამდენიმე დღე პეტროგრადში“). პოეტი კარგავს ყველა საყრდენს, სამყარო თავზე ენგრევა, რევოლუციური სტიქიის მძვინვარება არაფერს კარგს არ უქადის პოეტს და მის მამულს:

**თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ან და რევოლვერს დავიცლი გულში!**

ბავშვის ტირილის მოტივი გვაგზავნის დოსტოევსკის (კვიტაიშვილი 2010: 264) და ბლოკის ტექსტებთან. დოსტოევსკის მიხედვით, ყოველივე რაც ხდება - ეშმაკისეულია და ბავშვის ერთ ცრემლად არ ღირს ის „სამოთხენი“, რასაც პირდება კაცობრიობას ეს რევოლუციური, სულიერი საწყისების დამანგრეველი, ეშმაკისეული იდეოლოგია, ტიპაჟები და მათი საქმიანობა (ივანე კარამაზოვის და Бесы-ს ნარატივი). ბლოკის მიხედვით, აღსავლის კართან გრძნეული ბავშვი ტირის, მაშინ როდესაც ეკლესიაში მაგალობელი ქალწულის ხმა ყველას „ხსნას“ ჰპირდება, ტირის, რადგან უწყის, რომ ხსნა არსით ჩანს და „ხსნის ნარატივი“ - მხოლოდ ილუზიაა. უსაშველობის ამ განცდით შეპყრობილი გალაკტიონი - არ მიიჩნევს საკუთარ თავს ამ რევოლუციური სტიქიის ნაწილად, არ მიესალმება მას, პირიქით - მტრულ სტიქიად აღიქვამს მას: „რა სულიერიც არის ეს ქარი, ვიცით, მოგვწყინდა ბაიათები“... აქ პირდაპირი პოლემიკა გვაქვს ბლოკთან: ეს ქარი ხომ სწორედ ბლოკის „თორმეტის“ სივრცეში გაბატონებული ქარია, ბლოკის მიერ - ძველის დამანგრეველ და განმმმენდ სტიქიად აღქმული (კენჭიშვილი 2003: გვ. 96; კვიტაიშვილი 2010: 263;). გალაკტიონის ლირიკული გმირი არ იზიარებს ბლოკის ამ ენთუზიაზმს, დაბნეულია (გაძარცვულია, დაკარგა ყველა სულიერი და ცხოვრებისეული საყრდენი) და ვერ გადაუნყვებია საკუთარი მომავალი: შეეგუოს ამ დამთრგუნავ და გამანადგურებელ რეალობას, უარი თქვას ამადლებულ, რჩეულთა ხვედრზე, რომანტიკულ იდეალებზე („გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს“), თუ რევოლვერი დაიხალოს გულში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უკვე ამ ლექსის სიმფონიური ჟღერადობის მუსიკალურ ნაკადშიც, კონტრაპუნქტად გაიეღვებს საწინააღმდეგო შინაარსის თემა: „ვიღაცა დაჰქრის და ცეცხლს აჩაღებს,

„მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი“. თითქოს ქაოსით მოცულ, დაბნეულ სულში - „სხვა მე“ იღვიძებს, ის, ვინც „გამბედავია“, ვისაც ეს ქაოსი არ აშინებს, ვინც ამ გაჩაღებულ ხანძრს ცეცხლთაყვანისმცემელივით შესცქერის. რევოლუციური ხიზლის თემა ძლიერდება ამავე დროს შექმნილ, გალაკტიონის სხვა ტექსტებში, სადაც პირიქით, შეიძლება შევიგრძნოთ „რევოლუციური სტიქიით თრობის“ განწყობა, ძველის ნგრევის და განახლების ქარცეცხლში ახალი მყოობადის შობის მოლოდინი. („როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „პოემა ჯონ რიდი“). უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში, რევოლუციური განახლების იდეა სულ უფრო იპყრობს პოეტის გონებას: ბლოკის წარმოდგენათა შესაბამისად, რევოლუციური დრო გალაკტიონის იმდროინდელ

ტექსტებში განიხილება, როგორც ძველი, დრომოჭმული სამყაროს ნგრევის და ახალი ისტორიული ციკლის დასაწყისი, ახალი - ზეადამიანის ერის დასაწყისი. საკუთარ თავს, პოეტი ხედავს, როგორც ახალი, ნიცშეანური ზეადამიანის ხორცშესხმას, ისტორიის ახალი ციკლის დაწყების მათხვედრულ გმირს, რომელიც ბრუნდება სამშობლოში რევოლუციური პეტროგრადიდან, ახალი სამყაროს ქმნის ეპიცენტრიდან და სამყაროს გადარჩენის შესახებ მესიანისტური ნარატივი ჩამოაქვს (ახალი მესიანისტური ნარატივები დეტალურად აქვს გარჩეული ზაზა შათირიშვილს (შათირიშვილი 2004: 48 — 54; 153 — 160). ახალი მესიანისტური ხედვა გადმოცემული არის ისეთ ტექსტებში, როგორცაა „პროლოგი ასი ლექსის“, წინამურში რომ მოკლეს ილია“, „ჯონ რიდი“, „პოემა ვეფხისა“, „აღმოსავლეთი“ და სხვა.

ლექსში „ერთხელ საღამოთი“ ადვილი შესამჩნევია ორივე ამ რევოლუციური ნარატივის კვალი. პირველი, კატასტროფული სცენარი შეიძლება ამოკითხულ იქნას რომანტიკული გმირის - ცხოვრებისგან დაღალული „დენდის“ სულიერი მდგომარეობის გადმოცემი სტრიქონებიდან: „მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე, სადაც მღვრიე დამდგარიყო ღვარი, „უცხო ქვეყნად მარტობას გრძნობდე, ნეტარება არის რაღაცგვარი“. ეს სწორედ ის სტრიქონებია, რომელიც მ.ჯგუბურამ, შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, ა.ბუნინს დაუკავშირა. ჩვენ ხაზს გავუსვამდით პარალელს ამ ფრაგმენტსა და გალაკტიონის პეტროგრადის ციკლის ორ ცენტრალურ ტექსტს შორის. ციტრებული სტროფის პირველი ნახევარი - „მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე, სადაც მღვრიე დამდგარიყო ღვარი“ პირდაპირ გვაგზავნის ლექსთან „გუბე“, რომელშიც ბოსხისეული შთამბეჭდაობით არის დახატული რევოლუციური დროის აპოკალიფსური სურათი: „ეს მდინარენი შფოთიანნი - ეს სისხლის დღენი უცებ გაჩერდა - კოსმიური შეიქნა გუბე - აპოკალიფსის გადამსხვრა კლდეებზე ცხენი, ამოტივტივდა ხვეულების უბიდან უბე. ირევა ყვითელ ქაობების ბრმა ზედაპირი, კრეისერების ნაფოტები, მისი დროშები. გამორიყული დამხრჩვალეებით სუნთქავს ნაპირი, ცოცხალი წარღვნის უდარდელად გარდამომშვები“. სტროფის მეორე ნახევარი - „უცხო ქვეყნად მარტობას გრძნობდე, ნეტარება არის რაღაცგვარი“ - იმეორებს შინაარსს, შემდეგი სიტყვებით გადმოცემულს უკვე ციტირებულ ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ - „კარგია ძილი რკინაზე მძიმე! ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა!“ - ეს კავშირი უფრო გამოკვეთს სათქმელის შინაარსს:

ნათელი ხდება, რატომ არის „უცხო ქვეყნად მარტობა - ნეტარება“ და არა - მწუხარება. რომანტიკული გმირისათვის ეს გარიდების, თავდავინყების, რევოლუციური ქაოსისგან თავის დაღწევის სურვილს გამოხატავს - უცხოეთში დაკარგვა ან რკინასავით მძიმე ძილი დროებითი შვებაა, ერთგვარი ნარკოტიკი, დასახიჩრებული და განადგურებული სულისთვის, რომელსაც ვერ გადაუნყვეტია - გაყიდის გაზეთს ან ირისს, თუ რევოლვერს დაიხლის გულში. როგორც ვხედავთ, ეს ინტერპრეტაცია განსხვავდება ნიუანსებით ბუნინის იმ ფრაზის შინაარსისაგან, რომელიც ციტატად მოჰყავს მ.ჯგუბურას.

რევოლუცია, როგორც განახლების და აღორძინების მომტანი სტიქია, დახატული არის დიონისური პერსონაჟის ვიტალურობით, ბრძოლის ენთუზიაზმით აღსავსე რევოლუციონერი ქალის ტექსტში: „საქართველო ... უკეთესის ბედისაა ღირსი. ... იგი უფრო შეიქმნება მშვენი, როცა ძალა და უფლება მტკიცე დამყარდება იმ მხარეში ჩვენი“. ეს, როგორც ხვდებით ის „რევოლუციური ნარატივი“ - ხსნის ნარატივი, რომელიც უნდა ჩამოიტანოს რევოლუციური პეტროგრადიდან გალაკტიონმა. ცხადია, ისევე როგორც ბლოკის შემთხვევაში, არც ამ ნარატივს აქვს რაიმე საერთო პოლიტიკურ იდეოლოგიასთან ან სოციალურ მოდელებთან. მითუმეტეს არ გულისხმობს იგი საქართველოს ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ. რევოლუციური სტიქია წარმოჩნდება გალაკტიონის „აპოკალიფსურ ნარატივში“, როგორც მეტაფიზიკური სტრუქტურა, დიონისური ქაოსის დინამიკა. ისევე, როგორც პოეზიაში - ქაოსის დინამიკა (ლურჯა ცხენების ეფემერული ქროლვა) გადალახავს ძველ, გაქვავებულ და უსიცოცხლო პოეზიას და შობს ახალ პოეტურ რეალობას, რევოლუციური სტიქია განადგურებს ძველ, დეგრადირებულ და უსიცოცხლო სამყაროს და ამ ქარცეცხლში დასაბამს ჰპოვებს ახალი, სიცოცხლისუნარიანი რეალობა.

P.S. და ბოლოს, ერთიც, რისი დამატებაც მსურდა სტატიაში: გალაკტიონის მიერ ბლოკის სცენარის გადანიშნავს ლავრენიევის მოთხრობის სტრუქტურაზე, პერსონაჟებს შორის როლების გადანაწილებას, ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც ჰქონდა - გალაკტიონის პირადი ცხოვრებისეული დრამა: გალაკტიონის ბიოგრაფიის მცოდნე მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, რომ რევოლუციური ოპტიმიზმით შეპყრობილი სატრფო, რომელსაც ამ განმნმენდი ცეცხლის საქართველოში ჩამოტანაც აქვს ოცნებად, - ოლია ოკუჯავას სახეა.

ასე ჩანაცვლა გალაკტიონის სიყვარულის ისტორიაში მერი/ვერონიკას რომანტიკული ჩვენება, - ქალწული შელლის წიგნით ხელში - რეალობამ, რომელსაც მხარზე თოფგადაკიდებული რევოლუციონერი ქალის სახე აღმოაჩნდა.

დამონმებული ლიტერატურა

1. დოიაშვილი 2019: დოიაშვილი თ. „არტიკული ყვავილები - 100“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
2. კვიციანიშვილი 2010: კვიციანიშვილი ე. „მარადიული ბავშვი“, გალაკტიონოლოგია, V; თბილისი: 2010.
3. კენჭოშვილი 2003: ირაკლი კენჭოშვილი. „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, გალაკტიონოლოგია, II, თბილისი: 2003.
4. კოგანი 1921: Коган П.С. Александр Блок. [Статья] // Красная новь. 1921. N 2. С.354
5. ტაბიძე 1925: ტაბიძე გ. წერილები. „რომანტიზმი“. ინტერნეტი: <http://galaktion.ge/?page=Articles&year=1925&p=1&id=4141>
6. შათირიშვილი 2004: შათირიშვილი ზ. „პოეტიკა და რიტორიკა“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2004
7. ჭელიძე 2020ა: მედგარ ჭელიძე „Le Roi est mort, vive le Roi!“. ინტერნეტი, 2020: <https://medgarchelidze.academia.edu/research#papers>
8. ჭელიძე 2020ბ: მედგარ ჭელიძე „მას გახელილი დარჩა თვალები. ინტერნეტი, 2020: <https://medgarchelidze.academia.edu/research#papers>

სანდრო ნეპიერიძე

ლირიკა

როდესაც ათასჯერ, ეშხით ნაცეკვს,
როდესაც ათასჯერ,
გულის ამოყოლებით ნამღერს,
როდესაც ათასჯერ, აციმციმებული
თვალებით ამოთქმულ „მიყვარხარს“,
როდესაც ათასჯერ, ცისარტყელის
ნათებად აბრჭყვიალებულ
ბედნიერების ცრემლებს
დაღლილობისგან
უბრალოდ
ფერი გაუვა,
აი, მაშინ მოვა

ფიქრი საბედისწერო
და გეტყვის შენ ლალადით:

„ეჭა, საუკუნო ბრძენო,
ცხოვრებისგან არც თუ ისე
დაცდილო,
მაგრამ მაინც გამობრძმედილო
და ნანახო,
შენ, რომელსაც
გამოვლილი გაქვს
ისიც და ესეც-
ვედრებით გეტყვი:
რამდენად მართალი,
რამდენად ნამდვილი,
რამდენად ცოცხალი
იყო ეს ყველაფერი
სულ, სულ თავიდან?!“

შენ კი დაფიქრდები,
საიდუმლოდ გაუღიმიე
და პასუხის სათქმელად
პირს დააღებ, მაგრამ
ბოლო ნამს
გაგახსენდება რომ
ზებრაზე გადადიხარ და
და თუ ნაბიჯს
არ აუჩქარებ,
კამაზი გადაგჭყლიტავს.

საუკუნო უკუნს რო
ვუყურო, ფუტურო
ფულუროს ნუთუ რომ
არ ჰგავს?
ამბავს განკარგავს,
ქაოსის, დროის და
ფიქრების ნაგავს
უგრძნობლად ქარგავს.
ყვავილებს არ რგავს,
მხოლოდ - ღუმელით
და ყურზე ყურმილით
ისმენს ამ ამბავს.

ცრემლებით განბანს
სისხლით დაწერილ
ადამის ანბანს
და მე ვინ მომცემს

ლამეულ მესაში
 ღვთაებრივ, ღრმა ბანს?
 ამაფრენს მე ცაში
 ვინმე რო?
 მინდა რომ ვიმღერო...

თამბაქოს იმ ღეროს
 ვენევი ახლა-
 ევას რომ ერგო,
 გვერდით კი მახლავს
 ხსნადი ყავივით
 შავი ყვავი.
 ვით უფერო მეღნის
 ლამუნი მეღის,
 ჩემი და გველის
 პილიგრიმობას
 სახელს დავარქმევ -
 ცრემლებს ღვინო...

და თუნდაც ვიგრძნო
 ამაოება,
 ამოოხვრება
 დამაოკებდა.

შენი ბაგეებიდან ამოსული
 მისტერიულ ღამის
 (თუ ღამის მისტერიული)
 ოხშივარი
 მელამუნება ტუჩებზე.

ძილისნინ, ჩემკენ
 ზურგით მწოლიარეს
 რომ შემოგღალადე:
 "შემობრუნდი -
 კიდევ გაკოცო, მინდა!"
 და შენც რომ ეს
 უკანასკნელი თხოვნა
 მორჩილად შემისრულე,
 ისეთ მოგონებად იქცევა, თითქოს
 ორი სარკე ერთმანეთს
 თვალებში შეჰყურებს
 და უსასრულოდ გრძელდებიან
 ერთურთში.

დასანანია რომ დილას
 ყავის დაღვევაც კი



ვერ მოვასწარით
 ისე მომიწია
 შენთან მერამდენედ
 გზების გაყოფა.
 ის კი უფრო დასანანია, რომ
 მისტერიულ ღამის
 (თუ ღამის მისტერიული)
 ოხშივარს
 ბაგეებიდან შენ
 პირველი იშორებ.

დასანანია, მაგრამ
 ასეა ეს - ათასში ასჯერ
 თუ ათასში ერთხელ
 გინევს კაცს
 კბილების გამოხეხვა.

მე კი სახლამდე
 ვერ შორი გზა მაქვს
 გასაღვლელი.

ვანო გელაშვილი /თორაელი/ გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

„ცურვის დროს არასოდეს არა
ფიქრობენ, განსაკუთრებით- როცა
მკლაურით მიდიან, ალბათ ამიტომ
მიყვარს ცურვა და ყველაზე მეტად
მკლაური“

2018 წელი 9 მარტი

ალბათ ძნელია დანერო ადამიანებზე, რომლებიც მთელი თავიანთი სიცოცხლე ეროვნული სულის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ.

მარტო ჩვენი გმირი მეფეების საქმეების ჩამოთვლა კმარა, შინაური, თუ გარეშე მტრებთან ბრძოლაში. დიდგორი ჯერ არ დამთავრებულა”, კიდევ ბევრი საკითხის გადაჭრა მოუწევს ერს, რათა დაცვას მამული, ენა, სარწმუნოება.

საუკუნეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქართული გენის, მისი უკვდავების გადასარჩენად, რამეთუ საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა და არ არსებობს რაიმე ძალა მისი მოსპობისა, მისი მენტალიტეტის ამოძირკვისა, რადგან ჩვენ ღვთისმშობლის მანდილი გვფარავს და სწორედ ამ ღირსების მატარებელი იყო ახალგაზრდა მწერალი-გურამ რჩეულიშვილი, რომელიც დაუფიქრებლად, ისევე როგორც მიხეილ თამარაშვილი იტალიაში, სან-მარინოში მეთევზის გადარჩენისას თვითონ დაიღუპა. როგორც ექიმმა ჟორდანიამ ოკეანის გადაფრენისას, თვითმფრინავის ვარდნისას თავისი მაშველი რგოლი უცხო გოგონას დაუთმო, როგორც სასულიერო პირი გრიგოლ ფერაძე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთში, სხვის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში. რამდენი ამისთანა მაგალითი გვაქვს შემორჩენილი ისტორიაში. ასეთივე ძლიერი სულის პატრონი იყო გურამ რჩეულიშვილი. გაგრაში, ზღვაში მობანავე ქალი გადაარჩინა, თვითონ კი, ღონემიხდილმა ნაპირს ვერ მიაღწია.

გურამ რჩეულიშვილი წინაპრების სულიერებას განასახიერებდა, რომ სანთელ-საკმეველი არ კარგავს ერთმანეთს, ”კვიცი გვარზე ხტისო”, აი ასეთი შედარებით შეიძლება მათი დაკავშირება. ჩვენ შეგვიძლია მისი უახლოესი მეგობრების მოგონებებიდან შევიტყოთ თუ როგორი პიროვნება იყო იგი: გურამ რჩეულიშვილს იგონებდნენ: ზურა წერეთელი, რომელმაც შემდგომ მისი ქანდაკება გააკეთა, ერლომ ახვლედიანი, გიორგი შატბერაშვილი, ნოდარ



დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, არჩილ თაყაიშვილი, ჯემალ ლოლუა, დიმიტრი ერისთავი, მუხრან მაჭავარიანი, ვახტანგ ჭელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნიპა დიასამიძე, გურამ თიკანაძე.

ხევსურეთში ექსპედიციის დროს ერთ-ერთი წევრის, ჯინა მიქაძის გადმოცემით მას სწორედ მოქანდაკე გოგი ოჩიაურმა მიაქცევინა გურამზე ყურადღება: როგორ ახტება გურამი ცხენს, როგორ ზის, როგორ ხტება ცხენიდან, როგორ ჯირითობს, როგორი ანტიკური თავი აქვს, როგორი პლასტიკა. გოგი ოჩიაურმა თქვა: ”ჩემთვის გურამი ყველასაგან განსხვავებული პიროვნება იყო. ის ერთგვარ დისკომფორტსაც კი ქმნიდა ქალაქში იმ განსხვავებით, როგორიც თორღვა ხევსურული მითოლოგიის გმირი და ამავე დროს, რეალური პიროვნება. ის არ იყო უბრალო კაცი. თორღვას გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს კიდევ ხელდასხმულობის ნიშანი: მარჯვენა ბეჭზე ეხატა მზე, ხოლო მარცხენაზე - მთვარე. აი, სწორედ ასეთი გაგება უდევს საფუძვლად ჩემს ნახატს. დააკვირდით: მხედარი თითქოს არ ზის ცხენზე. არც ცხენსა და არც მხედარს თითქოს წონა არა აქვთ. ჩემთვის გურამი თავისი ბუნებით წარმართია. შეგნებულად, ქვეშეუცნობლად წარმართი, შეუცნობი ყველაფრის, მთელი სამყაროსი ინსტიქტურად. ჩემეული გაგება გურამისა ახლოა გ. ტაბიძისეულ გაგებასთან, რომელიც შენატრის იმ დროს, როდესაც პოეტი იყო ერთდროულად ბედუინი და მეომარი. აი ასე აღვიქვამ მეც გურამს. ამიტომ შევსვი ცხენზე მარჯვნიდან და მარცხნიდან მზე და მთვარე დაუხატე წმინდა გიორგის ნიშნები გამორჩეულობის ნიშნად”. აი, როგორ ახ-

ასიათებენ გურამს მეგობრები. არქივში ინახება მწერლის სააღრიცხვო ბარათი "სამშობლო": 1956 წ. ამ ბარათში აღნიშნულია, რომ 1953 წელს გურამ რჩეულიშვილმა მიიღო მონაწილეობა სტაჟიორად საუნივერსიტეტო ალპინიადაში. 1954-55 წლებში ისევ საუნივერსიტეტო ალპინიადაში მონაწილეობდა ინსტრუქტორის სტატუსით. ჩამოთვლილია 19 დაპყრობილი მწვერვალი. იქვე აღნიშნულია, რომ ის ფლობს სათხილამურო სპორტს და აქვს თანრიგი ფრენბურთში. მეორე ბარათი მოწმობაა, სადაც წერია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სპორტული კლუბები აჯილდოვებს ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ გურამ რჩეულიშვილს კავკასიონის უძნელესი მწვერვალის დაპყრობისათვის და ალპინისტურ ბანაკში კარგი მუშაობისთვის.

გურამი ბავშვობიდანვე ძალიან გამბედავი იყო. იგი შვიდი-რვა წლის ასაკში უბელო ცხენს დააჭენებდა. მისი მოთხრობის: "ალავერდობის" სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმის „ალავერდობის“ გმირი სწორედ გურამ რჩეულიშვილია. მას არანაკლებად უყვარდა ზღვა, ხშირად ის არდადეგებს გაგრაში, ზღვაზე ატარებდა. ნადირობაც უყვარდა, მაგრამ ნადირის კვლა-არა. ამ მხრივ იგი გულჩვილი იყო. უყვარდა თბილისის ქუჩებში ხეტიალი. მე ლადო ასათიანის ნაკვალევზე დავდივარო, იტყოდა ხოლმე გურამი. მეც ხშირად შევხვედრივარ მოსეირნე გურამს ამხანაგებთან ერთად, რუსთაველის თეატრის წინ, რადგან იმხანად მე თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი და ინსტიტუტის წინ შეკრებილების წინ ის ხშირად ჩვენთან ჩერდებოდა. ის ჩვენ მეგობარ სტუდენტ გოგავასთან მეგობრობდა. როგორც მისი და მარინე იგონებს: თავისი შავი ან თეთრი ქსოვილისგან შეკერილი პერანგით, ტანზე მომდგარი „ბუტიკა“ შარვლითა და რუხტყავიანი სქელძირა „ბატინკებით“ რომელიც იმ დროს ძალზე მოდაში იყო, თავისებურ კოლორიტს ქმნიდა. გული მუდამ გადაღელილი და საყელო აწეული ქონდაო. მე რალაცნაირად ჩამრჩა ამ ახალგაზრდა კაცის სახე მესხიერებაში. მაშინ ვინ რა იცოდა, რომ ის-გურამ რჩეულიშვილი მწერალი გახდებოდა. მაღე მოჰყვა ცხრა მარტის დღეები: თბილისში მღელვარება დაიწყო, მშრალ ხიდან, პარკში სტალინის ძეგლთან ხალხი იკრიბებოდა. ვილაცხები დაიჭირეს. დაიჭირეს ედიშერ გიორგაძეც, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა „კომუნისტის“ რედაქციის წინ გამართულ მიტინგზე. გამოცხადდა კომენდატის საათი. უნივერსიტეტში არ შეიძლებოდა ლექციების გაც-

დენა, საოცარი სიმკაცრე იყო.

სხედან ბიჭები ლექციებზე. ერლომ ახვლედიანის და გურამ გეგეშიძის აზრით, გურამის წერის დაწყება 9 მარტის სტრესულმა სიტუაციამ განაპირობა. - გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! საქართველოს!! საქართველოს!!! ხალხი მატულობდა, აინთო სანთლები, ტრიბუნაზე დასისხლიანებული დედაკაცი ავარდა. ხალხო! თქვენი დელეგატი, გაგზავნილი დეპუტის გასაგზავნად კავშირგაბმულობის სახლში, სცემეს. მე გამოვიქეცი, თერთმეტი ადამიანი დაჭრილია. კავშირების სახლისკენ! იმატა ხალხის ხმამ: "არულალო, ქართველო ხელი ხმალს იკარო..... ქართველო, საქართველო!!! სადღაც დაიძახეს, უკანა რიგები შეირყა, მერე წინ მიანყდა. ტ.ტ.ტ! ტყუილია, ხალხს როგორ ესვრიან! ტყუილია! უკანა მიანყდა წინას, ღამე იყო. ტანკები! ისვრიან! ისვრიან! გვბოცავენ! გვესვრიან! გვჟღეტენ! ხალხი მიდიოდა ტანკებზე, ხალხი იბრძოდა, რაც შეეძლო, რითაც შეეძლო. ბ-ბ ბუმ! დაიგრგვინა ტანკმა, ხალხი გაქრა. გაისმა რუსული ვალსის ხმა, სადღაც პატეფონზე ჩასტუმკებს უკრავდნენ. 1956 წლის 9 მარტს, ასობით ადამიანი დაიღუპა, მტკვარში გადაყარეს, ისე, რომ ცხედრები პატრონებს სახლშიც კი არ გაატანეს. ეს პატარა ამონარიდი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობიდან იმიტომ მოვიტანე, რომ მაშინ სრულიად ახალგაზრდა, პირტიტველა ბიჭი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული სულ სხვა ადამიანად იქცა. გაივლის რამდენიმე წელი და იგივე რუსულმა ტანკებმა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ სიკვდილის კალო მოაწყვეს. განსაცდელში ყალიბდებოდა გურამის, როგორც ახალგაზრდა მწერლის, ეროვნული სული. მასში იღვიძებდა და ღვივდებოდა ის ძლიერი მუხტი ქართველობისა, რასაც ატარებდა ერი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

გურამი ბევრს შრომობდა, კითხულობდა, წერდა, ხელს ინაფავდა. იგი ხშირი სტუმარი იყო მუზეუმებისა და, სამხატვრო გამოფენების. არცერთ პრემიერას არ გააცდენდა ოპერის, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრში. უყვარდა ახალი ფილმის ნახვაც. ხშირად მოგზაურობდა. უყვარდა საქართველოს მთა-ბარი, თავისი მშობლიური კუთხე კახეთი, საგვარეულო სახლი თელავში, ნადიკვარზე.

„ზღვა უყვარდაო, კარგი ცურვაც იცოდაო, იხსენებენ მისი მეგობრები. ხშირად დავდიოდითო ზღვაზე გაგრაში, ახალ ათონში. პლაჟზე ცხელ სილაში ვინჯით და მერე ზღვის ტალღებში ვბანაობდითო, განსაკუთრებით კი საღამოობითო. ხშირად

მეზღვაურობაზეც ოცნებობდაო“. გურამს ბევრი ჩანახატი აქვს ზღვასთან დაკავშირებით. „დილის საათია, ვზივარ ზღვიდან 159 ნაბიჯის დაშორებით, პატარა ოთახში, მესმის ტალღების ხმაური, ვუყურებ ზღვას და ვწერ. ძალიან მომწონს ოთახი, ნამოვწვეზი, მოვიფიქრებ, შემდეგ რა დავწერო. დილით კარგად ვიცურავ... ჩემი ფანჯრიდან მშვენივრად მოჩანს მთელი ფლოტილია, პატარა სათევზაო კარჭაპები სერავენ ჰორიზონტს, მშვენიერია.“ აღსანიშნავია, რომ გურამი ახალ ათონში ეუფლებოდა სხვადასხვა სტილით ცურვას. თვითონ კმაყოფილი იყო, ცურვის კლასი საგრძნობლად ავიმადლო“. ერთი ეპიზოდიც მეგობრის მონაყოლიდან: „ერთად ვიყავით პლაჟზე ნამონოლილები. ერთი კაცი პლაჟზე იდგა, მისი შვილები კი ზღვაში ცურავდნენ. ზღვა ლელავდა. მამა მიხვდა, რომ შვილებს უჭირდათ, შეატყო, საქმე ცუდად იყო. შეცურა, ძლივს გამოიყვანა ბავშვები, თვითონ ნაპირზე გაუსკდა გული პარადოქსია! გურამმა მოთხრობაში „ნელი ტანგო“ აღწერა ეს შემთხვევა. „ჩემი მოთხრობების სანინალმდეგოდ, ცხოვრება სიკვდილის შემდეგ მის თავისი გზით, არის სრულიად არასწორი აზრი, სიკვდილი თავისი არსით საერთოდ ძირეულად ცვლის სიცოცხლეს და ასე ყველაფერი ყველასათვის ცნობილია, რომ სიკვდილის შემდეგ ცხოვრება გრძელდება ისევე სხვებისთვის, ოღონდ დიდი ლიტერატურის ამოცანა სწორედ ის არის, რომ გაიგოს, რა ცვლილება შეაქვს კონკრეტულად ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილს, თორემ ისე, საერთოდ ტოლფასოვანია სიცოცხლისა. ტრაგედია თვითონ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თვითონ სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წაში ცხოვრება თავისი გზით გრძელდება“.

გურამი თავის ნაწარმოებებში ასე უყურებდა სიკვდილის ფენომენს, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, რომელიც მას ელოდა სრულიად ახალგაზრდას 26 წლის ასაკში. მისი და, მარინე რჩეულიშვილი იხსენებს: ჩემი ძმა დასახლდა ზღვასთან ახლოს, ყვავილებში ჩაფლულ, თეთრ-ცისფრად შეღებილ ხის სახლში. ეს სახლი იდგა პატარა ბექობზე. გურამმა აქ თითქმის ორი თვე დაჰყო. მისთვის პატარა ოთახის ერთ კუთხეში იდგა დაბალი ხის ტახტი, მაგიდაზე მუდმივად გურამის ხელით შევსებული თაბახის ფურცლები. გურამი წერს: ზღვა, მშვენიერი ზღვა ჩანს ჩემი პატარა ფანჯრიდან. ტალღები, ზღვის შვილები კეკლუცად ეთამაშებიან ლელვას. შორს ნავი მიცურავს.

პლაჟზე ბლომად ხალხია, ცა ოდნავ მოლ-

რუბლულია. ალბათ საღამოს პირზე გაავდრდება. ეს ზღვასაც ეტყობა, ტალღები ნელ-ნელა იზრდება, რაც იმის მომასწავებელია, რომ შესაძლებელია შტორმიც იყოს. მაგიდასთან მიმჯდარი გურამი წერს „ნელი ტანგო“, „საუბარი ცეკვის დროს“. ხშირად თავს იღებს და დაფიქრებული ზღვას გასცქერის, შტორმი იქნება... უცებ ზღვის პირას ხალხის ჩოჩქოლი, გურამი სწრაფად დგება, კალამს დებს და დაუფიქრებლად ზღვისკენ გარბის. „ვილაც იხრჩობა“ - გაუელვა თავში. ვითარცა დაჭრილი არწივი, მხარს რომ მიწაზე მიითრევს და გადარჩენის იმედი არ აქვს, - ასეთ მდგომარეობაში იყო, ზღვის ტალღებთან მებრძოლი, ახალგაზრდა, 26 წელს მიღწეული გურამ რჩეულიშვილი ვერ გადარჩა, დაიღუპა, ჩაინთქა ზღვის ტალღებში. ის კი გადარჩა, რუსის გოგო. ინაღვლა, კი იმან? არა მგონია. გადარჩენილია, ნაპირზე სწრაფად აკრიფა ტანსაცმელი და მეგობარ კაცთან ერთად იქაურობა დატოვა. კაცი ნაპირზე იდგა და უყურებდა, როგორ იხრჩობოდა ქალი, მაგრამ ხელიც არ გაუძრევია, სიმთვრალისგან გაბრუებული ბურანში სადღაც იყურებოდა. ზღვა ვრცელ ოკეანედ მიაჩნდა და შიგ მოფართხალე გოგო უგონო თევზად, რომელიც უაზროდ აწყდებოდა აქეთ-იქით. გურამი ებრძოდა ტალღებს. ადამიანის გადასარჩენად წუთითაც არ დაფიქრებულა, თუ ვინ იყო იგი. იცოდა ცურვა? - კი, იცოდა, მაგრამ ვერ მოერია. ქალი აქეთ-იქით აწყდებოდა და ექაჩებოდა, ხშირად იძირებოდნენ, გურამი ახერხებდა მის მაღლა ამოყვანას. დაიღალა ამ ჭიდილში, გაიბრძოლა. მერე ვილაცები მიეშველნენ, ქალი ნაპირზე გაიყვანეს, გურამი კი დაღლილ-დაქანცული, ძალაგამოლეული, გონებადაკარგული, ბლომად წყალნაყლაპი ჩაიძირა. მაშველებმა გამოიყვანეს, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ვერ უშველეს. გადარჩენილი ქალი და მისი მეგობარი კაცი შევიდნენ იქვე კაფეში და რამოდენიმე ჭიქა არყის დაღვევის შემდეგ აღარ ახსოვდათ მისი გადამრჩენელი, რომელიც უკვე აღარ იყო ამქვეყანაზე. ისინი კი ქეიფობდნენ, მუსიკის ფონზე ცეკვავდნენ. ჟღერდა რუსული ვალსის ხმა, რომელიც იცვლებოდა ჩასტუმკებით... ეს ამბავი ოფიციალურადაა დამალა, „უფროსი ძმის“ ნადვილი ბუნება რომ არ გამჟღავნებულყო.

P.S. ასე შეუერთდა ქართულ ციურ სამყაროს კიდევ ერთი ქართველი „კაი ყმა“, სიცოცხლემონყურებული, მოძმეზე შეყვარებული, 26 წლის „მარად ჭაბუკი“ ნიჭიერი მწერალი და მოაზროვნე გურამ რჩეულიშვილი.

ლიანა მეტონიკა

ორი სივრცე

|

-ლილეზე მე ვიზრუნებ, დალი-ექიმიმა აბულაძემ სამოციოდე წლის ქალს გულთბილად გაუღიმა-ის უკვე ოცდათხუთმეტი წლისაა და ზუსტად თხუთმეტი წელიწადია, რაც ამ სენით იტანჯება. ვფიქრობ არც ეს ოპერაციები იქნება მისთვის საგანგაშო.

-ჩემი საბრალო შვილი, დალის თვალზე ცრემლი მოადგა, უკვე სამოცს ვაბიჯებ და არაფერი მჭირს ის კიდევ..

ამ დროს სიტყვა გაუნყდა და აქვითინდა. ექიმი ქალს სევდიანად უმზერდა, თქმით კი აღარ იცოდა რა ეთქვა. ყოველ წელს ისედაც ერთი და იგივე სანუგეშო ფრაზები ჰქონდა მოხუცის დასამშვიდებლად და თუკი რაიმე ახალი მოაგონდებოდა ეგეც უკვე მოძველებული იყო.

დალიც კარგად ხვდებოდა ექიმთა უძლურებას ამ წყეული სენისადმი, მაგრამ ლილეს დასაკარგად მზად არ იყო. ანდაც როგორ შეიძლება დედა მზად იყოს შვილის დასაკარგად?


-ნეტავ მე მჭირდეს ყველაფერი ის, რაც მას!

-მაგას ნუ ამბობთ-აბულაძემ ქალი მოსაცდელში გაიყვანა-ახლა ჯობია დაისვენოთ, მე წავალ-უკვე პალატაში შებრუნებას ლამობდა, რომ დალიმ მაჯაში ხელი ჩაავლო და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

-იცით, მეგონა მზად ვიყავი. შეიძლება სიგიჟედ ჟღერს, მაგრამ ათიოდე წლის წინ დავნებდი. ლილეს ტანჯვას რომ ვუმზერდი გული გამალეებით მიცემდა და მგონი ბოლოს აღარც კი ფეთქავდა. მაშინ ვთქვი, აზრი აღარაფერს აქვს ტყუილად ნუ დავტანჯავთ ჩემს საბრალო შვილს-მეთქი და მასთან გამოსამშვიდობებლად მივედი. მისი უსიცოცხლო, ფერმკრთალი სხეული სანყალობლად ესვენა სანოლზე. სანოლზე, რომელშიც წლები გაატარა და კიდევ მხოლოდ ღმერთმა იცოდა რადენი დარჩენოდა. ასეთი უსიცოცხლო ადამიანი უნინ არ მენახა. მერედა ის ხომ მხოლოდ უბრალო, უსიცოცხლო ადამიანი არ იყო. მე ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ვუმზერდი, გესმით?

ეტყობა მდგომარეობის სიმძიმეს თავადაც ხვდებოდა და ამ თემაზე ცოტას საუბრობდა. ერთს კი გამუდმებით გაიძახოდა:

-ნუთუ ახლა უნდა მოვკვდე? მერედა რატომ გგონიათ, რომ სიკვდილისათვის მზად ვარ, ანდაც რატომ ფიქრობთ, რომ დავნებდები?



ამრიგად, ჩვენ ბრძოლა გადავწყვიტეთ და სანყის ეტაპზე გავიმარჯვეთ კიდევაც, მაგრამ ქრონიკული დაავადებები, აი ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ? ექიმი სულ მიმეორებს მაგრამ უკვე ერთი მეხსიერებაც არ ეყოფა მათ დამახსოვრებას! მოკლედ ასე მეგონა ლილემ შემიზიზლა. მახსოვს როგორ განვიცადე ეს ამბავი და როგორც ერთადერთი ქალიშვილის დედამ, რომელსაც შვილმა ზურგი აქცია. საბოლოოდ მან თავისთან მიხმო და ასეთი რამ მითხრა:

-შენ არ მეზიზღები, ანდაც როგორ შეიძლება მეზიზღებოდე? მე ეს სანოლი, ეს ოთახი და ეს მუდმივი გაურკვეველობა მეზიზღება. გაურკვეველობა, რადგან არასოდეს ვიცი გადავიტან თუ არა ოპერაციას და ყოველი თვის შემდეგ ისე გემშვიდობები, თითქოს უკვე მივიცვალე. ვიცი ძნელია ჩემი ამ მდგომარეობაში ხილვა, მაგრამ ბედმა ასეთი რამ მარგუნა. ზოგჯერ ისიც მეზიზღება, რომ ვერავის ვადასაშაულებ ამ ყველაფერში. ხომ გაგიგია როგორც ხდება ხოლმე? გასაჭირის დროს ადამიანი სხვა ადამიანს რომ გადააბრალებს ყოველივეს და ასე ოდნავ მაინც დაიმშვიდებს საკუთარ სინდისს. ესეც კი არ შემიძლია. ახლა რომ დავნებდე, მაშინ აღარაფერს ექნება აზრი, მე კიდევ მინდა, მართლა მთელი გულით მსურს დავიჯერო, რომ ჩემი ცხოვრება ამ ერთ ოთახზე მეტი შეიძლება იყოს. გესმის? მხოლოდ თვალების გახელა რომ შემედლოს მაინც მნადია ამქვეყნად დარჩენა, რადგან ჩემი მოვლინებაც ხომ უკვე ერთგვარი სასწაულია? სიარულიც რომ ველარ შევძლო, ლაპარაკის უნარიც რომ წამერთვას,

მანც ვისურვებ ცოცხლებთა რიგებში ჩავენერო, რადგან ეს უდიდესი გამარჯვება იქნება სიკვდილზე! ნუთუ ვერ ხვდები?!

II

აკაკი აბულაძემ კიდევ დიდანს უსმინა საბრალო დალის, შემდეგ კი სხვა პაციენტის მოსანახულებლად გაეშურა. დღეს სამი ოპერაცია უნდა ჩატარებინა და ლილეც ხელახლა გაესინჯა. უძილო თვალები საშინლად ეწვოდა. ჯერ დღის ორი საათიც არ იყო და უკვე მესამე ჭიქა ყავას სვამდა. ცხრამეტსაათიანი მორიგეობის შემდეგ კიდევ სამი ოპერაციის გახსენებაზე გულში ეკალი ესობოდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იჩინებდა.

„ეს გზა თავადვე ავირჩიე,“-შეუძახებდა ხოლმე თავის თავს-„სხვა არაფერს აქვს მნიშვნელობა.“

აკაკის აზრით ქირურგთა საქმიანობა მხოლოდ ოპერაციებით და მკაცრი კითხვა-პასუხით არ უნდა შემოფარგლულიყო. ეს ყოველივე საჭიროებდა მეტად სათუთ და ლმობიერ დამოკიდებულებას პაციენტებისადმი, რომელთა სიცოცხლის ბედი ან სასიკეთოდ შემოტრიალდებოდა, ანდაც სავალალოდ. მიდგომა ყველაფერში საჭიროა, რადგან ექიმი, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის პაციენტის გარდაცვალებაში, შეიძლება მანც დაადანაშაულონ. მისთვის უმთავრესი კანონი მანც ერთი გახლდათ: არ დააიძულო ავადმყოფების ახლობლები.

ეს ტაბუდადებული წესდება მართლაც რომ უმთავრესი გახლდათ. ინტერნობის პერიოდში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა აბულაძე ოცდაოთხიოდე წლის ყმანვილს საცოლის გადარჩენას დაპირდა. გოგონას მენინგიტი გაუმწვავდა და სეპტიმიაციის შედეგად გარდაიცვალა. საქმრომ ექიმი პოლიციაში დაასმინა და საავადმყოფოს სახელი შეელახა. მსგავსი ქმედება აბულაძეს თითქმის მთელი თავისი კარიერის ფასად დაუჯდა და მას შემდეგ პატიენტებს აღარაფერს დაპირებია.

III

დალი მოსაცდელ ოთახში, ტყავგადაკრულ სკამზე იჯდა. საავადმყოფოს სპეციფიკური სუნი, თეთრი კედლები და გისოსებიანი ფანჯრები იმდენად აღარ აღიზიანებდა, რამდენადაც უწინ. თითქოს შეეჩვია კიდევაც ყოველდღიურ გარემოს. აკი ლილეც ამას არ ჩასჩიჩინებდა მუდამ? მიჩვევაა ყველაფერიო. ექთნების ფაციფუცი, ქალაღების შრიალი და რენდგენის გადასაღებად გაქცეული პერსონალი საავადმყოფოს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე მძაფრად როდი შეიგრძნობა სიკვდილისა და სიცოცხლის გაყრა როგორც საავადმყოფოებში? რაც არ

უნდა გაუსაძლისი იყოს ტკივილი თუკი ადამიანი საავადმყოფოს გარეთაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია მისი ატანა, ჯერ კიდევ სურს საკუთარ ძალებით გაუმკლავდეს ყოველივეს, მაგრამ აქ თუ მოხვდება, უნებლიე, ქვეცნობიერში ჩაბეჭდილი შიში გაასმაგებული ძალით დაეტაკება. აქ მოხვედრა უკვე წითელი შუქის ანთების ტოლფასია და ყველაფერი ექიების ხელში გადადის. ექიმების ხელში რომ ვამბობ, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმის ბედი წინათვე არ იყო გადანიშნული.

IV

ლილე საწოლის საზურგეს მიყრდნობოდა და წიგნს კითხულობდა. პალატაში წამლის მძაფრი სუნი იგრძნობოდა.

-დედაჩემი ისეც მოსაცდელშია?-ჰკითხა ექიმს, რომელიც აპარატს ამონებდა.

-მოსაცდელშია.

მისი ფიქრები დედას მისწვდა. ნატრობდა ეს საშინელი სენი დაეძლია და მასთან ერთად ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაეწყო. საუკეთესო წლები დაავადებამ წაართვა, მაგრამ ვინ ადგენს რომელია საუკეთესო წელი და საუკეთესო საათი? იქნებ ახალგაზრდობის წლები სულაც არ არის საუკეთესო და ბედნიერება სულ სხვა დროს ეწვიოს ადამიანს? ხალხს ქვეცნობიერში აქვს ჩაბეჭდილი აღნიშნული დებულება და თავს ისე იჭერენ, თითქოს ოცდაათ წელს რომ გადააბიჯებენ, უკვე სიჭარმაგემ დარიათ ხელი. ყოველივე მტკნარი სიცრუეა, რადგან ადამიანს ბედნიერება შეიძლება სიკვდილის უკანასკნელ თვეს, კვირას, დღეს ან თუნდაც წამს ეწვიოს. ახალგაზრდობის სიტკბოების თეორია აზრსმოკლებული არ არის რასაკვირველია, რადგან დიდი ბედნიერებაა, როცა ცხოვრების სანყისს წამსვე შეგიძლია ცხოვრებისეული სიამენი გამოსცადო, მაგრამ თუკი ბედმა გიმუხთლა, ამის გამო ხელის ჩაქნევა ნამდვილად არ ღირს.

V

ექიმმა ლილეს ყველა საჭირო პროცედურა ჩატარა. მოსაცდელს რომ მიაშურა, უკვე საღამოს რვა საათი დაწყებულიყო. დალის იქ ხილვა არ გაკვირვებია. უკვე წლებია, რაც ეს სურათი მეორდებოდა: როგორ მოდის დალი დილაუთენია, ან სულაც იქვე იძინებს და როგორ ელოდება ოპერაციიდან გამოსულ აბულაძეს. ექიმისათვის ეს ქალი იმაზე ახლობელი იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. აბა წარმოიდგინეთ იგი ორმოცდახუთი წლის გახლდათ და თხუთმეტი წლის მანძილზე, ყოველი დღის განმავლობაში ხედავდა გაჭალარავებულ დალის. აღ-

ნიშნულმა გარემოებამ მის მიმართ მეტი სიბრაღე-ლი და პატივისცემა გამოაჩინინა.

-საქმე მეტად გართულდა-მიუგო ქალს-გული იმდენად დაზიანდა, რომ სასიცოცხლო ფუნქციას დიდხანს ვეღარ შეასრულებს.

დალი მთლიანად გაფითრდა. სკამის საზურგეს მიეყრდნო, რომ არ გადმოვარდნილიყო.

-ეს დასასრულია?

მისი ხმა თითქოს შორიდან მოისმა.

-არა, ეს დასასრული არ არის, დაამშვიდა ექიმმა-გულის დონორს თუ გამოვნახავთ, უთუოდ იცოცხლებს.

-და თუ ვერ გამოვნახავთ?-თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა-და თუ ვერ გამოვნახავთ, რამდენი აქვს დარჩენილი?

-რამდენიმე კვირა, ან სულაც ერთი თვე.

VI

დალი ლილეს პალატაში შევიდა. სახე რამდენჯერმე დაიბანა, მაგრამ შენითლებული თვალები მის საიდუმლო ვაებას მაინც ამხელდა.

-ექიმს ესაუბრე?-

-ვესაუბრე-მწუხარედ მიუგო.

-სახეზეც არ მიყურებ, გაიცინა ლილემ-ნუთუ საქმე ასე სერიოზულადაა?

დალი თითქოს საკუთარ თავს ებრძოდა, ბოლოს როგორც იქნა ძალა მოიკრიბა და უთხრა:

-გულის დონორი გჭირდება.

-გულის დონორი?

-შენი გულით დიდხანს ვეღარ...

-რამდენი დამრჩა?

-ექიმმა თქვა, რამდენიმე კვირა ანდაც სულაც ერთი თვეო, მაგრამ შენ ამაზე არ ილელვო.-

ლილეს სახე ცრემლებმა დაუნამა.

-მაშ ერთი თვე?

-დონორი აუცილებლად გამოჩნდება და..

-მგონი ახლა დროა მართლა დავნებდე!

დალიმ ატირებული შვილი გულში ჩაიკრა.

-არასოდეს არ არის დანებების დრო!- გაუბრაზდა ლილეს.

-განა თავადვე არ მითხარი, არ შევწყვეტ ამ ბრძოლასო? განა თავადვე არ დამარწმუნე ამ ყველაფერში? ახლა დანებება მართლაც სიკვდილის ტოლფასია, გესმის? წლების მანძილზე საკუთარი ძალებით უმკლავდებოდი ყველა სენს, რომელმაც ხელი დაგრია, მაგრამ ახლა ღმერთი გადმოგვხედავს! აი ნახავ! ის არ დაუშვებს, რომ შენ ასე უსულგულოდ გამომეცალო ხელიდან! არ დაუშვებს, რომ ისედაც გამრუდებულ ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი წერტილი წამართვას! არ დაუშვებს, რომ

ბოროტებამ სიკეთეზე გაიმარჯვოს! ექიმმა ხომ თქვა, ერთი თვე დაგრჩაო? მაშ მუხლებზე დამხო-ბილი ვილოცებ ამ ერთი თვის მანძილზე და სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, რომ ხელიდან მე-ცლები, სანამ შენს უკანასკნელ ამოსუნთქვას არ გავიგონებ, მანამ არ დავიჯერებ, რომ სამუდამოდ დაგკარგავ!

-მხოლოდ იმად ღირს ცხოვრება, რომ შენთან ერთად გავატარო, დედა!-აღმოხდა თვალცრემლიან ლილეს.

10.08.2020.

დასასრული შემდეგ ნომერში

ქალიან დაგვაკლდები, ნიკა!

ნიკა ჯინჭარაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მტკივნეული ელდისა და სიცარიელის განცდა გააჩინა, რაც ალბათ დიდხანს გაჰყვება ყველა ჩვენგანს, ვისაც მასთან მეტ-ნაკლებად ახლობლური ურთიერთობა ჰქონია; ერთია, როცა ადამიანი, ვთქვათ, ხანგრძლივად ავადმყოფობს და მისი უახლოესი გარემოცვაც ასე თუ ისე შეგუებულია იმ აზრს, რომ იქნებ ამ ადამიანის დაკარგვამ მოუწიოთ; და სხვაა, როცა ჯან-ღონით სავესე კაცი ერთბაშად გამოგეცლება ხელიდან: ნიკა ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ორმოც წელზე მეტს არ მისცემდით, ისე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა...

“კავკასიურ სახლში“ ნიკა ჯინჭარაძეს მრავალი მოვალეობა ჰქონდა ნაკისრი-ის იყო მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი, კაფე“დნმ“-ის ორგანიზატორი, საკვირაო სკოლის პედაგოგი; დარბაზში ნებისმიერი ღონისძიების ჩატარებისას ტექნიკური მხარის მონესრიგებაც მისი ფუნქცია იყო; და რაც მთავარია, ნიკა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთი აქტიური მინაწილე გახლდათ: მუსიკის, ლიტერატურის თუ თეატრის რუსულენოვანი მოღვაწენი ნიკას უშუალო მონაწილეობით და ზედამხედველობით აწყობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს “კავკასიურ სახლში“ ... (ჩემი ლექსების ნიგნის პრეზენტაციის ტექნიკური უზრუნველყოფაც ნიკამ მოაგვარა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე).

ნიკა იყო ბარდი მუსიკოსი, საკუთარ ტექსტებზე შექმნილ მელოდიებს მღეროდა გიტარის აკომპანიმენტით. ტექსტები რუსული იყო, რადგან ნიკას მშობლიური ენა რუსული გახლდათ. განუმეორებელი, საოცრად კოლორიტული იყო ნიკას სიმღერები: თავისებური ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ძლიერი და წრფელი ენერგეტიკის

მქონე: „ქართველი ვისოცკი ხარ-მეთქი“ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვუთხარი... მისი სიმღერების ტექსტები „კავკასიური სახლის“ დირექტორმა ნაირა გელაშვილმა თარგმნა (ჟურნალი „აფრა“ 2011წ.), ოღონდ თვითონვე აღიარა თარგმანის წინასიტყვაობაში: „სასიმღერო რიტმი ვერ შევინარჩუნე, ამიტომ სიმღერების ნაცვლად ლექსები მივიღეო.“ მინდა ამ თარგმანებიდან ერთი ერთსტროფიანი ლექსი წარმოვადგინო აქ, რადგან მასში ნიკას პიროვნული ხასიათისათვის ნიშნეული შტრიხები ჩანს მკაფიოდ:

**“ო, ღმერთო ჩემო, რად დამიჯდა ეს დანაკარგი!
და აი, ახლა აღარც ვტირი და აღარც ვოხრავ.
აღარ გენდობით. მზარავს თქვენი ყრუ ლაპარაკი.
გამეხარდება, თუკი მალე დასტოვებთ ოთახს.”**

დავაკვირდეთ, როგორ დელიკატურად, ჯენტლმენურად გამოხატავს ავტორი თავის გულისწყრომას ლექსის ადრესატისადმი; აი სწორედ დელიკატურობა იყო ნიკას პიროვნების მკაფიო მახასიათებელი, იგი ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ. ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველთვის თავაზიანი, ტაქტიანი და გულისხმიერი იყო. ათ წელზე მეტხანს იმუშავა „კავკასიურ სახლში“ და არ მსმენია, რომ ვინმესთან რაიმე კონფლიქტი მოსვლოდეს...

მიჭირს შევეგუო იმ აზრს, რომ ეს წარმოსადეგი, სიმპათიური და კეთილშობილი კაცი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან და ამის გამო გაჩენილი სიცარიელე აღარაფრით შეივსება, სიცარიელედ და ტკივილად დარჩება...

ძალიან დაგვაკლდები, ნიკა!

9.02.2022

მარსიანი

ჰოეტური სკვდის ჰანგი (ნიკა ჯინჭარაძის ხსოვნას)

სიკვდილი ისე გახშირდა, ბევრისგან მსმენია: ადრე თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, სამინლად ვიზაფრებოდით, ახლა დღე არ ჩაივლის, ადამიანები ხელიდან შეუმჩნეველად არ გამოგვეცალონ, რასაც ძალაუნებურად შევეჩვიეთო. მე თუ მკითხავთ, ეს ყველაზე სახიფათო და უსამართლო განცდაა, ვინაიდან ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის ექო ხანგრძლივად გუბდება და თუ გული არ გაგცივბია, გულგრილობას ვერაფრისდიდებით შეეჩიზნები, მით უფრო თავს ვერ იმართლებ, რომ ცხოვრება წარმავალია, ჩვენ წუთისოფლის სტუმრები ვართ და არავინ იცის ვის როდის დაუბნელდება მზე და ა.შ. მოკლედ, ჩემთვის თუნდაც ძლიერი ხატოვანი გამოთქმა ძალადაკარგულია, როდესაც ადამიანს ვიცნობ და მის შესახებ საქციელის მიხედვით



ვიქმნი გაუყალბებელ წარმოდგენას, რაც მეტნილად სიტყვიერ ქსოვილს დრამატულად არ ემთხვევა. და მაინც, ადამიანის ბუნების შეცნობა ბოლომდე რამდენადაა შესაძლებელი? ფილოსოფიური სენტენციის მიღმა კვლავ უძველესი გამოცდილება იგრავნება: არამც და არამც, კაცის ბუნება იმდენად ამოუწურავია, უტყუარი დასკვნის გამოტანამდე ოცი ფუთი მარილის დაგემოვნებაც არ კმარა, თუმცა ქმედება ცხადყოფს, სინამდვილეში ვინ კეთილია და ვინ პირიქით, სააკვაცოდაა მომართული. ცალკე საკითხია, ვისი გარდაცვალებაა დაუჯერებელი, სინანულს დიდხანს რომ გიტოვებს და თავს იმდენად ხშირად გახსენებს, თავადაც გიკვირს, ნუთუ ის, რაც უსიტყვოდ გროვდება, იმდენად მედეგია, სიკვდილის მტკივნეულ განცდასაც ეურჩება და გამოუთქმელ ფიქრთან უსასრულოდ გაახლობლებს...

დღეს, კავკასიურმა სახლმა 40 დღის წინ გარდაცვლილი ჩინებული მუსიკოსისა და თანამშრომლის, ნიკა ჯინჭარაძის ხსოვნის საღამოს უმასპინძლა. 11 წლის მანძილზე ნიკას იმდენად ხშირად ვხედავდი, როდესაც მარსიანს ვაკითხავდი, ძალაუნებურად გაჩნდა კარგი ნაცნობობის მუხტი, რომელსაც დრომ საბედნიეროდ ჩრდილი ვერ დაატყო. პირიქით, მუსიკოსი, რომელიც კავკასიურ სახლში საავტორო სიმღერის ეგიდით დაარსებულ მუსიკალურ სტუდიას აქტიურად ხელმძღვანელობდა, სადაც ინტენსიური ჩანერები მიმდინარეობდა, ამავდროულად აქაურობის გაჭირვების ტალკვესი გახლდათ; დაუღალავი ადმინისტრატორი(ის ამ ფუნქციებსაც კარგად ითავსებდა) იმდენ საზრუნავს ისე ხალისიანად და დაუზარლად აგვარებდა, ვერ წარმომიდგენია მის გარეშე კავკასიური სახლის მრავალწახნაგოვანი შეხვედრები როგორ წარიმართება. სიცოცხლით სავსე, თავაზიანი, ტაქტიანი (დღეს შინაგანი ტაქტი იმდენად გაიშვი-

ათებულისა, გიკვირს თუ ვინმეს აღმოაჩნდება) და თვალშისაცემად ვაჟკაცური ნიკა ჯინჭარაძე იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, თავის ირგვლივ დადებით ველს ძალდაუტანებლად რომ ქმნიდა და შემოკრებილ ხელოვანებს თბილად ეხმარებოდა და გულითადად პატრონობდა. სასიამოვნო ტრადიციად გვექცა- პოეტურ აივანზე ჟურნალის სამზადისში გართულებს ნიკას სტუდიიდან გადმოღვრილი მუსიკის ჰანგი ბუნებრივად რომ ჩაგვესმოდა, რაც განწყობას გვიუმჯობესებდა, ნიკას ლალ სიცილზე თავადაც რამდენჯერ გამლიმეზბია და განუყრელი მეგობრისა და თანამოაზრისთვის ალაღად მიტყვამს: რა ბედნიერებაა, რომ ჩვენი მუსიკოსი აქაა, რადგან საიმედო პიროვნებაა, რაც ადამიანებისადმი ნდობას გინარჩუნებს. მართლაც, ექსტრემალურ რეჟიმში რაიმეს ჩანერა ან გადაგზავნა თუ გვეჭირდებოდა, ნიკა დაუზარლად და დაუმადლებლად გვეხმარებოდა. ორჯერ ნაოპერაციები მარსიანი წლინახევრით სოფელში რომ გადაიხვეწა და მისი წერილის წასაღებად მონატრებულ კავკასიურ სახლს ვესტუმრე, თავშეკავებული ნიკას გულთბილმა დახვედრამ გამაკვირვა: - აღარაფერი გაქვთ დისკზე გადასატანი, მოგვაკითხეთ, არ მოგერიდოთ, - ისე მითხრა, გული გამითბა. ის "დეტალი," როდესაც ზოგადი ნაცნობობა არაფერს გავალდებულებს, ადამიანის ხასიათის შეცნობას გარკვეულწილად აადვილებს. ნიკას სტუდიიდან მუდამ სასიამოვნო მუსიკის ჰანგი, მეგობრული საუბრები და სიმღერა ისმოდა. ამდენი წლის მანძილზე არ შევსწრებივარ ვინმესთან უსიამოვნება მოსვლოდა, რადგან წონასწორობა არასდროს ღალატობდა; იმასაც ვამჩნევდი, მანდილოსნებთან გალანტურობა ბუნებრივად მოსდგამდა. ერთხელ ერთ-ერთი ახალგაზრდა ხელოვანი ჩანერის დროს რომ ეწვია და შექეიფიანებულმა საკამათოდ გამომიწვია და არ მომეშვა, ნიკა უმალ ჩაერია, კოლეგა სტუდიაში შეიყვანა და იქ რომ სათანადოდ "გამუშტრა," შემდეგ გულისხმიერად მკითხა, იმედია, ზედმეტი არაფერი წამოსცდაო. ამ სიმშვიდის მიღმა საოცარი სიმტკიცე ამოვიკითხე, ამიტომ არ გამკვირვებია, ერთხელაც რომ გაგვენდო, ადრე ძალოვან სტრუქტურაში ვმუშაობდი, ცხვირწინ ბუზს ვერავინ ამიფრენს, აქ ყველა ჩემი მფარველობის ქვეშა ხართ, არაფრის შეგეშინდეთო, ხუმრობანარევი ლიმილით დააყოლა. ახოვანს გარეგნულად ეტყობოდა, რომ მისთვის ფიზიკური წრთობა ბუნებრივი იყო. საბჭოთა ჯარში თავს არავის ვაჩაგვრინებდი და ახლა, ამ პანდემიის ასე რომ ეშინიათ, ვლიზიანდები და ხალხს თუ უარესად მოექცევიან და დაატერორებენ, მზად ვარ ჩვენი უსაფრთხოება იარაღით ხელში დავიცვაო, ეს რომ გვითხრა, უმალ გავაცნობიერე, პიროვნული ღირსება და თავისუფალი არჩევანი რამდენად უღირდა...

ისე მოხდა, ამდენწლიანი კარგი ნაცნობობის მიუხედავად ტრადიციულ დისტანციას არასდროს

ვარღვევდით. დეკემბრის თვემ ყველაფერი შეცვალა. ნიკამ მარსიანისგან შეიტყო, რომ აუცრელი ვიყავი და ამ ფაქტმა იმდენად გაახარა, ხუმრობით გვითხრა: ჩვენ გარდა ირგვლივ ყველა კოვიდპანიკასაა აყოლილი და რა კარგია, რომ ჩემნაირად ფიქრობთო. მას შემდეგ თავის სტუდიაში გვეპატიუებოდა ხოლმე სასაუბროდ. ცხადია, მადლიერების ნიშნად "ისინდის" ნომრები ვუსახსოვრეთ. დეკემბერში, როდესაც მრავალწლიანი ოცნება ასრულდა და მარსიანის წიგნის გამოცემა რეალური გახდა, ეს ამბავი ნიკას გავანდეთ თუ არა, უმალ დახმარება შემოგვთავაზა: თქვენ წიგნი გამოუშვით და როცა მეტყვით, წარდგენას გავმართავთ, რემონტს ვაკეთებთ და რადგან მარსიანის დღეობა 22-შია, მუშებს საქმეს რამდენიმე დღით ადრე დავასრულებინებო. და თუ კვლავ ჩაგვეკეტავენ, მარსიანს აქ ჩემს დივანს დავუთმობო. თქვა და სიტყვა დროულად შეასრულა. ცხადია, მისი ოპერატიულობით გახარებულებმა წარდგენაზე გულით დავპატიჟეთ; აუცილებლად მოვალ და თან კარგ კახურ ღვინოს მოგართმევთო, ჩვეული სიხალისით დაგვაიმედა. 22-ში დარბაზში რომ შევედი, ნიკა უკვე საქმიანად ტრიალებდა; ღვინის დოქებისკენ ისე საქმიანად მიმახედა, ლიმილი ვერ დავმალე. ხოსე-დაუზარელი რეჟისორი სანამ აპარატურას აწყობდა, ნიკა გულიანად იცი-ნოდა: - შეხედეთ, გაციებამ ხმა როგორ დაუბოხა, ველარ ვცნობო. მოკლედ, როგორც ყოველთვის მხიარულებასა და კეთილგანწყობას აფრქვევდა, თან ჩქარობდა. მარსიანისგან გავიგე, რომ დედა შეუძლოდ ჰყავდა და ვუთხარი: ნიკა, გული მწყდება, რომ მარსიანის წიგნის საღამოს ვერ ესწრები, არადა ასე სწრაფად და კარგად სწორედ შენი წყალობით მოგვარდა საქმე, დედის გამოჯანმრთელებას გისურვებ-მეთქი, ამ სიტყვებზე კეთილად გაელიმა და თქვენთან ვარ, დედას მარტო ვერ დავტოვებ, უნდა მოვუაროო, ისე თბილად დასძინა, ამ საპატიო მიზეზით განიარაღებულმა დავადევნე: ხომ იცი, ჩემი სიტყვა ძალაშია და "ისინდის" საზაფხულო ნომერში შენი ლექსები აუცილებლად დაიბეჭდება-მეთქი. მახსოვსო, ხალისით მომიგო და გამომშვიდობების ნიშნად ხელი მეგობრულად დამიქნია. რამდენიმე დღით ადრე დეკემბრის სუსხიან დღეს მისმა სიმღერებმა შეხვედრა გაგვილამაზა. განსაკუთრებით მომეწონა ცნობილი რიმეიქის ეს-მერალდას ნიკასეული ვარიანტი. ჩვენი ალტაცებული რეაქცია ესიამოვნა, აღარ მოვეშვით და ვთხოვეთ თავისი გულშიჩამწვდომი, პოეტურად ჩახლექილი ხმით შესრულებული საკუთარი სიმღერები ჩაერთო. საოცარი განცდა დაგვეუფლა მისი ხმიდან ისეთი სევდა, პოეტური აღმაფრენა და გზნება იღვრებოდა, რაც შემოქმედებითი ველის მიღმა დაფარული იყო, ვინაიდან უმრავლესობისგან განსხვავებით მას ჭეშმარიტად მამაკაცური სისადავე გააჩნდა და პიარის მიზნით საკუთარი თვისებებით საქვეყნოდ არასდროს ტრიაზობდა.

მარსიანს უსაყვედურა, აქამდე რომ გეთქვა, სიმ-
ლერებს თხზავდი, სტუდიაში შენს რეჩიტატივებს
ჩავენრდი, კარგად მოემზადე და ახალი წლები რომ
გადავიღის, სტუდიაში აუცილებლად აგამლერებ,
იკა დირიჟორად დაგვესწრებაო, კეთილი ღიმილ-
ით დააიმედა. ვიცოდით, სიტყვის პატრონი იყო
და პატივს ამიტომაც ვცემდით. ტაქტისა არ იყოს,
სადღესოდ პირშეუშლელი კაცის პოვნა იმდენად
რთულია, დანაკლისით გამოწვეულ სინანულს ეს
გარემოება ამძაფრებს. რას წარმოვიდგენდით,
22 დეკემბერი-“ლომის ზოდიაქოს“ წარდგენა ჩვენი
უკანაკნელი შეხვედრა თუ გამოდგებოდა. 27-ში
ნიკას დალუპვის ამბავი რომ გავიგეთ, მარსიანი ისე
აქვითინდა, დიდხანს ვერ დავამშვიდე. 20 დღე
კავკასიურ სახლს ახლოს არც გავკარებთ, ნიკას
უდროოდ და უეცარმა გარდაცვალებამ(54 წლის ასა-
კი- სრული სიმნიფის ხანა) იმდენად დაუჯერებ-
ლად და მტკივნეულად იმოქმედა. ახლაც, მისი
ხსოვნის საღამოზე, რომელიც შესანიშნავად ჩატარ-
და, ვინაიდან ყველა მისი მეგობარი და ახლობელი
გულწრფელად წუხდა, რომ მათ ნიკა ჯინჭარაძის
სახით საიმედო, თავაზიანი, ერთგული და ძალიან
ნიჭიერი პიროვნება დაკარგეს, ყველა აცნობიერებ-
და, რომ განუმეორებელი შეხვედრების ბედნიერი
ხანა ნაადრევად შეწყდა; ამიტომ გამომსვლელები
სიტყვა უსამართლოს ხშირად იმეორებდნენ, რადგან
სიკვდილის არჩევანი მეტწილად გაუმართლებელ
და აუხსნელ მოცემულობას ეფუძნება. სწორედ
ამიტომ გულდანყვეტის ხარისხი იმდენად მაღალი
გულწრფელობით გამოირჩეოდა, დიდი ხანია ეს-
ოდენ კულტურულ ატმოსფეროს აღარ შევსწრე-
ბივარ, სადაც გლოვაც საკადრისია და სითბოც
გულიდან წამოსული გაუყალბებელი ნაღველითაა
გამსჭვალული...

კავკასიურ სახლს-ამ სტუმართმოყვარე,
მრავალფეროვანი კულტურის ცენტრს ნიკა ჯინ-
ჭარაძის სახით მართლაც დაუზარელი და საიმე-
დო ქომაგი გამოაკლდა და ვიმედოვნებ, მისი კო-
ლეგები, ახლობლები და დამფასებლები ნიკას
ხსოვნას საქმით განამტკიცებენ:- კავკასიურმა
სახლმა მისი ხელმძღვანელის, ცნობილი მწერლისა
და მთარგმნელის, ნაირა გელაშვილისა და მიხო
ბეროშვილის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე
თარგმნილი ლექსების კრებული საზოგადოე-
ბას უკვე შესთავაზა; ეს მხოლოდ დასაწყისშია,
ზაფხულში ნიკას ლექსების გერმანული თარგმანი
დღის სინათლეს იხილავს; სამომავლოდ აუცილებ-
ლად გაიმართება ნიკა ჯინჭარაძისადმი მიძღვნი-
ლი მუსიკალური შეხვედრები, რაც ნიშნავს, რომ
ღირსეული შემოქმედისა და პიროვნების ხსოვნას
დავინწყება არასდროს უნერია...

4.02.2020.

იკა ქადაგიძე

ჰანსტანგ ჰანსტაქე²

ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე

წარმოთქმული სიტყვა

2020 წელს 30 წელი შესრულდება იმ დღიდან,
რაც ქართველმა ერმა ზვიად გამსახურდიას მეთაუ-
რობით, გონივრული, თანმიმდევრული პოლიტი-
კური ნაბიჯებისა და უნაკლო სამართლებრივი
მოქმედებების შედეგად საქართველოს სახელმწი-
ფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.ამავე წელს
(1991 წლის 25 დეკემბერს) ოფიციალურად დაიმ-
ალა საბჭოთა კავშირი და საქართველოში მოხდა
სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება (კრიმი-
ნალური პუტჩი). „კავშირის“ დაშლა ცენტრიდან
უსულგულო რეტროგრადებმა იმხანად სისრულეში
მოიყვანეს კრემლში (კგბ-სა და გრუ-ში) დაწერილი
მზაკერული სცენარით. რომელთაც საქართველოს
რესპუბლიკის შემთხვევაში, არასამართლებრივად,
არაკანონიერად „ახალი სახელმწიფოს“ კონვენცი-
ის ძალადობრივად მოგვახვიეს თავს და არა ისე,
როგორც უნდა მომხდარიყო -სამართლებრივად
სწორად, კანონიერად, საქართველოს სახელმწი-
ფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძ-
ველზე და მის შედეგად.

აღბათ, ეს არც იყო გასაკვირი. როგორც იტყვი-
ან, ეს უკვე მათი (სულისმღაფავი სსრკ - ის და
მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის),
პრობლემა იყო თუმცა მაინც,1991 წლის 25-26 დე-
კემბრიდან, ყველაფრის მიუხედავად - თავის მხრივ,
საქართველოს რესპუბლიკა ან უკვე იურიდიულად
შემდგარი, ახლადფეხადგმული, ათვლადანყებული,
არასაბჭოთა სამართალმემკვიდრე, იურიდიულად
დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლის სუბ-
იექტი სახელმწიფო გახდა.

სახელმწიფო - საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირი - (როგორც დე ფაქტო, ისე
დე იურე), ბუნებაში აღარ არსებობს. როგორი
ბოროტული, ძალადობრივი სახითაც იგი შეიქმნა,
ნიშანდობლივია, ისეთივე სახითაც დასრულდა იგი
(ოფიციალურად დაიშალა). რაც ერთგვარ კანონ-
ზომიერებას წარმოადგენს.

შემდგომ 1991 წლის 22 დეკემბერს, დილი 8 საა-
თზე, მთავრობის სახლზე დაწყებული შეტევა ბანდ-
ფორმირებების მიერ ამიერკავკასიის სამხედრო
ოლქის ჯარისკაცთა და ტექნიკის გამოყენებით და
„გრუ“-ს სპეცნაზის აქტიური მოშველიებით.
ფაქტობრივად გასამხედროებულ - კრიმინალიზე-
ბულ „ოპოზიციასთან“ ერთად, დამოუკიდებელი
საქართველოსათვის მებრძოლ ეროვნული ხელი-
სუფლების (არსებითად ახლადშემდგარი საქარ-
თველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის) წი-
ნააღმდეგ, სამხედრო შტურმს ნიშნავდა.

20-ე საუკუნის მიჯნაზე სისხლიან ზამთარში
განვითარებული დრამატული პუტჩისტური მოვ-

2 დასაწყისი იხ. №15-ში

ლენები კალეოდესკოპური სისწრაფით წარიმართა: ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიგეგმა და განხორციელდა, იმპორტირებული ომით“, თავიანთი მართვადი პოლიტიკური, „დესანტის“ (ტრიუმფირატის) ქართველი „ნამესტნიკები-ს“, უკანონო ხელისუფლების ადგილებზე დასმით.

სახეზე იყო ნამდვილ ბოროტმოქმედებათა, სისხლის სამართლის დანაშაულებათა სრული შემადგენლობა. აი ისიც: უკანონო, სამხედრო და, „სახელმწიფო“ საბჭოების ძალადობრივი შექმნა (პირობითად, საოკუპაციო-საინტერვენციო ადმინისტრაციის მსგავსად), არასამართლებრივ სივრცეში ჩატარებული არალეგიტიმური, ფალსიფიცირებული, ცრუ, „არჩვენები“, გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა, ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლების ძალაუფლების უხეში, ბარბაროსული მიტაცება, შემდეგში მისი უკანონო მითვისება-უზურპაცია, საკუთრივ სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის დანაშაულებრივი იავარქმნა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, წინააღმდეგობის ფრონტის სისხლში ჩახშობა, ადამიანის უფლებების სრული იგნორირება, ქვეყნის ტერიტორიის 22%-ზე მეტის გასხვისება ამ, „დემოკრატიის“ მთავარი შემოქმედი „დიდიპოლიტიკოსი“ ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. საქართველოს უახლესი ისტორიის შემადრწუნებელი ფურცლები, მუდამ შავ ლაქად დარჩება, იმჟამინდელი მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა (ევროპისა და ამერიკის) სამარცხვინო, უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, უმთავრეს პოლიტიკურ მოთამაშებთან ერთად, სახელდობრ, ოკუპანსგადმელ, თავისუფლების მეზარაცხრე ქვეყნის, ვაგლახ, აშშ-ის იმდროინდელი ადმინისტრაციისა და ჯერ სსრკ-ის და შემდეგ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, ფარული, ერთობლივი ვერაგული გარიგების (წინასწარ დასახული კუთვნილი პოლიტიკური როლების გათვალისწინებით, ლირსეული პროტესტის მაგიერ, ევროპის ქვეყნების თანამეგობრობის პოლიტიკურ ლიდერთა დემონსტრაციული დუმის ორკესტრირებით. ფაქტობრივად, საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებისა), შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძალადობრივად დაამხეს კანონიერად არჩეული ხელისუფლება. ამიტომაც ამბობდა დევნილობიდან ახლად დაბრუნებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1993 წლის 24 სექტემბერს, ზუგდიდში: „...ეს მტერი ნაქეხებულია, კიდევ უფრო დიდი მტრის მიერ...“

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დევნილობაში დაწერს: „საქართველოში პუტჩი და სამხედრო გადატრიალება ეს იყო რევანში პარტოკრატისა და მაფიოზური სტრუქტურებისა, რევანში მოსკოვის იმპერიალისტური ძალებისა, საქართველოს კვლავ ხელში ჩასაგდებად, ამ პუტჩის და სამხედრო ხუნტის უკან მდგარი ყოფილი კომუნისტური პარტოკრატია ცდილობს დაიბრუნოს ხელისუფლება და



პრივილეგიები, ხოლო, მეორე მხრივ, მოსკოვის შოვინისტურ-იმპერიალისტური ძალები ცდილობენ საქართველოს შენარჩუნებას რუსეთისათვის, როგორც გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი რეგიონისა... შევარდნაძე თავის თავში განასახიერებს, როგორც ყოფილ პარტოკრატის, ასევე რუსეთის დიდმპყრობელურ შოვინიზმს და ემსახურება ორივეს ინტერესებს საქართველოსთან მიმართებაში. ამიტომ არის იგი დროშა ფსევდოპოზიციისა და კომუნისტური მაფიისა...“ (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გაზ. „ქართული აზრი“, N 6, 26 თებერვალი, 1992 წელი).

ამჯერად უფრო კარგი ამბებით შემოვიფარგლოთ: ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, საბჭოთა იმპერიასთან, კრემლთან დაპირისპირების ამ დაუღალავი, უთანასწორო ბრძოლის სწორუპოვარი უპირველესი თავკაცნი: მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. საბჭოთა იმპერიის, როგორც გეოპოლიტიკური ერთეულის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, მისი ავანგარდი, სწორედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა - ქართველ ხალხთან ერთად.

ეს ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი, 1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი (ისე, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბერს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ჩატარებული პირველი კანონიერი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დღე, და 1991 წლის 26 მაისი, საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი, კანონიერი, საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნების დღე).

ეს თარიღები იმ დღიდან უკვე ოქროს ასოებით შევიდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიაში.

მეგობრებო, რა დაგვაზიანებს იმას, რაც თითოეულ ჩვენთაგანს კარგად გვახსოვს, - 1991 წლის 31 მარტს და 9 აპრილს. როგორ გულანთებული ვულოცავდით ერთმანეთს ჩვენი მამულის მარადიულ სიცოცხლესა და გამარჯვებას!..

და როგორც ძველი ქართველები ამბობდნენ - „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“!..

ამ ხმის ძლიერებას ვერ შეასუსტებს ვერავითარი სხვა ხმა ეშმაკეული!..

შემდგომში ზვიად გამსახურდია თავის პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის პერიოდში, საკუთარი თავის შესახებ იტყვის: „ხელისუფლების თავში მოქცევაზე არასოდეს მიოცნებია. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი საქმიანობისთვის მხოლოდ დავისჯებოდი. ჩემი დღევანდელი თანამდებობაც მხოლოდ ვითარებამ განაპირობა, ერის ნებამ განსაზღვრა...“ (1991 წ.).

1992 წელს ქ. გროზნოში (ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერია) ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში, გერმანელ ანთროპოსოფებთან საუბრისას, (რომელიც გერმანულმა ჟურნალმა „დი დრაი“-მ 1993 წელს დაბეჭდა), იტყვის: „...ქრისტიანობასა და პოლიტიკას შორის კავშირი არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ პლანშიც არსებობს. იყო ქრისტიანი, ნიშნავს არა მხოლოდ კარგ აზროვნებას, ფიქრს, ლოცვასა და მედიტაციურ ჩაღრმავებას, არამედ ბოროტის წინააღმდეგ ქმედებასა და ბრძოლას. მე დავინახე, რომ ჩემს სამშობლოს განადგურება, ბოროტება ემუქრებოდა. საბჭოთა სისტემა, რომელშიც დავიბადე, კაცობრიობისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. მე არ შემიძლო, მშვიდად მეცქირა იმისათვის, რასაც საბჭოთა იმპერია უკეთებდა ჩემს სამშობლოს, ჩემს მოძმეებს. ჩემი ქრისტიანული მოვალეობა იყო, დამეცვა ქართული კულტურა, რელიგია, სამშობლო... ამან განაპირობა ჩემი აქტიურობა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხში. ამიტომ მოვიკიდე ხელი პოლიტიკას და ამან მიმიყვანა პრეზიდენტის პოსტამდე. მე ვიბრძოდი კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიული იდეალებისათვის.“

ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია, გამორჩეული ქართველი ინტელექტუალი, კულტურტრეგერი და საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტი, იყო დიდი ისტორიული პიროვნება, დიდი შემოქმედი და დიდი პოლიტიკური ინტუიციის მქონე.

ზვიად გამსახურდია იყო ჭეშმარიტად ეროვნული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. მან წინ გაუხსნო უსახურ მსოფლიო პოლიტიკას, თავის ეპოქას და მისი უკლებლივ ყველა პოლიტიკური პროგნოზი სიტყვა-სიტყვით აუხდა როგორც ქართველ ერს, ისე დანარჩენ მსოფლიოს.

იგი ამბობდა: „რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესათვის, რათა გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა!“ „ურჩი“ რესპუბლიკის ურჩი ანტიკომუნისტი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის გაეროს ნევრად მიღების გამო განცხადებაში, ჩვეული პირდაპირობით და ქრისტიანული მართლმხილებით, ამ „ავტორიტეტულ“ ორგანიზაციას, რომელსაც ადა-

მიანის უფლებების და საერთაშორისო სამართლის ნორმების განუხრელი დაცვა ევალება, სწერდა:

„...რაც შეეხება გაეროს, მან ვერ შეძლო თავისი პრინციპებისადმი ერთგულების დაცვა, რადგანაც მხარი დაუჭირა აგრესორ რუსეთს და მხოლოდ მისი პირობების შესრულების შემდეგ მოხდა საქართველოს გაეროში მიღება, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა სახელმწიფო აგრესიის მსხვერპლი და საკუთარი ნესდება, უგულვებელყო ადამიანის უფლებების დეკლარაცია და საერთაშორისო სამართლის ნორმები“ (გაზ. „ქართული აზრი“, N28, 7 აგვისტო, 1992 წ.).

დიახ, ასეთი „პასუხისმგებლობით აღსავსე“ გახლდათ მაშინ გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - „საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო თანამშრომლობის ორგანიზაცია“ და თუ როგორი „მშვიდობის“ უზრუნველყოფის და „სახელმწიფო თანამშრომლობის“ ორგანიზაციას წარმოადგენს იგი სინამდვილეში, ყველამ კარგად დავინახეთ?!

ზვიად გამსახურდია ერთგან ჟურნალისტის შეკითხვაზე რიტორიკულად ამბობს, „თუ როგორია ჩემთვის თავისუფალი ადამიანი „თავისუფლება მეტაფიზიკური ცნებაა და ბევრი საკუთარ თავს მიღმა ეძიებს. თავისუფალი ადამიანი სინამდვილეში ისაა, ვინც სინდისის წინაშე მართალია. სინდისის კარნახით ცხოვრობს, იღვწის და გარემოებებსა თუ სხვის დიქტატს არ ეპუება. ასეთ ადამიანს ვერაფერი დაიმონებს“.

მეგობრებო, როგორ შეიძლება არ მოგვეწონოს ასეთი გულწრფელი და სამართლიანი მსჯელობა და, რომელიც ყოველი იმ ქართველი ადამიანის გულამდის მიდის, რომელთათვისაც უზურპატორს თავისი სახელი ჰქვია, ვისთვისაც ყველაფერი სულერთი არ არის!..ქართველი კაცის ეროვნულ წიაღში ასეთნი არაერთნი არიან!..

მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების პოლიტიკურ და სამართლებრივ დიდ საერთაშორისო ინსტიტუციებს და მის არაფექტიურ და დრომოჭმულ სტრუქტურებს (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო და სხვა),,,ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურთ(მსოფლიო შავბნელ ძალებს), საქართველოში კრიმინალური პუტჩის შემდეგ არაკანონიერი გზით მოსულ ყველა არალეგიტიმურ ხელისუფლებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი - სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკა, თავისი ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლებით - ყელში ჰყავთ გაჩხერილი!..

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობას „ნაჩუქარ ცხენს“ უწოდებდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი. მისი თქმით ეს „დამოუკიდებლობა თავისთავად მოვიდა“. ეს შეხედულება, ჩემის აზრით, საკამათოა, მაგრამ ის რომ დღეს დამოუკიდებელი (დე-იურე) სახელმწიფო - საქართვე-

ლოს რესპუბლიკა იურიდიულად დღემდე არსებობს (განსხვავებით არშემდგარი სახელმწიფო „საქართველო“-სგან- ეს უკვე უტყუარი ფაქტია, კვლავაც გავიმეორებ, რადგანაც ამის საწინააღმდეგო მოსაზრების დასაბუთება იურიდიული და პოლიტიკური თვალთახედვით, ვერაინ შეძლო (1991 წლის 31 მარტის და 9 აპრილის ძალით) იგი ჩვენ სისხლის ფასად და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ, რასაც 1989 წლის 9 აპრილი და შემდგომ განვითარებული მოვლენები მოწმობს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მთელმა ერმა იბრძოლა. ეს ბრძოლა ჰაერივით სჭირდებოდა ჩვენს სამშობლოს, საკუთარი თავისა და ღირსების გასაცნობად.

ასეთი კუროზიცი კი მოხდა: დღევანდელმა პუტჩის მემკვიდრე ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი!) 25 წლის თავი 26 მაისს აღნიშნა?!

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ნათელი სულის პატივსაცემად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991 წლის 9 აპრილს მიეღო.

ფიქრობ, ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ღრმად უნდა დაფიქრდეს, რადგან იმხანად სრულიად საქართველო იდგა ფეხზე, ვიღაცას კი ძალიან სურს გვითხრას - არაფერი გაგიკეთებიათ, არაფრის მაქნისები ხართო. მათ ძალიან სურთ სრული ნიჰილიზმი დათესონ... ამ უსახურთა მხრიდან ეს მართლაც აღმაშფოთებელია!.. ისინი თავხედურად უარყოფენ 9 აპრილის უდიდეს მონაპოვარს და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს უახლეს ისტორიაში.

დასასრული შემდეგ ნომერში

მარიამ ტოხიშვილი

ნასახლარის სევდა

ავგისტოს მზე ნაკლულობას იწყებდა...
 ბუნებას ახლახანს,,ეცვალა ფერი”...
 ფანჯრიდან მდინარის შხუილი ისმოდა...
 ნასახლარების სევდა აყრუებდა კარ-მიდამოებს; ყვიროდნენ ჩამოშლილი, ჩამონგრეული ლოდები მთელი ძალით; ბანს აძლევდნენ ჩატეხილი ლობე-ყორეები, უკვამლოდ დარჩენილი საკვამურები, შეციებული ბზარები მივიწყებული კედლებისა...
 უძრავად იდგნენ მრავლისმნახველი მთები და ფეხის მოცვლას არ აპირებდნენ - კვლავაც თავისი კალთების სილამაზით უნდა მოენუსხათ იშვიათი მაცურებელი!

დილაუთენია მანქანის ხმამ შეძრა ტყე-ჭალა; იქ, იმ მიუვალ ხეობაში იმდენად იშვიათობა იყო ტრანსპორტის მოძრაობა, როგორც ბარში - უტრანსპორ-

ტობა; წამოდგნენ ნანგრევები, წელში გაიმართნენ მიტოვებული სახლ-კარები იმ იმედით, რომ რომელიმეს მაინც გამოუჩნდებოდა მობრუნებული პატრონი და ძილ-ბურნიდან გამოიყვანდა ნაადრევად დაბერებულ-დანაოჭებულებს. თუმცა არც ერთის მოლოდინი გამართლებულა... ეს იმ ჯალათების ხმა იყო სულ ახლახანს რომ აეკიდათ ზურგზე საშვილიშვილო ცოდვა - მთების წვერზე სანადიროდ წამოსულებს დათვისთვის შვილები დაეხოცათ; თვითონ დედა კი მდეგრებისგან გამწარებული და ბედს დანებებული, იმის შიშით, ადამიანების ლუკმა არ გაეხდებოდა უდღეური ნაშიერებივითო, სალკლდეზე ნისლებს შერევიან... სწორედ ისე, ქართველი ლამაზმანები რომ ხტებოდნენ სიმაღლეებიდან ახალმტერდაცემულ საქართველოში, ოღონდაც შაჰის ან ვინმე დიდებულის ნადავლად არ ქცეულიყვნენ...

ძლიერ დაღონებულან მონადირენი, განა იმიტომ ამდენი სიცოცხლე რომ შეუწირავთ და ამხელა ცოდვა-ბრალი დაუტრიალებიათ, არა! იმიტომ, რომ დედა დათვის ხორცით ვერ გაუძლიათ მუცლები და მხოლოდ ბელები შერჩენიათ ხელში...

80 წლის მანძილზე რა არ ენახა მოხუცის დამჭკნარ თვალს... რა ცოდვისთვის არ შეესწრო მზერა, თუმცა უშვილოდ ან უდედოდ დარჩენილი ნადირის საცოდაობაზე გულსაკლავი არაფერი ეგულებოდა დედამინის ზურგზე მის დაობლებულ გულს. სულ უკვირდა :,,რადა ჰქვიან ცხოველს ,,ნადირი” და კაცს კიდე,,ადამიანი”?! რომელს უფრო შაჰფერის ეს უგვან სახელი, რომელია უფრო პირუტყვიო”, მაგრამ რას გაანყობდა თავისი უმზეური ფიქრებით... ანკი რალა უნდა ეკეთა ფიქრის გარდა იმ ღმერთისგან მივიწყებულ, მიუვალ სოფელში... შვილი და ძირი არა ჰყავდა რომ იმათზე ედარდა და ეზრუნა, არც მიმხედავი ეგულებოდა ვინმე. მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ თუ ავიდოდა უმგზავროდ დარჩენილი ტრანსპორტი, რომ დედაბრისთვის სანოვაგე მიეწოდა. დიდთოვლობისას ესეც სანატრელი იყო ზევების გამო; ზაფხულშივე უნდა მოემარაგა ზამთრის გადასაგორებელი პროდუქტი.

მრავალჯერ ჰქონდა ქალაქში ცხოვრების შანსი, თუმცა ვერ დათმო საყვარელი დედულ-მამული. ახლა კი სიმშვიდეში, მარტოობაში იღვენთებოდა ბოლო სანთლად ჯერ არ გაციებულ კერაში...

გათხოვილიც იყო...
 ბედნიერების ვარსკვლავებსაც წყვეტდა...
 მომავალზეც ფიქრობდა...

შვილებიც უნდოდა... მაგრამ წუთისოფელმა არ დააცადა ცხოვრებით ტკობა და მალევე დააქვრივა; დატოვა მიუვალ მთებში საცალფეხო ბილიკებთან და ბენვის ხიდებთან ერთად ჭემმარიტი სიყვარულის ერთგული...

მოხუცმა დილით შემთხვევით შეასწრო თვალი გზამოჭრილი დათვის საცოდაობას; თავისი ყურით მოისმინა განწირული ღმუილი უბედური ცხოველისა და მზერა ჩააყოლა სალკლდეზე ჩასისხლულს...
 შეცბა...

დაენანა...
 შეძრა ნანახმა...
 დაჯაბნა უსუსურობამ...

შუადღეს ისევ მოისმა მანქანის ხმა და იმის შიშით ისევ რაიმე ცოდვის მომსწრე არ გამხდარიყო, სახლს შეაფარა თავი. წიგნიდან სანიშნე ამოიღო და განაგრძო ვაჟას შექმნილ პერსონაჟებთან ერთად „მოგზაურობა“...

სალამოს რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა (წიგნით ხელში ჩასძინებოდა საყვარელ სავარძელში); ადგა, გარეთ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი ნახა უცნაური. იფიქრა, მომეჩვენებოდაო და ჩვეულებისამებრ ფიქრსა და მოგონებებს მიეცა საქმეში გართული.

მეორე დილას, როგორც ყოველთვის, მზეს დაასწრო ადგომა. ბინდ-ბუნდშივე მოილია დილის საქმე და სათუთად აკინძული ფურცლები გადაშალა. ვინ იცის, მერამდენედ უცქერდა გაცვეთილ, გახუნებულ გვერდებს... მერამდენედ უბრუნდებოდა რუსთაველის ნატიფად დალაგებულ აზრებს, ასე მოკრძალებით რომ გამოეყვანა ასოებად გადამწერს...

კიდევ მოესმა ხმაური; იფიქრა ისევ მეჩვენებოდა და მშვიდად განაგრძო დაზეპირებული ტაეპების კითხვა. მაგრამ ვილაცის ხმა მოესმა ახლა უფრო ახლოს;

ემცნაურასავით...

ყურებს ვერ დაუჯერა...

გახევედა...

კიდევ უფრო ახლოს, თითქმის კართან, უფრო ნაცნობი, უფრო ახლობელი, გონების ბნელ კუნჭულში მიმალული ტემბრი (წლების მიერ კვალდანატყობი, გაზრდილი, დავაჟკაცებული...)...

კარი გაიხსნა და იცნო დიდი ხნის წინ ბარად გადასახლებული მეზობლის შვილიშვილი; ელდა ეცა! თვალები ბედნიერებისგან გაუბრწყინდა... წლების შემდეგ პირველად ესტუმრა სულიერი, ისიც ასე ახლობელი... რა პატარა ახსოვდა ეს მოულოდნელი სტუმარი! ახალა გაიაზრა რამდენი წელი გასულა მას შემდეგ, რაც მარტოობას შესჭიდებია!..

- ვაი, შენ კი გენამლე მაგ ხმაშია! როგორ ხარ შვილო? საიდან მოხვედ? მოდი, დაჯექ! სტუმრის მიღებას კი გადაჩვეული ვარ, მაგრამ იმით გიმასპინძლებ, რაცა მაქვს...

- არა, ბებო, ნუ შენუხდები! ცოტა ხნით გამოგიარე... ამიერიდან კი ხშირად მოგვინვეს შეხვედრა! გუშინ შუა დღეს ამოვედი... პაპის ნასახლარზე ვაპირებ ცხოვრებას! ბევრს კი აოცებს ჩემი გადანყვეტილება, მაგრამ ქალაქის ხმაურს გამორიდება და აქაური სიმშვიდე ყველაფერს მირჩევნია! ჩემ მამა-პაპათ ედემის ბალი მიუტოვებიათ! მე კიდევ ჩემი ცოლ-შვილით აქ მინდა დავემკვიდრო; ცოტა რომ, შევავლებ ხელს” სახლს, იმათაც ამოვიყვან და გაგაცნობ...

- აგრემც, ისე გაგახარებს გამჩენი, როგორც შენ მე გამახარე ეხლა!.. დიდ საქმეს კი შასჭიდებხარ, შვილო! რთულია აქ ყოფი; ხანდინხან ისე გავა კვირები ხმის გამცემ არსაით გამამიჩნდება... ზამთარი კიდევ ძალიან მძიმე იცის, მომარაგება გინდათ.

- რა მესწავლება, ბავშვობის რამდენიმე წელი ამ ღვთისგან მივინყებულ ნალკოტში არ მაქვს გატარებული?! ყველაზე ტკბილი წლები... მე ვიქნები აქეთ ამოსვლის პირველი მერცხალი და იმედი მაქვს ბევრ ჩემნაირს ავიყოლიებ!



- ღმერთმა ხელი მოგიმართოს და დედა-შვილობის გამჩენმა, ჩემის მამის სალოცავ იყოს შენი შემწე და მფარველი ყველა კარგ საქმეშია!

- გაიხარე, ბებო, იცოდე დღეიდან მე აქ ვარ! ღმერთმა ნუ გაგიჭირვოს, მაგრამ თუ რამე დაგჭირდეს არაფერზე მომერიდო, ჩემი იმედი გქონდეს ყველაფერში! ეხლა წავედი და გამოგივლი შებინდებისას კიდევ, გავიხსენოთ ძველი ამბები...

- შენ კი გენაცვალე! მიდი შვილო, მიდი, მიხედე საქმესა! ნეტამც, ბევრ შენნაირი მისცა დედებსა! სალამოს შავიყარნეთ, კოთ მოგვისწრებს სიგრილეცა!

მოხუცმა სიხარულითა და აღტაცებით სავსე გული გააყოლა მომავლის იმედს! უფალს ამდენი ხნის ლოცვა-ვედრება შეესმინა და ანგელოზად კარის მეზობელი გამოეგზავნა! ახლა რომც მომკვდარიყო, სიმშვიდეს მაინც ჰპოვებდა - სოფელი უპატრონო არ დარჩებოდა და მიცვალებული - დაუმარხავი! მარტოობის მთავარი შიშიც გაჰქრობოდა ამ გულანთებული ბიჭის დიდი და მადლიანი გემეების მსმენელს!..

ავგისტოს დღე კი ნაკლულობას იწყებდა...

ფანჯრიდან მდინარის შხუილი ისმოდა...

ერთით ნაკლები ნასახლარის სევდა აყრუებდა გარემოს...

ბუნებას იმედისფრად ეცვალა ფერი...

ნიკა ჯინჭარაძე

ჯარჯი ფხოველი



მარტოსულ ლექსებს ერთადერთი წყარო აქვთ მხოლოდ:
 მთვარის ნათელი გადმოღვრილი დედამინაზე-
 და გაუფდებათ სხვა სინრფელე სტრიქონებს ბოლოს
 და პირს მოხსნიან მთელ სიბნელეს და მთელ სინაზეს
 ჩემი ცხოვრების: აღმასვლების წუთების სრბოლა
 და დაღმასვლების საათების მძიმე ტაატი გამეორდება, ტანჯვა, ლხენა უაზრო ქროლვა, პირქუში შრომა, ჩურჩული თუ ყრუ მასლაათი.
 წმინდა სიმართლე გაუნათებს მანკიერებებს შემზარავ სახეს- როგორც ლექსებს მუდამ სწვევიათ,
 შიშის გარეშე, საყვედურის გარეშე შეკრებს ჩემს არსს თქვენს თვალწინ, ყველაფერს, რაც სულს შემთხვევია.
 მიდის ცხოვრება-უცნაურად მუდამ ხანმოკლე, მისხლტის ხელიდან გამოცანა თუ განტოლება, მისი პასუხი მეც ვეძებე და ვერ მოვძებნე, მხოლოდ ეს ფიქრი აღარასდროს არ მომშორდება:
 ეს სტრიქონები, დაწერილი ბედის თითებით, გაყვითლდება და დასცვივდება მეხსიერებას, ისე, ვით ქარი,
 ხმელ ფოთლებს რომ ფოთლებზე აფენს, ჩვენი გზის ბოლოს ისევ ისე მარტო ვიქნებით, როგორც მარტოა მთვარის შუქი დედამინაზე.

რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

მ. ნ. ნ.

ოდეს ჩამოხდება მორიალე
 კედლიდან ლანდი მორიელის,
 ოდეს გადმომწვდება უდღეურად
 მოხრილი ხელი კურთხეულის,
 ოდეს მივიქცევი უზიაროდ
 და ტყე მომატირებს უსიერი,
 ოდეს შემოდგომის ყვავილივით
 უეცრად გადავა ყოველივე,
 მაშინ ამ ლურჯი გაზაფხულის
 ჭრელი მოსახამი გადამხურე
 და ცა მოაქციე განვიმებად.

მარჯხ გაქანისპილი

გალპერზე

ალექს (ალექსანდრე) გალპერი დაიბადა კიევში 1971 წლის 4 მარტს, 1990 წელს კი ოჯახთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა საცხოვრებლად. ნიუ-იორკში მან ბრუკლინის კოლეჯის ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. იგი დღემდე ნიუ-იორკში ცხოვრობს, წერს ძირითადად რუსულ ენაზე, გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვედეთსა და რუსეთში. ორჯერ მოხვდა გრიგორიევის პრემიის „ლონგლისტი“, ასევე მოხვდა „ნაცბესტის“ სიაში, გახლავთ ნონკონფორმისტის პროზის ფინალისტი. „ნეზავისიმია გაზეტამ“ გალპერის წიგნები ორჯერ გამოაცხადა წლის წიგნად. თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ქართულ და შვედურ ენებზე.

ალექს გალპერი 15 წელზე მეტია, რაც სოციალურ მუშაკად მუშაობს. სხვათაშორის, ეს საქმიანობა კარგ მასალას აძლევს მის ირონიითა და აბსურდით შეზავებულ შემოქმედებას, მის იუმორსა და გამჭრიახობას (შეიძლება ითქვას, რომ აბსურდით შეზავებული ირონია გალპერის მთავარი იარაღია; მის შემოქმედებაში დიდი დოზით გვხვდება თვითირონია – თვითირონია საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, როგორც ზოგადად ადამიანის, როგორც შემოქმედის მიმართ).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ალექს გალპერი ბოლო დროს ლექსებს იშვიათად წერს და ძირითადად პროზაზე გადაერთო. ოღონდ ამისკენ არა ასაკმა, არამედ სწორედ ნიუ-იორკის სოციალურად დაუცველი ფენის მკაცრმა ყოფამ უბიძგა.

აღსანიშნავია, რომ მასზე, როგორც მწერალზე, ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს რუსული გაერთიანება „ობერიუს“ პოეტებმა და ჩარლზ ბუკოვსკიმ. მწერლები და კრიტიკოსები მის შემოქმედებას ცნობილი მწერლების, სერგეი დოვლატოვისა და ედუარდ ლიმონოვის, ჰენრიხ საპგირის შემოქმედებას ადარებენ. ოღონდ, მაგალითად, ლიმონოვის უარყოფითი გმირებისგან განსხვავებით, გალპერის შემოქმედებაში კომიკურ პერსონაჟებს ვხვდებით. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ გალპერი თავად აღწერს კომიკურად თვით ყველაზე ტრაგიკულ ამბავსაც კი. ამით თითქოს გვიმსუბუქებს იმ სიმძიმის, რომელსაც ეს ამბავი იწვევს.

ალექსანდრე გალპერსა და მის შემოქმედებას ქართველ მწერალთა და მკითხველთა გარკვეული ნაწილი კარგად იცნობს. ის ორჯერ სტუმრობდა თბილისს და ლიტერატურის ფესტივალშიც მონაწილეობდა – პირველად 2015 წლის ივნისში, მეორედ კი 2016 წლის მაისში. მეორედ სტუმრობისას გალპ-

ერმა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ „ისინდის“ რედაქტორი იკა ქადაგიძე და ჟურნალის უცვლელი ავტორი მარსიანი გაიცნო, რომლებთანაც ერთობ საინტერესო საუბარი ჰქონდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

2015 წელს ალექსანდრე გალპერის ვიზიტი 13 ივნისის წყალდიდობას დაემთხვა და ამის გამო საღამოს გადადებაც მოუხდა. ამ ტრაგედიას გალპერმა ლექსიც მიუძღვნა (ქვემოთ ამ ლექსსაც შემოგთავაზებთ), რომელშიც მისთვის დამახასიათებელი თვითირონია იგრძნობა და სინანულიც იმის გამო, რომ დღეს მთელს მსოფლიოში მხოლოდ სენსაცია თუ აქცევს ადამიანს ცნობად სახედ და ნამდვილი შემოქმედება ყურადღების მიღმა რჩება; ერთი სიტყვით, სახარებისეული სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ბოროტი და მემრუშე მოდგმა“ მხოლოდ სასწაულებსა და სენსაციას ეძებს.

მწერალმა 2015 წლის ვიზიტსა და 13 ივნისის ტრაგედიაზე რამდენიმე მცირე ზომის მოთხრობაც გამოაქვეყნა თავის ფეისბუქგვერდზე. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ „ისინდის“ მკითხველსაც გავაცნობთ ზემოხსენებულ ლექსსა და ერთ-ერთ მინიატურულ მოთხრობას, რადგან მათში, როგორც უკვე ვთქვით, ტრაგიკული ამბავი ჩვეული იუმორითა და სიმსუბუქითაა გადმოცემული და მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება ალექს გალპერის წერის მანერაზე:

პოეტი, რომელიც კინალამ ლომმა შეჭამა

**პოეტები სხვადასხვაგვარად კვებიან
ზოგი კვება ოთხმოცდაათის თავის საწოლში
ზოგი თოკზე ეკიდება ან ტყვიას იხლის
ან სიმთვრალე მოულებს ბოლოს
ზოგი გარბის და ომში იღუპება
რა პროგნოზირებადი და მოსაწყენია ასეთი სიკვდილი!
მე კი აგერ შუაგულ თბილისში
კინალამ ლომს შემოვეჭამე
რა უცებ გავხდებოდი საქვეყნოდ ცნობილი!
ჩემს წიგნებს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გა-
დათარგმნიდნენ
მაგრამ ისეთი არყის სუნი ამდიოდა,
რომ ლომმა მედიდურად გააქნია თავი და გამეცალა
და მე ვიტყვი,
რომ უსახელოდ უნდა მოვკვდე ლოთობის გამო.**

თბილისური საფერავი

დილის ხუთი საათია. თავსხმა წვიმაში მივფორთხავ თავქვე აკაკი შანიძის ქუჩაზე თბილის-

ში. ეს-ესაა, მანქანით მომიყვანეს და სასტუმროდან ორი სახლის იქით ჩამომსვენს, მაგრამ დარჩენილი ასი მეტრის გავლა შეუძლებელია. თქეშმა, ელვამ, ქარიშხალმა და დიდი რაოდენობით მიღებულმა სასმელმა ერთად დამაგდო. და აი, ვწევარ და ვუყურებ ქართულ ცას, რომელიც ისეთი შავია, როგორც საფერავი, როგორც იმ უკარება ლამაზმანის, მომღერალ ანას თვალები, რომელთანაც ეს-ესაა სტუმრად ვიყავი.

ამდენი რამ დამაღვიძა? – საშიში ხალხია ეს ქართველი პოეტები. ჯერ მთელი ბოცა სიკვდილივით შავი საფერავი გამოვცალეთ, მერე – უფრო მოზრდილი ბოცა კონიაკი, რომელიც ანას გამოუგზავნეს სოფლიდან და რომელიც ღვთაებრივად მსუბუქი იყო, მერე თქვეს, როდემდე ვასვით ჩვენს ძვირფას ოკეანისგადაღმელ სტუმარს ქართული სასმელიო, იქნება რამე მშობლიური მოენატრაო, – და მთელი ყუთი არაყი ჩამოდგეს სუფრაზე. მერე სახლში წამომიყვანეს. გადმოვედი, მანქანის კარი მივხურე და... მერე აღარაფერი მახსოვს. მინდოდა მალაზიაში შევსულიყავი და დილისთვის მინერალური წყალი მეყიდა, მაგრამ აგერ აქ ვწევარ გუბეში. სასტუმრო ოცდაათ მეტრშია, მაგრამ ვერასოდეს მივფორთხდები. ანა შემიყვარდა. როგორ უკრავდა გიტარაზე! რა ჯადოსნური ხმა ჰქონდა! თუ ამ წყალში არ დავიხრჩობი, აუცილებლად ვთხოვ ხელს.

უცებ გვერდით მარტორქამ ჩამიარა საქმიანად. რაო? დიახ, სწორედ მარტორქამ. როგორც იონესკოს პიესაშია. და ეს ყველაფერი თბილისის ცენტრში ხდება. საინტერესოა, რუსთაველის გამზირი როგორ გადმოკვეთა? იქ ხომ იმხელა მოძრაობაა! დავიჯერო, მთელი კილომეტრი გაიარა შუქნიშნამდე და მწვანეს ანთებას დაელოდა? რა ჭკვიანი მარტორქაა! მე კი უეჭველად ჭკუიდან შევიშალე. მაინც რამდენი დავლიე! გუბიდან წამოვიწიე ასადგომად, მაგრამ ისევ მოვიცელე. მარტორქამ ისეთივე საყვედურით აღსავსე მხერით შემომხედა, როგორითაც ხშირად შემომხედავდა ხოლმე განსვენებული ბებია ტოიბა კიევიდან, და თავი გააქნია: „შენგან არასოდეს არაფერი გამოვა!“

ისევ სასტუმროსკენ წავფორთხდი. კარებამდე ოციოდე მეტრი კიდევ დარჩა. პატარა ნაკადულები მდინარეს უერთდებიან. მე კარებს ჩავეჭიდე. ახლა ჟირაფმა ჩამიარა გვერდით. ჩამომხედა თავისი სიმალლიდან და იმანაც თავი ისე გააქნია, როგორც ჩემმა მოსკოველმა საცოლემ, როცა გამომიცხადა, რომ ჩემნაირ ლოთს არ ნაჰყვებოდა ამერიკაში და ვიზა ჩემს თვალწინ დახია. განა მიხვედრილი ადამიანი ჟირაფს შეეკითხება, როგორ გადმოკვეთა რუსთაველი? ის ხომ მალალია, მან უკეთ იცის. შეუძლია ამის უფლება მისცეს თავს. ჰოდა ასპროცენტანია, შევიშალე. სასწრაფოში დარეკეთ. ჰალუცინაციები



დამეწყო. რომელ ნორმალურ ადამიანს არ დაეწყება ჰალუცინაციები თბილისში? აქ უცებ მთის მწვერვალიდან ჩემკენ წამოსული ტალღა დავინახე. ტალღამ ამიტაცა და თითქმის სასტუმროს კართან მიმაგდო. ახლა რა ვქნა? სველი შარვლის ჯიბეში გასაღები მოვიჩხრიკო? ზარი დავრეკო? მზად ვარ კი ასეთი ზერთული ამოცანისთვის?

უცებ დავინახე, როგორ ნელა და აუჩქარებლად დაძრწოდა ლომი ჩემს ახლომახლო. როგორც ყოველთვის, ისე დადიოდა, თითქოს ნახტომისთვის ემზადებოდა. ჰაჰ, ახლა ცხოველთა მეფე! თუკი აქამდე ჩემს სიგიჟეში ეჭვი მეპარებოდა, ახლა წყალი არ გაუვიდოდა, რომ გავვიჟიდი. ლომს კუდზე მოვქაჩე: „ეი, შენ, ტალახში ამოგანგლულო კატავ! როგორ გადმოკვეთე რუსთაველი? მწვანეს ანთებას დაელოდე? იცოდე, არ მომატყუო! ვერაფერს მიზამ, იმიტომ, რომ შემლილი ვარ! არც შენ არსებობ, არც მე! აბა დროზე მიპასუხე!“ და კეპი გავცხე სახეში. ლომმა ხახა დაალო – ალბათ ჩემს შესაჭმელად – მაგრამ მე სპირტის მომაკვინებელი ნახავი შევაფრქვიე და ლომმაც ჩემს კეპთან ერთად მოკურცხლა. გიჟივით გადავიხარხარე. ხარხარზე პორტიე გამოვარდა სასტუმროდან, მხარზე შემიგდო და ნომერში შემიტანა. მკვდარივით დამეძინა.

გვიან საღამოს გამეღვიძა. თავი ისე მისკვებოდა, თითქოს ურო მირტყესო. ინტერნეტი ჩავრთე. მილიონი შეტყობინება დამხვდა, მაგრამ ნაკითხვის თავი არ მქონდა. დავინყე ახალი ამბების კითხვა. თურმე ღამე თქემისა და წყალდიდობის დროს ზოოპარკი დატბორილა და ცხოველები გალიებიდან გამოუყრია. ლომს ჩემი სასტუმროს სიახლოვეს რამდენიმე ადამიანი დაუგლეჯია. „ერთი დღე-ღამეა, რაც ვერ ვუკავშირდებით ამერიკელ პოეტს, რომელიც თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა. მისი ნაკუნებად ქცეული კეპი მოკლული ლომის გვერდით იპოვეს,“ – იუნყებოდნენ აღელვებული ჟურნალისტები. გამახსენდა, როგორ მოვქაჩე ლომს კუდზე. თურმე ნამდვილი ყოფილა!

სოციალურ ქსელებში უფრო მეტი პანიკა იყო. ძია სრულმა ისაკის ძემ ბრუკლინში სახსრების მოძიება დაიწყო, რათა ლომთაგან დაფლეთილი ჩემი ნეშტი ამერიკაში გადაესვენებინა. ცნობილი

ნიუ-იორკელი რაბინი შულცმანი დათანხმდა სიტყვა წარმოეთქვა ჩემს დაკრძალვაზე, თუკი ოთხშაბათს დამკრძალავდნენ. ხუთშაბათს კი 46-ე ქუჩაზე მცხოვრები პარიკმახერ კაცის ქორწილს უნდა დასწრებოდა. და თქვენ ხომ კარგად იცნობთ ამ კაცებს! ერთ წამსაც არ დაიცდიან. პოეტმა საშა კიტოვმა უკვე ჩემი ხსოვნის სალამო დაგეგმა პრალაში. ამ სალამოზე ჩემი ყველაზე ცნობილი ლექსის წაკითხვას აპირებს, რომლის სათაურია „ყანდაარის გეების გათავისუფლება თალიბების ჰეტეროსექსუალური უღლისაგან“. შარში ვარ! საფერავის ბოთლი გავხსენი, რომელიც თბილისის აეროპორტში მეზაჟემ მაჩუქა. ესე იგი, მართლა ლომის კუდი მოვქაჩე? და სახეში კეპი მართლა გავცხე? მაგარია! ისევ ძილი მომერია. ბოთლი ერთი მოყუდებით გამოვცალე, დავამთქნარე, პლანშეტი გავთიშე და ისევ მკვდარივით ჩამეძინა.

მეორე დღეს, თავი რომ ჯერ კიდევ გახეთქვავებ მქონდა და მასზე ახალი კეპი მეხურა, სასტუმროდან გამოვედი. თბილისში ნამდვილი აპოკალიფსი დამდგარიყო. ჩამოქცეული შენობები, ამოტრიალებული მანქანები, მხარზე იარაღგადაკიდებული სპეცრაზმელები და პოლიციის ჯავშანტრანსპორტიორები, საიდანაც რალაცას აცხადებდნენ ქართულად. ტყვიით განგმირული ვეფხვი პირდაპირ შუა გზაზე ეგდო. მის ცხედართან გავჩერდი და კეპი მოვიძრე. ცხოვრება უსამართლოა! დავინახე, როგორ ამოჰყავდათ მდინარიდან ჩაძირული მანქანა, მანქანიდან კი ახალგაზრდა ქალის ცხედარი გადმოასვენეს და ტომარაში გაახვიეს. შემებრალა ეს სტუმართმოყვარე ქვეყანა და ხალხი. ალბათ მე მომაქვს უბედურება. სადაც უნდა წავიდე, ყველგან რალაცა ხდება.

ჩემი გამოსვლა გადაიდო, მაგრამ აეროპორტისკენ გზა ჩახერგილი იყო. ქალაქის ქუჩებში ერთსაათიანი უმიზნო ხეტიალის შემდეგ საიდანღაც ქართველი პოეტი ირაკლი გამომეცხადა, რომელთან ერთადაც ანასთან ვსვამდი. ირაკლი ხელით საითკენღაც მანიშნებდა: „ჩქარა, დახმარება სჭირდება!“

გავყვი. შუაგულ რუსთაველზე, შვეიცარიული საათების მაღაზიის პირდაპირ, თბილისის ზოოპარკის ვარსკვლავი გოგი იდგა, ხალხითა და მანქანებით გარშემორტყმული. გოგი არავის აქცევდა ყურადღებას. მახსოვს, გუშინწინ მეც მილურსმულივით ვიდექი ამ მაღაზიის ვიტრინასთან. რა მაგარი საათები იყიდება, მაგრამ მეც კი, რომელსაც ირაკლიზე ათჯერ მეტი შემოსავალი მაქვს, ამ საათებს ვერ შევწვდები. გოგის თვალები სევდას გამოხატავდნენ და მე მისი მესმოდა. როგორ შეიძლება ტექნიკის ეს საოცრება არ გინდოდეს?

ირაკლიმ დაიყვირა:



– გოგი! ძვირფასო! წადი სახლში! პრობლემა მოვაგვარეთ – სპილო ვახტანგს ვთხოვეთ, ცოტა ჩაენია და უკვე გამოგითავისუფლა ადგილი. წადი იქ, იქ სიმშრალეა!

მაგრამ გოგი ისევ მონუსხულივით შეჰყურებდა ციფერბლატებსა და სამაჯურებს. ირაკლიმ ველარ მოითმინა:

– გოგი! შეხედე, აი, ეს კაცი შორეული ამერიკიდან ჩამოვიდა. ებრაელია! რას იფიქრებს ქართველებზე? თბილისზე? არ გრცხვენია? ამერიკაში იტყვიან – ქართველებმა ისევ თავისებური რალაცების გაჩალიჩება დაიწყესო! იცი, ახლა როგორ სჭირდება ჩვენს პატარა ქვეყანას ამერიკული ინვესტიციები? ტელევიზორს არ უყურებ? არ უსმინე, რა თქვა პრეზიდენტმა? რატომ გვარცხვენ?

ბეჭემოტმა ყურიც არ შეიბერტყა. ირაკლი კი აგრძელებდა:

– შეხედე საშას! ის მარტო ამერიკელი კი არ არის, ძალიან კარგი მწერალიცაა. ამერიკაში თვით ალან გინზბერგის მოსწავლე იყო. და კიდევ ინგლისიდან დაადეპორტეს!

გოგიმ თავი ჩემკენ მოაბრუნა, ირაკლიმ მისკენ მიიბიძგა:

– მიდი, მოეფერე. ნუ გეშინია, უწყინარია! მართალია, ბლომად დამაძინებლები გაუუკეთეთ, რომ არაფერი ჩაედინა. მაგრამ არ ვიცი, რამდენი სჭირდება ამ გიგანტს. ნახევარ ტონას ინონის და ორმოცდაათი კმ/სთ სიჩქარით დარბის.

ამას წინ წაკითხული გამახსენდა, რომ მთელს მსოფლიოში ბეჭემოტებისგან უფრო მეტი ხალხი იღუპება, ვიდრე ვეფხვებისა და ზვიგენებისგან ერთად ალებული. გაუბედავად გადავდგი ნაბიჯი და ხორკლიან კანზე ხელი გადავუსვი. გოგი ვიტრინას მოსცილდა და ნელ-ნელა ზოოპარკისკენ დაიძრა. ამ დროს ტელეფონზე დამირეკეს. ეს ასი წლის ნახევრადყრუ დეიდა იდა იყო კანადის მოხუცთა თავშესაფრიდან:

– ალო! საშა! დედაშენმა მითხრა, რომ ლომმა შეგჭამა. მართალია? მოსამძიმრება მინდოდა.

– იდა დეიდა! მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მთლად სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ ახლა არ შემ-

იძლია დეტალების მოყოლა. ბეჭემოტი გოგი სპილო ვახტანგთან მიმყავს. ძალიან გაღიზიანებულია, მთელი ღამე არ უძინია და შვეიცარიული საათი უყიდეს.

– არ მესმის არაფერი! ცოლი მოიყვანე? ნუ, ქართველი ქალები ყველანი ლამაზები არიან! მადლობა ღმერთს! არ მეგონა, რომ ამ დღეს მოვესწრებოდი! ახლავე დაფურეკავ ხაიფს კიევში და ყველა ნათესავს შევატყობინებ.

გოგი ვოლიერამდე მივიყვანეთ. როგორც კი შიგნით შევიდა, ახლა ირაკლის დაურეკეს. ირაკლიმ ვილაცის სიტყვით გამოსვლას მოუსმინა და გახარებულმა შესძახა:

– საიმპერატორო პინგვინი მოსე, რომელიც იერუსალიმის ზოოპარკმა გვაჩუქა, ადიდებულ წყალს აზერბაიჯანში წაუღია. მაგრამ მოსე მიხვდა, რომ საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია და უკან მოცურავს, საზღვარზე დახვდნენ და თბილისში მოჰყავთ. გაუმარჯოს ქართველთა და ებრაელთა მეგობრობას!

ყველანი გადამეხვივნენ და თავი ბედინიერ ადამიანად ვიგრძენი!

წიგნის ნათელი მომავალი

არკადი ბრუკლინის ერთ-ერთი გამომცემლობის პატარა ოფისში იჯდა, სიმელოტემეპარული თავი ხელებში ჩაერგო და ჩუმად ქვითინებდა. აღარავის სჭირდებოდა მისი მომსახურება. როგორ გადაეხადა ბინის ქირა? როგორ ერჩინა ოჯახი? ან ოფისის ქირა რით გაესტუმრებინა? იმიგრანტი ომის ვეტერანებიდან ყველამ, რომელთაც საკუთარი გმირული წარსულის შესახებ სურდათ დაწერა, უკვე დაბეჭდეს წიგნები და იმიერში გადასახლდნენ. ახალი აუდიტორია კი არსად ჩანდა, რომელიც წიგნების რუსულ ენაზე გამოცემას მოისურვებდა. ის, არკადი, უკვე ორმოცდათხუთმეტისაა. მთელი ცხოვრება ჟურნალისტი იყო, ჯერ ოდესაში, მერე მოსკოვში. ახლა კი რა ქნას? ტაქსის მძღოლობა ისწავლოს? რეკლამები დაარიგოს სადმე კუთხეში? ეს წყევლი ინტერნეტი და ოცდამეერთე საუკუნე! წიგნები კვდებიან. არსად მოიძებნა მათი ადგილი და წასაკითხადაც არავის სცალია. წიგნების გამოცემის საქმე სულს ლაფავს! არკადიმ ფანჯარაში გაიხედა. ქუჩაში აფროამეროკელები თუ პუერტორიკოელები სადღაც მიიჩქაროდნენ. ისინი ნამდვილად არ შეუკვეთავენ წიგნებს რუსულ ენაზე. მომვლელებს ეტლებით დაჰყავდათ ოთხმოცი-ოთხმოცდაათი წლის თითქმის უგონოდ მყოფი რუსი პენსიონერები. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამათ შეუკვეთონ რამე. უცებ ოფისის კარი გაიღო და ხანშიშესული ებრაელი ქალბატონი, ცნობილი ბიზნესმენის,

იციკის მეუღლე ბელა მარკოვნა შემოვიდა. ამ ბიზნესმენს ახლახან იატაკქვეშა საროსკიპოთა ქსელის ქონას სდებდნენ ბრალად, მაგრამ გამართლდა. ყველა მონმემ უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. ბელა მარკოვნა ვეება და გორილასავით ძლიერ მძლოლს მოჰყავდა, რომელსაც მიბრტყელებული ცხვირი ჰქონდა. რატომ მოვიდა ეს ქალი? რამე შეცდომაა? ბელა სკამზე დაეშვა, სული მოითქვა და არკადის მაგიდაზე სქელი საქალაღდე დაუდო:

– აქ მთელი ჩემი ცხოვრებაა. როგორ დავიბადე კიევის ოლქში ვასილკოვოში, როგორ გადმოვედით ბილა ცერკვაში და როგორ დავამთავრე იქ წარჩინებით ხორცისა და რძის პროდუქტების ტექნიკუმი. შემდეგ როგორ შევხვდი ამ ვაჟბატონს, იციკს, ჩემს მომავალ ქმარს, რომელმაც მთელი ცხოვრება დამინგრია. ჩემს ძუენა დაზე, ჰასაზე, რომელმაც ასევე ეკეკლუცებოდა, სიტყვაც არ დამინერია. იმაზეც წერია, როგორ დაიჭირეს იციკი პირველი სახელოსნოს გამო, სადაც რუბიკის კუბიკებს ამზადებდა, რომლებსაც ბელაია ცერკოვში ვერავინ აწყობდა. რალაცა ვერ გათვალა ინსტერუქციაში. ვერავინ იეჭვებდა. ვეუბნებოდი: „კაცო! ვინმე ინჟინერი აიყვანე დამხმარედ!“ ის კი: „ბელა! ეს ხომ ელემენტარულია! თავადაც გავერკვევი!“

– ჰოდა გაერკვა. როგორ ერთგულად ველოდებოდი, როგორ ჩავედი იმ ცივ ციმბირში მოსანახულებლად და ერთხელაც არ შემიხედავს მისი ძმის მონიასთვის, რომელიც სიტყვას მიკრავდა. თითქმის არცერთხელ. მოკლედ, სამი თვის შემდეგ ჩვენი შვილიშვილის ქორწილია. სამწუხაროდ, ნეფის მამა, ანუ ჩემი ვაჟი რომიკო, ჩვენს მხიარულებას კიდევ 5 წელი, 4 თვე და 7 დღე ვერ შემოუერთდება, ასე რომ, მთელი პასუხისმგებლობა ჩვენზეა, ბებიასა და ბაბუაზე. მას ცილი დასწამეს, არაფერშია დამნაშავე. რომიკოს სიტყვა მივეცით, რომ ყველაფერი უმაღლესად იქნება. მთელი მსოფლიოდან ჩამოვლენ სტუმრებო. ხუთასი ეგზემპლარი. ამ წიგნს ყველას დავურიგებთ. იმ ძუენა ჰასას გარდა, რა თქმა უნდა.

არკადიმ შეხედა საქალაღდეს, გონებაში სამუშაოს მოცულობა გამოიანგარიშა და ფრთხილად იკითხა:

– თავად დიდად პატივცემული იციკი წინააღმდეგი არ არის? არ გვინდა მისი განაწყენება.

– იციკმა მითხრა, რომ ჩემთან წინააღმდეგობის თავი არა აქვს და რაც მინდა, ის ვაკეთო. ამას გარდა, იციკს ძალიან მოეწონა, თუ როგორ აღვწერ მის პირველ მძიმე წლებს ამერიკაში, როცა ჯერ კიდევ ყველას არ ესმოდა მისი რთულ ბუნებისა. ის თვლის, რომ ეს წიგნი საჭირო ხალხის პატივისცემას მოუტანს. თუმცა რამდენიმე გვერდი ამომალებინა, რომლებიც შეიძლება არასწორად გაეგოთ სამარ-

თალღამცველებს, და დამამატებინა, თუ როგორი სამაგალითო მეოჯახეა. მას ხომ იტალიელებთან აქვს საქმე – თავადაც ხვდებით. მათთვის ეს მნიშვნელოვანია.

– მაშინ ყველაფერი რიგზეა. კორექტურა და ყველა სხვა ხარჯი ხუთი ათასი დოლარი დაგიჯდებათ. სასურველია, ნაღდი ფულით გადაიხადოთ.

ბელა მარკოვანამ თვალთ ანიშნა და გორილამ ჩანთიდან დოლარების ხუთი შეკვრა ამოიღო. ბიზნესმენის ცოლმა თქვა:

– სტუმრებიდან ზოგმა რუსული არ იცის, თარგმანიც გჭირდება.

– რა ენაზე?

– ინგლისურად და ივრითულად. იტალიურადაც, ჩვენი სიცილიელი ბიზნესპარტნიორებისთვის, ესპანურადაც, ჩემი ქმრის კოლუმბიელი მეგობრებისთვის.

– თითოეულ ენაზე თარგმნას ორ-ორი ათასი დოლარი სჭირდება.

ბელა მარკოვანამ წარბი ასწია. მცველმა ისევ გახსნა ჩანთა და დოლარების რვა შეკვრა დაამატა. არკადი წამოხტა და ბიზნესმენის მეუღლე ხელკავით მიაცილა კარამდე. მერე სავარძელში ჩაჯდა და ვისკი დაისხა. არ იყო მართალი! წიგნი არ მომკვდა-რა! წიგნები იცოცხლებენ!!!

თამაზ თაბუაშვილი ³

(ტომ ანიბინი)

უღამიანის დაბადება

სელექციის დამთავრების შემდეგ მე-12 საათის ხელმძღვანელი თავისი პარტიის- „ბუნებრივი განვითარების გზი“-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრს დაუკავშირდა.

–სასწრაფოდ შეაგროვეთ და გადმომეცით ინფორმაცია ადამიანის განვითარების ინსტიტუტის წლევანდელ კურსდამთავრებულ ჰარიზე. იფიქრეთ, რით შეიძლება იყოს ის კიდევ საინტერესო მებისთვის, გარდა იმისა, რომ კურსი წარჩინებით დაამთავრა და მისი შვილიშვილის, ატონის მეგობარია.

2. ანტარქტიდაში

ზამთრის სპორტის მოყვარულთათვის ანტარქტიდა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. ბუნებრივი სუფთა ჰაერით, არაჩვეულებრივი თეთრი გარემოთი, კომფორტული სასტუმროებითა

და რაც მთავარია, მოთხილამურეთათვის უსაზღვრო შესაძლებლობებით, ანტარქტიდა ზამთრის კურორტებს შორის პირველ ადგილზე იდგა მთელს მსოფლიოში.

მეგობრები სალამო ხანს ჩაფრინდნენ, სასტუმროში დაბინავდნენ და კვების დარბაზს მიაშურეს. დარბაზში მხიარული ხმაური და მუსიკა ერთმანეთში ირეოდა. მაგიდებთან მსხდომთა უმრავლესობა მათსავით დასასვენებლად ჩასული კურსდამთავრებული და სტუდენტი იყო. ვახშამი შეუკვებეს და ხვალინდელი მარშრუტის განსჯას შეუდგნენ.

– ვინსონიდან დავეშვათ, წამოაყენა წინადადება ტონიმ.

– იქნებ ჯერ საშუალო ტრასიდან გვეცადა, რაც არ უნდა იყოს, ერთი წელია აღარ გვისრიალია თხილამურებით, თქვა ჰარიმ.

– რატომ საშუალოდან, ეგრევე უმაღლესიდან დავეშვათ, ჩვენ ყველა კარგ ფორმაში ვართ და შარშანაც არაერთხელ დავეშვიტეთ იქიდან.

– მაგრამ ეგ იყო შარშან...

– ჯეკ, შენ რას იტყვი? – მიმართა ტონიმ

– ჩემთვის სულერთია, მე სულ ახლახანს დავეშვი ვინსონიდან. ვანმა გადანყვიტოს.

უეცრად ჰარიმ თვალი მოჰკრა ერთ მშვენიერ გოგონას. ის რამდენიმე მაგიდის მოშორებით, გოგონების კომპანიაში იჯდა. გოგონები მხიარულად საუბრობდნენ.

ჰარიმ რამდენჯერმე ფრთხილად გააპარა მზერა მისკენ, ერთხელაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ჰარის მოეჩვენა, რომ მან მას გაუღიმა. ჰარის გული უჩვეულოდ აუჩქროლდა, – „ნუთუ ის არის“? – გაიფიქრა მან. „დანყინარდი, ახლა შენ მას არ გაიცნობ. თუ ის არის, კიდევ შეხვდები“- უბრძანა თავს, მაგრამ ვახშამობისას რამდენჯერმე კიდევ გაექცა მზერა გოგონასკენ. კიდევ ერთხელ შეხვდნენ მათი თვალები ერთმანეთს და ისევ მოეჩვენა ჰარის, რომ მან კიდევ გაუღიმა.

გოგონებმა ვახშამი დაასრულეს და წავიდნენ. ჰარისთვის დარბაზი დაცარიელდა.

ბიჭებიც მალე ადგნენ და რადგან ჰარის მცირე პროტესტის მიუხედავად მაინც გადანყვიტეს უმაღლესი მწვერვალიდან დაშვება, ამიტომ შემდგომ გართობას დასვენება არჩიეს.

ჰარის არ ეძინებოდა. მას შეეძლო ებრძანა სხეულისათვის, რომ დაეძინა, მაგრამ არ უნდოდა. თვალწინ იმ გოგონას სახე ედგა და გულში უჩვეულო სითბო ეღვრებოდა. „ნუთუ სიყვარულის ქიმიური რეაქცია დამენყო?“ „მაინც რატომ არ გავიცანი? მივიდოდი, გავეცნობოდი, მეცოდინებოდა ვინ არის და სად შეიძლება მისი ნახვა. ნუთუ არ უნდა დამერღვია ჩემი პრინციპი?“ „თუ ის არის, კიდევ შეხვდები!“ პასუხობდა შინაგანი ხმა. „რომ ვერ შეხვდები?“ „თუ ველარ შეხვდი, მაშინ ამ გრძნო-

ბას ჩაიხშობ და სხვა ენერჯიაში გადაიყვან! შენ ეს შეგიძლია!“ „შემიძლია, მაგრამ“... ამ ფიქრებში როგორც იქნა ჩაიძინა.

მეგობრებმა გაიღვიძეს, შეასრულეს თავიანთი ინდივიდუალური ვარჯიშები და სასაუზმოდ ჩავიდნენ.

ჰარი თვალთ იმ გოგონას ეძებდა, მაგრამ ის არ ჩანდა.

საუზმის შემდეგ მეგობრები სასტუმროს ავტომფრენით უმაღლეს მწვერვალზე გაფრინდნენ. სათხილამურო ბაზაზე მოირგეს თხილამურები, სათვალეები და დასაშვებად მოემზადნენ.

მათ წინაშე მთელს თვალსაწიერზე არაჩვეულებრივი სითეთრე გადაშლილიყო. თოვლი და ყინული მზის სხივებს ათასფრად აელვარებდა. წინ რამდენიმე კილომეტრიანი დასაშვები კალთა იყო.

-მიყვარს ანტარქტიდა!-შესძახა ჰარიმ.

-გვიყვარს ანტარქტიდა!-შესძახეს სხვებმაც და დაეშვნენ.

ჰარი არ ჩქარობდა,ნელა იწყობდა. თხილამურები შეამონმა, თან ხედით ტკბებოდა. მეგობრები დიდ მანძილზე დანინაურდნენ.ტრასის შუამდე არ იქნებოდა მისული, რომ ვიღაც გოგონამ გადაასწრო. გოგონა დიდი სისწრაფით, ოსტატურად მისრიალებდა. ჰარიმ სისწრაფეს უმატა, დაენია, გადაასწრო მას და შეხედა. მოეჩვენა, რომ ეს ის იყო. კიდევ სცადა თვალის შევლება, მიიხედა უკან, ვერ შეამჩნია პატარა ბორცვაკი, ნონასწორობა დაჰკარგა, წაიქცა და რამდენჯერმე გადატრიალდა.

თვალეები რომ გაახილა, მის წინ გუშინდელი გოგონას სახე დაინახა. წამიერად აღიდგინა რაც მოხდა.

“საჭირო დროს საჭირო ადგილას წავეცეულვარ,”-გაუელვა აზრმა და გოგონას გაუღიმა.

-არ მოვუტყუებოვარ თვალებს, ეს თქვენ ყოფილხართ!

-როგორ შემაშინეთ, რამდენიმე წამი გონდაკარგული იყავით. მაშველ ჯგუფს უკვე გამოვუძახე.

ჰარი წამოდგომას შეეცადა, მაგრამ მარცხენა ფეხში მწვავე ტკივილი იგრძნო და ისევ დაჯდა.

-მგონი ფეხი მაქვს ნალრძობი...

-იჯექით, არ ადგეთ, საცაა მაშველი ჯგუფი მოვა.

-გმადლობთ.თქვენ გუშინ სალამოს შეგამჩნიეთ,გოგონებთან ერთად ვახშობდით.

-თქვენ კი ბიჭებთან.

-რა გქვიათ?

-ანა.

-ყოველთვის მომწონდა ეს სახელი.მე ჰარი ვარ. კარგად სრიალებთ,სპორტსმენი ხართ?



-არა,უბრალოდ,ბავშვობიდან მიყვარს თხილამურებით სრიალი. ისე, ხელოვნებათმცოდნე ვარ, წელს დავამთავრე ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. თქვენ?

-როგორც ხედავთ, სპორტსმენი არც მე ვარ. გარკვეული აზრით,შეიძლება ითქვას, რომ მეც ხელოვნებათმცოდნე ვარ-წელს დავამთავრე ადამიანის განვითარების ინსტიტუტი. შეიძლება ამ სალამოს საცეკვაოდ დაგპატიყოთ?

-ფეხნალრძობ კაცთან ცეკვის შანსს როგორ გავუშვებ ხელიდან?

-ფეხს სალამომდე მოვირჩენ, ანატომიაშიც კარგად ვერკვევი და ჩემი ტვინის მარგი ქმედების კოეფიციენტიც მომცემს ამის საშუალებას.

-მაინც რამდენი გაქვთ?

-67%.

-თქვენ ასაკში ეგ კარგია,მაგრამ,გირჩევთ ექიმის იმედზე უფრო იყოთ.

-კარგით, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას,თქვენც შემპირდით, თუ სალამოს მწყობრში ვიქნები,მთელი სალამო ჩემთან იცეკვებთ.

-სალამოს ვახშამზე შევხვდეთ და იქ გადავწყვიტოთ.აი,მაშველთა ჯგუფიც მოფრინდა.

-ფეხს აუცილებლად მოვირჩენ და მთელი სალამო ერთად ვიცეკვებთ.

მაშველთა ჯგუფმა ჰარი ჩასვა ავტომფრენში. ბედნიერ ჰარის ფეხი ტკივილი აღარც ახსოვდა და თვალს არ აშორებდა ანას.

-სალამოს აუცილებლად შევხვდებით-დაუყვირა ავტომფრენიდან.

ანამ პასუხად გაუღიმა და ხელი დაუქნია. მშვენიერი ღიმილი ჰქონდა

საშიში არაფერი იყო. ნატკენი ფეხი დაუმუშავეს და თავის ოთახში გადაიყვანეს.

ჰარი სანოლზე იწვა. თვალედახუჭულს, ბედნიერი ღიმილი გადაჰკვროდა სახეზე, გულში უჩრველო სითბო ეღვრებოდა. „ისევ შევხვდი,ესე იგი ის არის!“ „საოცარია, წესიერად არც კი ვიცნობ და

მგონი უკვე მიყვარს“. „მგონი? ე.ი. ჯერ არ ხარ დარწმუნებული? არა, მგონი ნამდვილად მიყვარს, რადგან ვგრძნობ, რომ სიყვარულის ქიმიური რეაქცია დამენყო, დანარჩენს სალამო გაარკვევს“.

მოუთმენლად ელოდა სალამოს.

მომხდარი ამბავი ჰარიმ მეგობრებს შეატყობინა და როგორც ექიმმა ურჩია, დაიძინა.

მეგობრების მოსვლაზე ჰარის გაელვია.

-რა მოხდა, როგორ წაიქეცი?-ჰკითხა ტონიმ.

-მშვენიერ გოგონას შევხედე და წავიქეცი, ღიმ-ღილით უპასუხა ჰარიმ.

-კიდევ შეხვდები?-

-დიახ, ამ სალამოს შეხვდები და თქვენც გაგაცნობთ მას.

-რა ჰქვია?

-ანა

-კარგი სახელია. იმედია მარტო არ არის და მეგობარი გოგონებიც ჰყავს.

-დიახ, მეგობარ გოგონებთან არის. მათ გაგაცნობთ, მაგრამ ანასთან მთელი სალამო მხოლოდ მე ვიცეკვე.

ჰარი ნამოდგა, გაივარჯიშა. ფეხი აღარ სტკიოდა.

-ჰარი, თუ ეს გოგონა ის არის, ვისაც ამდენ ხანს ელოდი, ეს სალამოც და მთელი ცხოვრებაც მას ეცეკვე-უთხრა ჯეკმა.

-შეიძლება ეგრეც მოხდეს, უპასუხა ჰარიმ.

-ერთი ვარდი ჩემზე იყოს, თქვა ვანმა.

-რატომ ერთი? თაიგული მივართვით, მეგობარ გოგონებთან ერთად ყოფილა...

სალამოც დადგა და მეგობრებმა დარბაზს მიაშურეს. ისინი ვახშამს ამთავრებდნენ, გოგონა კი არ სჩანდა.

-არ სჩანს შენი გოგონა ჰარი, ხომ არ მოგატყუებდა?-იკითხა ტონიმ.

-არავითარ შემთხვევაში! მან ტყუილები არ იცის-უპასუხა ჰარიმ.

-საიდან იცი, უნივერსი ხომ ეკეთა?

-უნივერსი კი ეკეთა, მაგრამ მე ხომ მისი თვალები ვნახე!

სულ მალე გოგონებიც გამოჩნდნენ. ისინი თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ. ანამ ირგვლივ მიმოიხედა, ალბათ ჰარის ეძებდა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ანამ გაუღიმა.

ჰარი ნამოდგა და მათ მაგიდას მიაშურა.

-გაიცანით, გოგონებო, ეს ჰარია.

-ეს თაიგული ჩემი მეგობრებისგან-მადლობას გიხდით მათი მეგობრის დახმარებისთვის.

-გმადლობთ, ლამაზი ვარდებია.

-ფეხი ისევ გტკივთ? ცეკვის ხასიათზე ხართ?-ჰკითხა ანამ.

-ფეხიც მწყობრში მაქვს და მთელი სალამო თქვენთან ცეკვის განწყობაზეც ვარ!

გოგონებმა გაიცინეს.

-რას იტყვით, ერთად რომ ვივანშმოთ, ვახშამის შემდეგ რომ საცეკვაო დარბაზში შევხვდეთ, ჩემს მეგობრებსაც გაგაცნობდით, სხვათა შორის, კარგადაც ცეკვავენ-ნამოდგა ჰარი.

-სიამოვნებით, ჩვენც სწორედ ამისთვის ვართ ჩამოსულები-მხიარულად უპასუხეს გოგონებმა.

-სიმპათიურ ბიჭს დახმარებისარ. ალბათ ცოტა მოსაწონებელი იქნება, როგორც ყველა ბიჭი, მაგრამ აშკარად მომეწონა-აღნიშნა სანრამ, როდესაც ჰარი წავიდა.

-ცოტათი ჩვენ ყველა ვართ მოსაწონებლები, უპასუხა ანამ.

-გაიცანით ჩემი მეგობრები-ჰარი, ტონი და ჯეკი.

-ანა, სანდრა, მეგა, ინგა.

-ანა-დაიწყო ჰარიმ, როგორც მითხარით, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი დაამთავრეთ. თქვენმა მეგობრებმაც?

დიახ. ალბათ თქვენმა მეგობრებმაც ადამიანთა განვითარებას სწავლობდნენ?

-კი, ზუსტად ეგრეა-მხიარულებამ დაისადგურა სუფრაზე.

-გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენც ხელოვნებათმცოდნეებიც ვართ--ნამოიწყო ტონიმ.

-თქვენ გინდათ თქვათ, რომ ადამიანი ხელოვნების ნიმუშია?

-თქვენ რომ გიყურებთ, ამაში სრულიად ვრწმუნდები!

-გმადლობთ, ქათინაურისთვის, მხიარულად გაიცინეს გოგონებმა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ხელოვნებამ შექმნა ადამიანი.

-ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ხელოვანმა შექმნა ადამიანი ხოლო შემდეგ ადამიანმა ხელოვნება, რადგანაც ჰგონია, რომ ის ეხმარება მასთან მიახლოებაში.

-არ ეხმარება?

-რა თქმა უნდა ეხმარება, მაგრამ ხელოვნების გარდა ბევრი სხვა მეცნიერებაც უხსნის ადამიანს სამყაროსა და შემოქმედის კანონებს.

-თქვენი აზრით, რა არის ნამდვილი ხელოვნება?

-ჩემი აზრით, ნამდვილი ხელოვნება ადამიანის გრძნობაა, ოსტატის მიერ სასრულ ფორმაში გადმოცემული, მიმართული უსასრულობისკენ-ჩაერთო ჰარი.

-როგორც ვატყობ, ცოტას მართლაც ერკვევით ხელოვნებაში-გაუღიმა ანამ, ჩვენ კი გვითხრეს, რომ ხელოვნება ადამიანის გრძნობაა, ოსტატის მიერ გადმოცემული, გადასროლილი მარადისობაში.

-საცეკვაოდ ხომ არ წავსულიყავით, ცეკვაც ხომ ხელოვნებაა?-ნამოაყენა წინადადება ვანმა.

-დიდი სიამოვნებით, მხიარულად უპასუხეს გოგონებმა.

ჯეკმა დასასვენებლად არჩია წასვლა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

როსტომ შამუგია

ერის მარადიული სატკიპარი

„თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა
ნავსაყუდარი...“
ილია ჭავჭავაძე



მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები მრავალწამებული საქართველოს ისტორიული სინამდვილის სახელოვანი მატანია. სწორედ ამ პერიოდში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდები, ე.წ. „თერგდალეულები“, რომელთაც კოლოსალური ზეგავლენა მოახდინეს საქართველოს სოციალურ—პოლიტიკური, კულტურული თუ სულიერ—ზნეობრივი ცხოვრების მაჯისცემა—განვითარებაზე. ამ თვალგანჭვრეტით, „თერგდალეულთაგან“ ყველაზე ღირსეული, გამორჩეული და კოლორიტული ფიგურაა გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მორალისტი, ილია ჭავჭავაძე.

ქართული ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავრის — ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტად უნიკალური და უზარმაზარი, მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა და ყოველდღიური ყოფა თხემით ტერფამდე გამსჭვალულია მამულისადმი უსათნოესი სიყვარულითა და მისდამი თავგანწირული მსახურების უჩვეულო მაგალითით. განგებამ ჭაბუკს სიყრმიდანვე დაანათლა ერის უმძიმესი ჭაპანის ტარება, რასაც, როგორც ცნობილია, ილიამ თავი გაართვა მისთვის ჩვეული ღირსებით და შეუპოვრობით, რაც გახდა კიდევაც უშუალო მიზეზი გულანთებული მამულიშვილის მოკვდინებისა რუსული იმპერიისა და ქართველ რენეგატთა ერთობლივი ძალისხმევით.... მრავალფეროვანი შემოქმედის — ილია ჭავჭავაძის სიჭაბუკის ხანა იყო უაღრესად ტრაგიკული. სიყრმიდანვე დაობლებული ილია ახლობელთა შემწეობით ახერხებს სწავლას გიმნაზიაში და ემზადება მომავალი დიდი ასპარეზისთვის... წელთა მონაცვლეობისა და ცხოვრებისეულ ქარტეხილთა ჩავლის შემდგომ მის სახელს პიროვნული ჟამთააღმწერელი შეამკობს მარად უჭკნობი ეპითეტებით და მოიხსენიებს მას, ვითარცა საქართველოს სულიერ მოძღვარს, მე—19 საუკუნის ქართული ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეულ წინამძღოლს...

როგორც ცნობილია, ილია პატარაობიდანვე იზრდებოდა გლეხის ბავშვებთან ერთად. სწორედ გლეხობის, ხალხის ნიაღში ჰპოვა მან ის უდავოდ თვალისმომჭრელი მარგალიტები, რომელთაც შემდგომ სამარადეულად შეასხა ხორცი თავის ზოგადსაკაცობრიო შედეგებში. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის ფენომენის ახსნა მართოდენ ხალხთან სიახლოვით, მისი ჭირ—ვარამის შეცნობა—გათავისებით, აბსურდული გულუბრყვილობაა. ამ შემთხვევაში, ცხადია, უწინარესად უნდა გავიზროთ ბუნებრივი, თვითნაბადი გენია დიდი შემოქმედისა. ნიშანდობლივია, რომ თანდაყოლილი ტალანტი აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი, რათა პეტერბურგში, ქართველ სტუდენტებს თავიანთი იდეური გონსაწიერის ლიდერად ელიარებინათ სწორედ ილია ჭავჭავაძე. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია სამარის კარამდე ღირსეულად ატარებდა ერის მამის უმძიმეს ჭაპანს და კალმით თუ პრაქტიკული ღვანლით ვაჟკაცურად მსახურებდა მრავალჭირნახულ მამულს. თანამოაზრე მეგობრებთან ერთად მწერალი მუხლჩაუხრელად იღვწოდა იმპერიის ძალისხმევით გადაგვარე-

ბულ ქართველთა ეროვნული ცნობიერების აღსადგენად, საერთოდ ქართველი ერის გასანათლებლად, რამეთუ განათლება, თავისთავად წარმოადგენს ქვაკუთხედს დიადი მიზნის ფრთაშესასხმელად. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველი ხალხის სულიერ მესვეურს, ცხადია, მთელი სიგრძე—სიგანით ჰქონდა გააზრებულ—შეცნობილი ის უზარმაზარი, კოლოსალური მისია, რაც მას დააკისრა არსთა გამრიგემ მრავალტანჯული ქართველი ხალხის სამომავლო ბედ—ილბლის წარმართვის საქმეში. ერის წინაშე ამგვარი უდიდესი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ახსნაა მოცემული შემოქმედის ერთ—ერთ საპროგრამო ლექსში „პოეტი“:

**„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.“**

უეჭველია, ამ ისტორიული ფრაზების ავტორს გულიც ერჩოდა, ტვინიც უჭრიდა და ფრიდონის დარად, **„ძალიც შესწევდა ქადილისა“**, რაიც ჟამთა ცვლამ ბრწყინვალედ დასტურჰყო კიდევ. ილიას მოაზრებულ—განალიზებული ჰქონდა ხალხის გულისტკივილი. იგი ჭაბუკობიდანვე ოცნებობდა და ხმალჩაუგებლად იბრძოდა კიდევ მამულის დასახსნელად რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან. ამ დიდებული მიზნის საცნაურსაყოფად არანაირ კომპრომისზე არ თანხმდებოდა იგი. პირუკუ, საოცარი შეუპოვრობით, პირდაპირობითა და სიკერპით და საერთოდ, ცხოვრების სტილით ილია ჭავჭავაძე რისხვას წარმოადგენდა იმპერიის ყურმოჭრილ ქართველ მსახურთათვის... დიდი ილია, სხვა ღირსეულ, წამებულ ერისკაცთა დარად, იმის საჩინო მაგალითია, თუ რავგარი უნდა იყოს ჭეშმარიტი პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი. იგი აგრეთვე წარმოადგენს იმის ნიმუშსაც, თუ რავგარი უნდა იყოს ერის სულიერი მოძღვარი და იდეური წინამძღოლი:

**კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაინვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს“...**

ამგვარი ნიშნით იყო წარმართული მთელი მისი მოღვაწეობა, ეს იყო მისი შემოქმედების კრედიო, მისი „მოღუს ვივენდი“. ასეთი მრწამსით, ამგვარი ეროვნული მსოფლმეგრძნობით ცოცხლობდა და იღვწოდა იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... ამ თვალთახედვით, ილია ჭავჭავაძე წარმოადგენს წმინდა კელაპატარს, რომელიც უკუნს გვინათებს მე—19 საუკუნის გადასახედიდან. ნიშნეულია, რომ მწერალი, თავისი გენიალური შემოქმედებით, დღესაც გვმოძღვრავს და გვიკაფავს ეკლიან გზას, მიმავალს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ... მისი უდავოდ მაღალმხატვრული შემოქმედებიდან ამ თვალსაზრისით,

განსაკუთრებით ღირსსაცნობია საპროგამო ნანარმოები „მგზავრის წერილები“. უეჭველად საინტერესო, ამასთან, გულისშემძვრელია ილიასა და მოხევე ლელთ ლუნის მძაფრტიკვილიანი, წარსულისადმი უღრმესი კაემნით გამსჭვალული დიალოგი:

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“ — გვეუბნება გულისტიკვილით ერის ბედზე მოფიქრალი ლელთ ლუნია და ძნელად შესახორცებელ ჭრილობას გვავედრებს მოსავლელ—მოსარჩენად... 1861 წლის 6 აგვისტოს 24 წლის „თერგდალეულის“— ილიას ლიტერატურულ საგანძურს შეემატა კიდევ ერთი, ეროვნული პათოსით აღვსილი ქმნილება. ეს გახლავთ ცნობილი ლექსი „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, რომელშიც პოეტი გვიმხელს უკიდევანო კაემანს იმასთან დაკავშირებით, რომ უდიდეს საერისკაცო საქმეს იგი ფაქტობრივად მარტოკა შერჩენია. მოვესმინოთ თავად პოეტს:

**„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვეუზიარო!“**

ამბობს უკიდევანო სევდით გულშემძრული პოეტი და ბუნებრივია, ეს მით უფრო დამაფიქრებელი და საჭირობოტო საკითხია, რამდენადაც, მიუხედავად საუკუნენახევრიანი სხვაობისა დროის მონაკვეთში, ამ მიმართებით, საქართველოში თითქმის არაფერი შეცვლილა, კვლავაც სახეზეა ანალოგიური გათითოკაცება ერის სამსახურში ჩამდგარ რჩეულ მამულიშვილთა... ამის უტყუარი ნიშნებია საქართველოს პრეზიდენტის ბატონი ზვიად გამსახურდიას მონამებრივი ცხოვრება და მოღვაწეობა. უფრო მეტიც, იმპერიის აგენტებმა, 30 ვერცხლად სულგაყიდულმა თანამემამულეებმა სამშობლოდან განდევნეს ქართველი ხალხის მიერ ერთხმად არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტი და კანონიერი მთავრობა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში...

ბატონი პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ერთ—ერთ ლექსში მე ვწერ:

**„ღმერთი ჩვენთან არს!“... კვლავ ვიმეორებთ,
თუმცა მანუხებს ხშირად ეჭვები...
ამ სამზეოში კაცი არა ჩანს,
რომ შეეშველოს ზვიადს ბეჭებით...“**

მკითხველი უთუოდ გარკვეულ ანალოგიას შეინიშნავს დიდი ილიას ზემომხმობილსა და ჩემს სტრიქონებს შორის... როგორც ჩანს, ეროვნული ტიკვილი ჩემგვარ, ჩვეულებრივ მოკვდავსაც ხანდისხან უბოძებს ნიჭს ტიტანთა დარად იფიქროს...

ზეკაცი ილიას და ბატონი ზვიად გამსახურდიას ერთ კონტექსტში აღქმა—მოქცევა სრულიადაც არაა ეპიზოდური. პირუკუ, ეს სავსებით წინასწარ განზრახული და გამიზნული ქმედებაა, რამეთუ განგებამ ორივეს ურთიერთმსგავსი ხვედრი განუწესა. სულკურთხეული ილიას დარად, ბატონი ზვიადიც, თუმცალა მარტოკა, მაგრამ მანაც ქედურულად განაგრძობს უთანასწორო ბრძოლას ერის გამომხსნისათვის იმპერიის უღლიდან, რასაც იმპერიისვე ხელდასხმით, ხელს უშლიან რენეგატი ქართველები...

ცნობილია, რომ მამულის თავისუფლებასთან ერთად დიდი ილია ელტვოდა მთელი კავკასიის თავისუფლებას, რადგანაც უზარმაზარ იმპერიულ სივრცეში მარტოოდენ საქართველოს თავისუფლების წარმოსახვა არარეალური ჩანდა, ხოლო სრულიად კავკასიის თავისუფლება კი უსათუო გარანტი იქნებოდა საქართველოს თავისუფლებისაც. ამიტომაც ბრძანებდა პოეტი:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,

კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,

და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..“

და დღეს, დიდი განსაცდელისა და შეჭირვების ჟამს, უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის ხალხთა ერთიანობას, თარგამოსის შთამომავალთა ერთობას, რამეთუ ერთობა ჭკუაა, ძლიერებაა, ხოლო ძლიერება სამომავლო გამარჯვების მომასწავებელია. სწორედ ამ ერთიანობის საწინდრად მესახება ღრმა გააზრების, მეცნიერულად დასაბუთებული იდეა, უაღრესად ბრძნული კონცეფცია ერთიანი იბერიულ—კავკასიური სახლის შექმნის თაობაზე, რომლის ავტორი და ინიციატორია ბატონი ზვიად გამსახურდია. ნიშანდობლივია, რომ ამ ღრმა მეცნიერული და ღრმაფესვიანი კონცეფციის მიმართ აღფრთოვანება გამოხატა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩეჩენი ერის ღირსეულმა შვილმა, ჯოჰარ დუდაეევმა...

ზემოხსენებულ სტრიქონებში („ამ სამზეოში კაცი არა ჩანს, რომ შეეშველოს ზვიადს ბეჭებით...“) მსურს მცირედი კორექტივის შეტანა, რამეთუ ბ—ნ ზვიადს ამ სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლაში გვერდით უდგას ჭეშმარიტად თავდადებულ მამულიშვილთა გულგაუდრეკელი კოჰორტა, რომელსაც პირუთენელი მემკვიდრე უდავოდ მიუჩენს გამორჩეულ ადგილს თავისუფალი საქართველოს ისტორიის ქათქათა ფურცელთა აკინძვისას...

თუმცალა, ეტყობა, ერთეულთა თავგანწირვა არაა საკმარისი... საჭიროა თითოეული ქართველი, ერი და ბერი, ერთად დადგეთ სიკვდილ—სიცოცხლის გზაგასაყართან და შეუვალად განვაცხადოთ ჩვენი ურყევი ნება: ან მედგრად შევედგეთ თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან აღმართს და დავიბრუნოთ ლელთ ლუნის მიერ სინანულით ნახსენები ხანა, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“, არადა, კვლავ დავრჩეთ ბატონებო, იმპერიის მონებად და დაუფტოვით კირთების სამარცხვინო ჭაპანი ჩვენს მომავალ თაობას სამარადუამო განსაცდელად და გასაჭირად...

...და როცა საქართველოში თავისუფლების მზე ბრდღვილით ამოენთება ცისკიდურზე, იგი უშურველად მოგვაფრქვევს თავის ცხოველმყოფელ სხივებს და ძალუმად გაათბობს თითოეული ჩვენთაგანის დამზრალ გულს, სანაცვლოდ იმ მაღლიერებისა, ბ—ნ ზვიადს რომ ვუნვედით ოდენ სულიერ ქომავობას ეროვნული მისიის ფრთაშესასხმელად გოლგოთას თემარაზე მარტოდ შემდგარს... და მზე იგი, იქნება მძაფრი, მცხუნვარე, სხივიერი, რაც მთავარია, აღმოსავლური და არამც და არამც ჩრდილოეთით ამოწვერილი, როგორც ეს განაცხადა თავის დროზე იმპერიის ყურმოჭრილმა ლაქიამ ედუარდ შევარდნაძემ და მისი ნათქვამი კი ლამის ჭეშმარიტებად აღიქვა ათასობით მისებრ რენეგატმა ქართველმა... ფრიად დამაფიქრებელი და სავალალო სიმპტომია, რომ მზის ამოგორება ჩრდილოეთიდან მავანთათვის დღესაც კანონზომიერ მოვლენადაა აღქმული, თუმცალა, ჭეშმარიტი ქართველი მიწყევ იყო შთავონებული სანუკველი წინაპრების: თევდორე ბერის, ცოტნე დადიანის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ილიას, ვაჟა—ფშაველას, ყაზბეგის, პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა საჩინო ერისკაცთა ნაღვან—ნამოქმედართ, რომელთა უშუალო ფიზიკური თუ სულიერი მემკვიდრენი ღირსეულად განავრცობენ წინაპართა ღვანლს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით...

თავისუფლებზე ჩაფიქრებულს თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ილია ჭავჭავაძის პატრიოტული პათოსით განჭვრეტილი პოემა „ქართველის დედა“, მისი მალაღლოვნული იდეალების ხმიანობით:

„თავისუფლებზე შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალეულის წმინდა საფარი...“

...ო, თავისუფლებავ! შენ თვით იმ განძეულზე უფრო ძვირად ღირებულადაც კი მიმაჩნია, რომელიც ათადან—ბაბადან დაგროვებულა ზღვათა და ოკეანეთა ფსკერზე, სხვადასხვა ჯურის კონკისტადორთა თუ მეკობრეთა მიერ წარმოებული უღმობელი აბორდაჟების შედეგად... თუმცა, რას ვამბობ! ხილულ სამყაროში არსებული თუ ოკეანეთა ფსკერზე ნაგულები განძეული განა შეედრება მისხით მისხამდე ხელიხელსაგომანებელ, ჭეშმარიტ გენიოსთა მარად უკვდავ შედეგებს? განა შეიძლება ოქრო, ალმასი თუ ბრილიანტი ტოლფარდი იყოს ჰომეროსის თუ დანტე ალიგიერის... ფიდასის თუ სანდრო ბოტიჩელის, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს თუ რაფაელის... რუსთაველის თუ ვაჟა—ფშაველას და სხვა ათასობით გენიოსთა ქმნილებებისა? ოღონდაც, თვით ყველაზე გენიალური შედეგებიც კი ბაცდება, ფერმკრთალდება, მოკრძალებული ხდება თავისუფლების წინაშე...

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

მაგონდება ფრანგული მწერლობის სიამაყე და მშვენება, „პატარა უფლისწულის“ გენიალური ავტორი ანტუან დე სენტ—ეკზიუპერი, რომელიც ერთ—ერთ ბრწყინვალე მოთხრობაში „ადამიანთა მიწა“ წერს: „წყალო! შენ არა გაქვს ფერი, არც გემო, არც სუნი, შენი აღწერა შეუძლებელია... ცოტაა ითქვას, რომ აუცილებელი ხარ სიცოცხლისათვის: შენ თვითონ სიცოცხლე ხარ... შენ ვერ იტან ვერავითარ შენარევს, შენ ვერ იტან შებლაღვას; შენ მფრთხალი ღვთაება ხარ“...

ჩემთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურიდან, მე არ მეგულება სხვა შემოქმედი, რომელსაც ეგზომ ზეაღმტაცად, რომანტიკულად წარმოესახოს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სასმელი წყალი, მაგრამ თავისი არსით, ერთ—ერთი აუცილებელი ბუნებრივ—სასიცოცხლო ელემენტი... გენიოსი ალბათ იმიტომაც არიან განჩინებული ჩვეულებრივ მოკვდავთაგან, რომ ესოდენ პოეტური აღმაფრენით ძალუძთ ხოტბა შეასხან სამყაროსეულ სულიერ, უსულო თუ აბსტრაქტულ საგანთ... ვინც იცნობს ეკზიუპერის ხიფათიან და რომანტიკულ ცხოვრებას, დამემონდება, რომ სიცოცხლის იმგვარად წარმართვა შეუძლო მარტოოდენ თავისუფლებაშეცნობილ პიროვნებას, რის დასტურყოფასაც წარმოადგენს მისი ბრწყინვალე ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ უკანასკნელს საგანძურად შემორჩა ეკზიუპერის დიდებული შემოქმედება, რომელიც თავისუფლების ერთ მთლიან, განუმეორებელ პანორამად აღიქმება... ამ თვალგანჭვრეტით, ჩემთვის, თავად ეკზიუპერია თავისუფლების სიმბოლო—სინონიმი და პერსონიფიკაცია. სწორედ ამიტომ შევთავაზე მკითხველს მწერლის ზემომოხმობილი სიტყვები, რომელთა პერიფრაზირებულ ვარიანტს გთავაზობთ აქვე: „თავისუფლებავ! შენ სიცოცხლეზე მეტი ხარ!.. შენ ღვთაებათა ღვთაება ხარ!..“ და ისევ სულმნათი ილია:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

თავისუფლებისკენ სწრაფვა ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი და ამ გზაზე მას არ სჩვევია კომპრომისი და უკანდახევა... ჟამთააღმწერლის მიერ ანალოგიური მაგალითი ათასობითაა აღწუსებული ისტორიის მტკვერჩამკვდარ ფოლიანტებში. თავისუფლებისადმი ამგვარი მიმართების უთვალსაჩინოესი ნიმუშია აპრილს

დახოცილთა გმირული ძალისხმევა...

... თვალწინ მიდგას ლეგენდარული „ბაბუ“, (ფილოსოფიის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ—თანამშრომელი ბატონი მელორ ნურნუმი), რომელიც იმ საბედისწერო 9 აპრილს, გამთენიის ჟამს, ვაჟკაცურად უმკლავდებოდა რუსული იმპერიის პირისხლიან ჯალათებს. და მის ქმედებას იმ მომენტში წარმართავდა ერთადერთი, დაუოკებელი სურვილი თავისუფლებისაკენ ლტოლვისა. იმ გაუსაძლის უბედურებასა და ორომტრიალში, ბატონი მელორის საქციელი თავგანწირვისა და მალაღლოვნობრიობის უმშვენიერეს ნიმუშად აღმებეჭდა გონებაში...

ლელთ ლუნია ჭეშმარიტი ერისკაცის ზოგადი სხივფენი სახეა... ლელთ ლუნია ილიას მიერ ეროვნული სულიერების ქურაში ნანართობი, მამულზე ფიქრით გულგასენილი კაცის პერსონიფიციკრებული, სხივიერი ხატსახეა... ლელთ ლუნია ჩემთვის ფარნავაზისა და ქუჯის, გორგასლისა და აღმაშენებლის, თამარ მეფის, ალათანგ ხერხეულიძის და მისი საკვირველი მოდემის, სამასი არაგველის თუ ათასობით სხვა ღირსეულ წინაპართა ტოლძალოვანი, სხივნართი სახელია...

... ლელთ ლუნიას სატკივარი ქართველი ერის ღრმა ჭრილობაა, მისი უსაშველო და ვეება გულისტკივილია. ამ სატკივარის დროული გათავისება—შეცნობა თითოეული ქართველის უპირატესი მოვალეობაა, უაღრესი სასიცოცხლო იმპულსია... ლელთ ლუნიას ჭრილობის მკურნალობა ნიშნავს საქართველოს ხსნას ორასწლოვანი სამარცხვინო კირთებისაგან...

უსასრულოდ, უკიდევანოდ შეიძლება იფიქრო თავისუფლების სხივნართობაზე, რამეთუ თავისუფლება თავისი არსით მაგონებს იალბუზს, რომლის თხემის ტრავერსი უდიდესი ნეტარებაა მოყვარული თუ პროფესიონალი ალპინისტისთვის... ამგვარივეა თავისუფლებისკენ ლტოლვა... მიმაჩნია, რომ სამყაროში არ არსებობს უფრო დიდი ნეტარება, ვიდრე თავისუფლების შეგრძნებით ტკბობა. ოღონდაც, თავისუფლების იდეამ შეიძლება ალგიტაცოს მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუკი ღვთით ბოძებული მიმსწრაფი ალლო—ნიჭიერების გარდა, მკერდში გიძვერს მამულის ყოველნამიერ რიტმულ მაჯისცემას მიყურადებული უსათნოესი გული... ოდენ ამგვარი გულის მქონეთ, მირონცხებულ პიროვნებებს ძალუძთ ერის, ხალხის სულიერი წინამძღოლობა...

გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე წარმართავდა ქართველი ერის სულიერ—ზნეობრივ სამყაროს, ხოლო აწინდელ საქართველოში ეს კოლოსალური მისია არსთა გამრიგემ დააკისრა უფლისა და ერის რჩეულს ზვიად გამსახურდიას, რომელიც ტიტანური ძალისხმევით მიუყვება გოლგოთისაკენ მიმავალ ეკლიან და უმძიმეს, თუმცაღა სანუკველ აღმართს...

და რაოდენ გულგასახარია იმ ფაქტის შეცნობა, რომ ზვიად გამსახურდიას უდიდესი ძალისხმევა მიმართულია არა ოდენ საქართველოს გასათავისუფლებლად იმპერიის არტახებისგან, არამედ მისი ფიქრი, ილია ჭავჭავაძის დარად, წამდაუნუმ თავს დასტრიალებს „მთელი კავკასის“ თავისუფლებასაც, რამეთუ მხოლოდ ამგვარი თავისუფლება იქნება შუმი და სრულქმნილი, დაუმარცხებელი და უბერებელი, სულის უტეხობით ნათელმოსილი, სხივიერი და სამარადჟამო შვების მომგვრელი თარგამოსიანთა, დიახაც უნიკალური, სხივდაფრქვეული და ლომგულოვანი მოდემისათვის...

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

Lucius Annaeus Seneca

ლუკიუს ანაეუს სენეკა

De Vita Beata

ბედნიერი ცხოვრების შესახებ

თავი XIII

[1] ამის შესახებ ასეთი აზრი მაქვს — და ამით ჩვენი მეგობრების შეხედულებებს ვენიანადმდეგები — ეპიკურეს სწავლება ცხადი, ნრფელი და მართებულია და თუკი მასთან უფრო ახლოს და დაკვირვებით მიხვალ, დამამწუხრებელიც კი. მისი სიამოვნებანი მცირეა და უმნიშვნელო. [ეპიკურე] სიამოვნებას უწოდეს იმას, რასაც ჩვენ სიკეთედ და სიქველედ ვუხმობთ. ის უცილობლად ბუნებას უნდა მორჩილებდეს. ის, რაც უმნიშვნელოა განცხობისათვის, ბუნებისათვის საკმარისია. მაშასადამე, რა გამოდის?

[2] ის, ვინც გაზარმაცებამდე მისულ მოცალეობას, სიმადრესა და ავხორცულ სიამოვნებათა მონაცვლეობას ბედნიერებას უწოდებს, ავ საქმეთა შესანიღბად კარვ ავტორიტეტებს ეძებს, მიმზიდველი სახელით მოხიბლული პოულობს მათ და ამის შემდეგ იმის ფიქრს იწყებს, რომ მისი მანკიერებანი ფილოსოფიურ სწავლებათა მსგავსია, მათზე ზრუნვას იწყებს, ტკება, შიშით და გაუაზრებლად კი არ ეძლევა მათ, არამედ გააზრებულად და დანმენდილი გონებით. ჩვენს მეგობართაგან მრავალი ეპიკურეს სამარცხვინო და მანკიერ საქმეთა მასწავლებელს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ეს დაუმსახურებელი აუგი სახელია. საერთოდ, განა ვინმეს განდობილთა გარდა, შეუძლია ზუსტად იცოდეს?

[3] [სიამე] თავად აძლევს გასაქანს ჭორებსა და ფუჭ მოლოდინს. ის ისეთია, როგორც ქალის სამოსში გამონყობილი ვაჟკაცი კაცი: წარმოიდგინე — მოკრძალებაც შენარჩუნებულია, მამაკაცურობაც, სხეულსაც არავითარი სამარცხვინოს დათმენა არ უხდება, მაგრამ ხელში დაირა უჭირავს! ამრიგად, არჩევანი მუდამ ღირსეულ სახელზე უნდა შევარჩეოთ, და თავად სახელმა უნდა ალაგზნოს სული. მანკიერებანი [სიამისკენ] მიისწრაფიან.

[4] ის, ვინც სიკეთეს ესწრაფვის, კეთილშობილი ბუნების მაგალითს აჩვენებს. სიამოვნებებს აყოლილი კაცი დაუძღურებული და გატეხილია, მისი მამაკაცურობა გადაგვარებულია და ყოველგვარ სირცხვილში ჩაფლული. უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც მას სიამოვნებათა გარჩევას ასწავლის და გააგებინებს, რომ ზოგიერთი სიამე ბუნებრივი სურვილია, ხოლო ზოგიერთი — ზღვარდაუდე-

ბელი, რომელიც, რაც მეტად ივსება, მით უფრო გაუმადლარი ხდება.

[5] დაე, კეთილშობილება წინ გაგვიძღვეს, რათა ყოველი სავალი გზა უხიფათო გახდეს! სიამოვნებას ბევრად მეტი ზიანი მოაქვს, სიკეთე კი, თუნდაც ბევრი იყოს, სახიფათო არ არის, რადგან ის თავადვეა საზომი. არ შეიძლება კარგი იყოს ის, რაც თავისი სიდიდით აგებს. გარდა ამისა, ადამიანს წილად ხვდა გონივრული ბუნება; განა შეიძლება რამე გონებაზე უკეთესი იყოს? თუკი მივიღებთ კავშირს, რომელიც ბედნიერი ცხოვრებისკენ სვლაში დაგვეხმარება, დაე ეს კავშირი ასეთი იყოს: სიკეთე წინ გაუძღვეს, ხოლო სიამოვნება მისი თანმხლები იყოს და სხეულს, როგორც ჩრდილი, გარს შემოერთყვას. მაგრამ სიქველის — ყველაზე აღმატებული მბრძანებლის — სიამოვნებისათვის მხველად მიცემა სულისათვის დიდი ვერაფერი მონაპოვარი იქნება.

თავი XIV

[1] დაე, წინამავალ კეთილშობილებას თავისი ნიშნები ეტარებინოს და ეს ნიშნები გამოარჩევდეს. სიამოვნება ყოველთვის ჩვენთან იქნება, მაგრამ მისი მბრძანებელი და მომწესრიგებელი ვიქნებით. მან შეიძლება ჩვენგან რაღაც მოითხოვოს, მაგრამ ვერაფერს გვაძულებს. ისინი, ვინც პირველობას სიამოვნებას დაუთმობენ, სიკეთესაც დაკარგავენ და ვერც სიამოვნებას შეინარჩუნებენ, რადგან სიამოვნება მათი კი არ იქნება, არამედ ისინი ეყოლება სიამოვნებას. ან მისი სიმწირე შეანუხებთ, ან სიმრავლე დაახრჩობთ. თუ სიამოვნება მიატოვებთ, უბედურნი იქნებიან, მაგრამ კიდევ უფრო უბედურნი იქნებიან, თუკი მასში ჩაინთქმებიან, ისე, როგორც სირტების⁴ ზღვისკენ გზას აცდენილნი ან ხმელეთზე გამორიყულნი ანდა ბობოქარი ტალღებით გატაცებულნი.

[2] ყოველივე ეს ხდება უზომო თავშეუკავებლობითა და სიამეთა ბრმა სიყვარულით. ყველაზე სახიფათო იმის მიდევნაა, ვინც სიკეთის ნაცვლად ბოროტებას ესწრაფვის. როცა სიბნელეში და ხიფათით გარემოცულნი ველურ მხეცებზე ვნადირობთ, მეტად სახიფათოა, ისინი ტყვეობაში ვიყოლიოთ — ასეთ ნადირებს პატრონების დაგლეჯა სჩვევიათ — ასევე, დიდ სიამეთა მფლობელნი დიდ გასაჭირში ვარდებიან და ის, რაც მათ ვითომდა შეიპყრეს, მათვე იპყრობს. რამდენდაც დიდი და მრავალრიცხ-

4 ასე უწოდებდნენ ორ ყურეს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროსთან, გამორჩეულს ძლიერი დინებითა და ქვიშის მორევებით. მოგვიანებით ეს სახელწოდება დამკვიდრდა როგორც საზოგადო სახელი გემების ცურვისათვის სახიფათო ყველა ადგილის აღსანიშნავად;

ოვანია სიამოვნებანი, მით მეტად უბადრუკია მათი მონა, რომელსაც ბრბო ბედნიერს უწოდებს. მოდი, კვლავ ჩვენი ნადირობის სურათს დავუბრუნდეთ:

[3] [მონადირე], რომელიც ნადირთა ბუნაგს ეძებს და „მხეცებს ბადეში ახვევს“, დიდად აფასებს „ფართო, ტყიან ალაგზე [მხეცს] ძაღლებით გარს შემოერთყას“⁴⁵. იმისთვის, რომ კვალი არ დაკარგოს, უფრო მნიშვნელოვან საქმეს გვერდით გადადებს და ზოგჯერ თავის მოვალეობებზეც უარს ამბობს. ასევე ის კაციც, ვინც სიამოვნებისათვის ყველაფერს დაივიწყებს, პირველ რიგში, საკუთარ თავისუფლებას, თავისი მუცლის განცხრომისათვის ყველანაირ საფასურს იხდის. და, რაც მთავარია, სიამოვნებას თავისთვის კი არ ყიდულობს, არამედ სიამოვნება ყიდულობს მას.

თავი XV

[1] მავანი იტყვის: „მაინც რა უშლის ხელს სიკეთისა და სიამოვნების ერთად მოქცევას, ერთმანეთში შერევას და ამ გზით უმაღლესი სიკეთის შექმნას ისე, რომ სასიამოვნო და კეთილშობილური ერთი და იგივე იყოს? პატიოსნების არც ერთი ნაწილი არ შეიძლება უპატიოსნო იყოს, არ უმაღლეს სიკეთეს ექნება თავისი სინმინდე და შეუბღალაობა, თუკი მასში თუნდაც რაიმე იქნება არამსგავსი სიკეთისა.“

[2] თვით სიხარულიც კი, რომელიც სიკეთისაგან მოდის, რაც არ უნდა დიადი იყოს, აბსოლუტური სიკეთის ნაწილი მაინც ვერ იქნება, ისევე როგორც სიმშვიდე და ხალისი, რამდენად მშვენიერი და ამალღებული მიზეზები არ უნდა ედოს საფუძვლად მათ წარმოშობას. ყოველივე ეს, ცხადია, სიკეთეა, მაგრამ არა ის, რაც უმაღლეს სიკეთეს წარმოადგენს, არამედ ის, რაც მისი თანმდევი და თანმხლებია.

[3] მას, ვისაც სიამოვნებისა და სიკეთის გაერთიანება სურს, თუნდაც მათ თანაბარი ძალა და გავლენა მიანიჭოს, მაინც ვერ აიცილებს თავიდან სიმყიფის სიმტკიცესთან გაერთიანებას, ამის შემდეგ უკვე ორივე მყიფე და მერყევი გახდება. სწორედ ამის გამო თავისუფლება, რომელზე ძვირფასიც ადამიანს არაფერი უნდა ეგულებოდეს, მონობის უღლის ქვეშ ექცევა. ამ დროს კაცი ბედი წყალობასა და ფორტუნა მიმართავს — ამაზე დიდი მონობა რალა შეიძლება იყოს! სწორედ ამის შემდეგ იწყება შემანუხებელი, საეჭვო, მოუსვენარი, შფოთით სავსე და დროთა სვლაზე დამოკიდებული ცხოვრება.

[4] შენ სიკეთეს მტკიცე და შეურყეველ საფუძველს კი არ უქმნი, არამედ მუდამ ცვალებად და მერყევე ადგილზე დგომას უბრძანებ. რა უნდა იყოს უფრო ცვალებადი, ვიდრე შემთხვევითობა, სხეუ-5 იხ. ვერგილიუსი, გეორგიკები, I, 139—140;



ლის მოთხოვნისა და სურვილთა მოლოდინი და ამით გამოწვეული მოქმედებათა მრავალსახოვნება? როგორ შეძლებს ადამიანი ღმერთის მორჩილებას, მის ცხოვრებაში მომხდარის ღირსეულად მიღებას, იმას, რომ ბედის მომჩივანი არ გახდეს, ცუდ ამბავს კარგი ახსნა მოუძებნოს, თუკი მას მუდმივად სიამოვნებათა და ტანჯვათა ჩხვლეტა შეაწუხებს? თუკი სიამოვნებისაკენ მიბრუნდება, ის ვერ იქნება ვერც სამშობლოს მცველი, მსხნელი ან შურისმაძიებელი, ვერ მეგობართა დაცვას მოახერხებს.

[5] მაშასადამე, უმაღლესი სიკეთე იქამდე უნდა ამაღლდეს, საიდანაც ვერავითარი ძალა ვერ ჩამოაგდებს; ისე, რომ მას ვერც ტყვილი შეეხოს, ვერც იმედი და ვერც შიში. ამ სიმაღლემდე მხოლოდ სიქველე და კეთილშობილება აღწევს. ამ მწვერვალის დაპყრობა მხოლოდ მის მტკიცე სვლას ძალუძს. ის მუდამ მყარად იდგება და რაც არ უნდა მოხდეს, აიტანს, ოღონდ არა იმიტომ, რომ იძულებულია რაიმე დაითმინოს, არამედ ამას ნებაყოფლობით გააკეთებს — მას ეცოდინება, რომ ადამიანის დროებითი არსებობა ბუნების კანონია. ის იმ ჯარისკაცის მსგავსი იქნება, რომელიც ყველაჭრილობას აიტანს, სხეულზე ნაიარევეებს დაითვლის და შუბით განგირული მოკვდება იმ მხედართმთავრის სიყვარულითა და პატივისცემით სავსე, ვის გამოც ბრძოლის ველზე დაეცა. მის მის გონებაში ყოველთვის იცოცხლებს ძველი შეგონება: „მიჰყევი ღმერთს!“

[6] ის კაცი, ვინც მუდამ ჩივის, ტირის და მოთქვამს, ბრძანებებს ძალდატანებით ასრულებს და იქაც კი, სადაც წასვლა აუცილებელი და საჭიროა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიდის. განა ჭკუანაკულებლობა არაა ადამიანმა რაიმეს თავი წაათრევივინოს, ვიდრე თავად მიჰყევი! ვფიცავ ჰერკულესს, როგორი სიბრიყვე და საკუთარი მდგომარეობის სრული უცოდინრობაა იმაზე დარდი, რომ რალაც გაკლია ან რომ ბედისწერამ მძიმე ხვედრი გარგუნა.

ეს ნამდვილად არაა იმაზე ჭკვიანური, ვიდრე გაკვირვება ან შეშფოთება იმით, რაც ერთნაირად აღწევს კეთილსაც და ბოროტსაც: სწეულება, სიკვდილი, სიბერის უძლურება და სხვა ცხოვრებისეული შემთხვევითობანი. არსებობს რაღაც, რაც მტკიცე სულით უნდა მოვიღოთ და დავითმინოთ, რადგან ასეთია სამყაროსეული წესრიგი.

[7] ჩვენ თითქოს ამ ფიციტ ვართ შეკრული: ძრწოლისა და შიშის გარეშე ავიტანოთ ის, რისი თავიდან აცილება ჩვენი ძალის მიღმაა. ჩვენ მეფური ძალაუფლების ქვეშ ვართ შობილი და ღმერთის მორჩილება თავისუფლებაა.

თავი XVI

[1] მაშასადამე, ჭეშმარიტი ბედნიერება სიქველესა და კეთილშობილებაში დევს. რას გირჩევს კეთილშობილება? ნუ მიიჩნევ ნურც კარგად და ნურც ცუდად იმას, რაც არც სიკეთეს ეხება და არც მანკიერებას. გარდა ამისა, ურყევად უნდა იდგე ბოროტების და სიკეთის წინაშე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ეცადო, რომ ღმერთს მიბაძო.

[2] რას გპირდება ის ამ მონდომებისათვის? უზარმაზარსა და ღვთაებრივს: არავინ არაფერს გაიძულებს, არც არაფერი დაგჭირდება, იქნები თავისუფალი, დაცული და ხელშეუხებელი, არც ამოდ ეცდები რამეს, არც არაფერს გაექცევი, თუკი რამ აზრად მოგივა, მას არავითარი წინაღობა არ შეხვდება, არც რამე შეგხვდება შენი შეხედულების ან ნების საწინააღმდეგო.

[3] მაგრამ როგორ? განა სიკეთე და კეთილშობილება საკმარისია ბედნიერი ცხოვრებისათვის? ეს სრულყოფილი და ღვთაებრივი რამ იქნება კი საკმარისი და გადამეტებულიც კი? როგორ შეიძლება არასაკმარისი იყოს ის, რაც ყველა სურვილის მიღმა არსებობს? რა უნდა იყოს გარედან გაჩენილი საჭიროება იმისთვის, ვინც ყველაფერი თავის თავში მოიკრიბა? მაგრამ მას, ვინც სიკეთესა და კეთილშობილებას ესწრაფვის, რაც არ უნდა დანიშნურებული იყოს, ფორტუნას რაღაც წყალობა მაინც სჭირდება. და სჭირდება მანამ, სანამ ის ადამიანთა შორის იბრძვის, სანამ მოკვდავ [ცხოვრებასთან] დამაკავშირებელი კვანძებისა და ბორკილები-სგან თავს არ დაიხსნის. ამ ბორკილებს სხვადასხვა სახე აქვს: ერთნი მჭიდროდ და მტკიცედ შეკრულია, ზოგი — მოშვეებული. ის, ვინც დიდ სიმალეებს ესწრაფვის და თავი მალლა უჭირავს, თავისუფლად გაშლილ ჯაჭვს მიითრევს. ის არაა თავისუფალი, მას მხოლოდ ეჩვენება, რომ თავისუფალია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიო კილაძე

მისალოცი ისინდისაში

„ისინდი“ 5 წლის გამხდარა...
ლამაზად გავლილი 5 წელი...
შინაარსიანად განვლილი 5 წელი
ბევრი ცნობილი და ბევრი უცნობი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი...
ეროვნული იდეები და იდეალები...
ურთიერთგაგება და პირუთვნელი შეფასებები...
წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანი გააზრება და ეს ყველაფერი ერთ უკონფლიქტო, რუდუნებით შექმნილ სივრცეში!
ეულოცავ „ისინდს“, –რედაქციას, უაღრესად განათლებულ, შრომისმოყვარე და დაულალავ, მოტივატორ რედაქტორს, მხარდამჭერებსა და მკითხველებს განვლილ 5 არაჩვეულებრივ წელს!
კიდევ ბევრი ხუთწლეულები ჟურნალს და მკითხველებს!!!

ორიოდე სიტყვა ბიპლიო ექსპრესის შესახებ

ახლახანს ვუსმინე რადიოექსპრესის გადაცემას, რომლის სტუმარი ჩვენი კეთილი ჩინოვნიკი-საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე- გიო კილაძე საშვილიშვილო პროექტზე ძალიან საინტერესოდ საუბრობდა. ბიბლიოექსპრესი განათლების პლატფორმის სახელწოდებაა, რომელსაც გიო ეროვნული ბიბლიოთეკის ეგიდით დაულალავად ახორციელებს; ეს არის სასკოლო ლექსიკონის ერთიანი ბაზა, რომელიც მოსწავლეებს განათლების საფუძვლიანად მიღებაში ეხმარება. დიდი ხანია გიო კილაძის არაერთ შინაარსიან და საგულისხმო ნამოწყებას ვიცნობ; მეტიც, თავის დროზე მისი ინიციატივით ამ საინტერესო პროექტებში აქტიურად ვმონაწილეობდი, რაც ვირტუალურ სივრცეში მწერლობის პოპულარიზაციას ხელს უწყობდა. და როდესაც გიომ თავს იდო სასკოლო ბიბლიოთეკის ციფრული ვერსიის შემუშავება, ამ შრომატევად საქმეში მისი ჩართვა არ გამკვირვებია, ვინაიდან მისი ენერგიულობისა და გარჯის ხარისხი ცნობილია. წლების წინ გიოსთან ერთად ჩემს საავტორო რადიოგადაცემებში ქართულ მწერლობაზე ხშირად გვიმსჯელია, მას იმდენი რამ ახსოვს, სწორედაც უპრიანია სასკოლო ლიტერატურის პროექტში თავისი ცოდნა სათანადოდ გამოემჟღავნებინა. გადაცემის ფორმატში მრავალფეროვანი თემების გაერთიანება საკმაოდ რთულია, რაც ეკლექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს და მაინც, გიომ გურული სისხარტით საზოგადოებისთვის ქართული დუელების ნაკლებად ცნობილი ისტორიების გაცნობის პარალელურად რეზო ინანიშვილის საუცხხოო ნოველა“ ყვავები ფრთხებიან დამბაჩის ხმაზე“ საინტერესოდ წარმოგვიდგინა; ხალისანმა მთხრობელმა არც კლასიკურ მემკვიდრეობას აურა გვერდი. პირიქით, ილიას ეპოქალურ ღვანლზე ვრცლად ისაუბრა. მამათა და შვილთა ბრძოლის პერიპეტების განხილვისას გვამცნო, რომ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე შექმნილი ილიას ბრწყინვალე პოლემიკური წერილი, ამ ისტორიულ პაექრობას სათავე რომ დაუდო, ხელახლა ნაიკითხა და თვით კოზლოვის რუსულ დედანსაც გაეცნო, რაც ცალ-



ერეკლე სალიანი

მედაა
(სვანური პერსონა)

თავი 6

ბედისწერა ქანცს მაცლის და მხშირავს, მზად ვარ, სული, გული, ბერძენს მივცე, შინაგან ხმას რომ ვუსმინო სშირად, საჭიროა შინაგანი სივრცე. მომე ძალა, ღვინით სავსე თასო, მომეშველე თახა და ნუ დამფლავ, ვაზის წვენი სადაც აღარ ფასობს იქ სიცოცხლეს უმზადებენ საფლავს, იქ არ არის აღარც მადლის გება, იქ არ არის არც იმედი ხვალის, მან, ვინც იცის ქვის გულში რაც ხდება, თავის თავში ვერ დაძლია ქალი. აფროდიტე, შენც ეს რაღა მიყავ, ის რაც შენ ჰქენ, მადლი ვეღარ ვცანი, კოლხებისთვის თუ ღვთაება ვიყავ, ბერძნებისთვის ვიყავ ბანოვანი, დალილს უკვე სანახევროდ მძინავს, ჩემი ფიქრი შორეთისკენ მიჰქრის, მე თავიდან აღმოვაჩენ იმას, რაც კოლხებმა მივივიწყეთ თითქმის. ვინცე ფიქრს, თუ ვით დავტოვებ სახლსა, მამის სურვილს რომ ვეურჩო, ვბედავ, ზურმუხტისფერ ჩემს თვალებში ახლა, დაბადებას, სიკვდილს ერთად ვხედავ. წყლის პირს ვზივარ, წყალს ჩავყურებ მწყრალი მაკრთობს ჩემი სახის ანარეკლი, ვარ ძლიერი და უმწეო ქალი, ვინც ღმერთქალის ნანას აჩრდილს ვეკერი, დადის იაზონ, გაღელილი მკერდით, ჩანს, რომ ვაჟკაცს დარდი ბოჭავს მძიმე, მე ვარ მისთვის ახლა ერთადერთი, აღუძრავდა ვინც პატარა იმედს, ბედი იმას აქამომდე ცდიდა, ადულებდა მის სხეულში ლავას, შველას ელის ის პონტონის ზღვიდან იცის, მის წინ თავად ზღვა რომ ვდგავარ. დაავალა აიეტმა იაზონს რომ სპილენძისჩლიქებიან ხარებს, ახვნივინე მიწა, ვით მე ვხნავო, დაადგამდე ულელს ქედზე ბარემც. ცეცხლი გასდით ნესტოებში უკვე, ხარებს, მნახველს ზარსა სცემენ მეტად, ისინი არ დაიდგამენ ულელს, რას უმზადებს ბედი სტუმარს ნეტავ? იცის კარგად, კარგად იცის მამამ, სტუმრის მიმართ სისასტიკეს სჩადის, იაზონი ვეღარ შეძლებს ამას, მიუჯდება ის სისხლიან ნადიმს, მოჰგავს ჩემი ცრემლი წვრილ-წვრილ წვიმას, გზა წინ მიდევს, როგორც ზღვაზე ხიდი, იქ იოლკოსში ჰელიასი წირავს, აქ აიეტმა გაიმეტა იგი. გადიყარა ჩემს თვალთაგან ბუქი,

სახად მისასალმებელი ფაქტია. რადიოგადაცემაში მწერლობაზე საუბრისას უამრავი საგულისხმო შენაკადი თავისთავად წარმოიქმნა, რაზეც აქ წერილის მოცულობის გათვალისწინებით წვრილად ვერ ვიმსჯელებ; რამდენიმე მომენტს კი აუცილებლად გამოვყოფ. ილიასა და აკაკის თანამოაზრეობაზე საუბრისას არჩევნების თემის განხილვის დროს სრული სურათის აღსაწერად კარგი იქნებოდა ილიას საარჩევნო ვნებათაღელვის პარალელურად აკაკის წარუმატებელი მცდელობის ამბავი გახმაურებულიყო. აკაკის საარჩევნო ციკლზე შექმნილი შესანიშნავი სტატიები ჯეროვან ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. ძალიან კარგი პრეცედენტია, გიომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ღირსშესანიშნავი თარიღი- 1879 წლის 31 მარტი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 1991 უმნიშვნელოვანეს თარიღს 31 მარტს ასე რომ მიუსადაგა და ამით ეროვნული ცნობიერების უწყვეტობა გამოკვეთა, აქვე აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო 31 მარტი-როგორც საქართველოს პირველი, მოწამე პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების თარიღი, ამ მოვლენათა ერთობლიობას საკრალურ ელფერს რომ ანიჭებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი ნათესავისა და ამავდროულად ახლო მეგობრის, ილია ორბელიანის (ბარათაშვილის შედევრი „მერანი“ რომ ილია ორბელიანს ეძღვნება, ამ გარემოებაზე გადაცემის წამყვანებმაც შესაფერისი აქცენტი გადაიტანეს) სასაცილო ამბავი ქიშმიშთან დაკავშირებით დიდი პოეტის მახვილგონიერებასა და იუმორის ნიჭზე მეტყველებს, რაც კარგად გამოიკვეთა. პოეტების გენიალურმა მეფემ გალაკტიონმა მოკრძალებულად გაიელვა, მაგრამ როდესაც თემების არჩევანი ძალიან ფართოა, დროის განაწილების დილემა მუდამ დღის წესრიგშია...

და ბოლოს, ვისურვებდი ასეთი შინაარსიანი გადაცემები და მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო პროექტების განმახორციელებლები ჩვენს საზოგადოებას უფრო ხშირად გაეცნოს და დაეფასებინოს. გიო კილაძის სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით გამომხმაურებას ნამდვილად იმსახურებს, იმდენად დიდი შრომაა განუული, რაც საქმისა და მწერლობის გულწრფელი სიყვარულისა და სათანადო ცოდნის გარეშე ნამოუდგენელია.

იკა ქადაგიძე
5. 01. 2022.

რა სჯობს, როცა კაცის ტკივილს კურნავ,
 რა ფასი აქვს ადამიანს, თუკი
 აღარ ავლენს თანაგრძნობის უნარს,
 ჭალადიდის ველზე ქარი დაჰქრის,
 თუნდ ჩამქოლონ, თუნდაც გავირიყო,
 აღარ მინდა მათი ბნელი საქმის
 - საქმის თანამონაწილე ვიყო.
 იაზონს ახლა მარტოობა ტანჯავს,
 მარტოობა ტანჯავს მეტად ძლიერ,
 შეხვდა ყველგან უნდოსა და არჯალს,
 შეხვდა ყველგან გაუტანელს, ცბიერს
 და მათ უნდა დავემსგავსო რატომ,
 ნახდენენ, მე თუ ხელი ვკარი,
 ახლა უნდა გადავლახო მარტომ
 ყოველგვარი სამანი და ზღვარი.
 საკუთარ თავს ფიცი მივეც ნუხელ
 და ეს ფიცი ყველაფრისგან მიცავს,
 ჩემს გარეშე ვით დაადგამს უღელს
 ხარებს და ვით მოხნავს კოლხურ მინას.
 მამის ჩუმი ვჭირისუფლობ, ვქალობ,
 მამის ჩუმი ხელს ვუმართავ, ვხარობ,
 აი, ახლა უნდა მივემშველო,
 აი, ახლა უნდა მივეხმარო!
 იაზონს შიშით ფერი ადევს ქარვის,
 თავს ვერაფრით აღწევს ისიც ეროსს,
 კაცთა შორის არ აქვს ნება არვის,
 სხვის სიცოცხლე დაუნდობლად თელოს.
 ნუხელ ვგრძნობდი ჩემს კარებთან იდგა,
 ჩემთან მოსვლა ველარ გაეხედა,
 ზედ სიკვდილის კარიბჭესთან მიმდგარს,
 ბაკმ-შუქურა ადგა თავზე სვეტად.
 შეცბა, როცა კარი უცებ შევხსენ,
 მიეყუდა ცალი ხელით რაფას,
 ვუთხარ, ქვეყნად მოსული ხარ ერთხელ
 და უაზროდ ასე სულს რად ლაფავ.
 თუ დაეცი, დარდი შეგჭამს სუმთლად,
 რა ხელი გაქვს აქ და რალას ზვერაგ,
 ვიგრძენ მამრის ალხიანი სუნთქვა,
 ვიგრძენ მამრის ალმურივით მზერა:
 „ცით ნაშობო“, მის ბაგესაც დასცდა,
 დახმარება გთხოვო, მიტომ მოველ,
 აღამალლებ თუ გნადს ყოველ კაცსა,
 დაამდაბლებ, თუ გნადს კაცსა ყოველთ.
 ოლიმპოზე მყოფ ქალღმერთთა დარო,
 დაგიფასებ გარჯასა და ამავს,
 მზეს შეჭხარი, მასთან ერთად ხარობ
 კარგად ხედავ, შენს იქით გზა არ მაქვს.
 შენს სიკეთეს ზევსი გიზღავს ასად,
 ჩემს ბედს ვტირი, ჩემს ბედს, კიდევ ვმღერი,
 შენგან ველი შეწვენას და ხსნასა,
 მიჯნური და შენი ფეხის მტკერი.

თავი 7

გაეც ჩემთვის გასაცემი სიტობო,
 გაანათე წამით ჩემი გონი,
 მამაშენი რასაც ჩემგან ითხოვს
 მხოლოდ ზევსი შეძლებს იმას, მგონი.
 ქვიშის ჭანჭრობს მსჭვალავს ქვიშის ჭალა,
 იმ ჭალაში ერთი დიდი ხე დგას,
 ეს ხე ახლა ოქროს სანმისს მალავს,



გველშაპი მას დარაჯობს მედგრად.
 თვალი აღარ ეხუჭება მძინარს,
 ძილში მყოფიც განძის დაცვას ფიქრობს,
 მისი ძლევა ძალუძს მხოლოდ იმას,
 გრძნეულების საიდუმლოს ვინც ფლობს.
 და ამადაც, ჩემი მხსნელი შენ ხარ,
 გვერდი მწარე სიკვდილისგან მიხსნა,
 ჰგავხარ კოლხურ ბედის ქალღმერთ ემხვას,
 ზღვის წყალზე რომ გადაირბენს სისხამს.
 აღმიტაცებს მე ეს სიტყვა კვლავაც,
 ფენიქსივით მეც განვახლდე ლამის,
 მე ამ თხოვნამ მომცა დიდი ძალა,
 დამანახა საკუთარი თავი.
 ვგავარ ახლა იმ ხალიბურ ხანჯალს,
 ქარქაშში რომ ჩამწყვდეული კივის,
 სიხარულად ვაქცევ კაცის ტანჯვას,
 ნეტარებად ვაქცევ კაცის ტკივილს.
 გზა- კვალს ვუხსნი ჩემში ჩამდგარ ვულკანს,
 მოსურნე ვარ გარდაქმნის და ახლის,
 არის ის გზა, საიდანაც უკან
 არასოდეს ბრუნდებიან სახლში.
 ჩემი მრწამსი ყველაფრისგან მიცავს,
 ყველაფრისგან მიცავს ჩემი სევდა,
 ირმის ნახტომს რად აგონებთ ის ცა,
 რაც მგონია ნამუხლარი დევთა.
 მე ვარ სტუმრის ერთადერთი შემწე,
 სიხარულად შევცვლი იმის ვაის,
 იმ სამყაროს გემით უნდა შევწვდე
 ჩემი ალთქმის მიღმა არის რაიც.
 იაზონს მამის ხელყოფისგან ვიცავ,
 სიყვარულის ცეცხლზე ჩუმი ვთბები,
 ჩემი ქვეყნის მე ვარ ცა და მიწა,
 ჩემი ქვეყნის მე ვარ ზღვა და მთები.
 მამის ბაღში მნიფს ზღმარტლი და ჟოლო,
 მე ჩემს ქალურ უფლებას არ დავთმობ,
 ჩემში აღარც სიკეთეა მხოლოდ,
 ბოროტებაც აღარ არის მარტო.
 ცრემლი აღარ უნდა მოვიდინო,
 გავშლი კოლხთა წარწერიან კირბებს,
 ჩემში ცოცხლობს ქლორიდაც და ინოც,
 ჩემში ცოცხლობს ნეფელეც და კირკეც,
 ჩემს ფიქრს წამში ელადამდე ვდიე,
 რომ ლამდება ჩემთვის მაინც დღეა,

ჩემში არის მზექალიც და დიეც,
 ჩემში არის აშექალაც, გეაც.
 მძიმე არის კოლხთა მეფის კვერთხი,
 გამოთლილი არის იგი ბზიდან,
 მიხვდი კარგად, რომ ვარ მხოლოდ ერთი,
 ვინც მოკვდავთ და უკვდავთ ერთად ვზიდავ
 კვენესა ისმის ბალახების ხმაში,
 ცლის ღრუბელი წვიმით სავსე ჯიქნებს,
 მე რომ არა, თვით სიცოცხლე მაშინ
 დედამინას აუჯანყდეს იქნებ.
 გამზადებულ წამალს ვაძლევ ბერძნებს,
 წვენს მოვწურავ ფიჭვებსა და ვერხვებს,
 მე იმ მზერას ახლაც ყველგან ვეძებ
 ბეგქონდარამ რომ შემხედა ერთხელ.
 როგორ ბურღავს მინას ია, მესმის,
 არჩენს იგი გრძელი ზამთრის ურვას,
 ვიცი კარგად, ბალახიც და ფესვიც,
 ჩვენს სხეულში რა სატკივარს კურნავს.
 თეთრყვავილას ღამით ტყვილა არ ვკრეფ,
 შუადღეზე რადგან აფრქვევს შხამებს,
 მთის ყვავილებს შევკონავ და შევკრავ,
 მთის ყვავილებს ვაჟის ქვას რომ ხრავენ.
 შემინდოს ცამ, თუკი რამეს ვცოდავ,
 მე ყოველდღე ახალ აზრებს ვიძენ,
 ჩემში არის შეფუთული ცოდნა,
 ჩემში არის შეფუთული სიბრძნე.
 და ვერ იგებს, კაცი თუკი ტლუა,
 ცოდნა მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს,
 მოკვდავისთვის მისანვლოში თუა,
 მხოლოდ მაში ინამებენ მისას.
 ანთებული დამაქვს ხმელი კვარი,
 არ მაქვს შიში წარღვნისა და ხვატის,
 გჯეროდეთ, რომ თვით ლეგენდაც არის,
 დაგმანული სინამდვილს ხატი.
 შევიყვარებ ქალი თავად სიკვდილს,
 ის სიცოცხლის მიწურვილი დღეა,
 ძველ დიდებას დღესაც უხვად იმკის,
 იმკის ჩემი აია და ეა!
 წყალობს რჩეულთ ცეცხლის ღმერთი-ჰელი,
 წყალობს ქვახი - ყინულეთის ღმერთი,
 წყალობს ურჰაც - ქვესკნელივით ბნელი,
 ბოლოს ყველა მაინც არის ერთი.
 ადა-დადა მართავს ურჯუკ ქარებს,
 ფა ღმერთია მიყრუებულ ტყვეთა
 გამარჯვების ღმერთი არის ტარეს,
 ჩვენს ხვალისნდელ დღეს ვინც კარგად ხედავს,
 ვარ უკეთუ თვინიერიც, ავიც,
 განვიკიცხო, შეუძლებელს შევძლებ,
 ო, ციურნო ძალნო დავგმე თავი,
 მინდობილი ვიყო მხოლოდ თქვენზე.
 დედამინა ისევ უვლის ფერხულს,
 არა ვცემდე თაყვანს შამაშს, იშთარს,
 ცალ მხრივ ნუ შეეხებით ჩემს სულს,
 ჩემს ცხოვრებას ცალმხრივად ნუ შიფრავთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**თეიმურაზ ნადარეიშვილი
სულის ფოტოგრაფიები**

დღიურების, ჩანაწერების წერა, ხომ არ არის სინამდვილიდან გაქცევა?! ჩემი აზრით, პირიქით სინამდვილე “გამორბის” მწერალი ადამიანისაკენ, რადგანაც მათში სინამდვილე უმეტესწილად განზოგადებული სახითაა მოცემული და ამიტომ ჩანაწერებში “დატყვევებული” ფიქრები კონკრეტული ადამიანის კერძო პრობლემებს სცილდება, რის გამოც ისინი შესაძლოა სხვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდნენ! ეს ჩანაწერებიც (ჩემი “სულის ფოტოგრაფიები!”) ამგვარი მცდელობის მოკრძალებული ნიმუშია.

ადამიანმა მოფიქრებული სათქმელიდან ყველაფერი არ უნდა თქვას (რლაც მაინც უნდა დაიტოვოს თავისთვის!), მაგრამ რის თქმასაც “გაიმეტებს”, ის კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული!

ბუნების კანონები ხშირად რთული და “მკაცრია” და ამ კანონების აღმომჩენი მხოლოდ ამ სირთულეს და “სიმკაცრეს” ახმოვანებს!

ზუზუნი - “გასაშუალოებული” მეტყველება

მრავალი ადამიანის თავშეყრისას, როდესაც ისინი “ნებას არიან მიშვებულნი”, ზუზუნი ისმის ხოლმე (მაგალითად, იუსტიციის სახლში, ზაზარში და ა.შ). ამ დროს თითოეული ადამიანი საკუთარ სათქმელს ამბობს, მაგრამ “კოლექტიური გასაშუალოების” გამო (ზედდება ხდება სხვადასხვა საუბრების) შეუძლებელია ცალკეული საუბრების გარჩევა (ანუ იკარგება თითოეული ინდივიდის სათქმელი!) და როგორც შედეგი “გასაშუალოებული მეტყველება” ანუ ზუზუნი გვესმის! (ისევე, როგორც არითმეტიკაში მაგალითად, სამის და ხუთის საშუალო არითმეტიკულია ოთხი ანუ არც სამი და არც ხუთი!)

შოტლანდიაში პილოტმა ასაფრენ ბილიკზე, უკვე სიჩქარე აკრეფილი თვითმფრინავი ავარიულად გააჩერა, რომ არ გაესრისა საიდანაც გაჩენილი რამდენიმე კუ, თვითმფრინავის ეკიპაჟი და მგზავრები კი მთელი სამი წუთი მოთმინებით ელოდებოდნენ, სანამ “ქარავანმა” არ დატოვა საფრენი ბილიკი! რამდენადაც ვიცი, ფრენის დისპეჩერს არ დაუსჯია რაინდი პილოტი ამ საქციელისათვის! დიახ, საბედნიეროდ, ასეთი გასაოცარი მაგალითებიც არსებობს, როდესაც ადამიანი ასე უფრთხილდება დედა ბუნებას!

ნაპოლეონი ბრძოლის დროს ყოველთვის წითელი ფერის მაისურს იცვამდა, რომ დაჭრის შემთხვევაში, მონინალმდგვის და განსაკუთრებით საკუთარ ჯარისკაცებს არ შეემჩნიათ სისხლი მის სამოსელზე. ასევე

რაიხსკანცელარის ალების შემდეგ საბჭოთა მეომრებმა აღმოჩინეს, რომ ჰიტლერის სამუშაო მაგიდაზე ყველა დოკუმენტი დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ არ შეიძლებოდა ფიურერს სათვალე ეხმარა ხელქვეითების თანდასწრებით! დიახ, აი ასეთ უცნაურ "ფორმებს" ლებულობს ხოლმე დიქტატორების არაჯანსაღი პატივმოყვარეობა!

სხვის შეცდომებზე სწავლა კარგია, რადგანაც თავად შეცდომა არ დაგიშვია, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე სწავლა უფრო ღირებულია იმ გაგებით, რომ "შიგნიდან" იცნობ შეცდომის "ანატომიას"!

უკვე დანყებით კლასებში, რაც ფრაგმენტულად მახსოვს, ძალზე მაინტერესებდა გამოძიება ამ სიტყვის ფართო გაგებით (თუმცა ძალიან გატაცებული ვიყავი საკუთრივ წმინდა გამოძიებითაც ანუ დეტექტივების კითხვით და მახსოვს კლასში გატაცებით ვუყვებოდი კლასელებს შერლოკ ჰოლმსის თუ აგატა კრისტის ახლად წაკითხულ წიგნებს) ანუ თითქმის ყველაფერზე განუწყვეტილ ვუსვამდი ჩემს თავს და მოზრდილებსაც თუ რატომ ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა. ახლა კი ვხდები, რომ ფიზიკაში მე მაინც ყველაზე მეტად მაინტერესებს ისე და ისე გამოძიება ანუ უფრო სწორად გარკვევა იმისა თუ როგორ და რატომ არის სამყარო მონყობილი. ამგვარად, მე კვლავ "დეტექტივად დავრჩი", თუმცა "დანაშაულის ჩამდენი" თავად ბუნებაა!

ხშირად მომყავს ხოლმე გოეთეს შემდეგი გამონათქვამი: "უნდა გამოვიყენოთ ცხოვრების "წვნიანობა"! მართლაც თუ კარგად დაგეგმავ შენს მუშაობას, გატაცებით აკეთებ შენს საქმეს, მაშინ მიხვდები, რომ ცხოვრება მართლაც "წვნიანია" ანუ შეიგრძნობ დროის "ტევადობას" და შეძლებ ძალიან ბევრი რამის მოსწრებას! (თავად გოეთე, ხომ მწერალი, მეცნიერი და ფინანსთა მინისტრი იყო)

ჯიხვი ზევით არ იხედება, რადგანაც ჰგონია, რომ მასზე მაღლა ასევე არავის შეუძლია და სწორედ ამ "ამპარტავნობას" ეწირება იგი, რადგანაც ამ ფაქტის მცოდნე მონადირეები ზემოდან იღებენ ჯიხვს სამიზნეში! ასევე განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანები საკუთარ თავს ყველაზე მაღლა აყენებენ და მათაც ეს "ჯიხვისეული ამპარტავნება" ღუპავს!

სპექტაკლი "მსუბუქი ბლოკები"

მელიქიშვილის გამზირზე ჩემი ყურადღება მიიქცია ან უკვე გაუქმებული ვერიკო ანჯაფარაძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის სარეკლამო ბანერზე ძველ, დროისაგან გახუნებულ თეატრალურ აფიშებზე გადაკრულმა არათეატრალურმა, საყოფაცხოვრებო ში-



ნაარსის ახალმა განცხადებამ: "ქაფისაგან ვამზადებთ მსუბუქ ბლოკებს" (და მითითებული იყო მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი). მწარედ გამეცინა - დრომ მაინც "თავისი გაიტანა", ცარიელი აფიშა ვერ "აიტანა" და შემოგვთავაზა "სპექტაკლის" პრემიერა: "მსუბუქი ბლოკები"! სწორედ ამაზეა ნათქვამი: "უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო!"

P.S. იმის დასტურად, რომ ასეთი ძველ აფიშებზე გადაკრები, არც თუ ისე "უნყინარი" შეიძლება იყოს, მინდა ერთი ასეთი ნამდვილი ამბავი გიამბოთ. 1947 წელს თელავის თეატრში იმართებოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის (თანამედროვე ტერმინოლოგიით "გადატრიალების") 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და როგორც მაშინ მიღებული აუცილებელი ატრიუბტიკა იყო, სარეკლამო ბანერზე თეატრალურ აფიშებზე გადააკრეს მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ცნობილი დიდი პლაკატი. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: სიჩქარეში (მაშინ ხომ მთელი ქვეყანა აჩქარებით ცხოვრობდა, რათა დასწვოდნენ და გადაესწოთ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის!) ეს პროპაგანდისტული პლაკატი გადააკრეს წინა დღით გამართულ ფრიდრიხ შილერის ცნობილი პიესის "ყაჩაღების" პრემიერის აფიშას, ისე რომ პიესის დასახელება მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის პლაკატის ქვემოთ მოექცა ანუ ძალაუფლებურად მარქსიზმის კლასიკოსები ყაჩაღებად იყვნენ მოხსენიებული!(ეს ფაქტი იმავე საღამოს ბი-ბი-სიმ ოპერატიულად გააშუქა!) ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოხდებოდა თელავში იმ დღეს! კერძოდ, ვინ დათვლის რამდენი "თავის გაგორების" ფაქტი დაფიქსირდებოდა ე.წ. ორგანიზაციული გადანყვეტილებების პარტიულ დოკუმენტებში!

ლექციები და სამეცნიერო მუშაობა ერთმანეთს ავსებს და ხშირად მომხდარა, რომ ლექციის დროს სტუდენტების კითხვებზე პასუხის გაცემისას ახალი მეცნიერული იდეაც კი "დაბადებულა" ჩემში!

თავს ხშირად ღიმილით ცნობილ ფიზიკოსს ბლენ პასკალს ვადარებ, რომელმაც ლიტერატურული ჩანახატების შესანიშნავი კრებული "აზრები" დაუტოვა კაცობრიობას. აქ კი მეხმარება ის ფაქტი, რომ ზოჯერ "მბეზრდება" მათემატიკური ფორმულების სიმკაცრე

და "სიმშრალე" და "თავს ვაფარებ" ლიტერატურას, შემდეგ კი კვლავ ფიზიკას ვუბრუნდები და ეს მუდმივი "ხეტიალი" ფიზიკაშიც მეხმარება და ესეების წერაშიც!

ვიცით რა არის ღამე?! ამ "უბრალო" კითხვას ბ-ნი ტარიელი ხარხელაური ამგვარ "არამეცნიერულ" პასუხს სცემს:

**"მთები კვლავ სდუმან, დროდადრო
ფიქრიან თვალებს ახელენ,
მხრებს დაიბერტყავს უფსკრული
და ღამეს ამოახველებს"**

აი რა ყოფილა პოეტის თვალთ დახახული ღამე – უფსკრულის ამონახველი! (ამ სტროფების ნაკითხვისას, ადამიანი ძალაუნებურად ასე მსჯელობს: უფსკრულში სიბნელეა და "ამოხველების" შემდგომ ეს სიბნელე გარეთ გამოდის ანუ ღამდება!) და პოეტის ამგვარი "ახიერებული", მოულოდნელი შედარებები (რომელიც უხვადაა "მიმოფანტული" ბ-ნი ტარიელის ლექსებში), დიდ პოეზიასთან გვაზიარებს!

მეცნიერება სამყაროს სწორი შემეცნების საშუალებაა, რომელიც გვასწავლის თუ როგორ და რატომ არის სამყარო ასეთი. გარდა ამისა მეცნიერება ადამიანს უყალიბებს ისეთ სასარგებლო ჩვევებს როგორცაა გამბედაობა, "სალი" ეჭვის შეტანა ყველაფერში, საკუთარი დროის სწორი ორგანიზება, დაღლის "არ-შეგრძნება", როდესაც რაღაც ღირებულ პრობლემაზე მუშაობ, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება, დისკუსიებში "დაუნდობელი" და პრინციპული პოზიციის ქონა, ნიჭიერი სტუდენტების და ახალაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა და მათთვის სწორი სამეცნიერო მიმართულების მიცემა და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი სირთულე ახალგაზრდისათვის არის იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორად აირჩია მან ესა თუ ის პროფესია, რადგან ხშირად ახალგაზრდაზე გავლენას ახდენს მშობელი, თავისვე მეგობარი ან სხვა რაიმე გარემოება, არადა როდესაც პროფესიას ირჩევ (ანუ იმას, რაც შემდგომ მთელი ცხოვრება უნდა აკეთო!) შენი თავის გარდა არავის არ უნდა მოუსმინო, არ უნდა "მოატყუო" საკუთარი თავი!

რუსეთის ფედერაციის შემავალ უდმურტეთის რესპუბლიკის დედაქალაქ იუვესკის საავადმყოფოში, მიღებული დამწვრობების შედეგად, 2019 წლის 11 სექტემბერს გარდაიცვალა უდმურტეთის ადამიანის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ალბერტ რაზინი, რომელმაც იმ დღით ადგილობრივი პარლამენტის წინ უდმურტული ენის დასაცავად მოწყობილ მიტინგზე ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. მეცნიერს ხელში ეჭირა პლაკატი, რომელზეც ეწერა ცნობილი დაღესტანელი პოეტის რასულ გამზატოვის შემდეგი ციტატა: "И если завтра мой язык исчезнет, то я готов сегодня умереть!"

(მართალია თავად რასულ გამზატოვი აღიარებული, ნომენკლატურული პოეტი იყო საბჭოთა კავშირში, მაგრამ მაინც ამ ციტატის დაწერა გაბედა, რადგანაც კარგად ესმოდა თუ რის საფასურად ჰქონდა მიღებული ეს აღიარება!). იუვესკის ეს ინცინდენტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რუსეთი "ძლევასილი რუსული იარაღის" საშუალებით ძალადობრივად შეკონინებული იმპერიაა და ამ ხელოვნური კონგლომორატის "შიდა" ხალხები, ასე თავგამეტებით იბრძვიან საკუთარი ენის და თვითმყოფადობის გადასარჩენად!

მიტოვებული სოფელი

მიტოვებული სოფელი მიტოვებული მაინც "არ რჩება": მას ჯერ სიჩუმე "იპყრობს", შემდეგ კი სხვადასხვა "ჯურის" სარეველა მცენარე თუ გარეული ან უპატრონოდ მიტოვებული გასაველურებლად განწირული შინაური ცხოველი - ბუნება ვერ "იტანს" სიცარიელეს, თავის სანყისს, პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება და ამით "იშუშებს" ადამიანის მიერ მისთვის მიყენებულ "იარებს"- შლის ცივილიზაციის კვალს!

აფორიზმების, ანდაზების თუ ბრძნული გამონათქვამების (ამ მორალური თუ ზნეობრივი პოსტულატების!) ნაკითხვისას ჯერ ჩვენ რატომღაც ვეთანხმებით მათ და "გულზე გხვდება" ამ გამონათქვამების სიბრძნე, სისხარტე, მაგრამ მაინც გაურკვეველი უკმარისობის გრძნობა გეუფლება და ამიტომ გიჩნდება სურვილი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითებზე დაყრდნობით "თავიდან აღმოაჩინო ბორბალი" ანუ დაასაბუთო თუ რატომ არის სამართლიანი ამ აფორიზმებში გამოთქმული აზრები! ამგვარ "ახიერებას" კი ორგვარი "ხიბლი" გააჩნია: ჯერ ერთი, მიუხედავად აშკარა ზემოქმედებისა, მაინც "ბრმად" არ ენდობი შენს "სიბრძნით დამჭრელ" იდეებს და მეორეც გარკვეული ანალიზის შემდეგ შესაძლოა ეჭვი შეიტანო ან სულაც უარყო ეს აზრები!

მახსოვს ავადსახსენებელი "განვითარებული სოციალიზმის" ეპოქაში ოპერასთან ჩავჯექი №8 ტროლეიბუსში, რომელსაც მელიქიშვილის პროსპექტის გავლით "მშვიდობით" უნდა მივეყვანე უნივერსიტეტის მეორე კორპუსამდე (მაშინ არ არსებობდა ამჟამად ცნობილი სამკუთხედი გმირთა მოედანზე), მაგრამ მოულოდნელად ტროლეიბუსმა ფილარმონიასთან მარჯვნივ ჩაუხვია და ყველანი გმირთა მოედანზე აღმოვჩნდით (მანამდე კი გაკვირვებული მგზავრები ერთმანეთს ვეკითხებოდით თუ რა ხდებოდა და ბოლოს კი ყველამ ერთხმად პროტესტი გამოვთქვით მარშრუტის "არასანქცირებული" ცვლილების გამო). როგორც გავარკვიეთ მძლოლი დიდხანს მუშაობდა №4 ტროლეიბუსზე და თურმე პირველი დღე ყოფილა, როცა №8 ტროლეიბუსის საჭეს მოჰკიდა ხელი, რის გამოც "ინერციით" კვლავ "მშობლიური" №4 ტროლეიბუსის მძლოლად მოგვევლინა! მან ბოდიში მოიხადა და ვარაზის

ხევის გავლით ჩვენთვის "აღსდგა მსოფლიო წონასწორობა", რადგანაც ი.ჭავჭავაძის პროსპექტზე დავბრუნდით!

ჩემდა გასაკვირად, თითქმის იგივე სახის კურორზულ მდგომარეობაში მოვხვდი 2022 წელს, როდესაც №383 ავტობუსში ჩავჯექი (ენაკვიმატნი მათ "ფაროსანას" უწოდებენ იმის გამო, რომ ისინი მწვანე ფერის მომცრო ზომის ავტობუსებია და თან ძალიან ბევრი დადიან!). ამჯერად კი აღმოჩნდა, რომ მძღოლმა უბრალოდ არ იცოდა №383 ავტობუსის მოძრაობის მარშრუტი (მანამდე იგი №59 ავტობუსის მძღოლი ყოფილა და მისთვისაც პირველი დღე ყოფილა, როდესაც მისთვის უცნობ "ფაროსანაზე" განამნესეს!) და მგზავრები გარკვეული ხალისით და ღიმილით ვასწავლიდით მძღოლს თუ როგორ უნდა ემოძრაოდა!

მე მგონი ამ ორი ფაქტის ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია - თავად ფაქტები "ლაღადებენ" ყველაფერს!

ჩემი აზრით პროკლამაცია ყველაზე რთული "ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებია", რადგანაც მასში ძალზე ლაკონურად ასახული უნდა იყოს ძალზე ბევრი და ამასთანავე არსებითი ინფორმაცია, რაც ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით თითქმის იარაღის ძალას იძენს (სხვაგვარად აზრი არ აქვს პროკლამაციის გავრცელებას!). ასე მაგალითად, ომის დროს მონინალმდეგის ტერიტორიაზე თვითმფრინავიდან გადმოყრილ პროკლამაციებს, ხშირად ბომბის გადმოგდებას აღარებენ და ამ "იდეოლოგიური ბომბების" მთავარი დანიშნულებაა ძირეული მსოფლმხედველობრივი გარდატეხა გამოიწვიონ მონინალმდეგის მოსახლეობაში!(იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო ომის დროს, ქუჩებში გამოკრულ პროკლამაციებზე, ოღონდ აქ უკვე მონოდებაა საკუთარი ხალხისადმი)

რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ცნობილ კომიკური ჟანრის მსახიობს, "ქართველ ბურვილად" მონათლულ იპოლიტე ხვიჩიას მთელი ცხოვრების მანძილზე უნდოდა ტრაგიკული როლების (განსაკუთრებით ჰამლეტის და მეფე ლირის) თამაში. როგორ ავხსნათ მსახიობის ეს "უცნაური ახირება"? ჩემი აზრით, აქ ღრმა მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ადამიანი ძალზე რთული ფენომენია - მას მრავალი მხარე, "ნახნაგი" გააჩნია, (როგორც ცხოველები ნოდარ დუმბაძე შენიშნავდა) "ადამიანი ქანდაკებასივითა და ამიტომ მას უნდა შემოუაროს, სხვადასხვა მხრიდან შეხედო!", რის გამოც ბ-ნ იპოლიტეს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ადამიანის კომიკური თვისებების განსახიერება და უნდოდა ტრაგიკული მხარეების წარმოჩენაც (აკი თავად მსახიობსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კომედიებში მისი ნიჭი იკარგებოდა!), რათა უფრო სრულყოფილად "მთლიანობაში" გააეზრებინა მის მიერ ნათამაშები გმირების სულიერი სამყარო! ამ მხრივ კი ნამდვილად "გაუმართლა" მეორე ცნობილ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა აკოფას, კირილე მიმინოვილის კომიკური და რიჩარდ III,

აზდაკის ტრაგიკული როლები! წარმატების მზა ფორმულა არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს, რადგანაც მაშინ წარმატება "მართვადი" პროცესი გახდებოდა, რაც მას მნიშვნელობას და "ფასს" დაუკარგავდა! უბრალოდ წარმატების მისაღწევად ყველაზე მთავარია სწორად გქონდეს არჩეული პროფესია და გიყვარდეს შენი საქმე! ამ ფონზე კატეგორიულად არ ვეთანხმები შემდეგ გამონათქვამს: "ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია!". ამ შემთხვევაში გასარკვევია, თუ ადამიანი ნამდვილად ნიჭიერია, მაშინ რატომ ზარმაცობს?! საქმე იმაშია, რომ მას სინამდვილეში სწორად არ აქვს არჩეული პროფესია (ან შეეცვალა ინტერესთა სფერო!), რის გამოც "გულს ვერ უდებს" მას და როგორც შედეგი ზარმაცობს! (დასაწყისში მას მოსწონდა ის საქმე, რასაც თავიდანვე ხელი მოჰკიდა თავისი ნიჭის შესაბამისად და ამიტომ არ ზარმაცობდა!). ამიტომ ადამიანი დროზე უნდა "დაენიოს" საკუთარ მიზანს ანუ კვლავ იპოვოს ნამდვილი მონოდება და სიზარმაცეც უკვალოდ გაქრება! თუ შენი საქმე გიყვარს, შენ თვითონ ვერ გაჩერდები, არ "მოგასვენებს" მონოდება და როგორც შედეგი წარმატებაც არ "დაიგვიანებს"!

ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანების უმეტესობა ამ არასასურველ მდგომარეობამდე საკუთარი შესაძლებლობების არასწორად შეფასებამ, სიზარმაცემ, გაუბედობამ მიიყვანა და არა ყბადაღებულმა უიღბლობამ, რაც საკუთარი წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალების მცდელობაა!

დროის საქმით "მოკვლა", დროის "მოკვლის" საუკეთესო საშუალებაა!

სოციალური ქსელი (ფეისბუქი, ტვიტერი და ა.შ) ადამიანური ვნებების, ემოციების, აზრების ელექტრონული დათვალიერებაა!

მარცხის "ხიბლი" იმაში მდგომარეობს, რომ გასწავლოს როგორ არ დამარცხდეს მომავალში!

შემოქმედისათვის სასარგებლო და აუცილებელია ჯანსაღი, სამართლიანი კრიტიკა, რადგანაც ამ პროცესში იგი საკუთარ თავს გარედან უმზერს კრიტიკოსის "ჭკვიანი თვალით"!

ცხოვრებისეულ სირთულეებთან შერკინებისას არ შეიძლება თავს მისცე უფლება შესვენებისაც კი, რადგანაც სირთულე გაგანადგურებს!

დაგვიანება არც ისე საშიშია, მთავარია არ გაჩერდე!

ზვიადს

ფულიხვეჭია განდგომილების
ურდომ როს დაგვარბია,
-სამშობლოს გამცემს არვინ შეუნდოს!
მეზივით ქუედი, ზვიად!
ეშმამ ბრძოლაში გამოგინვია
იმპერიათა ზავთად,
ცრუ ერისკაცებს შენი ემართათ
ჰგავდი ილია მართალს!
ვერვინ შემოგნვდა უფლისგან მკლავდიდს
გესლით სამშობლოს ცრიან,
ცერიან მამულის კურთხეულ ოდას
მტრებს ურიგებენ, ზვიად!
უივერიო ვერანტიელნი

ტლანქად ერწყმიან წყვდიადს,
ნამდვილ ქართველებს სურთ მოგვერიონ,
ვის შენი სისხლი გვცხია...
ჰკა მაგათ, ვინაც ერი ნატანჯი
უმზეოდ დაამშია,
უზნეო მოდგმის დასამარცხებლად
ძალა შეგვმატე, ზვიად!

31.03.2021.

იკა ქადაგიძე

